დანართი №3

სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ჯანელიძე

წევრები:

ზაირა ბერიძე

თინათინ მეფარიშვილი

თამარ ძველაია

ტიტე ბოლქვაძე

გიორგი ევგენიძე

ზაზა პაპიძე

ნინო გორგოშაძე

ირმა ღარიბაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი: 245427337
სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

დაწესებულების ავტორიზაცია

- [ ] დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)
- [x] დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში ვიზიტის განხორციელება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.ვიზიტი განხორციელდა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში ქ. ბათუმის ლოკაციაზე 2025 წლის 15, 16, 17 დეკემბერს და ქ. ფოთის ლოკაციაზე 2025 წლის 18, 19, 20 დეკემბერს.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა აკადემიის პირობების შეფასება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ჭრილში, მათ შორის წარმოდგენილი დოკუმენტაციის, სასწავლო გარემოების, მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და ადმინისტრაციული და აკადემიური პროცესების შესაბამისობის შემოწმება მოქმედ ავტორიზაციის სტანდარტებთან.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წინასწარ ცენტრში წარმოდგენილი, ასევე ადგილზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია; გაიმართა სამუშაო შეხვედრები აკადემიის ხელმძღვანელობასთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან; განხორციელდა სასწავლო სივრცეების, ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება როგორც ბათუმის, ისე ფოთის ლოკაციებზე.

ვიზიტის შედეგად მიღებული დოკუმენტაციის ანალიზი, სასწავლო გარემოების დათვალიერებისა და გასაუბრებების შედეგები დეტალურად აისახა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, რომელიც მომზადდა მოქმედი კანონმდებლობისა და შეფასების დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

შეფასების პროცესში ჩართული იყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტიც. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული და უმაღლესი განათლების პროგრამების პარალელური განხორციელება ხორციელდება ინსტიტუციური გამიჯვნის პრინციპების დაცვით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ფუნქციონირებს დამოუკიდებელი რეგულაციებისა და პროფესიული განათლებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამახასიათებელი სტანდარტების შესაბამისად, ხოლო გადაწყვეტილებების მიღების პროცესი სრულ თანხვედრაშია პროფესიული განათლების მოქმედ ჩარჩოსთან და არ ქმნის სამართლებრივ ან აკადემიურ წინააღმდეგობას.

მასწავლებელთა დატვირთვა შეფასებულია როგორც რეალისტური და მართვადი: საერთო კვირეული სამუშაო დრო არ აღემატება 40 საათს და დატვირთვა არ არის მხოლოდ ფორმალურად გაყოფილი, არამედ პრაქტიკულადაც დაბალანსებულია, რაც გამორიცხავს გადაჭარბებულ სამუშაო მოცულობას.

სისტემებს შორის გამიჯვნა უზრუნველყოფილია საათების ცალკე აღრიცხვის გზით. პროფესიულ პროგრამებში შესრულებული საათები მკაფიოდ არის დიფერენცირებული უმაღლესი განათლების საათებისგან და არ ფიქსირდება ერთი სისტემის საათების მეორე სისტემის ხარჯზე დაფარვის პრაქტიკა.

ორივე სისტემაში ერთსა და იმავე მასწავლებლის ჩართულობა უარყოფითად არ აისახება სწავლების ხარისხზე. შენარჩუნებულია სტუდენტებთან/მსმენელებთან კონტაქტურობის სათანადო დონე, უკუკავშირი არის დროული და ხარისხიანი, ხოლო შეფასების პროცესები ხორციელდება შესაბამის ვადებში. პროფესიულ პროგრამებში განსაკუთრებით დაცულია პრაქტიკული კომპონენტის ხარისხი და მისი სრულფასოვანი განხორციელება არ ზარალდება დატვირთვის გამო.

სწავლებისა და შეფასების პროცესში გამოყენებულია პროფესიული განათლებისთვის შესაბამისი მეთოდები და ინსტრუმენტები. სწავლება ორიენტირებულია პრაქტიკულ საქმიანობაზე, პრაქტიკული კომპონენტი დომინირებს და არ არის ჩანაცვლებული აკადემიური ხასიათის სწავლებით, რაც შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებსა და შედეგებზე ორიენტირებულ მიდგომას.

რესურსების მართვა ხორციელდება ეფექტიანად: საერთო ინფრასტრუქტურის გამოყენება არ ზღუდავს პროფესიული პროგრამების განხორციელებას, ხოლო რესურსების გაზიარება ხდება ბალანსირებულად ისე, რომ არც პროფესიული და არც უმაღლესი განათლების სისტემა არ ზარალდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არსებული მოდელი უზრუნველყოფს ინსტიტუციურ გამიჯვნას, დატვირთვის რეალისტურობას, სწავლების ხარისხის შენარჩუნებასა და რესურსების ეფექტიან გამოყენებას, რაც ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადი და ხარისხიანი განხორციელების საფუძველს.

III. ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადით

პროგრამის სახელწოდება	პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/ პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/ დუალური)	პროგრამის განხორციელების ადგილი
საწყობის ოპერირება	არაინტეგრირებული	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	რუსთაველის ქ. №53, ბათუმი, 6010, საქართველო
ტვირთების ექსპედირება	არაინტეგრირებული	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	რუსთაველის ქ. №53, ბათუმი, 6010, საქართველო
პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი	არაინტეგრირებული	იმიტირებულ გარემოში	იმიტირებულ გარემოში	რუსთაველის ქ. №53, ბათუმი, 6010, საქართველო
ელექტროობა	არაინტეგრირებული	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	რუსთაველის ქ. №53, ბათუმი, 6010, საქართველო
პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი	არაინტეგრირებული	იმიტირებულ გარემოში	იმიტირებულ გარემოში	წმ.გიორგის ქ. N 24, ფოთი, 4400, საქართველო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბაჟო საქმე	არაინტეგრირებული	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	წმ.გიორგის ქ. N 24, ფოთი, 4400, საქართველო
საწყობის ოპერირება	არაინტეგრირებული	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	წმ.გიორგის ქ. N 24, ფოთი, 4400, საქართველო
ტვირთების ექსპედირება	არაინტეგრირებული	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	წმ.გიორგის ქ. N 24, ფოთი, 4400, საქართველო
თევზსაჭერი გემის ნავიგაცია	არაინტეგრირებული	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	წმ.გიორგის ქ. N 24, ფოთი, 4400, საქართველო
შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიები	არაინტეგრირებული	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	წმ.გიორგის ქ. N 24, ფოთი, 4400, საქართველო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველადი ავტორიზაციის შემთხვევაში. ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი (ბათუმი)	15	15	3	4
ელექტრონიკა(ბათუმი)	15	15	0	0
ტვირთების ექსპედირება(ბათუმი)	20	20	0	0
საწყობის ოპერირება(ბათუმი)	20	20	0	0
თევზსაჭერი გემის ნავიგაცია(ფოთი)	30	11	2	4
პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი (ფოთი)	30	23	1	18
საბაჟო საქმე(ფოთი)	45	38	12	27
ტვირთების ექსპედირება(ფოთი)	40	37	1	0
საწყობის ოპერირება(ფოთი)	40	26	0	2
შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიები(ფოთი)	60	59	2	0

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ინდიკატორი 5.2.3.1.

ექსპერტებმა **საუკეთესო გამოცდილების მაგალითად გამოარჩიეს** ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის 3D ვირტუალურ ტურები, რომელიც ხელმისაწვდომია ოფიციალურ ვებგვერდზე (https://bsma.edu.ge/media/files/3d_bsma/). აღნიშნული ინოვაციური რესურსი საშუალებას აძლევს სტუდენტებს, პოტენციურ მსმენელებს, დამსაქმებლებსა და პარტნიორებს ადვილად და ვირტუალურად დაათვალიერონ აკადემიის სასწავლო, ლაბორატორიული და მხარდაჭერის სივრცეები.

ვირტუალური ტურები დიდ მნიშვნელობას იძენს შემდეგი ასპექტებით:

- ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა – ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია ონლაინ გაეცნოს აკადემიის ინფრასტრუქტურას, რომელიც მნიშვნელოვანია პროფესიული პროგრამების არჩევისას.
- პრაქტიკური ორიენტაცია – ვიზიტორებისთვის ნათლადაა წარმოდგენილი სწავლების გარემო, ადმინისტრაციული სივრცეები, ლაბორატორიები და მხარდაჭერის მოედნები, რაც აუმჯობესებს ინფორმირებულობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესს.
- ინოვაციური კომუნიკაცია – 3D ტურები წარმოადგენს თანამედროვე ტექნოლოგიური მიდგომის დანერგვას საგანმანათლებლო სივრცეში, რაც ასახავს აკადემიის მზადყოფნას და წინსვლას ციფრულ ტრანსფორმაციაში.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში 3D ვირტუალური ტურების დანერგვა ხელს უწყობს როგორც საგანმანათლებლო პროგრამების კულტურის, ისე სტუდენტთა ჩართულობის და კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესებას, რაც მთლიანად ეხმიანება ავტორიზაციის სტანდარტების პრინციპებს და ინოვაციურ მიდგომებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1) პსდ-ს მისია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4) ადამიანური რესურსები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. პროგრამის/პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება(ბათუმი)	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
საწყობის ოპერირება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ტვირთების ექსპედირება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ელექტროობა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება(ფოთი)	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
საბაჟო საქმე	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
საწყობის ოპერირება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ტვირთების ექსპედირება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
თევზსაჭერი გემის ნავიგაცია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაცია არ დაფიქსირებულა

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ა. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა I, III, IV და V სტანდარტებთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

ბ. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს. კერძოდ:ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მისია, ხედვა და ღირებულებები შინაარსობრივად და ფუნქციურად შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს და ქმნის მკაფიო სტრატეგიულ ჩარჩოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის. აკადემიის ხედვა – ჩამოყალიბდეს შავი და კასპიის ზღვის რეგიონის წამყვან საგანმანათლებლო ცენტრად საზღვაო და მომიჯნავე დარგებში – ასახავს პროფესიული განათლების ერთ-ერთ ძირითად ამოცანას: შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას რეგიონული და საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით.

აკადემიის მისია პირდაპირ უკავშირდება პროფესიული განათლების მიზნებს, ვინაიდან ის ითვალისწინებს პრაქტიკულ უნარებზე, პროფესიულ კომპეტენციებსა და დასაქმების შესაძლებლობებზე ორიენტირებული სპეციალისტების მომზადებას საზღვაო და მომიჯნავე დარგებში. მისიის ფარგლებში ხაზგასმულია პასუხისმგებლიანი სპეციალისტებისა და ლიდერების აღზრდა, რომლებიც ფლობენ პროფესიული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის, გუნდში მუშაობის, პიროვნული პოტენციალის რეალიზებისა და უწყვეტი განვითარების უნარებს, რაც სრულ თანხვედრაშია პროფესიული განათლების ამოცანებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიის მიერ დეკლარირებული ღირებულებები – ღირსება, ცოდნა და გამოცდილება – პროფესიული განათლების არსობრივ პრინციპებს ასახავს და უზრუნველყოფს სწავლების პროცესის პრაქტიკულ, ეთიკურ და შედეგზე ორიენტირებულ განხორციელებას. საგანმანათლებლო პროცესის სტუდენტზე ორიენტირება, ცოდნისა და უნარების განვითარება, სწავლების ხელმისაწვდომობა ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე, ინოვაციებზე ორიენტაცია და ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება ქმნის გარემოს, რომელიც ხელს უწყობს პროფესიული სტუდენტების სრულფასოვან პროფესიულ და პიროვნულ განვითარებას.

ამასთან, აკადემიის მისია და ღირებულებები ეფუძნება დემოკრატიის, ჰუმანიზმის, გამჭვირვალობისა და თანასწორობის პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას, ინკლუზიურობასა და აკადემიურ თავისუფლებას. პარტნიორ ორგანიზაციებთან, დამსაქმებლებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობაზე ორიენტირებული მიდგომა კიდევ უფრო აძლიერებს პროფესიული პროგრამების პრაქტიკულ მიმართულებას და შრომის ბაზართან მათ კავშირს.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მისია, ხედვა და ღირებულებები სრულად შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს, ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მყარ საფუძველს და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისათვის მოთხოვნადი, პრაქტიკაზე ორიენტირებული და თანამედროვე კომპეტენციების ჩამოყალიბებას.
ინდიკატორი 1.1.1.1. შესაბამისობაშია

2.მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან. კერძოდ:ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საქმიანობა ეფუძნება მის მიერ დეკლარირებულ მისიას, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულების ძირითად პროფილს, სტრატეგიულ მიმართულებებსა და მის როლს საქართველოს განათლების სისტემაში. აკადემიის მისია მკაფიოდ ასახავს მის სპეციალიზაციას საზღვაო და მომიჯნავე დარგებში.

აკადემიის პროფილი ორიენტირებულია საზღვაო ტრანსპორტის, ლოგისტიკისა და დაკავშირებული ტექნიკური და მენეჯერული მიმართულებებისათვის მოთხოვნადი კადრების მომზადებაზე. აღნიშნული მიმართულება განისაზღვრება როგორც პროფესიული, ისე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ურთიერთშემავსებელი განხორციელებით, რაც აკადემიას ანიჭებს მრავალპროფილურ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მაგრამ მკაფიოდ სპეციალიზებულ საგანმანათლებლო ცენტრის ფუნქციას. ეს როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შავი ზღვის რეგიონში, სადაც საზღვაო დარგის განვითარება ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ პრიორიტეტებთან არის დაკავშირებული.

აკადემიის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს შრომის ბაზართან მჭიდრო კავშირი და დამსაქმებელ ორგანიზაციებთან სტრუქტურული თანამშრომლობა. სწავლების პროცესში აქტიურად არის ინტეგრირებული პრაქტიკული კომპონენტები, საწარმოო პრაქტიკა და რეალური სამუშაო გარემოს ელემენტები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების პროფესიულ მზაობასა და დასაქმების შესაძლებლობების ზრდას. აღნიშნული მიდგომა განასხვავებს აკადემიას ზოგადი პროფილის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან და უსვამს ხაზს მის დარგობრივ სპეციფიკას.

აკადემიის საქმიანობა ეფუძნება თანასწორობის, ხელმისაწვდომობისა და ჩართულობის პრინციპებს. დაწესებულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მომსახურების თანაბარ ხელმისაწვდომობას, მათ შორის სოციალური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისთვის. აღნიშნული პრინციპები განსაზღვრავს აკადემიის სოციალურ პასუხისმგებლობას და მის როლს ინკლუზიური განათლების განვითარების პროცესში.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკით განსაზღვრული მიზნებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით და აქტიურად მონაწილეობს პროფესიული განათლების განვითარების პროცესში. აკადემია სისტემურად ზრუნავს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაზე, მათი შესაბამისობის უზრუნველყოფაზე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და თანამედროვე დარგობრივ ტენდენციებთან. ამ მიზნით, დაწესებულება რეგულარულად იკვლევს დამსაქმებელთა საჭიროებებსა და კმაყოფილების დონეს, რაც საშუალებას იძლევა პროგრამები იყოს რეალისტური, მოთხოვნადზე ორიენტირებული და შედეგზე დაფუძნებული.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მისია მკაფიოდ განსაზღვრავს დაწესებულების საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, მის დარგობრივ პროფილსა და განათლების სისტემაში მის განსაკუთრებულ როლს. აკადემია განსხვავდება სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან მკაფიო სპეციალიზაციით, შრომის ბაზართან ინტეგრირებული სწავლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდელითა და პრაქტიკაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო მიდგომებით, რაც უზრუნველყოფს მისი საქმიანობის შესაბამისობას პროფესიული განათლების პოლიტიკის მიზნებთან და ქვეყნის განვითარების პრიორიტეტებთან.

ინდიკატორი 1.1.1.2. შესაბამისობაშია

3.დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები. კერძოდ:

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ხედვა და ღირებულებები ლოგიკურად და შინაარსობრივად გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან და ქმნის მის სტრატეგიულ საფუძველს. აკადემიის მისია, რომელიც ორიენტირებულია საზღვაო და მომიჯნავე დარგებში კონკურენტუნარიანი, პასუხისმგებლიანი და პრაქტიკულად მომზადებული სპეციალისტების მომზადებაზე, განსაზღვრავს როგორც განვითარების გრძელვადიან ხედვას, ისე იმ ღირებულებებს, რომელთა მიხედვითაც ხორციელდება საგანმანათლებლო პროცესი.

აკადემიის ხედვა – ჩამოყალიბდეს შავი და კასპიის ზღვის რეგიონის წამყვან საგანმანათლებლო ცენტრად საზღვაო და მომიჯნავე დარგებში – ეფუძნება მისიით დეკლარირებულ ამოცანებს და ასახავს დაწესებულების განვითარების სტრატეგიულ მიმართულებას. აღნიშნული ხედვა უკავშირდება განათლების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებულ სწავლებას, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და საგანმანათლებლო სივრცეში აკადემიის როლის გაძლიერებას.

აკადემიის ღირებულებები – ღირსება, ცოდნა და გამოცდილება – მისიით განსაზღვრულ პრინციპებს პრაქტიკულ შინაარსს სძენს და განსაზღვრავს როგორც სწავლების, ისე მართვის კულტურას. ეს ღირებულებები აისახება სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომაში, პროფესიული კომპეტენციების განვითარებაზე ფოკუსირებაში, სწავლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე და ეთიკური, პასუხისმგებლიანი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში პროფესიული საქმიანობის მიმართ.

ამასთან, აკადემიის ღირებულებითი ჩარჩო ეფუძნება დემოკრატიის, ჰუმანიზმის, გამჭვირვალობისა და თანასწორობის პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიური და უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს შექმნას. აღნიშნული პრინციპები განსაზღვრავს აკადემიის დამოკიდებულებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების და დაინტერესებული მხარეების მიმართ და აძლიერებს მის სოციალურ პასუხისმგებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიის მისია, ხედვა და ღირებულებები ურთიერთდაკავშირებულ სისტემას ქმნის, რომელიც მიმართულებას აძლევს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებსა და პარტნიორულ ურთიერთობებს. ეს უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობის თანმიმდევრულობას, პროგნოზირებადობას და შესაბამისობას როგორც პროფესიული განათლების მიზნებთან, ისე ეროვნული საგანმანათლებლო პოლიტიკის პრიორიტეტებთან.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ხედვა და ღირებულებები მკაფიოდ და არგუმენტირებულად გამომდინარეობს მისიიდან და წარმოადგენს დაწესებულების სტრატეგიული განვითარების მყარ საფუძველს, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხიან, მდგრად და ღირებულებებზე დაფუძნებულ განხორციელებას.

ინდიკატორი 1.1.1.3. შესაბამისობაშია

4.მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და აქტიურად გაზიარებულია აკადემიის შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებთან. აღნიშნული ელემენტები წარმოდგენილია აკადემიის ძირითად ადმინისტრაციულ და სასწავლო სივრცეებში, მათ შორის ცენტრალურ ფოიეში და სხვა თვალსაჩინო ადგილებში, რაც უზრუნველყოფს მათი შინაარსის გაცნობას როგორც სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის, ისე ვიზიტორებისა და პარტნიორებისთვის.

მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ასევე ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ოფიციალურ ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს მათ გავრცელებას ფართო აუდიტორიაზე, მათ შორის პოტენციურ სტუდენტებზე, დამსაქმებლებზე და საერთაშორისო პარტნიორებზე. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს აკადემიის სტრატეგიული მიმართულებების გამჭვირვალედ წარმოჩენას და დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის გაძლიერებას.

აკადემია რეგულარულად იყენებს სხვადასხვა კომუნიკაციურ ფორმატს – საინფორმაციო შეხვედრებს, პრეზენტაციებსა და დიალოგურ სივრცეებს – სადაც სტუდენტები, მსმენელები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, ასევე პარტნიორი ორგანიზაციების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმომადგენლები განიხილავენ აკადემიის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს და მათ შესაბამისობას საგანმანათლებლო და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. აღნიშნული პროცესები ხელს უწყობს ღირებულებებზე დაფუძნებული მართვის კულტურის გაძლიერებას და მისიის პრაქტიკულ გააზრებას.

ამასთან, აკადემიის მისია, ხედვა და ღირებულებები ინტეგრირებულია დაწესებულების სტრატეგიულ და განვითარების დოკუმენტებში, რაც უზრუნველყოფს მათი გამოყენებას არა მხოლოდ დეკლარაციულ დონეზე, არამედ როგორც გადაწყვეტილებების მიღებისა და საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის საფუძველს.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მისია, ხედვა და ღირებულებები არის საჯაროდ ხელმისაწვდომი, ეფექტიანად კომუნიცირებული და გაზიარებული დაინტერესებული მხარეების მიერ, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობის თანმიმდევრულობას და ღირებულებებზე დაფუძნებულ განვითარებას.
ინდიკატორი 1.1.1.4. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):
- ვებგვერდზე განთავსებული https://bsma.edu.ge/page/akademiis-misia-xedva-girebulebebi უნივერსიტეტის მისია, ხედვა ღირებულებებით;
- აკადემიის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2024-2030 წწ.
- ერთწლიანი (2025-26 წწ) სამოქმედო გეგმა;
- მისიის, ხედვისა და ღირებულებების დაინტერესებულ მხარეებთან გაზიარებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მტკიცებულებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესი რეგულირდება აკადემიის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიით, რომელიც ქმნის ერთიან, ციკლურ და შედეგზე ორიენტირებულ ჩარჩოს დაწესებულების განვითარებისათვის. აღნიშნული მეთოდოლოგია განსაზღვრავს როგორც გრძელვადიანი, შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის, ისე მოკლევადიანი, ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შესრულების ლოგიკას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიაში მოქმედი პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიული გეგმა (2021–2027 წწ.) წარმოადგენს შვიდწლიან, ციკლურ დოკუმენტს, რომელიც ეფუძნება აკადემიის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს და ითვალისწინებს როგორც შიდა შეფასების შედეგებს, ისე შრომის ბაზრის ტენდენციებსა და დარგობრივი განვითარების საჭიროებებს. სტრატეგიულ გეგმაში გაწერილია პრიორიტეტები, სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და მათი შესრულების მაჩვენებლები, რაც უზრუნველყოფს დაგეგმვის პროცესის სტრუქტურირებულობას და გაზომვადობას

სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში აქტიურად გამოიყენება ანალიტიკური ინსტრუმენტები, მათ შორის არსებული მდგომარეობის შეფასება და SWOT-ანალიზი, რაც საშუალებას იძლევა იდენტიფიცირდეს ძლიერი და სუსტი მხარეები, განვითარების შესაძლებლობები და რისკები. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მიღებას რეალურ მონაცემებსა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით.

სტრატეგიული გეგმის შემუშავება განხორციელდა აკადემიის რექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელშიც წარმოდგენილი იყვნენ აკადემიის მართვის, ხარისხის უზრუნველყოფის, პროფესიული განათლების, ფინანსური, იურიდიული და ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები, მათ შორის ფოთის ფილიალის წარმომადგენლები. ეს უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში ინსტიტუციური ჩართულობისა და კოლეგიალური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკას

შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის საფუძველზე აკადემია ყოველწლიურად ამუშავებს ერთწლიან სამოქმედო გეგმებს, რომლებშიც დეტალურად აისახება დასახული ამოცანები, შესრულების ვადები, პასუხისმგებელი პირები და მოსალოდნელი შედეგები. სამოქმედო გეგმების შესრულება ექვემდებარება სისტემურ მონიტორინგს, ხოლო მიღებული შედეგები გამოიყენება როგორც მიმდინარე პროცესების გაუმჯობესებისათვის, ისე მომდევნო დაგეგმვის ციკლის დასახვეწად.

მონიტორინგისა და შეფასების პროცესი აგებულია ხარისხის მართვის ციკლის (Plan–Do–Check–Act) პრინციპზე, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული მიზნებისა და სამოქმედო ამოცანების შესრულების რეგულარულ გადახედვას, მიღებული შედეგების ანალიზს და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კორექტირების განხორციელებას.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესების განხორციელების მტკიცებულებები, მათ შორის არსებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სამუშაო შეხვედრებისა და სხდომების ოქმები, მონაწილეთა ხელმოწერის ფურცლები, ანგარიშები და სხვა შესაბამისი მასალები. წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება, შესრულების მონიტორინგი და შედეგების შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხორციელდება არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ რეალური პროცესების, კოლეგიური ჩართულობისა და დოკუმენტურად დადასტურებული პრაქტიკის საფუძველზე. ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მოქმედი სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების თანმიმდევრულ, ციკლურ და შედეგზე ორიენტირებულ შემუშავებას, რაც სრულ შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან.

ინდიკატორი 1.2.1.1. შესაბამისობაშია

2.სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს. კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში სტრატეგიული დაგეგმარება ხორციელდება თანამონაწილეობითი მიდგომის საფუძველზე და ეფუძნება როგორც ქვეყნისა და რეგიონის განვითარების პრიორიტეტებს, ისე დაინტერესებული მხარეების მოლოდინებსა და საჭიროებებს. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში უზრუნველყოფილია აკადემიის შიდა სტრუქტურული ერთეულების, პროფესიული განათლების ცენტრის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ადმინისტრაციული პერსონალის, მასწავლებლებისა და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენელთა ჩართულობა.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფისთვის წარმოდგენილი იყო სტრატეგიული დაგეგმარების პროცესთან დაკავშირებული სამუშაო შეხვედრებისა და სხდომების ოქმები, რომლებიც ადასტურებს, რომ გადაწყვეტილებები მიიღება კოლეგიურად, განხილვების, აზრთა გაცვლისა და შეთანხმების გზით. ოქმებში ასახულია როგორც პროფესიული განათლების განვითარების საკითხების განხილვა, ისე რეგიონული შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, საზღვაო დარგის განვითარების ტენდენციებსა და დამსაქმებელთა მოლოდინებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები.

დადგინდა, რომ სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში გათვალისწინებულია სახელმწიფო პოლიტიკითა და პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიული დოკუმენტებით განსაზღვრული პრიორიტეტები, მათ შორის საზღვაო და ლოგისტიკური დარგების გაძლიერება, შრომის ბაზართან პროფესიული განათლების ინტეგრაცია და რეგიონული განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბათუმის, როგორც საზღვაო და სატრანსპორტო ჰაბის, კონტექსტში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემია სტრატეგიული დაგეგმარებისას სისტემურად აგროვებს და აანალიზებს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს – პროფესიული სტუდენტების, მასწავლებლების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და პარტნიორი ორგანიზაციების მონაწილეობით. მიღებული მოსაზრებები და რეკომენდაციები გამოიყენება როგორც შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის პრიორიტეტების განსაზღვრისას, ისე სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში, რაც უზრუნველყოფს დაგეგმვის პროცესის რეალისტურობასა და შედეგზე ორიენტირებას.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში სტრატეგიული დაგეგმარება წარმოადგენს თანამონაწილეობით, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ პროცესს, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნისა და რეგიონის განვითარების პრიორიტეტებს და ასახავს დაინტერესებული მხარეების მოლოდინებს. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს სტრატეგიული გადაწყვეტილებების შესაბამისობას რეალურ საჭიროებებთან და აკადემიის მდგრად განვითარებას პროფესიული განათლების სფეროში.

ინდიკატორი 1.2.1.2. შესაბამისობაშია

3.დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში სტრატეგიული და სამოქმედო დაგეგმარება ეფუძნება დაწესებულების მისიის განაცხადს, რომლის მიხედვითაც აკადემია მიზნად ისახავს რეგიონული და ეროვნული განვითარების ხელშეწყობას, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას და სწავლა-სწავლების თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას. აღნიშნული მისიის საფუძველზე განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები, რომლებიც სრულ თანხვედრაშია აკადემიის ღირებულებებთან – პასუხისმგებლობა, ხარისხზე ორიენტირება, ღიაობა, კოლეგიალურობა და გუნდური მუშაობა. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მიზნები გარდაიქმნება კონკრეტულ ამოცანებად, რომლებიც რეალისტურ ვადებში განსახორციელებელ აქტივობებად არის ჩამოყალიბებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების ფორმულირებისას დაწესებულება განსაზღვრავს:

- მისიასთან შესაბამის ძირითად მიზნებს (ინსტიტუციური განვითარება, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, რესურსების გაძლიერება, პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერა, უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა, საზოგადოებასთან ურთიერთობის გაძლიერება და სხვ.);
- თითოეული მიზნის შესასრულებლად აუცილებელ ამოცანებს;
- განხორციელების ვადებს, რომლებიც რეალისტურად და თანმიმდევრულად არის გაწერილი;
- შესრულების ინდიკატორებს, რომლებიც შედეგზეა ორიენტირებული და უზრუნველყოფს პროგრესის შეფასებას.

აღნიშნული მიდგომა სრულად დასტურდება აკადემიის ბოლო წლების სამოქმედო გეგმებით, სადაც თითოეული მიზანი გაშლილია კონკრეტულ აქტივობებად, მითითებულია განხორციელების ვადები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსები. გეგმებში წინასწარ არის განსაზღვრული შესაბამისი მტკიცებულებებიც, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი აქტივობების შესრულების მონიტორინგსა და დადასტურებას (მონიტორინგის ანგარიშები, შეხვედრების ოქმები, პროგრამების ავტორიზაციის დოკუმენტები, ინფრასტრუქტურის განახლების მასალები და სხვ.).

სამოქმედო გეგმები გამოირჩევა მაღალი დეტალიზაციით: თითოეული ამოცანა გადაყვანილია კონკრეტულ აქტივობებში (მაგ., მისიისა და ხედვის გადახედვა, სტანდარტების საფუძველზე პროგრამების განახლება, სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების განვითარება, ლაბორატორიების შექმნა და განვითარება, სწავლების ახალი მეთოდების დანერგვა). ამასთან, განსაზღვრულია შესაბამისი მატერიალური, ადამიანური და ფინანსური რესურსები, ხოლო პასუხისმგებელი პირები (აკადემიის ხელმძღვანელობა, პროფესიული განათლების მენეჯერები, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, პროგრამების ხელმძღვანელები და სხვა პასუხისმგებელი ერთეულები) მკაფიოდ არის ასახული გეგმის ყველა ეტაპზე.

დოკუმენტაციის ანალიზმა ასევე აჩვენა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს აკადემიის სტრუქტურულ თავისებურებებს: ბათუმის ცენტრალურ კორპუსსა და ფოთის ფილიალს გააჩნიათ საკუთარი, სპეციფიკაზე მორგებული სამოქმედო გეგმები, რომლებიც, ერთი მხრივ, თავსებადია აკადემიის საერთო სტრატეგიულ მიზნებთან, ხოლო მეორე მხრივ, პასუხობს თითოეული ლოკაციის ინფრასტრუქტურულ, საგანმანათლებლო და საოპერაციო საჭიროებებს.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დოკუმენტებში ინფორმაცია წარმოდგენილია გამჭვირვალედ და სტრუქტურულად: მიზნები ლოგიკურად უკავშირდება მისიის ძირითად პრინციპებს, ამოცანები თანმიმდევრულად გადადის აქტივობებში, ხოლო ვადები, პასუხისმგებელი პირები და მტკიცებულებები მკაფიოდ არის განსაზღვრული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია სრულ შესაბამისობაშია სტრატეგიული და სამოქმედო დაგეგმვის კრიტერიუმთან. დაგეგმვის პროცესი არის სისტემური, მტკიცებულებებზე დაფუძნებული და უზრუნველყოფს როგორც ინსტიტუციური განვითარების, ისე საგანმანათლებლო პროცესების პროგნოზირებად და ეფექტიან განხორციელებას.

ინდიკატორი 1.2.1.3. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ND 2-O24 დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 15 სექტემბრის № 01-189 ბრძანებით
- სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის პოლიტიკა და პროცედურები (2020)
- სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანებები, მუშაობის ამსახველი დოკუმენტები, ოქმები;
- ბათუმის საზღვაო აკადემიის სტრატეგიული გეგმის შუალედური ანგარიში;
- გეგმების პროექტების გაზიარების მტკიცებულებები;
- სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი 2021-2027წწ გეგმა
- სამწლიანი (2025წ)სამოქმედო გეგმა
- სამოქმედო გეგმის ანგარიში

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება რეგულარულად, სისტემურად და წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. მონიტორინგისა და შეფასების პროცესი მოიცავს როგორც შუალედურ (კვარტალურ/ნახევარწლიურ), ისე წლიურ შეფასებებს და ეფუძნება ფაქტობრივი შესრულების ანალიზს, ინდიკატორების მიღწევის ხარისხის შეფასებასა და პროგრესის დინამიკის დაკვირვებას. სტრატეგიული გეგმის შუალედური შეფასებები უზრუნველყოფს განხორციელებული აქტივობების პროგრესის შეჯამებას, გამოწვევებისა და დეფიციტების იდენტიფიცირებას, ხოლო დასკვნითი შეფასებები ასახავს მიზნებისა და ამოცანების მიღწევის ხარისხს. შეფასების ანგარიშებში წარმოდგენილია როგორც რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორები, ისე მიღწევები და შემდგომი განვითარების რეკომენდაციები(საჭიროების შესაბამისად).
მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ხორციელდება თანამონაწილეობითი მიდგომით. პროცესში ჩართული არიან პროფესიული განათლების ცენტრი, პროგრამების ხელმძღვანელები, ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, პროფესიული სტუდენტები და კურსდამთავრებულები, ასევე დამსაქმებლები და პარტნიორი ორგანიზაციები. დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი მიიღება სხვადასხვა ფორმატით, მათ შორის სამუშაო შეხვედრების, სემინარების, კვლევების, კონსულტაციების, სტუდენტური ფორუმებისა და ონლაინ პლატფორმების მეშვეობით.

მიღებული უკუკავშირი და მონიტორინგის შედეგები გამოიყენება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების კორექტირებისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების განახლებისა და განვითარების მიმართულებების განსაზღვრისთვის, ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული სერვისების გაუმჯობესებისა და ადამიანური რესურსების დაგეგმვის პროცესში.
მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ეფუძნება მკაფიოდ განსაზღვრულ, გაზომვად ინდიკატორებს, მათ შორის რაოდენობრივ, ხარისხობრივ და შედეგიანობის მაჩვენებლებს, და სრულად შეესაბამება ხარისხის მართვის PDCA ციკლს (გეგმვა – განხორციელება – შეფასება – გაუმჯობესება).
ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს რეგულარულად, სისტემურად და დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობით, რაც უზრუნველყოფს დაგეგმვის პროცესის მოქნილობას, შედეგებზე ორიენტირებას და აკადემიის მდგრად განვითარებას.აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ანგარიშებით, გასაუბრების შედეგებით

ინდიკატორი 1.2.2.1. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მონიტორინგის შედეგებზე რეაგირება წარმოადგენს სტრატეგიული მართვის სისტემის მნიშვნელოვან კომპონენტს და ხორციელდება რეგულარულად, სისტემურად და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომით. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს აკადემიის სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული აქტივობების დაგეგმილ და ფაქტობრივ შესრულებას შორის მუდმივ შედარებასა და ანალიზს, რაც საშუალებას იძლევა დროულად გამოვლინდეს გადახრები, შეფერხებები ან მიზნების მიღწევის შესაძლო რისკები.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის პროცესში აკადემია ახორციელებს დაგეგმილი აქტივობების სისტემურ შეფასებას ფაქტობრივ შესრულებასთან მიმართებით. გამოვლენილი ნებისმიერი გადახრა – იქნება ეს ვადის გადაცილება, აქტივობის არასრულად განხორციელება ან დაგეგმილი შედეგის მიუღწევლობა – ფიქსირდება მონიტორინგის შესაბამის ფორმებში და აისახება შუალედურ ან წლიურ მონიტორინგის ანგარიშებში.

იმ შემთხვევებში, როდესაც კონკრეტული აქტივობა ვერ ხორციელდება ან დაგვიანებით სრულდება, ფორმდება შესაბამისი დოკუმენტაცია, სადაც დეტალურად არის აღწერილი გადახრის მიზეზები, პასუხისმგებელი პირის განმარტება და შემდგომი რეაგირების ან მაკორექტირებელი მოქმედებების გეგმა. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პრობლემის მიზეზების იდენტიფიცირებას და მიზანმიმართულ გადაწყვეტილებებზე დაფუძნებულ მართვას.

მონიტორინგის შედეგებზე რეაგირების ფარგლებში ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია იყენებს სხვადასხვა მექანიზმს, მათ შორის სამოქმედო გეგმის კორექტირებას, ვადების გადახედვას, აქტივობების შინაარსის დაზუსტებას, ასევე არარეალისტური ან არაეფექტიანი აქტივობების შეცვლას ან გაუქმებას. აღნიშნული პროცედურები უზრუნველყოფს გეგმების მოქნილობას და მათი ადაპტირებას დარგობრივი, შრომის ბაზრისა და ინსტიტუციური გარემოს ცვლილებებთან.

რეაგირების პროცესში ჩართული არიან სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ყველა პასუხისმგებელი პირი – აკადემიის ადმინისტრაციული ერთეულები, პროფესიული განათლების ცენტრი, პროგრამების ხელმძღვანელები და შესაბამისი მხარდამჭერი სერვისების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმომადგენლები. აკადემია უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას და თითოეული პასუხისმგებელი პირის ანგარიშვალდებულებას მის კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვრული ამოცანების შესრულებაზე.

საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება როგორც მაკორექტირებელი და დისციპლინური ღონისძიებები, ისე წახალისების მექანიზმები. წარმატებით შესრულებული აქტივობების შემთხვევაში თანამშრომლების საქმიანობა აღინიშნება შესაბამისი ფორმით, რაც ხელს უწყობს მოტივაციის შენარჩუნებას და ხარისხზე ორიენტირებული სამუშაო კულტურის განმტკიცებას.

მონიტორინგის, რეაგირებისა და მიღებული გადაწყვეტილებების ყველა ეტაპი დოკუმენტურად ფიქსირდება და მოიცავს მონიტორინგის ანგარიშებს, სამოქმედო გეგმების განახლებულ ვერსიებს, განმარტებებსა და რეკომენდაციებს. აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოადგენს მკაფიო მტკიცებულებას იმისა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია რეალურად ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მუდმივ მონიტორინგსა და შედეგებზე დაფუძნებულ, მიზანმიმართულ რეაგირებას.
ინდიკატორი 1.2.2.2. შესაბამისობაშია

3.სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.კერძოდ:
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია სრულ შესაბამისობაშია მოცემულ ინდიკატორთან, ვინაიდან სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები რეგულარულად, სისტემურად და გამჭვირვალედ არის ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული მხარისთვის. აკადემია ყოველწლიურად ამზადებს შუალედურ და შემაჯამებელ ანგარიშებს, რომლებიც ასახავს როგორც დაგეგმილი აქტივობების შესრულების სტატუსს, ისე მიღწეულ შედეგებს, პროგრესს, გამოვლენილ გამოწვევებსა და შემდგომი განვითარების მიმართულებებს.
სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები განთავსებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ოფიციალურ ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს მათ საჯარო და შეუზღუდავ ხელმისაწვდომობას პროფესიული სტუდენტებისთვის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, პარტნიორი ორგანიზაციებისა და დამსაქმებლებისთვის, ასევე სხვა დაინტერესებული პირებისთვის. აღნიშნული პრაქტიკა ქმნის პროცესების დამოუკიდებლად მონიტორინგის შესაძლებლობას და მნიშვნელოვნად აძლიერებს აკადემიის საქმიანობის გამჭვირვალობას.
ონლაინ-გამოქვეყნებასთან ერთად, ანგარიშები საჭიროების შემთხვევაში გაზიარებულია პარტნიორ ორგანიზაციებთან, დარგობრივ და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო სტრუქტურებთან, აგრეთვე შიდა კომუნიკაციის არხებით – საბჭოების სხდომებზე, სამუშაო ჯგუფებში, საკოორდინაციო შეხვედრებსა და სხვა ფორმატებში. ეს უზრუნველყოფს ეფექტიან უკუკავშირს, ინფორმაციის დროულ გავრცელებას და დაინტერესებული მხარეების მაღალი დონის ჩართულობას.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების რეგულარული გასაჯაროება უზრუნველყოფს:

პროცესების გამჭვირვალობას;

დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობასა და აქტიურ ჩართულობას;

ხარისხის მართვის სისტემის მდგრადობას;

აკადემიისადმი ნდობის ზრდას როგორც შიდა, ისე გარე პარტნიორების მხრიდან.

აღნიშნული პრაქტიკა სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს და წარმოადგენს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის არსებით, შედეგზე ორიენტირებულ და ეფექტიან კომპონენტს.

ინდიკატორი 1.2.2.3. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის პოლიტიკა და პროცედურები (2020)
- სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანებები, მუშაობის ამსახველი დოკუმენტები;
- აკადემიის სტრატეგიული გეგმის შუალედური ანგარიში
- გეგმების პროექტების გაზიარების მტკიცებულებები;
- სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი 2021-2027წწ გეგმა
- ერთწლიანი (2025წ)სამოქმედო გეგმა
- სამოქმედო გეგმის ანგარიში

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა: კერძოდ, აკადემიას პროფესიული სტუდენტების უფლებების და გარანტიების უზრუნველსაყოფად შემუშავებულია აქვს დოკუმენტები: 1. წესდება (თავი V. სტუდენტი), სადაც გაწერილია სტუდენთა უფლება ვალდებულებები, სტუდენტური თვითმმართველობა. 2. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2024 წლის 13 აგვისტოს № 01-207 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი (თავი V. აკადემიის სტუდენტი, სტუდენტის უფლება-მოვალეობები), 3. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 21 ივლისს № 01-142 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი. აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხვის წესს განსაზღვრავს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი (ND 2-F30)“. პროფესიული სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქმიანობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი არეგულირებს სტუდენტის სტატუსის შეჩერებას, შეწყვეტასა და აღდგენას. დოკუმენტში ასევე გაწერილია პროფესიული სტუდენტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა დაწესებულებაში/დაწესებულებიდან (შემდგომში – გარე მობილობა) და ცენტრის ფარგლებში ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა პროფესიულ პროგრამაზე, აგრეთვე აკადემიიდან ფილიალში ან პირიქით (შემდგომში – შიდა მობილობა) გადასვლის პროცედურა რეგულირდება წინამდებარე წესითა და „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბერის №198/ნ ბრძანების შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტით რეგულირდება კვალიფიკაციის მინიჭება, ფორმალური განათლების აღიარება, პროფესიული კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემა.

ის საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული ამ წესით, რეგულირდება აკადემიის სხვა შიდა მარეგულირებელი წესებით, კერძოდ:

ა) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე არაფორმალური განათლების აღიარების წესი ND 2- F16;

ბ) პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის განხორციელებისა და შეფასების წესი ND2- F18

გ) პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი;

თ) პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამის მსმენელთა შეფასების მეთოდოლოგია ND 2-F25;

ლ) ეთიკის კოდექსი (ND 2-O20);

აკადემია ახორციელებს პერიოდულ გამოკითხვას სტუდენტთა კმაყოფილების, მათი ჩართულობისა და საჭიროებების განსაზღვრის მიზნით, რაც დამატებით გარანტიას ქმნის მათი უფლებების დაცვის კუთხით.

ინდიკატორი 3.1.1.1 შესაბამისია

2. **პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს, კერძოდ,** ავტორიზაციის ექსპერტები გაეცნენ აკადემიასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებს, მათ შორის არასრულწლოვან სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებასაც, სადაც მკაფიოდა გაწერილი მათი უფლებები და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები. ასევე საკითხთან დაკავშირებულ მარეგულირებელ დოკუმენტაციას.აღსანიშნავია, რომ პროფესიული სტუდენტების უფლებებთან დაკავშირებული ძირითადი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები საჯაროდ ხელმისაწვდომია დაწესებულების ოფიციალურ ვებგვერდზე და ასევე გამოკრულია აკადემიის შესაბამის საინფორმაციო დაფებზე. შიდა დოკუმენტებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაკავშირებული შეკითხვების არსებობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, კონსულტაციისთვის მიმართონ პროფესიული განათლების ცენტრს. ვიზიტის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარდა ინტერვიუები როგორც ბათუმის ცენტრალურ ლოკაციაზე, ისე ფოთის ფილიალში. ორივე მისამართზე ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დაფიქსირდა ერთგვაროვანი პრაქტიკა და საერთო სურათი პროფესიულ სტუდენტთა უფლებების შესახებ ინფორმირების კუთხით.

პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგად (ინტერვიუები ჩატარდა შერჩევითი პრინციპით) დადასტურდა, რომ სტუდენტები ფლობენ ინფორმაციას მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების შესახებ. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის დასაწყისში მათ ჩაუტარდათ საინფორმაციო შეხვედრები, სადაც ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დეტალურად განუმარტეს ზემოაღნიშნული საკითხები.

გასაუბრებებმა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ასევე აჩვენა, რომ ინფორმირება არ შემოიფარგლება მხოლოდ სწავლის დაწყების ეტაპით. მოდულის დაწყებისას მასწავლებლები კვლავ ახდენენ სტუდენტების ინფორმირებას შეფასების წესების, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და სტუდენტის უფლებების შესახებ, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის განმტკიცებასა და პრაქტიკულ გამოყენებას სასწავლო პროცესში.

ექსპერტთა შეფასებით, აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმირება ხორციელდება სისტემურად, სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა ფორმატით. ბათუმსა და ფოთში დაფიქსირებული პრაქტიკა ერთმანეთის იდენტურია, რაც მიუთითებს დაწესებულების შიდა პოლიტიკის თანმიმდევრულ განხორციელებაზე ორივე ლოკაციაზე.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.

ინდიკატორი 3.1.1.2 შესაბამისია

3.პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით, კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 26 ივნისს № 01-133 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი. ეს წესი რეგულირდება პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და აკადემიის „მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად. დოკუმენტში გაწერილია სტუდენტის შეფასების სისტემა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმები. რეგულაციის თანახმად მოდულის განმახორციელებელი პირი აცნობს პროფესიულ სტუდენტებს დაწესებულებაში მოქმედ შეფასების სისტემის მექანიზმებს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული რეგულაციის პრაქტიკაში გადამოწმება ვერ განხორციელდა, რადგანაც დაწესებულებაში არ ფიქსირდება შეფასების შედეგების გასაჩივრების ფაქტი. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის და იმის შესახებ, რომ საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ ისარგებლონ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით. პროფესიული სტუდენტი სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიული განათლების მასწავლებლისგან იღებს სათანადო კონსულტაციას და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. მსგავს მხარდაჭერას პროფესიული სტუდენტი განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე სისტემატურად იღებს პროფესიული განათლების მასწავლებლისგან.

ინდიკატორი 3.1.1.3 შესაბამისია

4.**პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა,** კერძოდ: ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო აკადემიასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებს(მათ შორის არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებაც). ხელშეკრულებებში გაწერილია ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლება - მოვალეობები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წესი, გაწერილია პერსონალურ მონაცემთა მოპოვების და დაცვის მექანიზმები. დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა და არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში, მათი კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობა ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ინდიკატორი 3.1.1.4 შესაბამისია

5. **პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,** კერძოდ: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (მუხლი 11) გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს სსსმ პირებზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების შესაძლებლობას, მათი ინდივიდუალური საჭიროებებისა და ინტრესების გათვალისწინებით. გაწერილია პროცესში ჩართული პირები - მათ შორის პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მექანიმზის მოქმედება პრაქტიკაში ვერ შეფასდა, რადგანაც დაწესებულებას არ ჰქონია ინდივიდუალური გეგმის შემუშავების საჭიროება.

ინდიკატორი 3.1.1.5. შესაბამისია

დასტურდება:

- შინაგანაწესი დამტ. (რექტორის 2024 წლის 13 აგვისტოს № 01-207 ბრძანებით)
- წესდება (ბრძანება №1-1/1439 2012 წლის 10 ივლისი)
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (რექტორის 2025 წლის 21 ივლისს № 01-142 ბრძანებით)
- პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულება (როგორც სრულწლოვანი ასევე არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში)
- პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმე
- ბრძნებები პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების და სტატუსის შეწყვეტის შესახებ;
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;
- პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი. (ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 26 ივნისს № 01-133 ბრძანებით დამტკიცებული)
- „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი (ND 2-F30)
- ინტერვიუირება;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

1..პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, კერძოდ აკადემიაში აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად პროფესიული სტუდენტისათვის კონსულტაციებისა და მხარდაჭერის გაწევა ევალებათ პროფესიული განათლების მასწავლებლებს და პროგრამის ხელმძღვანელს. აღნიშნულის შესახებ დაწესებულებას გაწერილი აქვს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესში (რექტორის 2025 წლის 21 ივლისს № 01-142 ბრძანებით)

პროფესიული განათლების მასწავლებლები ეტაპობრივად, საჭიროების მიხედვით, ორგანიზებას უწევენ ინდივიდუალურ საკონსულტაციო შეხვედრებს იმ პროფესიულ სტუდენტებთან, რომლებსაც გარკვეული პრობლემები აქვთ სწავლის მიღწევების თვალისზრისით. აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებელი ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას მისი სწავლის შედეგების შესახებ და მასთან ერთად განიხილავს აღნიშნული შედეგის გაუმჯობესების შესაძლებლობებს. კონსულტაციის ვადებს და ფორმებს ადგენს სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი ცენტრის უფროსთან/ხელმძღვანელთან შეთანხმებით.

აღნიშნული მხარდამჭერი ღონისძებების პრაქტიკული განხორციელდება დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირებთან ინტერვიუირებით. სტუდენტები ადასტურებენ, რომ პროფესიული მასწავლებლისგან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან სისტემატიურად ხორციელდება მათ საჭიროებებზე მორგებული საკონსულტაციო და მხარდამჭერი აქტივობები მათი აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. აღნიშნული ასევე დასტურდება პროფესიული განათლების მასწავლებლების მხრიდანაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2.1.2 ინდიკატორი შესაბამისია

2.პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, კერძოდ აკადემია ახორციელებს პროფესიული სტუდენტების აქტიურ მხარდაჭერას ყველა, განსააკუთრებით კი სწავლების დაწყების საწყის ეტაპზე. სწავლის დაწყების მომენტიდან ხდება პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაცია სასწავლო გარემოსთან. პროფესიულ სტუდენტებს ცენტრის ადმინისტრაციის მიერ, ცენტრის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად მიეწოდება ინფორმაცია ცენტრის სერვისებისა და ინფრასტრუქტურის შესახებ საინფორმაციო ტურის მეშვეობით სასწავლო წლის პირველ დღეს ცენტრის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდება ინფორმაცია ცენტრის ვებ-გვერდისა და „Facebook“ გვერდის შესახებ. აქვე ხდება მათი ინფორმირება კომუნიკაციის სხვა საშუალებების, აკადემიის ვებ-გვერდისა და ცენტრის „Facebook“ გვერდის შესახებ. ეძლევათ კორპორატიული ელ ფოსტები, სადაც რეგულარულად ეგზავნებათ ყველა საჭირო ინფორმაცია აკადემიის მიერ. პროფესიული სტუდენტები ეცნობიან აკადემიის მისიას, ხედვას და ღირებულებებს, სტრატეგიული განვითარების გეგმას, შინაგანაწესს, ეთიკის კოდექსს, სტრუქტურას, იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებსაც სთავაზობს ცენტრი მსურველებს, ასევე, პროფესიული მომზადების ცენტრში მოქმედ სხვადასხვა სერვისებს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტს, მათ უფლება-მოვალეობებს და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესს“.
პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების მიზნით აკადემიას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა გზამკვლევი, რომელიც განთავსებულია აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუირებით დადასტურდა აღნიშნული მექანიზმის პრაქტიკაში მოქმედება.

ინდიკატორი 3.2.1.2 შესაბამისია

3.პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას; კერძოდ პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა გულისხმობს პროფესიული სტუდენტების საჭიროებაზე სწრაფ რეაგირებასა და შესაბამისი დოკუმენტაციის ოპერატიულ მომზდებას/მიწოდებას. პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა მომართვიდან გონივრულ ვადაში. ხოლო ცნობის გაცემა მომართვიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში. ხშირად მოთხოვნადი საკითხებია: ცნობების გაცემა, მოდულის აღდგენა/გაუქმება, ინდივიდუალური გეგმის შემუშავება, სტატუსის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოპოვება/შეჩერება/ შეწყვეტა, მობილობა, კვალიფიკაციის მინიჭება, დიპლომის ან სერტიფიკატის გაცემა, და ა.შ. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მიმართვის შემთხვევაში ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან იმავე ან/და მომდევნო სამუშაო დღეს ხორციელდებოდა ინფორმაციის მიწოდება ან სხვა მოთხოვნილი სერვისით უზრუნველყოფა. პროფესიული სტუდენტები მიღებულ ადმინისტრაციულ სერვისებს აფასებენ დადებითად.

ინდიკატორი 3.2.1.3 შესაბამისობაშია

4.პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას, კერძოდ აკადემია ახორციელებს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას. ამ მიზნით აკადემია ყოველმხრივ ახალისებს და ხელს უწყობს საგანმანათლებლო, შემოქმედებითი, სპორტული, საქველმოქმედო, საექსკურსიო-შემეცნებითი და საზოგადოებრივად სასარგებლო სტუდენტური ინიციატივების განხორციელებას, რომელიც შეესაბამება აკადემიის მიზნებსა და საქმიანობის სფეროს. სტუდენტებს შეუძლიათ ჩაერთონ არაფორმალურ საგანმანათლებლო, სპორტულ, კულტურულ ან პროფესიულ, შემეცნებით, საექსკურსიო-შემეცნებით, საგანმანათლებლო და სხვა საზოგადოებრივად სასარგებლო აქტივობებში. წელიწადში ერთხელ იმართება შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატი (ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, მკლავჭიდი, ჭადრაკი), რომელშიც გაერთიანებულია აკადემიის ბაკალავრის, მაგისტრატურის და პროფესიული სწავლების საფეხურის სტუდენტები. 2023 წელს პროფესიული ცენტრის ინიცირებით და ორგანიზებით, ახალგაზრდა ჟურნალისტთა კავშირის მხარდაჭერით აკადემიაში ჩატარდა ,,პროფესიული სასწავლებლების სტუდენტური ფესტივალი“, რომელშიც მონაწილეობდა როგორც საქართველოს, ისე ესტონეთის პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები, კერძოდ, ,,ვალგას პროფესიული სასწავლებლის“ წარმომადგენლები. ფესტივალი პირველად ჩატარდა საქართველოში და მიზნად ისახავდა პროფესიული განათლების პოპულარიზაციას. 2023-2024 წელს ჩატარდა ინტელექტმარათონი, სადაც მონაწილეობდა აკადემიის (ბათუმი, ფოთი) და აჭარის პროფესიული სასწავლებლების პროფესიული სტუდენტები. 2023 წლიდან ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია გაწევრიანდა პროფესიული განათლების ევროპის ასოციაციაში - European Association of Institutes for Vocational Training რომელიც აერთიანებს 384 სასწავლებელს, უნივერსიტეტს და ორგანიზაციას. ასოციაციის მიზანია ხელი შეუწყოს პროფესიული განათლების განვითარებას, ხარისხის ამაღლებას, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას და პოპულარიზაციას. ასოციციის წევრებს საშუალება აქვთ მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში, დაამყარონ პარტიონიორული ურთიერთობები სხვა ცენტრებთან, მონაწილეობა მიიღონ ვორკშოპებში, კურსებში და სემინარებში. სტუდენტთა ჩართულობის რაოდენობრივი მაჩვენებელი 2024-2025 წლებში შეადგენს 109.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

როგორც ბათუმში, ისე ფოთის ფილიალში ყოველ წლიურად ტარდება მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო, პროფესიული და საზოგადოებრივი ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს სტუდენტების პროფესიულ განვითარებას,კარიერული შესაძლებლობების გაფართოებას,ეროვნული ღირებულებების პოპულარიზაციას.

აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და მეზღვაურთა საერთაშორისო დღე, რაც სტუდენტებში სამოქალაქო ცნობიერების გაძლიერებას ემსახურებოდა. ასევე გაიმართა სტუდენტებისთვის დასაქმების ფორუმი, რომლის შედეგად არაერთი სტუდენტი რეალურად დასაქმდა. ფოთის ფილიალში ჩატარდა ღია კარის დღე, სადაც სხვადასხვა სკოლებიდან, სამსახურებიდან და რეგიონებიდან ჩამოსულ სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ ადგილზე გაცნობოდნენ სასწავლო პროგრამებს, ინფრასტრუქტურას, რესურსებსა და პროფესიული მომზადების პროცესს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით ფოთის ფილიალის მიერ მომზადებულია ვიდეორგოლები (რილსები), რომლებიც ასახავს სასწავლო პროცესს, არსებულ რესურსებს, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას.

ვიდეომასალა მიზნად ისახავს დაინტერესებულ აუდიტორიას მისცეს შესაძლებლობა ვიზუალურად გაეცნოს, რა პირობებში და რა რესურსებით მიმდინარეობს სწავლება.

გასაუბრების შედეგად ორივე ლოკაციაზე სტუდენტები ადასტურებენ აქტიურ ჩართულობას არაფორმალურ აქტივობებში.

ინდიკატორი 3.2.1.4 შესაბამისია

5.პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას. კერძოდ, ეფექტური ურთიერთთანამშრომლობის მიზნით საზღვაო აკადემია, როგორც ბათუმში ასევე ფოთის ლოკაციაზე, წელიწადში ერთხელ ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა კვლევას ისეთ საკითხებთან მიმართებაში როგორიცაა სასწავლო პროცესი, ინფრასტრუქტურა, პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამები, სტუდენტური სერვისები, პროფესიული მასწავლებლები. შესაბამისად, საზღვაო აკადემია პერიოდულად იყენებს პროფესიული სტუდენტების უკუკავშირს, როგორც სტუდენტზე ორიენტირებული მომსახურების გაუმჯობესების მნიშვნელოვან მექანიზმს.სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებელი, რაც მათი გამოკითხვების ანალიზის შედეგებით დგინდება, საზღვაო აკადემიის მიერ გაწეული მომსახურების შეფასების უმთავრესი კრიტერიუმია. ასევე აკადემიის ადმინისტრაციის უფლებამოსილ პირებთან გასაუბრებისა შედეგად დასტურდება რომ პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე გააუმჯობესა და დააკმაყოფილა სტუდენტთა მომსახურების პირობები.

ინდიკატორი 3.2.1.4.5 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სტუდენტური მხარდაჭერის მექანიზმები დამტ. 17.02.2025 N 02/10
- 2025 წლის პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის ანგარიში;
- პროფორიენტაციისა და კარიერის დგეგმვის მენჯერის 2024 წლის წლიური ანგარიში;
- პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები დამტ 17.02.2025 N02/10
- ინტერვიუირება
- ფოტო, ვიდეო მასალა

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

1.კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის; კერძოდ, აკადემიაში მოქმედებს პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები რომლის საფუძველზე კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური სტუდენტისთვის, ეს იქნება კონსულტირება, სტაჟირება, დასაქმების ხელშეწყობა და ა.შ პროფორიენტაციის და კარიერული დაგეგმვის მენეჯერი ყოველი მიღების ფარგლებში უტარებს პროფესიულ სტუდენტებს ტრეინინგებს რეზიუმის შედგენასთან დაკავშირებით. ჩატარებული აქვთ ტრენინგ სემინარი თემაზე "ეფექტური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომუნიკაცია" უნარების სააგენტოსა და საზღვაო აკადემიის ერთობლივი ორგანიზებით საზღვაო აკადემიის სტუდენტებისათვის. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში სტუდენტებისათვის, მათ შორის პროფესიული სტუდენტებისათვის, უნარების სააგენტოს მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგ-კურსი "კარიერული განათლება" .
ტრენინგ-კურსის თემატიკა მოიცავდა შემდეგ საკითხებს: საქმიან გარემოში გამოსაყენებელი კომუნიკაციის ტექნიკები; წერითი კომუნიკაციის თავისებურებები საქმიან გარემოში; თვითპრეზენტაცია (სამოტივაციო წერილის, CV-ს მომზადება); ეფექტური თვით-პრეზენტაციის უნარი და გასაუბრება დამსაქმებელთან; რას ნიშნავს იყო გუნდური მოთამაშე?; კომუნიკაცია და დროის მენეჯმენტი.
განათლების კურსი, რომელიც 36 საათიან თეორიულ და პრაქტიკულ ციკლს მოიცავს, სტუდენტებს ეხმარება გააცნობიერონ რა სფეროში აქვთ ძლიერი მხარეები და რა საქმიანობა მოუტანთ მათ მეტ წარმატებას.

ვებ გვერდისა და ონლაინ კონსულტაციების ფორმატში. აქტიურად მუშაობს გაცნობითი ხასიათის ტური პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით, რომელიც გულისხმობს შემეცნებითი ტიპის შეხვედრებს პოტენციურ პროფესიულ სტუდენტებთან. ტური განკუთვნილია ბენეფიციარი სკოლების მოსწავლეებისათვის, რომლებთანაც აკადემია თანამშრომლობს მემორანდუმის ფარგლებში. ეს ხელს უწყობს პოტენციურ პროფესიულ სტუდენტებში პროფესიული განათლებით დაინტერესებას და კარიერული გადაწყვეტილების მიღებას.

არსებული და პროფესიული სტუდენტებისთვის პოტენციური ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის გაგზავნა ხორციელდება ელექტრონული ფოსტის საშუალებით ან/და facebook -ზე შექმნილ ჯგუფებში. ინტერვიუირებისას პროფესიულმა სტუდენტებმა დაადასტურეს აღნიშნული მექანიზმის პრაქტიკაში მოქმედება.
ინდიკატორი 3.2.2.1 შესაბამისია

2.ჰსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, კერძოდ პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს დასაქმების შესაძლებლობებისა და ვაკანსიების, ასევე შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ პერმანენტულად მიეწოდებათ ინფორმაცია ადმინისტრაციული პერსონალის მხრიდან. კერძოდ, აღნიშნული ინფორმაციის გაგზავნა კურსდმთავრებულებთან ხორციელდება ელექტრონული ფოსტის ან/და facebook-ზე შექმნილ ჯგუფებში. მსგავსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეხვედრები იმართება საკრუინგო კომპანიებთან თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში გემის რიგითი და დამხმარე შემადგენლობის პოზიციებზე ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში. საგარეო ურთიერთობებისა და სტუდენტური მომსახურების ცენტრის ორგანიზებით იმართება გასაუბრება მსურველებთან. აკადემია აქტიურად თანამშრომლობს საზღვაო და მომიჯნავე სექტორთან, დასაქმების სააგენტოებთან. სტუდენტებს ხშირად ეძლევათ შესაძლებლობა დაესწრონ დასაქმების ფორუმებს, პრეზენტაციებს და შეხვედრებს, სადაც უშუალოდ დამსაქმებლები აცნობენ მათ თავიანთ მოთხოვნებსა და წინადადებებს. შენარჩუნებულია კომუნიკაცია კურსდამთავრებულებთან, რაც იძლევა ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობას საჭიროებების მიხედვით, საშუალებას აძლევს გაეცნონ დასაქმების ბაზრის მიმდინარე შემოთავაზებებს და გაიარონ გასაუბრება მათთვის საინტერესო პოზიციებზე. ინტერვიურებისას (როგორც ბათუმში, ასევე ფოთში)კურსდამთავრებულებმა დაადასტურებს აღნიშნული ფაქტის პრაქტიკაში მოქმედება.

ინდიკატორი 3.2.2.2 შესაბამისია

3.პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით, კერძოდ აკადემიას შემუშავებული აქვს პროფესიული 2022-2023 წლის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები, რომლის მიხედვითაც კურსდამთავრებულთა კვლევა ხორციელდება ყოველწლიურად საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის წამყვანი სპეციალისტის მიერ. აღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის განუყოფელ ნაწილს და ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მუდმივ განვითარებას. გამოკითხვები ტარდება კითხვარების საშუალებით როგორც ონლაინ, ისე სატელეფონო ფორმატში.აღსანიშნავია, რომ კვლევების შედეგების გაზიარება ხდება ფილიალებს შორის.

ინდიკატორი 3.2.2.3 შესაბამისია

4.კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს, კერძოდ საზღვაო აკადემია პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული მომსახურებით კმაყოფილების კვლევის შედეგებს იყენებს კონკრეტული გაუმჯობესების ნაბიჯების დასაგეგმად. მონაცემთა ანალიზის საფუძველზე მიიღება ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, როგორიცაა საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის განახლება, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება, კარიერული მხარდაჭერის მექანიზმების გაუმჯობესება, კარიერულ საკითხებზე შეხვედრების ფორმატისა და სიხშირის გაუმჯობესება, ახალი პარტნიორი ორგანიზაციების მოძიება, ან ინფორმაციის გავრცელების არხების გაფართოება, რაც ხელს უწყობს სერვისების სტუდენტებზე მორგებას და მათ რეალურ საჭიროებებზე ადაპტაციას.დაწესებულების ადმინისტრაციის უფლებამოსილ პირებთან გასაუბრებისა და კვლევის შედეგების განხილვის შედეგად დადგინდა, რომ კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შემდგომ მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მხრიდან მნიშვნელოვანი ცვლილების საჭიროება ჯერჯერობით არ გამოვლენილა. საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება უზრუნველყოფს კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 3.2.2.4 შესაბამისია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფორიენტაციის და კარიერული დაგეგმვის მენეჯერის მიერ ჩატარებული ტრენინგების ამსახველი ფოტო მასალა;
- პროფესიულ სტუდენტთა ინტერვიუირება;
- პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის სამუშაო აღწერილობა;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მოქმედი მართვისა და ორგანიზაციული სტრუქტურა(ორივე ლოკაციაზე) შესაბამისი შიდა ნორმატიული დოკუმენტაცია და პერსონალის სამუშაო აღწერილობები. დოკუმენტების ანალიზმა და ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებულმა გასაუბრებებმა დაადასტურა, რომ აკადემიაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობის პირების ფუნქციები მკაფიოდ, დეტალურად და ერთმანეთისგან გამიჯნულად არის განსაზღვრული.
აკადემიის ორგანოები, სტრუქტურული მოწყობა და მართვის ძირითადი პრინციპები გაწერილია „უნივერსიტეტის დებულებაში“, ხოლო შიდა საქმიანობის ორგანიზება და სამუშაო პროცესების მართვა რეგულირდება „შინაგანაწესით“. პროფესიული განათლების მიმართულებით საქმიანობა ორგანიზებულია პროფესიული მომზადების ცენტრის მეშვეობით, რომლის სტრუქტურა, ფუნქციური დატვირთვა და მართვის მექანიზმები განსაზღვრულია შესაბამისი დებულებებითა და სამუშაო აღწერილობებით.
სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი წარმოადგენს შიდა მარეგულირებელ აქტს, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტული პოზიციის ფუნქციურ დანიშნულებას, უფლებამოსილებებს, პასუხისმგებლობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. დოკუმენტი უზრუნველყოფს თანამდებობრივი როლების მკაფიოდ გამიჯვნას და ორგანიზაციული პროცესების ეფექტიან მართვას.
დოკუმენტი, როგორც წესი, მოიცავს შემდეგ ძირითად კომპონენტებს:ზოგადი ინფორმაცია; სამუშაო ადგილი და სტრუქტურული ერთეული; თანამდებობის დასახელება; უშუალო დაქვემდებარება და ანგარიშგების ხაზისამუშაო გრაფიკი, სამუშაო დრო და ს; პეციფიკური პირობები; თანამდებობის მიზანი; პოზიციის როლი სტრუქტურული ერთეულის საქმიანობაში; მისი წვლილი დაწესებულების მიზნებისა და საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებაში; ფუნქციები და პასუხისმგებლობები თანამშრომლობა ადმინისტრაციულ, აკადემიურ და პროფესიულ სტრუქტურებთან ინფორმაციის გაცვლისა და კოორდინაციის მექანიზმები საკვალიფიკაციო მოთხოვნები(აუცილებელი და სასურველი განათლება);ანგარიშგების ფორმები და პერიოდულობა; უშუალო ხელმძღვანელთან პასუხისმგებლობის მექანიზმი და სხვა

სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი ქმნის მკაფიო ჩარჩოს თანამშრომლის საქმიანობისთვის, ამცირებს ფუნქციურ გადაფარვებს, უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას და ხელს უწყობს დაწესებულებაში ხარისხზე ორიენტირებული მართვის სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ხელშეკრულების თანმდევ დოკუმენტს არის შესაბამისი პირების მიერ ხელმოწერილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული მომზადების ცენტრში მკაფიოდ არის დიფერენცირებული:ცენტრის უფროსის,ცენტრის უფროსის მოადგილის,ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის,მთავარი და უფროსი სპეციალისტების,ინსტრუქტორებისა და დამხმარე პერსონალის ფუნქციები, უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები. წარმოდგენილი სამუშაო აღწერილობები დეტალურად ასახავს თითოეული პოზიციის მიზანს, უშუალო დაქვემდებარებას, სამუშაო დატვირთვას, ფუნქციებსა და ანგარიშვალდებულების მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტაცია უზრუნველყოფს როგორც ვერტიკალურ (მართვით), ისე ჰორიზონტალურ (პროცესულ) კოორდინაციას სტრუქტურულ ერთეულებს შორის.

ადამიანური რესურსების მართვის პროცესები რეგულირდება აკადემიის მიერ დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკითა და პროცედურით“, რომელიც განსაზღვრავს პერსონალის შერჩევის, დანიშვნის, შეფასების, პროფესიული განვითარების და სამუშაო დატვირთვის მართვის ერთიან ჩარჩოს. პოლიტიკა ეფუძნება აკადემიის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს და უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების გამჭვირვალე გადანაწილებას.

პრაქტიკაში, სტრუქტურის ეფექტიანობა გამოიხატება იმაში, რომ პროფესიული მომზადების ცენტრი კოორდინირებულად თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, ადამიანური რესურსების მართვის ერთეულთან, ფინანსურ და ადმინისტრაციულ სტრუქტურებთან. თითოეულ პროცესს ჰყავს მკაფიოდ განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი ან სტრუქტურული ერთეული, რაც ამცირებს ფუნქციური გადაფარვის რისკებს და ზრდის პროცესების შესრულების ხარისხს.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში(როგორც ბათუმში , ასევე ფოთის ფილიალში) მოქმედი ორგანიზაციული სტრუქტურა და დოკუმენტურად გაწერილი ფუნქციები უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების უწყვეტ, პროგნოზირებად და ხარისხზე ორიენტირებულ მართვას, რაც შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს.

ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს ყველა იმ რგოლს, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების უწყვეტ ციკლს. სტრუქტურული ერთეულების შორის პასუხისმგებლობა მკაფიოდ არის გადანაწილებული; თითოეული თანამდებობის მოვალეობები და კომპეტენციები წარმოდგენილია შესაბამის ინსტრუქციებსა და პოლიტიკებში, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობასა და მართვის პროგნოზირებადობას.

პრაქტიკაში, სტრუქტურის ეფექტიანობა გამოიხატება იმით, რომ პროფესიული განათლების ცენტრი თანამშრომლობს როგორც საგნობრივ დეპარტამენტებთან, ისე ადმინისტრაციულ სტრუქტურებთან (ხარისხის უზრუნველყოფა, ფინანსები, HR, იურიდიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამსახური).

გამოკვეთილია პასუხისმგებლობის გამიჯვნის პრინციპი – თითოეულ პროცესს თან ახლავს შესაბამისი პასუხისმგებელი პირი ან სტრუქტურული ერთეული, რაც ამცირებს გადაფარვის რისკებს და ზრდის პროცესების შესრულების ხარისხს.

სტრუქტურული მოწყობა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროგნოზირებად, ორგანიზებულ და ხარისხზე ორიენტირებულ განხორციელებას. დოკუმენტურად განსაზღვრული ფუნქციები და პასუხისმგებლობები ქმნის სტაბილურ მართვით გარემოს, რომელიც ხელს უწყობს უნივერსიტეტის მიერ დეკლარირებული მიზნების მიღწევას.

ინდიკატორი 4.1.1.1. შესაბამისობაშია

2.პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და შესაბამის პირებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე(ორივე ლოკაციაზე) ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები გადანაწილებულია მკაფიოდ და მიზანმიმართულად, რაც ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტიან განხორციელებას. აღნიშნული განაწილება უზრუნველყოფს სწავლების ორგანიზებას, საგანმანათლებლო პროგრამების მართვას, ხარისხის უზრუნველყოფას, ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, ასევე ფინანსური და სხვა რესურსების მართვას.

ექსპერტთა შეფასებით, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გამიჯვნა შეესაბამება აკადემიის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრულ ამოცანებს და ქმნის სტაბილურ და ორგანიზებულ მართვით გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს ინსტიტუციის უწყვეტ და ეფექტიან ფუნქციონირებას.

საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის უფროსი, რომლის დაქვემდებარებაში ფუნქციონირებენ ცენტრის უფროსის მოადგილე/სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, ერთი წამყვანი სპეციალისტი, ერთი მთავარი სპეციალისტი და ხუთი უფროსი სპეციალისტი. აღნიშნული სტრუქტურა უზრუნველყოფს ცენტრის საქმიანობის დაგეგმვას, კოორდინაციასა და განხორციელებას ფუნქციური პასუხისმგებლობების მიხედვით.

ამავე დროს, ფოთის პროფესიული მომზადების ცენტრს ხელმძღვანელობს ფილიალის უფროსი, რომლის დაქვემდებარებაშია ცენტრის უფროსის მოადგილე, საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი, ორი უფროსი სპეციალისტი და ერთი მთავარი სპეციალისტი. აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრუქტურული მოწყობა ითვალისწინებს ფილიალის სპეციფიკას და უზრუნველყოფს ადგილობრივ დონეზე საგანმანათლებლო პროცესების ეფექტიან მართვას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ცენტრების საქმიანობის ეფექტიან განხორციელებას ხელს უწყობს პერსონალის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების სწორი და თანმიმდევრული განაწილება. დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას პერსონალი პასუხისმგებელია ხარისხის მართვის სისტემით განსაზღვრული მოთხოვნების, კონფიდენციალობის დაცვის, აგრეთვე აკადემიის წესდების, შინაგანაწესისა და ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა შესრულებაზე.

აღნიშნული ვალდებულებები და პასუხისმგებლობები დეტალურად არის გაწერილი თანამდებობრივ ინსტრუქციებში, რომელთა გაცნობას თითოეული თანამშრომელი ადასტურებს ხელმოწერით. ექსპერტთა შეფასებით, არსებული სტრუქტურა და ფუნქციათა განაწილება უზრუნველყოფს პსდ-ის საქმიანობის ორგანიზებულ, პროგნოზირებად და შედეგზე ორიენტირებულ განხორციელებას.

ინდიკატორი 4.1.1.2. შესაბამისობაშია

3.პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და შესაბამის პირებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციები,როგორც ბათუმის, ისე ფოთის ფილიალში, ორგანიზებულია ისე, რომ სრულად გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის შესაძლებლობას.

ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქცია აკადემიაში გამოყოფილია დამოუკიდებელ, ფუნქციურად გამიჯნულ ერთეულად, რომლის საქმიანობა არ იკვეთება საგანმანათლებლო პროგრამების უშუალო განხორციელებასთან, შეფასების პროცესების მართვასთან ან ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებთან, რომლებიც შეიძლება გავლენას ახდენდეს შეფასების ობიექტურობაზე. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის ნეიტრალურობას, სანდოობასა და პროფესიულ დამოუკიდებლობას.

დოკუმენტურად განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების უფლებამოსილებები, მოვალეობები და ანგარიშვალდებულების მექანიზმები. სამუშაო აღწერილობებში მკაფიოდ არის გაწერილი, რომ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ჩართული პირები არ მონაწილეობენ იმ პროგრამების შეფასებაში ან გადაწყვეტილებების მიღებაში, რომელთა უშუალო განხორციელებაშიც თავად არიან ჩართული. ეს პრაქტიკა ამცირებს სუბიექტური გავლენის რისკს და აძლიერებს შეფასების ობიექტურობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის ერთეული ფუნქციონირებს პროცესზე დაფუძნებული და მტკიცებულებებზე ორიენტირებული მიდგომით, იყენებს წინასწარ განსაზღვრულ ინსტრუმენტებს,კითხვარებს და ფორმებს, რაც დამატებით უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტის პრევენციას. შეფასების შედეგები ფორმირდება დოკუმენტურად და გამოიყენება რეკომენდაციების სახით, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებები მიიღება კოლეგიური ორგანოების მიერ.
ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ორგანიზება ეფუძნება ფუნქციათა გამიჯვნის, დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების საქმიანობა სრულად გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს და ქმნის სანდო საფუძველს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ობიექტური შეფასებისა და უწყვეტი გაუმჯობესებისთვის, რაც შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 4.1.1.3. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სტრუქტურა ND2_Q03/1 01.10.2025
- შინაგანაწესი (ND 2-O02) დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2024 წლის 13 აგვისტოს № 01-207 ბრძანებით .
- სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალის - ფოთის საზღვაო სასწავლოსაწვრთნელი ცენტრის დებულება ND 2-P18 , დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2024 წლის 15 თებერვლის № 01- 34 ბრძანებით.
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურა ND 2-O09 , დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2024 წლის 16 თებერვლის №01-36 ბრძანებით
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი - შეფასების სისტემის ვერიფიკაცია ND 2-F03-01, დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 16 სექტემბრის № 01-193 ბრძანებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სამუშაო აღწერილობებით
- დამტკიცებული საშტატო განრიგით(ბათუმი/ფოთი)

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.** კერძოდ:

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და შესაბამის პირებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პერსონალის მართვის პროცესები (ორივე ფილიალში)ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და აკადემიის მიერ დამტკიცებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად.

აკადემიაში პერსონალის მართვის ძირითადი ჩარჩო განსაზღვრულია „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკითა და პროცედურით“, რომელიც არეგულირებს დასაქმების, შერჩევის, შეფასების, პროფესიული განვითარების, წახალისებისა და დისციპლინური რეაგირების პროცესებს. პოლიტიკა ეფუძნება კანონიერების, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპებს და უზრუნველყოფს პერსონალის მართვის ერთიან, სისტემურ და პროგნოზირებად პრაქტიკას. პერსონალის შრომითი ურთიერთობები, უფლებები და ვალდებულებები დამატებით რეგულირდება აკადემიის შინაგანაწესით, რომელიც განსაზღვრავს შიდა სამუშაო რეჟიმს, ქცევის წესებს, დისციპლინურ პასუხისმგებლობასა და ადმინისტრაციული პროცესების ორგანიზებას. აკადემიაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოქმედებს პერსონალის საქმიანობის მონიტორინგისა და შეფასების მკაფიოდ დადგენილი მექანიზმები. „პერსონალის შეფასების ჩატარების პროცედურა“ ადგენს შეფასების მიზნებს, პერიოდულობას, მონაწილე სუბიექტებს, შეფასების ეტაპებსა და შედეგების გამოყენების წესს. შეფასება ხორციელდება ობიექტურობის, მიუკერძოებლობისა და კონფიდენციალობის დაცვის პრინციპებით, რაც უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის რეალურ ანალიზს და პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებას ამასთან, „პერსონალის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესი“ უზრუნველყოფს აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი და პროფესიული საქმიანობის სისტემურ შეფასებას, შედეგებზე რეაგირებასა და მიღებული მონაცემების გამოყენებას როგორც ხარისხის უზრუნველყოფის, ისე ადამიანური რესურსების განვითარების პროცესებში .

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პერსონალის მართვის პრაქტიკა არა მხოლოდ დოკუმენტების დონეზე, არამედ მათი რეალური გამოყენების კუთხითაც. წარმოდგენილი პოლიტიკების ანალიზთან ერთად ჩატარდა გასაუბრებები აკადემიის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლებთან, რაც მიზნად ისახავდა დადგენილიყო, რამდენად ასახავს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები ყოველდღიურ სამუშაო პროცესს.

გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ პერსონალის მართვის პროცესი აკადემიაში ხორციელდება ცოცხალი, თანამშრომლობაზე დაფუძნებული ფორმატით. თანამშრომლები მონაწილეობენ შიდა გამოკითხვებში, უკუკავშირის შეგროვების პროცესებში და სამუშაო შეხვედრებში, სადაც განიხილება როგორც საქმიანობის მიმდინარეობა, ისე არსებული გამოწვევები და განვითარების საჭიროებები. მიღებული უკუკავშირი არ რჩება ფორმალურ ჩარჩოებში და რეალურად გამოიყენება სამუშაო პროცესების გაუმჯობესებისა და თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მხარდასაჭერად.

პერსონალის შეფასებისა და მონიტორინგის პროცესი აკადემიაში აღიქმება არა კონტროლის მექანიზმად, არამედ განვითარების ინსტრუმენტად. შეფასებების შედეგებზე დაყრდნობით იდენტიფიცირდება პროფესიული ზრდის მიმართულებები, იგეგმება გადამზადება, ცოდნის გაზიარება და კოლეგიური მხარდაჭერა. გასაუბრებებმა აჩვენა, რომ თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ საკუთარი საქმიანობის შეფასებაში და გამოხატონ მოსაზრებები სამუშაო გარემოსა და პროცესების გაუმჯობესების შესახებ.

აკადემიაში დამკვიდრებულია რეგულარული კომუნიკაციის პრაქტიკა: იმართება სამუშაო შეხვედრები, საკოორდინაციო ფორმატები და თემატური განხილვები, სადაც სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლები ერთობლივად მუშაობენ საერთო მიზნების მისაღწევად. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს ურთიერთგაგებას, პასუხისმგებლობის გაზიარებას და კოლექტიურ განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პერსონალის მართვის პროცესები ეფუძნება არა მხოლოდ შიდა ნორმატიულ დოკუმენტებს, არამედ თანამშრომლებზე ორიენტირებულ, მონაწილეობით და განვითარებისკენ მიმართულ პრაქტიკას. არსებული მექანიზმები რეალურად უწყობს ხელს თანამშრომელთა პროფესიულ ზრდას, ურთიერთმხარდაჭერას და საერთო ინსტიტუციური მიზნების მიღწევას.

აღნიშნული მიდგომა ქმნის პოზიტიურ სამუშაო გარემოს, აძლიერებს გუნდურ კულტურას და უზრუნველყოფს პერსონალის მართვის პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან, არა ფორმალურად, არამედ შინაარსობრივად და შედეგზე ორიენტირებულად.

ვიზიტის მიმდინარეობისას აკადემიის მიერ დაკორექტირდა აკადემიის შინაგანაწესში არსებული ჩანაწერი ზეგანაკვეთური სამუშაოს შესახებ, რომელიც ექსპერტთა შენიშვნების გათვალისწინებით დაკორექტირდა და სრულ შესაბამისობაში მოვიდა შრომის კოდექსის მოთხოვნებთან.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შრომით ხელშეკრულებებში არ იყო წარმოდგენილი სამუშაო დრო და დასვენების დრო;ინფორმაცია დასაქმებულის სხვადასხვა სამუშაო ადგილის შესახებ. აღნიშნულ საკითხზე კომუნიკაციის შედეგად დაწესებულებამ დააკორექტირა აღნიშნული ხელშეკრულებები.

ანალოგიური პრინციპით დაკორექტირდა პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომითი ხელშეკრულებებიც.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კორექტირებები განხორციელდა არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ გააზრებული პროცესის ფარგლებში, ადმინისტრაციის, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით. ეს პრაქტიკა ნათლად აჩვენებს, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია ექსპერტთა შეფასებებს აღიქვამს როგორც ინსტიტუციური განვითარების შესაძლებლობას და არა მხოლოდ შესაბამისობის ფორმალურ მოთხოვნას.

ინდიკატორი 4.1.2.1. შესაბამისობაშია

2. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის დაცვით

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და შესაბამის პირებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე (გასაუბრებები ჩატარდა როგორც ბათუმში, ასევე ფოთის ფილიალშიც)დადგინდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პერსონალის შერჩევის პროცესი ხორციელდება აკადემიის სპეციფიკისა და დარგობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიაში პერსონალის მოძიება ხორციელდება ძირითადად პროფესიული ქსელების, დარგში არსებული პირადი კონტაქტებისა და რეკომენდაციების საფუძველზე, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია საზღვაო და მომიჯნავე დარგებისთვის, სადაც პრაქტიკული გამოცდილება, პროფესიული რეპუტაცია და დარგობრივი სანდოობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს.თუმცა არსებობს კონკურსების ფორმატით თანამშრომლის აყვანის შემთხვევებიც.

ამასთან, გასაუბრებებმა და დოკუმენტაციის ანალიზმა დაადასტურა, რომ კანდიდატის შერჩევა არ ხდება ფორმალურად ან სუბიექტური გადაწყვეტილების საფუძველზე. თითოეული კანდიდატი ვალდებულია სრულად აკმაყოფილებდეს პოზიციისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მათ შორის:

- განათლების შესაბამის დონეს,
- პროფესიულ გამოცდილებას,
- დარგობრივ კომპეტენციებს,
- ფუნქციური მოვალეობების შესრულების უნარს.

შერჩევის პროცესში გამოიყენება აკადემიის მიერ დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურა“, რომელიც ადგენს პოზიციისთვის აუცილებელ მოთხოვნებს და განსაზღვრავს დასაქმების გადაწყვეტილების მიღების ჩარჩოს. კანდიდატების შესაბამისობა დასაქმებამდე მოწმდება დოკუმენტურად, რაც ამცირებს არაობიექტური გადაწყვეტილებების მიღების რისკს.

ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა გასაუბრებებმა(ორივე ლოკაციაზე) აჩვენა, რომ პერსონალის შერჩევისას აქცენტი კეთდება არა რაოდენობრივ შევსებაზე, არამედ პროფესიულ შესაბამისობასა და აკადემიის საგანმანათლებლო მიზნებთან შესაბამისობაზე. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს იმ კადრების მოზიდვას, რომლებიც რეალურად პასუხობენ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საჭიროებებს.

ექსპერტთა შეფასებით, პერსონალის შერჩევის პროცესი:

- ეფუძნება პოზიციისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
- ორიენტირებულია პროფესიულ კომპეტენციებსა და გამოცდილებაზე;
- გამორიცხავს შემთხვევითი ან არაკვალიფიციური კადრების დასაქმებას;
- შეესაბამება ინსტიტუციის დარგობრივ სპეციფიკასა და საქმიანობის პროფილს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შერჩევის პროცესის უმთავრესი აქცენტი კეთდება კანდიდატის კომპეტენციაზე და მის შესაბამისობაზე პოზიციის მოთხოვნებთან. კონკურსის არსებობის შემთხვევაში შერჩევით პროცესში მონაწილეობს რამდენიმე პირი, რაც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების კოლეგიალურობას და მინიმუმამდე ამცირებს ინტერესთა კონფლიქტის რისკებს. კანდიდატები გადიან სტანდარტიზებულ შეფასებას, რომელიც მოიცავს დოკუმენტაციის გადამოწმებას, გასაუბრებას და საჭიროების შემთხვევაში – შესაბამისი უნარების ტესტირებას. საბოლოო გადაწყვეტილება აღირიცხება დოკუმენტურად და ასახულია შერჩევის შესაბამის ოქმებში. ახალი თანამშრომელი მუშაობას მხოლოდ მას შემდეგ იწყებს, რაც გაეცნობა შრომით ხელშეკრულებას, თანამდებობრივ ინსტრუქციას და შინაგანაწესს.

დაწესებულების პრაქტიკა აჩვენებს, რომ გამჭვირვალე და სტრუქტურირებული შერჩევის სისტემა ხელს უწყობს პროფესიულად ძლიერი კადრების მოზიდვას, თანამშრომლების ადაპტაციის გამარტივებას და ადამიანური რესურსების მართვის საერთო ხარისხის გაუმჯობესებას.აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს აკადემიისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსის შერჩევას და, არსებული კონტექსტის გათვალისწინებით, სრულად პასუხობს ავტორიზაციის სტანდარტის არსსა და მიზანს.
ინდიკატორი 4.1.2.2. შესაბამისობაშია

3.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და პირადი საქმეების შემოწმების საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებაში თითოეული პოზიციისთვის განსაზღვრულია შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აღნიშნული მოთხოვნები ასახულია თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში და მოიცავს განათლების დონეს, პროფესიულ გამოცდილებასა და საჭირო კომპეტენციებს.
ექსპერტთა ჯგუფმა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან მიმართებით შეამოწმა ადმინისტრაციული და პროფესიული განათლების პროცესში ჩართული პერსონალის პირადი საქმეები ორივე ფილიალში. დოკუმენტური მტკიცებულებების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ დასაქმებული პირები სრულად აკმაყოფილებენ მათ მიერ დაკავებული თანამდებობებისთვის დადგენილ მოთხოვნებს. წარმოდგენილი დიპლომები, სერტიფიკატები და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები შესაბამისობაშია დაკისრებულ ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებთან, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის კომპეტენტურ და ეფექტიან განხორციელებას.
ექსპერტთა შეფასებით, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს და არსებული პრაქტიკა აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 4.1.2.3. შესაბამისობაშია

4.პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და შესაბამის პირებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ პსდ-ში პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითობისა და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც ხელს უწყობს თანამშრომელთა ჩართულობასა და პასუხისმგებლობის გაზიარებას დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში.

გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესები, მნიშვნელოვანი საკითხები განიხილება კოლეგიურ ფორმატში. პერსონალს ეძლევა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს მიმდინარე პროცესების განხილვაში, წარმოადგინოს მოსაზრებები და ინიციატივები და ჩაერთოს საქმიანობის დაგეგმვასა და გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებში.

გუნდური მუშაობა წარმოადგენს აკადემიის ყოველდღიური საქმიანობის მნიშვნელოვან ელემენტს. რიგი ამოცანები სრულდება სამუშაო ჯგუფების ან პროექტული ფორმატების მეშვეობით, სადაც სხვადასხვა პროფილის თანამშრომლები ერთობლივად მუშაობენ კონკრეტული მიზნების მისაღწევად. გასაუბრების დროს დადგინდა რომ აქტიური შეხვედრები იმართება როგორც ერთი ლოკაციის თანამშრომელთა შორის, ისე დროდადრო ხდება ფილიალებს შორის გამოცდილების გაზიარება. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, პრობლემების ერთობლივ გააზრებასა და ეფექტიანი გადაწყვეტის მოძიებას.

ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ში ჩამოყალიბებული მონაწილეობითი მართვის პრაქტიკა და გუნდურობაზე დაფუძნებული ორგანიზაციული კულტურა ქმნის თანამშრომლობაზე ორიენტირებულ სამუშაო გარემოს და შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 4.1.2.4. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სტრუქტურა ND2_Q03/1 01.10.2025
- შინაგანაწესი (ND 2-O02) დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზღვაო აკადემიის რექტორის 2024 წლის 13 აგვისტოს № 01-207 ბრძანებით .

- სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალის - ფოთის საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრის დებულება ND 2-P18 , დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2024 წლის 15 თებერვლის № 01- 34 ბრძანებით.
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურა ND 2-O09 , დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2024 წლის 16 თებერვლის №01-36 ბრძანებით;

ეთიკის კოდექსით;

- სამუშაო აღწერილობებით
- დამტკიცებული საშტატო განრიგით(ბათუმი/ფოთი)
- გასაუბრებით;
- შრომითი ხელშეკრულებებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას. კერძოდ: აკადემიაში (ორივე ფილიალში) პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის პროცესი რეგულირებულია რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით, რომლებიც ქმნის ერთიან, სისტემურ და პრაქტიკაზე ორიენტირებულ ჩარჩოს. შეფასების პროცესის ძირითადი წესები განსაზღვრულია „პერსონალის შეფასების ჩატარების პროცედურით“, რომელიც ადგენს შეფასების მიზნებს, პერიოდულობას, მონაწილე მხარეებს, შეფასების ეტაპებსა და შედეგების გამოყენების მექანიზმებს. დოკუმენტი უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, ობიექტურობასა და კონფიდენციალობის დაცვას და ითვალისწინებს როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური შეფასების ფორმებს.
აღნიშნული პროცედურა რეგულირდება ასევე „პერსონალის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების წესით“, რომელიც ფოკუსირებულია საქმიანობის ხარისხობრივ და შედეგობრივ ანალიზზე. დოკუმენტი განსაზღვრავს შეფასების კრიტერიუმებს, ეფექტიანობის ინდიკატორებს და შედეგებზე რეაგირების გზებს, რაც ქმნის შესაძლებლობას შეფასების შედეგები გადაიქცეს კონკრეტულ სამოქმედო ნაბიჯებად – პროფესიული განვითარების დაგეგმვა, გადამზადების საჭიროებების იდენტიფიცირება, ცოდნის გაზიარება და კოლეგიური მხარდაჭერის გაძლიერება.
ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზთან ერთად ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღება გაამახვილა აღნიშნული წესებისა და პროცედურების პრაქტიკულ გამოყენებაზე. შესაბამის პირებთან ჩატარებულმა გასაუბრებებმა დაადასტურა, რომ შეფასება დაწესებულებაში ხორციელდება მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენებით. პრაქტიკაში გამოიყენება სტრუქტურირებული კითხვარები, ინდივიდუალური გასაუბრებები, ფოკუს-ჯგუფებთან შეხვედრები, ასევე პერსონალური კონსულტაციები, რაც უზრუნველყოფს თანამშრომელთა საქმიანობის მრავალმხრივ შეფასებას.
გასაუბრებებმა აჩვენა, რომ შეფასების პროცესი დაწესებულებაში აღიქმება როგორც განვითარების ინსტრუმენტი და არა მხოლოდ ადმინისტრაციული ვალდებულება. თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები, დააფიქსირონ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საჭიროებები და ჩაერთონ შეფასების პროცესში აქტიური უკუკავშირის გზით. მიღებული ინფორმაცია გამოიყენება როგორც ინდივიდუალური პროფესიული განვითარების დაგეგმვისას, ისე ინსტიტუციური საჭიროებების განსაზღვრისთვის. ფოკუს-ჯგუფებთან შეხვედრები და კოლექტიური განხილვები ხელს უწყობს საერთო პრობლემების იდენტიფიცირებას, გამოცდილების გაზიარებასა და ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებას. ინდივიდუალური კონსულტაციები კი უზრუნველყოფს პერსონალზე მორგებულ მხარდაჭერას, პროფესიული ზრდის მიმართულებების დაზუსტებას და მოტივაციის განმტკიცებას.
ექსპერტთა შეფასებით, პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევის პროცესები აკადემიაში ეფუძნება მკაფიოდ განსაზღვრულ დოკუმენტურ ჩარჩოს და რეალურად მოქმედ პრაქტიკას. გამოყენებული მექანიზმები უზრუნველყოფს შეფასების პროცესის სისტემურობას, მრავალწყაროიანობას და შედეგზე ორიენტირებულობას, რაც სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს და ხელს უწყობს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.
ინდიკატორი 4.2.1.1. შესაბამისობაშია

2.პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით. კერძოდ: პერსონალის განვითარება პსდ-ში ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის საფუძველზე. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზმა და შესაბამის პირებთან ჩატარებულმა გასაუბრებებმა დაადასტურა, რომ პერსონალის პროფესიული განვითარების დაგეგმვა ეფუძნება რეალურ საჭიროებებს და არა ფორმალურ მიდგომებს. დაწესებულებაში პერსონალის განვითარების საჭიროებები იდენტიფიცირდება სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მათ შორის: პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგებით, შიდა გამოკითხვებით, ინდივიდუალური და ჯგუფური გასაუბრებებით, სამუშაო შეხვედრებითა და ფოკუს-ჯგუფებთან ჩატარებული დისკუსიებით. აღნიშნული პროცესები საშუალებას იძლევა გამოიკვეთოს როგორც ინდივიდუალური, ისე ინსტიტუციური განვითარების პრიორიტეტები.
იდენტიფიცირებული საჭიროებების საფუძველზე პსდ ამზადებს პერსონალის განვითარების გეგმას, რომელიც მოიცავს როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლების, ისე ადმინისტრაციული პერსონალისათვის განკუთვნილ ტრენინგებს, გადამზადების კურსებსა და პროფესიული მხარდაჭერის აქტივობებს. განვითარების გეგმა ითვალისწინებს სწავლების მეთოდების გაუმჯობესებას, შეფასების პრაქტიკის განვითარებას, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაძლიერებას, დარგობრივი კომპეტენციების განახლებასა და ციფრული უნარების განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაუბრებებმა აჩვენა, რომ პერსონალის განვითარების დაგეგმვა აკადემიაში აღიქმება როგორც ცოცხალი და მოქნილი პროცესი. საჭიროების შემთხვევაში გეგმა კორექტირდება გარემო პირობების, საკანონმდებლო ცვლილებების, ახალი პროგრამების დანერგვის ან შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. თანამშრომლებს აქვთ შესაძლებლობა, თავადაც დააფიქსირონ საკუთარი განვითარების საჭიროებები, რაც ზრდის მათი ჩართულობისა და პასუხისმგებლობის ხარისხს.გასაუბრებით დადგინდა რომ ორივე ლოკაციისათვის დგება დამოუკიდებელი გეგები, თუცა ტარდება ერთობლივი აქტივობებიც.
პერსონალის განვითარების გეგმის განხორციელება არ შემოიფარგლება მხოლოდ ტრენინგებში მონაწილეობით. დაწესებულებაში გამოიყენება ცოდნის გაზიარების, კოლეგიური მხარდაჭერისა და პრაქტიკული გამოცდილების გაცვლის ფორმატები, რაც ხელს უწყობს მიღებული ცოდნის რეალურ ინტეგრაციას სამუშაო პროცესში.
ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ში პერსონალის განვითარება ხორციელდება სისტემურად, საჭიროებებზე დაფუძნებული და წინასწარ დაგეგმილი მიდგომით. არსებული პრაქტიკა უზრუნველყოფს პერსონალის პროფესიულ ზრდას, უწყობს ხელს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან.
ინდიკატორი 4.2.1.2. შესაბამისობაშია

3.პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით. კერძოდ:სდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზმა და შესაბამის პირებთან ჩატარებულმა გასაუბრებებმა დაადასტურა, რომ დაწესებულებაში მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარება ხორციელდება გეგმაზომიერად, მრავალფეროვანი ფორმებით და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემასთან მჭიდრო კავშირში.

დაწესებულება სისტემურად უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლების მონაწილეობას როგორც შიდა, ისე გარე ტრენინგებსა და განვითარების აქტივობებში. 2022 წელს აკადემიაში ჩატარდა ტრენინგი „ეფექტური სწავლება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში“ (14 საათი), რომელსაც დაესწრო 77 პროფესიული განათლების მასწავლებელი. აღნიშნული ტრენინგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიზნად ისახავდა სწავლების მეთოდების გაუმჯობესებას, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომების გაძლიერებასა და სასწავლო პროცესის ეფექტიანობის ზრდას.

2024 წელს მასწავლებლები და ადმინისტრაციული პერსონალი ჩართულნი იყვნენ ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით განხორციელებულ ტრენინგებში, მათ შორის „საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით“ (EQE). აღნიშნული აქტივობები ემსახურებოდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში პერსონალის ცნობიერების ამაღლებას და მათი როლის გაძლიერებას ინსტიტუციური განვითარების კონტექსტში.

2025 წელს აკადემიაში განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროფესიული განვითარების აქტივობა. პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ჩატარდა ტრენინგი „სწავლება და შეფასება პროფესიულ განათლებაში“ (20 საათი), რომელსაც დაესწრო 69 მასწავლებელი. ტრენინგი ფოკუსირებული იყო სწავლების დაგეგმვასა და შეფასების პრაქტიკის გაუმჯობესებაზე. ამავე წელს 11 მასწავლებელმა მონაწილეობა მიიღო უნარების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ სამდღიან ტრენინგში „შედეგზე ორიენტირებული სწავლა – სწავლების პროცესის დაგეგმვა და სტუდენტის მიღწევების შეფასებაზე ორიენტირებული პრაქტიკის განვითარება“, რაც დამატებით აძლიერებს შედეგებზე ორიენტირებული სწავლების კულტურას.

პროფესიული პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით, 2025 წელს განხორციელდა ასევე სპეციალიზებული ტრენინგი USU პროგრამულ უზრუნველყოფასთან მუშაობის შესახებ „ტვირთების ექსპედირებისა“ და „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, რაც პირდაპირ უკავშირდება დარგობრივი კომპეტენციების გაძლიერებასა და პრაქტიკული სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

გარდა აკადემიური პერსონალისა, დაწესებულება ყურადღებას უთმობს ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ განვითარებასაც. 2025 წლის 4–6 დეკემბერს ადმინისტრაციული პერსონალისთვის ჩატარდა სამდღიანი ტრენინგი „ხარისხის უზრუნველყოფისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კონტროლის მექანიზმები საგანმანათლებლო პროცესების მართვის პრაქტიკაში“, რაც ხელს უწყობს მართვის პროცესების ეფექტიანობას და ხარისხის კულტურის გაძლიერებას.

გასაუბრებებმა დაადასტურა, რომ პროფესიული განვითარების აქტივობები არ არის ერთჯერადი ხასიათის და უკავშირდება პერსონალის შეფასების შედეგებსა და იდენტიფიცირებულ საჭიროებებს. ტრენინგებში მონაწილეობა განიხილება როგორც პროფესიული ზრდისა და კარიერული წინსვლის მნიშვნელოვანი კომპონენტი, ხოლო მიღებული ცოდნა ინტეგრირდება ყოველდღიურ საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ პრაქტიკაში.

ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულება ეფექტიანად უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას. განხორციელებული აქტივობები არის სისტემური, მიზნობრივი და შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რაც ხელს უწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და ინსტიტუციური განვითარების მდგრადობას.

ინდიკატორი 4.2.1.3. შესაბამისობაშია

4.ჰსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. კერძოდ: აკადემია უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ეტაპობრივ და ორგანიზებულ ინტეგრაციას სამუშაო გარემოში. ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზმა და შესაბამის პირებთან ჩატარებულმა გასაუბრებებმა დაადასტურა, რომ დაწესებულებაში ახალ თანამშრომელთა ადაპტაციის პროცესი ხორციელდება გააზრებულად და პრაქტიკაზე დაფუძნებული მიდგომით.

ახალი თანამშრომლების ინტეგრაცია იწყება სამუშაო ურთიერთობის ფორმალიზების ეტაპზევე, როდესაც მათ ეცნობათ შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები, მათ შორის შინაგანაწესი, შესაბამისი პოლიტიკები, სამუშაო აღწერილობები და საქმიანობის ძირითადი პროცესები. აღნიშნული ეტაპი უზრუნველყოფს თანამშრომლების ინფორმირებულობას უფლებების, ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ.

გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ ახალ თანამშრომლებს პრაქტიკულად ეხმარებიან უშუალო ხელმძღვანელები და კოლეგები, რაც ამარტივებს სამუშაო გარემოში ჩართვას. საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება ინდივიდუალური კონსულტაციები, განმარტებითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეხვედრები და პროცესზე ორიენტირებული გაცნობითი ფორმატები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების სფეროში, სადაც სამუშაო პროცესები მრავალკომპონენტიანია.

დაწესებულებაში ინტეგრაციის პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პირველ დღეებთან. ახალ თანამშრომლებს ეტაპობრივად ეძლევათ შესაძლებლობა ჩაერთონ შიდა სამუშაო შეხვედრებში, გუნდურ საქმიანობაში და მიმდინარე პროცესებში, რაც ხელს უწყობს სამუშაო კულტურის, კომუნიკაციის წესებისა და ინსტიტუციური პრაქტიკის უკეთ გააზრებას.ეს ცალსახად დადასტურდა სხვადასხვა დღეებში , სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში გამართულ ინტერვიუებში.

გასაუბრებებმა ასევე აჩვენა, რომ ახალ თანამშრომელთა ადაპტაციის პროცესში ყურადღება ექცევა უკუკავშირს. საჭიროების შემთხვევაში ხდება დამატებითი განმარტებების მიცემა, სამუშაო პროცესის დაზუსტება ან მხარდაჭერის გაძლიერება, რაც მსაწავლებლების და ადმინისტრაციის განცხადებით ამცირებს შეცდომების რისკს და ზრდის თანამშრომლის თვითდაჯერებულობას.

ექსპერტთა შეფასებით, ახალი თანამშრომლების ინტეგრაცია ხორციელდება მხარდაჭერაზე ორიენტირებული მიდგომით. არსებული პრაქტიკა ხელს უწყობს თანამშრომელთა სწრაფ ადაპტაციას სამუშაო გარემოსთან და შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს.

ინდიკატორი 4.2.1.4. შესაბამისობაშია

5.პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. კერძოდ:ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვისა და აკადემიის წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში წახალისებულია პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები და თანამშრომელთა აქტიური ჩართულობა განვითარების პროცესებში.

აკადემიის პრაქტიკა აჩვენებს, რომ პერსონალის განვითარება არ განიხილება მხოლოდ ფორმალურ მოთხოვნად. თანამშრომლებს ეძლევათ შესაძლებლობა, თავად გამოთქვან პროფესიული განვითარების საჭიროებები, ინიციატივები და წინადადებები როგორც ინდივიდუალური გასაუბრებების, ისე სამუშაო შეხვედრებისა და შეფასების პროცესის ფარგლებში. აღნიშნული ინიციატივები განიხილება შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან და, შესაძლებლობის ფარგლებში, აისახება განვითარების გეგმებში.

გასაუბრებებმა დაადასტურა, რომ აკადემია ხელს უწყობს თანამშრომლების მონაწილეობას სხვადასხვა ტრენინგებში, გადამზადების პროგრამებში, თემატურ სემინარებსა და პროფესიულ ღონისძიებებში. პერსონალის ინიციატივები, რომლებიც უკავშირდება სწავლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეთოდების გაუმჯობესებას, პროფესიული კომპეტენციების გაღრმავებას ან სამუშაო პროცესების ოპტიმიზაციას, აღიქმება როგორც განვითარების რესურსი და არა ფორმალური მოთხოვნა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ პერსონალის შეფასების პროცესში გამოვლენილი განვითარების საჭიროებები ხშირად გადაიქცევა კონკრეტულ მოქმედებებად – ტრენინგებში ჩართულობად, კოლეგიური გამოცდილების გაზიარებად ან შიდა პროფესიული კონსულტაციების ორგანიზებად. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს თანამშრომლების მოტივაციას და პროფესიულ თვითრეალიზაციას.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პერსონალის განვითარებისკენ მიმართული ინიციატივების წახალისება წარმოადგენს თანამშრომლობაზე დაფუძნებულ, პრაქტიკულ და რეალისტურ მიდგომას. ეს პრაქტიკა ქმნის პოზიტიურ სამუშაო გარემოს, ხელს უწყობს პერსონალის პროფესიულ ზრდას და სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

ინდიკატორი 4.2.1.5. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პერსონალის შეფასების ჩატარების დოკუმენტაციით
- პერსონალის განვითარების გეგმაით;
- პერსონალის პირადი საქმეებით;
- გასაუბრებით

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით, კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში დათვალიერდა ინფრასტრუქტურა და შემოწმდა მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი მტკიცებულებები როგორც ბათუმში, ისე ფოთის ფილიალში. ორივე ლოკაციაზე საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსებით, რაც აკმაყოფილებს როგორც ავტორიზაციის ვადით განსაზღვრულ მინიმუმს, ისე ხარისხიანი სასწავლო პროცესისთვის აუცილებელ მოთხოვნებს. აკადემიას კანონიერ მფლობელობაში გააჩნია შენობა-ნაგებობები და ძირითადი აღჭურვილობა, რაც დასტურდება სათანადო დოკუმენტაციით, მათ შორის, უძრავი და მოძრავი ქონების, სასწავლო რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზი და სხვ.

ვიზიტის ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე დათვალიერების საფუძველზე დადასტურდა, რომ აკადემიას მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტიანი განხორციელება შესაბამისია როგორც ინფრასტრუქტურით, ასევე მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით. აკადემიის მიერ პროფესიული სასწავლო პროცესებისთვის უზრუნველყოფილი სივრცეებია: თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის (A, B და C გარემო), სასწავლო ლაბორატორიები, სიმულატორები, სპეციალიზებული სახელოსნოები და თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სასწავლო აუზი (C გარემო).

ორივე ლოკაციაზე წარმოდგენილია სამუშაო სივრცე ადმინისტრაციული პერსონალისათვის, სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის, სამუშაო და დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, სპორტული და შემოქმედებითი საქმიანობისათვის, ბიბლიოთეკა და სხვა დამხმარე სივრცეები აკადემიის ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია უსაფრთხო და ფუნქციონალური სწავლებისთვის. მატერიალური ბაზა ახლდება რეგულარულად – სასწავლო ტექნიკა, საგანმანათლებლო საშუალებები და სასწავლო მასალები თავსებადია მოთხოვნებთან. ასევე უზრუნველყოფილია ინფორმაციული ტექნოლოგიებით აღჭურვილი გარემო: სტუდენტებისა და პერსონალისათვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული რესურსები, ინტერნეტი და ელექტრონული სწავლების სისტემები. დაწესებულებას გააჩნია შემდეგი ტიპის კეთილმოწყობილი და ფუნქციურად გამიჯნული სივრცეები:

- თეორიული სწავლების აუდიტორიები;
- კომპიუტერული ლაბორატორიები თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით;
- დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი პრაქტიკული კაბინეტები;
- ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი;
- ადმინისტრაციული ოფისები და სამუშაო სივრცეები პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პირველადი გადაუდებელი დახმარების კაბინეტი;
- ინდივიდუალური სველი წერტილები (მათ შორის – ადაპტირებული შშმ პირთათვის);
- საერთო და დასასვენებელი სივრცეები სტუდენტებისთვის, შემოქმედებითი და შემეცნებითი საქმიანობისთვის;

ინფრასტრუქტურის აღწერა დადასტურებულია დოკუმენტურად – წარმოდგენილია უძრავი ქონების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები. ასევე, ადგილზე დათვალიერებით(ორივე ლოკაციაზე) დადასტურდა, რომ სივრცეები ფუნქციურია და სრულად აკმაყოფილებს საგანმანათლებლო საქმიანობისათვის საჭირო მოთხოვნებს.
აკადემიის ინფრასტრუქტურა იძლევა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.
ინდიკატორი 5.1.1.1. შესაბამისობაშია

2.დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და ადგილზე დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის შექმნილია შესაბამისი ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია პროგრამების მიზნებთან შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

აკადემიის რექტორის 2025 წლის 21 ივლისის №01-142 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (ND 2-F03)“ განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტების ინფორმირების წესს ხელმისაწვდომი ინფრასტრუქტურის შესახებ, აგრეთვე მასალა-ნედლეულის გამოყენებისა და უტილიზაციის წესებს.

ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება როგორც ბათუმის ცენტრალურ ლოკაციაზე, ისე ფოთის ფილიალში. ორივე ლოკაციაზე სასწავლო აუდიტორიები, პრაქტიკული სწავლების სახელოსნოები, ლაბორატორიები და სიმულაციური სივრცეები წარმოდგენილია მოწესრიგებულ და ფუნქციურად გამართულ მდგომარეობაში. ამასთან,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ორივე მისამართზე პროფესიული სტუდენტებისთვის თანაბრად ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკა, კომპიუტერული რესურსები, საერთო სარგებლობის სივრცეები, დასვენებისა და კვების ზონები.

ვიზიტის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებთან, პროგრამების განმახორციელებელ პირებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებულმა გასაუბრებებმა ორივე ლოკაციაზე დაადასტურა, რომ აკადემია უზრუნველყოფს სასწავლო ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების რეალურ და თანაბარ ხელმისაწვდომობას როგორც სასწავლო პროცესის, ისე დამატებითი აქტივობების ფარგლებში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, დაწესებულების ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები როგორც ბათუმის, ისე ფოთის ლოკაციებზე სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

ინდიკატორი 5.1.1.2. შესაბამისობაშია

3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. კერძოდ: აკადემიის რექტორის 2025 წლის 22 აგვისტოს N01-162 ბრძანებით დამტკიცებულია **სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის, დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი,** რომელიც არეგულირებს

- წყალმომარაგების უზრუნველყოფას
- სანიტარულ-ჰიგიენური (ნორმებისადმი) პირობების უზრუნველყოფას
- დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის უზრუნველყოფას და სხვა

აკადემიის ტერიტორიაზე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვასა და პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმების განხორციელებას უზრუნველყოფს აკადემიის ინფრასტრუქტურის დეპარტამენტი, ასევე, სანიტარული ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით საზღვაო აკადემიის მხრიდან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები ფიზიკურ პირებთან შემდეგ პოზიციებზე:

ა) დამლაგებელი - ხელშეკრულების საფუძველზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ) მებაღე-მეეზოვე - ხელშეკრულების საფუძველზე;
გ) წყალარინების სისტემის სპეციალისტი;
აკადემიაში (ორივე ლოკაციაზე) ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდება შიდა და გარე პერიმეტრის დასუფთავება; ნარჩენების გატანა ხორციელდება შესაბამისი კონტეინერებით, ყოველგვარი დაგვიანების გარეშე.
საზღვაო აკადემიაში სასწავლო და ადმინისტრაციული საქმიანობის პროცეში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა და დასუფთავების სამუშაოები ხორციელდება გარემოსა და ადამიანისათვის ჯანმრთელობის საფრთხის შექმნის გარეშე, კერძოდ, ისე, რომ პროცესმა საფრთხე არ შეუქმნას სტუდენტებისა და პერსონალის ჯანმრთელობას და გარემოს - წყალს, ჰაერს, ნიადაგს, ფლორასა და ფაუნას. ნარჩენების გატანის მიზნით საზღვაო აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ქალაქ ბათუმის მერიის დასუფთავების სამსახურთან. ტერიტორია ყოველდღიურად ექვემდებარება დასუფთავებას, ხოლო ნაგავი გროვდება და იყრება ეზოში არსებულ თავსახურიან ნაგავშემკრებ კონტეინერებში. ნარჩენების შეგროვდება და უსაფრთხო გატანა შენობიდან (აუდიტორია, სამზარეულო, კაბინეტები და სხვა სათავსოები) ხორციელდება ყოველდღიურად. ნაგვის კონტეინერების დაცლა ხდება მათი 3/4-ით გავსებისთანავე ნაგვის ლპობისა და ხრწნის თავიდან აცილების მიზნით. წლის თბილ პერიოდში კონტეინერების გატანა ტერიტორიიდან ხდება ყოველდღიურად. კონტეინერებს ყოველთვიურად უტარდებათ სადეზინფექციო სამუშაოები.აღნიშნული მიდგომა დადასტურდა ორივე ლოკაციაზე. ორივე ლოკაციისათვის სისტემატიურად ტარდება კმაყოფილების კითხვარები აღინშნული საკითხის შესახებ, კვლევების შედეგებით **გამოკითხულთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა** საერთო სარგებლობის სივრცეების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა ორივე ლოკაციისათვის.. აკადემიის ორივე ფილიალის სივრცეებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, რაც გამყარებულია დადგენილი რეგლამენტით, მონიტორინგის მექანიზმებითა და სტუდენტთა/პერსონალის მაღალი კმაყოფილების დონით.
ინდიკატორი 5.1.1.3. შესაბამისობაშია

4.შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. კერძოდ:
საზღვაო აკადემიის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები, ორივე ფილიალში, სრულად უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის კომფორტულ და უწყვეტ გარემოში წარმართვას. გათბობის სისტემა ფუნქციონირებს სეზონური საჭიროებების შესაბამისად და უზრუნველყოფს ტემპერატურის ნორმალიზაციას როგორც სასწავლო აუდიტორიებში, ისე ლაბორატორიებში, ადმინისტრაციულ სივრცეებსა და საერთო სარგებლობის ზონებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ორივე ფილიალში ხორციელდება გათბობის სისტემის ტექნიკური მონიტორინგი და პერიოდულ პროფილაქტიკა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი გამართული მუშაობა და ენერგოეფექტიანობა. გათბობის რეჟიმი რეგულირდება ავტომატურად და მას ზედამხედველობას უწევს სეზონურად ხელშეკრულებით აყვანილი პირი.
ორივე ლოკაციაზე სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები ადასტურებს სისტემების ეფექტიან მუშაობას, როგორც წარმოდგენილი კითხვარების შედეგების ანალიზებში ისე გასაუბრებით.

ინდიკატორი 5.1.1.4. შესაბამისობაშია

5.დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. კერძოდ: აკადემია მიზნად ისახავს უზრუნველყოს პერსონალის სტუდენტის, კონტრაქტორისა და სტუმრისათვის უსაფრთხო გარემო, რაც საერთაშორისო სტანდარტების, საქართველოს კანონმდებლობის და აკადემიის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის მოთხოვნების დაცვით მიიღწევა. პროცესის წარმართვისათვის გამოყოფილია შესაბამისი უფლებამოსილების მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები როგორც ბათუმში, ისე ფოთის ლოკაციაზე, რომელებიც პასუხისმგებელი არიან შრომის უსაფრთხოების ზედამხედველობასა და პროცედურების აღსრულებაზე, მათ შორისაა, რისკების იდენტიფიცირება, პრევენციული ზომების გატარება, ინციდენტების იდენტიფიცირება, აღრიცხვა და შესაბამისი რეაგირება.
პერსონალი და პროფესიული სტუდენტები რეგულარულად გადიან შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟს სამუშაოების დაწყებამდე პრაქტიკული სწავლების სივრცეებში, სახელოსნოებსა და ლაბორატორიებში. პერიოდულად ტარდება განგაშის სიმულაციები და უსაფრთხოების ინვენტარის შემოწმება.
შენობა ორივე ლოკაციაზე აღჭურვილია **შრომის უსაფრთხოებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და მექანიზმებით**, მათ შორის:

- **საევაკუაციო გეგმები** გამოკრულია თვალსაჩინო ადგილებზე და შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოებთან;
- შენობას გააჩნია სათანადო რაოდენობის **საევაკუაციო გასასვლელები და კიბეები**;
- შენობა აღჭურვილია სრული **ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით**, მათ შორის:
  - სახანძრო სიგნალიზაციით;
  - ცეცხლმაქრებით, რომელთა გამოყენებაზე ტარდება რეგულარული ინსტრუქტაჟები და პრაქტიკული სწავლებები;
  - ყველა აქტივობა დოკუმენტირებულია: იწარმოება ინსტრუქტაჟის ჟურნალები და მოიცავს შესაბამის მტკიცებულებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები ორივე ლოკაციისათვის, რომლებსაც გავლილი აქვს შესაბამისი აკრედიტებული პროგრამა და ფლობა ვადიან სერტიფიკატს.

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები უზრუნველყოფენ

- შრომის პირობებისა და რისკების შეფასებას;
- პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას;
- შრომის უსაფრთხოების ინსტრუქციების შემუშავებას, მონიტორინგს და დოკუმენტირებას;
- ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების ჩატარებას როგორც თანამშრომლებისთვის, ისე სტუმრებისთვის;
- აღჭურვილობისა და ტექნიკური საშუალებების შემოწმებას;
- რისკების შეფასებას, აღრიცხვასა და მართვას საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებთან(ორივე ლოკაციაზე) , რომლებმაც წარმოადგინეს შესაბამისი დოკუმენტაცია, ინსტრუქტაჟების ჟურნალები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებაში სრულად მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, რასაც ადასტურებს როგორც დოკუმენტური მტკიცებულებები, ისე ბენეფიციართა მაღალი კმაყოფილება.

ინდიკატორი 5.1.1.5. შესაბამისობაშია

6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები. კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორატის 2023 წლის 7 თებერვლის №10/7 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „შესყიდვების პროცესის წესი (ND 2-Q05-10)“, რომელიც არეგულირებს აკადემიის საქმიანობისთვის აუცილებელი მასალებისა და ნედლეულის შესყიდვისა და უზრუნველყოფის პროცესს. აღნიშნულ პროცესზე პასუხისმგებელია აკადემიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, რომლის ფუნქციები განსაზღვრულია „შესყიდვების სამსახურის“ დებულებით (ND 2-P21).

დოკუმენტაციის მიხედვით, შესყიდვების პროცესი დირექტორთან შეთანხმებით ხორციელდება შესყიდვების სამსახურის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია პროცესის ორგანიზებასა და უწყვეტობაზე. წესით ასევე განსაზღვრულია შესყიდვების პროცესში მონაწილე სუბიექტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინიციატორი უზრუნველყოფს შესყიდვის მოთხოვნის შესაბამისი ტექნიკური დავალების (მომსახურების სპეციფიკაციის/ტექნიკური პარამეტრების) მომზადებას და შესყიდვების სამსახურთან თანამშრომლობით ახორციელებს ბაზრის კვლევას შესყიდვის ობიექტის სპეციფიკაციიდან გამომდინარე. შესყიდული საქონლის ან მომსახურების მიღების შემდეგ, ინიციატორი რიგ შემთხვევებში ახორციელებს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს. სპეციფიკური შესყიდვების დროს, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის ბრძანებით მტკიცდება ინსპექტირების ჯგუფი, რომელიც აკონტროლებს ხელშეკრულების პირობების შესრულებას და ხელს აწერს მიღება-ჩაბარების აქტებს.

ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ შესყიდვების პროცესი აკადემიაში ხორციელდება როგორც ცენტრალიზებულად, ისე საჭიროების შემთხვევაში თითოეული ლოკაციის – ბათუმისა და ფოთის ფილიალის – სპეციფიკის გათვალისწინებით. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს ორივე ლოკაციისათვის საჭირო რესურსების დროულ და მიზნობრივ უზრუნველყოფას.

დაწესებულება ყოველწლიურად ახორციელებს შესყიდვების შეფასებას. კერძოდ, წლის ბოლოს შესყიდვების სამსახური დეს-ის მეშვეობით აგზავნის „მომწოდებლის შეფასების კითხვარს“ (AF №21-08) მომთხოვნ სტრუქტურულ ერთეულებში და განსაზღვრავს 3-კვირიან ვადას ფორმის შესავსებად. მიღებული შეფასებების საფუძველზე შესყიდვების სამსახური ახორციელებს ანალიზს და შედეგებს ასახავს „მომწოდებლის შეფასების ფორმაში“ (AF №21-09). მიღებული შედეგები გამოიყენება მომდევნო წლის შესყიდვების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

გასაუბრებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დადასტურდა, რომ აღნიშნული რეგულაციები და პრაქტიკა ვრცელდება აკადემიის ფოთის ფილიალზეც და შესყიდვების პროცესი ორივე ლოკაციაზე ხორციელდება ერთიანი წესის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, აკადემიაში შესყიდვების პროცესის მართვა არის რეგულირებული, ორგანიზებული და უზრუნველყოფს დაწესებულების მატერიალური რესურსების დროულ და ეფექტიან უზრუნველყოფას.

ინდიკატორი 5.1.1.6 შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7.ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას. კერძოდ: აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას PDCA პრინციპის გამოყენებით, რაც გულისხმობს ძირითად და დამხმარე პროცესებზე პასუხისმგებელი პირების მიერ საკუთარი პროცესების დაგეგმვას, შესრულებას, შეფასებასა და განვითარებას. ადმინისტრაციული პირები აფასებენ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში გაწეულ მომსახურებას და შედეგებს იყენებს საქმიანობის გაუმჯობესებისთვის. ხარისხის მართვის მენეჯერი თავად აფასებს ცალკეულ პროცესებს, ასევე აანალიზებს სამსახურის მიერ განხორციელებული შეფასების შედეგებს.

საზღვაო აკადემიაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ემსახურება არა მხოლოდ საგანმანათლებლო პროცესის მონიტორინგსა და გაუმჯობესებას, არამედ ინფრასტრუქტურული, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების რეგულარულ შეფასებასაც. აღნიშნული პრაქტიკა წარმოადგენს უწყვეტი განვითარების ციკლის ნაწილს და უზრუნველყოფს, აკადემიის რესურსების თავსებადობას საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებთან. ამ მიზნით შემუშავებულია შიდა მექანიზმები, რის შესაბამისად რეგულარულად ხდება ინვენტარის აღწერა, არსებული რესურსების მდგომარეობის შეფასება, მათ შორის – ინფრასტრუქტურა, სასწავლო მასალები, ტექნიკური აღჭურვილობა და ა.შ.
შეფასების შედეგად იდენტიფიცირებული ხარვეზებისა და საჭიროებების საფუძველზე მუშავდება გაუმჯობესების გეგმები, იგეგმება რესურსების განახლება, მოდერნიზება ან გაძლიერება. ასევე, პროცესში გათვალისწინებულია სტუდენტებისა და პერსონალის უკუკავშირი (გამოკითხვები), რაც დამატებით უზრუნველყოფს პროგრამის რელევანტურობას და მიზნობრიობას.
ინდიკატორი 5.1.1.7. შესაბამისობაშია

6. **პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.** კერძოდ: აკადემიის შენობა-ნაგებობაში ორივე ლოკაციაზე მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, მოწესრიგებულია და უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას, რაც ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ პირებისთვის. დათვალიერებით დადასტურდა, რომ როგორც ბათუმში, ისე ფოთში მოწყობილია პანდუსები. თითოეულ სველ წერტილთან განთავსებულია ჰიგიენის საშუალებები, ქაღალდის ხელსახოცის დისპანსერი, ასევე ნარჩენების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კალათა. ჩატარებული კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზის მიხედვით, გამოკითხულ პროფესიულ სტუდენტთა/პერსონალი დადებითად აფასებს საერთო სარგებლობის შემდეგი სივრცეების სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობას. შესაბამისად, აკადემიის შენობა-ნაგებობებში(ორივე ლოკაციაზე) მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის

ინდიკატორი 5.1.1.8. შესაბამისობაშია

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;ვიზიტის დროს დათვალიერებით ორივე ლოკაციაზე დადგინდა, რომ დაწესებულების მფლობელობაში არსებულ სასწავლო და ადმინისტრაციულ ფართებს, მოსასვენებელ სივრცეებსა და ბიბლიოთეკებს აქვს, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

ინდიკატორი 5.1.1.9. შესაბამისობაშია

10.სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას; კერძოდ: აკადემიას ორივე ფილიალის თანამედროვე სტანდარტებით კეთილმოწყობილ შენობაში არის ფოიე, სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები და დასასვენებელი სივრცეები, რომლებიც დამოუკიდებელია ერთმანეთისაგან. ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეები და სასწავლო აუდიტორიები გადანაწილებულია ისე, რომ ხელი არ შეეშალოს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას. ადმინისტრაციის ოთახი აღჭურვილია სათავსოებით, ხოლო პროფესიული მასწავლებლებისათვის განკუთვნილი სათავსოები განლაგებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა სამუშაო სივრცეში. შესაბამისად, სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას

ინდიკატორი 5.1.1.10. შესაბამისობაშია

11.მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, კერძოდ: როგორც ბათუმის, ისე ფოთის ფილიალში, არის ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია წიგნადი ფონდით, ორივე ლოკაციაზე არსებული ბიბლიოთეკა მოიცავს შემდეგ სივრცეებს: სამკითხველო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დარბაზი, კომპიუტერული სივრცე, წიგნთსაცავი, ჯგუფური მუშაობის სივრცე ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა მომსახურეობისთვის, ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისთვის როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების და კატალოგიზაციის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ელექტრონული რესურსები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის შიდა ქსელისა და ონლაინ პლატფორმების მეშვეობით. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ. ბიბლიოთეკის პერსონალი პირველკურსელთათვის ატარებს გაცნობით შეხვედრებს თემაზე: ბიბლიოთეკის ვებ- გვერდი, საძიებო სისტემები, ელექტრონული რესურსები, რეგისტრაციის წესები. დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ სხვადასხვა მიმართულების/დარგის უახლეს მონაცემებს. ბიბლიოთეკის რესურსების მართვა და განახლება ხორციელდება გეგმიურად. კატალოგი სტრუქტურირებულია საბიბლიოთეკო წესების მიხედვით, რაც ამარტივებს რესურსების მოძიებასა და გამოყენებას. ბიბლიოთეკის თანამშრომლები აქტიურად უწევენ კონსულტაციას მომხმარებლებს რესურსების შერჩევისა და გამოყენების პროცესში.

ექსპერტების მიერ ადგილზე ვიზიტის დროს(ორივე ლოკაციაზე) განხორციელდა ვიზუალური დათვალიერება და გასაუბრება პერსონალთან. აღნიშნულით დასტურდება, რომ ბიბლიოთეკაში დაცული საგანმანათლებლო რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.

ინდიკატორი 5.1.1.11 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან შენობა ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზები;
- მატერიალური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- მატერიალური რესურსების შესყიდვის დოკუმენტაცია;
- ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ჩატარებული კვლევები და ანგარიშები;
- სანიტარულ ჰიგიენური დაცვის მექანიზმები;
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმები;
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- მასა ნედლეულის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ხარისხის მართვის მენეჯერის კვლევები და ანგარიშები;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიუების შედეგები.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები. კერძოდ: აკადემიის ტერიტორიაზე განთავსებული შენობა-ნაგებობები შემოწმებულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის - 112-ის მიერ და შემოწმების შედეგად მიღებული დასკვნით (MIA 1 23 00821767. 23/03/2023) აკადემია სრულად აკმაყოფილებს უსაფრთხოების სტანდარტებს. აღნიშნული შედეგის მისაღწევად საჭირო გახდა გარკვეული სამუშაოების განხორციელება, კერძოდ: სახანძრო სიგნალიზაციის სიტემებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღიჭურვა ყველა კორპუსი(ორივე ლოკაციაზე) სადაც მიმდინარებს სასწავლო პროცესი. შედგენილ იქნა და შენობებში გამოქყვეყნდა ახალი საევაკუაციო გეგმები, დამონტაჟდა ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობები და შებამისი მაჩვენებლებლები, დამატებით მოეწყო საევაკუაციო კიბეები. ყოველივე აღნიშნული ქმედება განხორციელდა მოქმედი კანონმდებლობისა და სტანდარტის შესაბამისად. საზღვაო აკადემიის სარგებლობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები, რაც უზრუნველყოფს როგორც პროფესიული სტუდენტების, ისე პერსონალის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის მაღალ სტანდარტს. უსაფრთხოების ზომები მოიცავს როგორც სახანძრო სისტემების არსებობას (ორივე ლოკაციაზე)სიგნალიზაცია, ცეცხლმაქრები, ევაკუაციის გზების მარკირება), ისე ელექტრო და ტექნიკური უსაფრთხოების სტანდარტებს. ყველა ფართი (რეგულარულად გადის ტექნიკურ ინსპექტირებას. ევაკუაციის გეგმა გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. ასევე ტარდება პერსონალისა და სტუდენტების
პერიოდული ინსტრუქტაჟი საგანგებო მდგომარეობის შემთხვევებისთვის. შენობებში დაცულია გადაადგილების უსაფრთხოება. უსაფრთხოების ზომების სისტემური უზრუნველყოფა ქმნის სტაბილურ და დაცულ სასწავლო გარემო. დაწესებულებას ყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ორივე ლოკაციისათვის.

ინდიკატორი 5.1.2.1 შესაბამისობაშია

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები: კერძოდ, აკადემიის,როგორც ბათუმის, ასევე ფოთის ფილიალის, ძირითად სასწავლო და ადმინისტრაციულ შენობებში, განთავსებულია პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტი, რომელსაც ემსახურება დიპლომირებული მედიკოსი. ექსპერტთა მიერ დათვალიერებით დასტურდება, რომ კაბინეტი აღჭურვილია აუცილებელი ინვენტარითა და პირველადი გადაუდებელი დახმარების მასალებით. ექიმი პირდაპირ დაქვემდებარებაშია ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის უფროსის წინაშე და მისი ფუნქციები განსაზღვრულია სამუშაო აღწერილობით. ლაბორატორიებში, სახელოსნოებში, სასიმულაციო კაბინეტებში, სასწავლო გემზე და სხვა მაღალი რისკის ზონებში პირველადი დახმარების ყუთები განლაგებულია თვალსაჩინო და ხელმისაწვდომ ადგილზე. რეგულარულად ხორციელდება პირველადი დახმარების ყუთებისა და აღჭურვილობის შემოწმება, რაც უზრუნველყოფს მათ გამართულ ფუნქციონირებას. სტუდენტები ინფორმირებული არიან გადაუდებელი, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების ადგილმდებარეობის შესახებ.
ექიმი / ექთანი ასევე აწარმოებს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შესახებ სარეგისტრაციო ჟურნალს.

ინდიკატორი 5.1.2.2 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი. კერძოდ: საზღვაო აკადემიის რექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შემუშავებული საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №508 დადგენილებით დამტკიცებული „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის " შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ეფექტურ მიმართულებებსა და ღონისძიებებს. დოკუმენტში გაწერილია საგანგებო სიტუაციების დროს მართვის შტაბის წევრთა ფუნქციონალური მოვალეობები, პოტენციური საფრთხეების იდენტიფიცირება და მათთან დაკავშირებული რისკების შეფასება და სხვ. გათვალისწინებულია: ეპიდემიოლოგიურ საფრთხესთან დაკავშირებული ღონისძიებები. კონკრეტულ სიტუაციებში რისკების შეფასების საფუძველზე, იქმნება საგანგებო შტაბი, რომელიც შეიმუშავებს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმას. პერიოდულად ტარდება საევაკუაციო სწავლებები და სიმულაციური წვრთნები ხანძრის, მიწისძვრის ან სხვა საგანგებო სიტუაციების სცენარებით. ამაში ჩართული არიან როგორც პერსონალი, ისე სტუდენტები. საგანგებო სიტუაციებზე პასუხისმგებელი პირები გადიან ტრენინგებს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების, პირველადი დახმარების აღმოჩენისა და უსაფრთხოების წესების შესახებ.აღნიშნული მიდგომა ვრცელდება ორივე ლოკაციაზე.

ინდიკატორი 5.1.2.3 შესაბამისობაშია

4.დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში / მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას, კერძოდ: საზღვაო აკადემიის მთელ ტერიტორიაზე სტუდენტებისა და პერსონალის ქცევის წესებს, დისციპლინურ ნორმებს, უსაფრთხოების მოთხოვნებსა და ზოგად წესრიგს განსაზღვრავს შინაგანაწესი, რომელიც წარმოადგენს აკადემიის ძირითად მარეგულირებელ დოკუმენტს. შინაგანაწესით დადგენილი მოთხოვნების შესრულება აკადემიის პერიმეტრზე, როგორც შენობებში, ისე ეზოში, ლაბორატორიებსა და სიმულატორებზე, უზრუნველყოფილია დაცვის სამსახურის მიერ ორივე ლოკაციაზე.

დაცვის სამსახური პასუხისმგებელია წესრიგის დაცვაზე, დარღვევებზე დროულ რეაგირებაზე, კონფლიქტური სიტუაციების მართვასა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ზომების მიღებაზე. აღნიშნული სამსახური აქტიურად არის ჩართული სტუდენტებთან მუშაობაში დისციპლინისა და წესრიგის ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მიმართულებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიის მთელ პერიმეტრზე, მათ შორის ორივე ლოკაციაზე მდებარე დერეფნებში, საერთო სარგებლობის სივრცეებში, შესასვლელებსა და ეზოში, დამონტაჟებულია ვიდეომეთვალყურეობის სისტემები, რაც ხელს უწყობს უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას, წესრიგის დაცვასა და შესაძლო სამართალდარღვევების პრევენციასა და გამოვლენას.

ამასთან, აკადემიაში მოქმედებს დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულება, რომელიც განსაზღვრავს აკადემიის პერსონალისა და სტუდენტების დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებს, სახდელის სახეებს, დისციპლინური წარმოების, მოკვლევისა და პასუხისმგებლობის დაკისრების წესებს.

აღნიშნული გარემოებები დადასტურდა როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით, ისე ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ვიზუალური დათვალიერების და გასაუბრების შედეგად ორივე ლოკაციაზე.

ინდიკატორი 5.1.2.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აკადემიის შინაგანაწესით;
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების პირადი საქმეებით;
- პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელი პირის სამუშაო აღწერილობითა და პირადი საქმეებით;
- წესრიგის დაცვის რეგულაციებით;
- პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიუს შედეგებით ;
- შენობაზე დასკვნა მდგრადობის შესახებ;
- აკადემიის სტრუქტურით;
- პირველადი გადაუდებელი დახმარების მექანიზმებით;
- გაწეული პირველადი გადაუდებელი დახმარების ამსახველი ჟურნალით;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. კერძოდ: საზღვაო აკადემია საგანმანათლებლო და მმართველობით პროცესებში იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებსა და პროგრამულ პლატფორმებს, რომელთა ეფექტიანი და უსაფრთხო ფუნქციონირება უზრუნველყოფილია თანამდროვე და მაღალტექნოლოგიური ინფრასტრუქტურით; უზრუნველყოფილია სტუდენტების და პერსონალის შეუფერხებელი და დაცული წვდომა ინტერნეტთან და შიდა რესურსებთან სადენიანი და უსადენო WIFI მოწყობილობებით / ტექნოლოგიებით (პროგრამულ პლატფორმებთან და სისტემებთან,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კორპორატიულ ფოსტასთან outlook და დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემასთან DES); სასწავლო და სამუშაო კაბინეტები აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების კომპიუტერების რაოდენობით. მონაცემთა დაცულობისა და ეფექტიან მართვისთვის გამოყენებულია ღრუბლოვანი (Cloud) ტექნოლოგიები და უნივერსიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული (ბათუმის მისამართზე 2 და ფოთის მისამართზე - 1 სერვერი) სერვერები;
განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საინფორმაციო-საკომუნიკაციო სიტემაში ნებისმერ პროგრამულ თუ აპარატულ რესურსთან წვდომის დაცულობის უზრუნველყოფას პერსონალური იდენტიფიკაციის სისტემის სანდოობით. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვას და მათ გამართულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური, რომელიც ასევე ზრუნავს სისტემების განახლებაზე და ტექნიკური დახმარების დროულ უზრუნველყოფაზე.
ინდიკატორი 5.2.1.1 შესაბამისობაშია

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას. კერძოდ: საზღვაო აკადემია სისტემურად ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული რისკების მართვას ორივე ლოკაციაზე, რაც წარმოადგენს უსაფრთხო, სტაბილური და სანდო ციფრული გარემოს უზრუნველყოფის საფუძველს.
ნორმატიული დოკუმენტები: ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები“; ,,რისკების მართვის პროცედურა“; ,,რისკების შემცირების წლიური გეგმა“ წარმოადგენს ინფორმაციული უსაფრთხოების და ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების მონიტორინგის მართვის ეფექტურ მექანიზმს და უზრუნველყოფს საფრთხეების იდენტიფიცირებას და რისკების მართვას, რისკების კონტროლის მექანიზმების შერჩევას, შესაბამისი ღონისძიებების გატარების პროცესს. შემუშავებულია რისკების რეესტრი, რომელიც მოიცავს საზღვაო აკადემიის ყველა სტრუქტურულ ერთეულს და მოქმედ პროცესებს. რისკების რეესტრი ექვემდებარება პერიოდულ განახლებას და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი რისკების იდენტიფიცირებას, დამატებას ან/და ცვლილებას და რისკების შემცირების მექანიზმების დაზუსტებას, რაც უზრუნველყოფს პროცესების უწვეტობას.
ინდიკატორი 5.2.1.2 შესაბამისობაშია

3.დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას. კერძოდ: პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიმართულებით საზღვაო აკადემია ხელმძღვანელობს საქართველოს კანონის ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ მოთხოვნათა და შიდა რეგულაციების შესაბამისად, რაც პერსონალისა და სტუდენტების უფლებებისა და თავისუფლების, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაცვის გარანტიაა. ,,პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა და პროცედურა“ უზრუნველყოფს განსაზღვრავს მონაცემთა სუბიექტებს, მონაცემების დამუშავების მიზნებს, საფუძვლებს, პრინციპებს და უფლებამოსილებებს. უზრუნველყოფილია როგორც პროფესიული სტუდენტების, ისე პერსონალის პირადი მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების უსაფრთხო პრაქტიკა.

პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება ლეგიტიმური მიზნებისათვის მონაცემთა სუბიექტების თანხმობით. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია, უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცესების კანონმდებლობასთან შესაბამისობას და პერსონალის ინფორმირებასა და გადამზადებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 5.2.1.3 შესაბამისობაშია

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას. კერძოდ, აკადემიაში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტი ,,მომსახურების მონიტორინგის პროცესის პროცედურა“ ადგენს ძირითადი პროცესების შეფასების პერიოდულობას, თანმიმდევრობას, კრიტერიუმებსა და შემფასებლებს, მათ შორის , IT ინფრასტრუქტურის შესაბამისობას პროცესებთან. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად, პერიოდულად აფასებს არსებული IT ინფრასტრუქტურის ადეკვატურობას აკადემიის მიმდინარე და სამომავლო საჭიროებებთან. აქტიურად ხდება უკუკავშირის მიღება სტუდენტებისგან, მასწავლებლებისგან და ადმინისტრაციული პერსონალისგან IT სერვისების, პროგრამული უზრუნველყოფისა და ტექნიკის მუშაობასთან დაკავშირებით. ეს საშუალებას იძლევა, დროულად გამოვლინდეს ხარვეზები და საჭიროებები. აკადემია რეგულარულად ახორციელებს IT ინფრასტრუქტურის განახლებას, როგორც აპარატურის, ისე პროგრამული უზრუნველყოფის კუთხით.

ინდიკატორი 5.2.1.4 შესაბამისობაშია

5.პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება. კერძოდ, როგორც ბათუმში, ისე ფოთის ლოკაციაზე პროფესიული სწავლებისთვის და მართვისთვის განკუთვნილ ფართში აკადემიას გააჩნია სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმიანობის შესაბამისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რომლებიც აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერული ტექნიკით. აკადემიის ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტში, სასწავლო აუდიტორიებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვილი კომპიუტერები, რომლითაც სარგებლობენ პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროფესიული სტუდენტები. პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ ასევე ისარგებლონ ბიბლიოთეკების სამკითხველო დარბაზებში განთავსებული კომპიუტერებით, სადაც მათთვის ხელმისაწვდომია პრინტერი, სკანერი, ინტერნეტი, რომლით სარგებლობაც შესაძლებელია შეუფერხებლად.

ინდიკატორი 5.2.1.5 შესაბამისობაშია

6.პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით. კერძოდ: დაწესებულებაში პროფესიული განათლების ცენტრში გამოიყენება სხვადასხვა სახის ელექტრონული სერვისები და სისტემები, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება შესაბამისი ჯგუფების (პროფესიული სტუდენტების/პერსონალის) ინფორმირება. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დაინტერესებულ მხარეებთან და სტუდენტებთან კომუნიკაციის მიზნით, დაწესებულება აქტიურად იყენებს ელექტრონული ფოსტის მისამართებს. დაწესებულებას შექმნილი აქვს მათი ელექტრონული ფოსტების ერთიანი ბაზები. გარდა ამისა, ცენტრი შესაბამისი ჯგუფების (პროფესიული სტუდენტების/პერსონალის) ინფორმირებისა და კომუნიკაციისათვის იყენებს სხვადასხვა დახურულ ჯგუფებსა და ე.წ ჩატებს სოციალურ ქსელში, აღნიშნული დასტურდება როგორც პროფესიულ სტუდენტთა მხრიდან გასაუბრების შედეგებით ასევე ადმინისტრაციულ პერსონალთან და პროგრამის განმახორციელებლებთანაც.

ინდიკატორი 5.2.1.6 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შდაგანაწესი;
- საზღვაო აკადემიის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და ოფიციალური ვებგვერდის ადმინისტრირების წესი
- ინტერნეტ პროვაიდერთნ გაფორმებული ხელშეკრულება
- ,,რისკების მართვის პროცედურა“. და ,,რისკების შემცირების წლიური გეგმა“
- პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა და პროცედურა
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ინტერვიუს შედეგები.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი. კერძოდ,
საზღვაო აკადემიაში არსებულ შიდა და გარე დოკუმენტაციის აღრიცხვისა და მართვის პროცესს უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა DES -ი. მისი მეშვეობით უზრუნველყოფილია საზღვაო აკადემიაში შემოსული, გასული და შიდა დოკუმენტების, რექტორის ბრძანებების რეგისტრაცია და აისახება დოკუმენტბრუნვის სრული ციკლი. DES-ი წარმოადგენს იუსტიციის სამინისტროს საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამას, რომელსაც იყენებს საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი უწყებები. პროგრამის ადმინისტრირებაზე და დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის ქსელურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია ციფრული მმართველობის სააგენტო. მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციისთვის გამოიყენება სარეგისტრაციო ჟურნალები რომელთა დამზადება და გამოყენება რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის №126/ნ ბრძანების, „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“. აღრიცხვისთვის გამოიყენება როგორც ელექტრონული, ისე ჟურნალი, რომელიც დანომრილი, ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ, ბეჭედდასმული და აკინძულია, რითიც დაცულია მისი სანდოობა და მთლიანობა .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასებით ინდიკატორი 5.2.2.1 შესაბამისობაშია

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის. კერძოდ, საზღვაო აკადემია ეფექტიანად იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს მართვის პროცესებში, რაც უზრუნველყოფს ადმინისტრირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესების გამჭვირვალობას, სისწრაფესა და მონაცემებზე დაფუძნებას. აკადემია იყენებს ინტეგრირებულ საინფორმაციო სისტემებს სხვადასხვა ადმინისტრაციული პროცესის სამართავად: სტუდენტთა მართვის სისტემა: სტუდენტების მიღება, რეგისტრაცია, აკადემიური მონაცემების (შეფასებები, დასწრება) აღრიცხვა, სტუდენტური სტატუსების მართვა. ადამიანური რესურსების მართვის სისტემა: თანამშრომელთა მონაცემების აღრიცხვა, შრომითი ხელშეკრულებები, სახელფასო უწყისები, შვებულებები ფინანსური აღრიცხვის სისტემა: ბიუჯეტირება, ხარჯების კონტროლი, ფინანსური ანგარიშგება. საინვენტარიზაციო სისტემა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (მათ შორის სპეციფიკური საზღვაო აღჭურვილობის) აღრიცხვა და მონიტორინგი. დოკუმენტების ელექტრონულად შექმნას, რეგისტრაციას, შენახვასა და მოძიებას უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა DES-ი. ყველა შემომავალი და გამავალი კორესპონდენცია, შიდა ბრძანებები, ოქმები და სხვა ადმინისტრაციული დოკუმენტაცია იმართება ელექტრონულად. დოკუმენტაციის ელექტრონულად მართვასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელია კანცელარია.
აღნიშნული დასტუდება ასევე გასაუბრებით.

ინდიკატორი 5.2.2.2. შესაბამისობაშია

3. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის. კერძოდ: აკადემიაში ძირითადი ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესებში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მაგალითად საქმისწარმოებისათვის გამოიყენება „DES" .ეს სისტემა არა მხოლოდ ტექსტური დოკუმენტაციის შექმნას და მართვას, არამედ კორესპონდენციის, ბრძანებების და სხვა სამართლებრივი დოკუმენტების ავტომატიზირებულ პროცესსაც უზრუნველყოფს. დოკუმენტებს ენიჭება უნიკალური კოდი/ნომერი, რაც გამჭვირვალობას და ადვილად მისაწვდომობას უზრუნველყოფს.
ყველა ელექტრონულად წარმოებული დოკუმენტს ენიჭება უფლებამოსილი პირის ელექტრონული ხელმოწერა და კვალიფიციური შტამპი, რაც დემონსტრირებს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას არამხოლოდ მონაცემების მართვის, არამედ დოკუმენტაციის უსაფრთხოების მხარითაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემია აკონტროლებს და მართავს ინფორმაციის შეყვანას **განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ამისათვის დაწესებულებას გამოყოფილი ყავს სპეციალურად პირი.** ისე რომ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მონაცემები ყოველთვის არის დროულად ასახული. ამას უზრუნველყოფს სპეციალისტი, რომელიც ზრუნავს მონაცემთა განახლებაზე და მათი უწყვეტ განვითარებაზე.

ეს ყველაფერი გულისხმობს, რომ აკადემია რეალურად ხორციელდება ტექნოლოგიური სერვისების ინტეგრაცია სხვადასხვა მიმართულებით, რაც საშუალებას აძლევს სხვადასხვა პროცესების მართვას უფრო ზუსტად, გამჭვირვალედ და ეფექტურად.

ინდიკატორი 5.2.2.3 შესაბამისობაშია

4.პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. კერძოდ, აკადემია მუდმივ მოქმედ რეჟიმში, დროულად აწვდის შესაბამის ინფორმაციას ზემდგომ ორგანოებს. საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროში წლის განმავლობაში, ეტაპობრივად ხდება ინფორმირება ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება აკადემიის ძირითად საქმიანობას. შემოსულ კორესპოდენციასთან დაკავშირებით ხდება უკუკავშირი, ინფორმაციის გაცვლა, განაცხადების შეტანა, რეკომენდაციების მიღება და ა. შ. იმ მნიშვნელოვან ზემდგომ ორგანოებთან, როგორიცაა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტო და ა. შ. და ასევე, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს. აღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულება ზემდგომ ორგანოებს დროულად აწვდის შესაბამის ინფორმაციას, შემოსულ კორესპოდენციასთან დაკავშირებით ხდება დროული უკუკავშირი და შესაბამისი საქმისწარმოება.

ინდიკატორი 5.2.2.1 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ელექტრონული საქმის წარმოების წესი
- ბრძანება რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირების გამოყოფის შესახებ
- საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (DES) შემოწმების შედეგები;
- მართვის საინფორმაციო სისტემის სპეციალისტის სამუშაო აღწერილობები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენცია / შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები;
- ბრძანებების, დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალები;
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების შემოწმების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ოფიციალური ვებგვერდი წარმოადგენს ინსტიტუციის მთავარ საჯარო ინფორმაციის პლატფორმას(https://bsma.edu.ge/) , რომელიც სისტემურად და სრულად აღწერს აკადემიის საქმიანობას, მის მენეჯმენტს, სტრატეგიულ მიზნებს, საგანმანათლებლო პროგრამებს, ადმინისტრაციულ სტრუქტურებს და ონლაინ-სერვისებს. გვერდზე სრულფასოვნად არის წარმოდგენილი სრული ინფორმაცია ფოთის ფილიალის შესახებაც, ანუ აღწერა გულისხმობს სრულ მოცვას. ასევე დაწესებულებას აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სოციალური ქსელების გვერდი (Facebook), რომელიც ასევე ასრულებს მნიშნელოვან საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, რაც უზრუნველყოფს როგორც პროფესიული სტუდენტების, ისე დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირებულობას აკადემიის, ასევე ფოთის ფილიალის საქმიანობის შესახებ.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ოფიციალური ვებგვერდი უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი და არსებითი ინფორმაციის სრულყოფილ, სისტემურ და მომხმარებელზე ორიენტირებულ ხელმისაწვდომობას. ვებგვერდის სტრუქტურა ლოგიკურად არის აგებული და მოიცავს როგორც ინსტიტუციური იდენტობის, ისე აკადემიური, ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესების ამსახველ ინფორმაციას.
ვებგვერდზე დეტალურად არის წარმოდგენილი აკადემიის მისია, ხედვა და ღირებულებები, აკადემიის ისტორია, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტატუსი, ასევე განვითარების სტრატეგიული გეგმა, რაც დაინტერესებულ მხარეებს აძლევს შესაძლებლობას სრულად გაეცნონ დაწესებულების განვითარების მიმართულებებსა და განათლების სისტემაში მის როლს. ამავე ბლოკში ხელმისაწვდომია ინფორმაცია აკადემიის სტრუქტურისა და იურიდიული ცნობარის შესახებ, რაც ზრდის ინსტიტუციური მართვის გამჭვირვალობას.
ვებგვერდი ასახავს აკადემიის ურთიერთობებს შრომის ბაზართან და გარე პარტნიორებთან – წარმოდგენილია ინფორმაცია დამსაქმებლებისა და სხვა ორგანიზაციების შესახებ, საერთაშორისო აღიარებაზე, მემორანდუმებზე, რაც მიუთითებს აკადემიის აქტიურ ჩართულობაზე როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო საგანმანათლებლო და პროფესიულ სივრცეში. რეგულარულად განახლებული სიახლეების განყოფილება უზრუნველყოფს მიმდინარე პროცესების საჯაროობას.
მართვის ბლოკში განთავსებულია ინფორმაცია რექტორის, სენატის, რექტორის მოადგილეების, ასევე მართვისა და განვითარების სისტემების ცენტრის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების შესახებ, რაც ხელს უწყობს მართვის პროცესების გამჭვირვალე წარმოდგენას. ამავე დროს, ცალკე არის გამოყოფილი აკადემიის ფაკულტეტები, რაც ნათლად ასახავს დაწესებულების აკადემიურ პროფილსა და დარგობრივ სპეციალიზაციას.
სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია წარმოდგენილია ერთიან ბლოკებში და მოიცავს სტუდენტების გზამკვლევს და საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგსაც, მეზღვაურთა სასწავლო, საწვრთნელი და სერტიფიცირების ცენტრს, პროფესიული მომზადების ცენტრს, აკადემიაში ჩარიცხვის წესებს, სტიპენდიების შესახებ ინფორმაციას, სასწავლო კალენდარს, სტუდენტის საინფორმაციო გზამკვლევს და ელექტრონულ სერვისებს. აღნიშნული რესურსები უზრუნველყოფს როგორც პროფესიული სტუდენტების, ისე უმაღლესი განათლების სტუდენტების სრულფასოვან ინფორმირებულობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვებგვერდზე ასევე ხელმისაწვდომია კურსდამთავრებულისა და სტუდენტის მონაცემების შემოწმების სერვისი, აგრეთვე ინფორმაცია ფოთის ფილიალის შესახებ, რაც დამატებით ზრდის ინფორმაციის სანდოობასა და ხელმისაწვდომობას რეგიონულ დონეზეც.
ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ოფიციალური ვებგვერდი წარმოადგენს ფუნქციურ, გამჭვირვალე და მომხმარებელზე ორიენტირებულ საინფორმაციო პლატფორმას, რომელიც სრულად უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობის, მმართველობის, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სერვისების შესახებ ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობას. აღნიშნული პრაქტიკა შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს და ხელს უწყობს დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობასა და ჩართულობას.

ექსპერტებმა **საუკეთესო გამოცდილების მაგალითად გამოარჩიეს** ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის 3D ვირტუალურ ტურები, რომელიც ხელმისაწვდომია ოფიციალურ ვებგვერდზე (https://bsma.edu.ge/media/files/3d_bsma/). აღნიშნული ინოვაციური რესურსი საშუალებას აძლევს სტუდენტებს, პოტენციურ მსმენელებს, დამსაქმებლებსა და პარტნიორებს ადვილად და ვირტუალურად დაათვალიერონ აკადემიის სასწავლო, ლაბორატორიული და მხარდაჭერის სივრცეები.

ვირტუალური ტურები დიდ მნიშვნელობას იძენს შემდეგი ასპექტებით:

- ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა – ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია ონლაინ გაეცნოს აკადემიის ინფრასტრუქტურას, რომელიც მნიშვნელოვანია პროფესიული პროგრამების არჩევისას.
- პრაქტიკური ორიენტაცია – ვიზიტორებისთვის ნათლადაა წარმოდგენილი სწავლების გარემო, ადმინისტრაციული სივრცეები, ლაბორატორიები და მხარდაჭერის მოედნები, რაც აუმჯობესებს ინფორმირებულობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესს.
- ინოვაციური კომუნიკაცია – 3D ტურები წარმოადგენს თანამედროვე ტექნოლოგიური მიდგომის დანერგვას საგანმანათლებლო სივრცეში, რაც ასახავს აკადემიის მზადყოფნას და წინსვლას ციფრულ ტრანსფორმაციაში.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში 3D ვირტუალური ტურების დანერგვა ხელს უწყობს როგორც საგანმანათლებლო პროგრამების კულტურის, ისე სტუდენტთა ჩართულობის და კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესებას, რაც მთლიანად ეხმიანება ავტორიზაციის სტანდარტების პრინციპებს და ინოვაციურ მიდგომებს.

ინდიკატორი 5.2.3.1 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას. კერძოდ: საზღვაო აკადემიის მისიაში ერთ-ერთ პრიორიტეტად საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებაა აღიარებული, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და ერთობლივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მიზნით. რაც თავის მხრივ განაპირობებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციების მრავალენოვან რეჟიმში უზრუნველყოფის აუცილებლობას. ამ მიზნით, მიმდინარეობს საზღვაო აკადემიის პროფესიული ცენტრის ვებგვერდის ინგლისურენოვანი ვერსიის შემუშავება. აღნიშნულ ეტაპზე მომზადებულია და ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ინგლისურენოვანი კატალოგი. ინფორმაცია აკადემიის ვებგვერდზე მუდმივად განახლებადია.

ინდიკატორი 5.2.3.2 შესაბამისობაშია

3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. კერძოდ: დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. საზღვაო აკადემიას ნორმატიული დოკუმენტის სახით შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია და ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც არეგულირებს ვებგვერდისა და სოციალური ქსელის მართვას, სწორი და დროული ინფორმაციის განთავსების მექანიზმს, განსაზღვს პროცესში მონაწილე პირთა ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს. რექტორის ოფისი პასუხისმგებელია რომ, როგორც ვებგვერდზე, ისე სოციალური ქსელის მეშვეობით გავრცელებული ინფორმაცია იყოს ზუსტი, უტყუარი და სრულად შეესაბამებოდეს რეალურ მდგომარეობას აკადემიიდან ოფიციალური ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელია იურიდიული დეპარტამენტი. ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და გაცემა ხდება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ, მოთხოვნის სპეციფიკიდან გამომდინარე.

ინდიკატორი 5.2.3.3 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. კერძოდ: დაწესებულების კატალოგში მოცემულია ინფორმაცია აკადემიაში მოქმედი ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. რომელიც მოიცავს პროგრამების დასახელებას, სხვადასხვა პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციების ჩამონათვალს, პროგრამის მიზნებსა და დაშვების წინაპირობებს, ინფორმაციას პროგრამის მოცულობასა და ხანგრძლივობაზე, თითოეული პროგრამისთვის მისაღწევი სწავლის შედეგების ჩამონათვალს, პროგრამის განხორციელების ადგილს, ინფორმაციას პროგრამის ხელძღვანელისა და პარტნიორი ორგანიზაციების /პრაქტიკის ობიექტების შესახებ.

ინდიკატორი 5.2.3.4 შესაბამისობაშია

5.პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. კერძოდ, პროგრამების კატალოგი ახლდება ყოველწლიურად, აგრეთვე პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად. ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა როგორც ბათუმის, ისე ფოთის ფილიალი. აკადემიის ორივე ფილიალის ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგები, რომელიც მოიცავს სრულ ინფორმაციას პროგრამების და სხვა საინტერესო საკითხებზე.

ინდიკატორი 5.2.3.5 შესაბამისობაშია

6.საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. კერძოდ: დაწესებულების მიერ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის ინფორმაციის შესაგროვებლად გამოიყენება სხვადასხვა სახის საკომუნიკაციო არხები. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს დაწესებულება იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. დაწესებულება დაინტერესებულ მხარეებთან/საზოგადოებასთან კომუნიკაციის, უკუკავშირის მიღებისა და გამოყენების მიზნით სარგებლობს ოფიციალური ელექტრონული ფოსტით, რომელიც მითითებულია ოფიციალურ ვებგვერდზე. გარდა ამისა, აღნიშნული უკუკავშირის მისაღებად, შესაძლებლობა აქვს გამოიყენოს Facebook სოციალური ქსელიდან, დახურული ჯგუფებიდან, გამოკითხვებიდან მიღებული ინფორმაცია. აკადემიის საკომუნიკაციო არხებიდან, როგორც ოფიციალური სოციალური ქსელიდან ისე ელექტრონული ფორმის ტიპის გამოკითხვებიდან შემოსულ ინფორმაციაზე ხდება სათანადო რეაგირება. უკუკავშირის ანალიზის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგები გამოიყენება შემდგომი განვითარებისთვის, ზემოაღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ საზოგადოებისაგან მიღებულ უკუკავშირს დაწესებულება იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი 5.2.3.6 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწესებულების ვებ-გვერდი
- დაწესებულების Facebook სოციალური ქსელის გვერდი:
- საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია
- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
- დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება. კერძოდ: დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა როგორც საერთო ბიუჯეტი,ასევე ორივე ლოკაციის შესაბამისი პროგრამული ბიუჯეტები. რომელთა ანალიზის მიხედვით დასტურდება, რომ დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება. აღნიშნულ ბიუჯეტებში გათვალისწინებულია გეგმების ამოცანებისა და პროფესიული პროგრამების განხორციელება-განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილი დაფინანსება. ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისგან. პროგრამული ბიუჯეტების ხარჯების ნაწილი მოიცავს ინფორმაციას შრომის ანაზღაურების, საერთო, ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯების შესახებ. დაწესებულებაში ფინანსური მართვის სამსახურის სამოქმედო გეგმის შესაბამისად დგება ყოველი წლის ბიუჯეტისა და შესყიდვების გეგმა. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში ჩართულნი არიან დაწესებულების საფინანსო მიმართულებით პასუხისმგებელი პირები.
ინდიკატორი 5.3.1.1 შესაბამისობაშია

2.საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. კერძოდ: აკადემიას როგორც ბათუმში, ისე ფოთის ფილიალში, გააჩნია სტაბილური და საკმარისი ფინანსური რესურსი ყველა იმ ხარჯის დასაფარად, რომელიც დაკავშირებულია მის ყოველდღიურ საქმიანობასთან. ეს მოიცავს: პერსონალის ანაზღაურება, ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა და კომუნალური გადასახადები, სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა (სახარჯი მასალები, აღჭურვილობის მოვლა-შეკეთება, პროგრამული უზრუნველყოფა, ბიბლიოთეკის ფონდის შევსება), ადმინისტრაციული ხარჯები, უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, განვითარება და ტრენინგები.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებინ ფინანსდება ვაუჩერული დაფინანსების წესით. შესაბამისად აკადემია აწარმოებს პროფესიული ცენტრის დაფინანსების დინამიკას, იმისათვის, რომ ნათლად წარმოაჩინოს ფინანსური მდგრადობა და სწორად დაგეგმოს მომდევნო წლის ბიუჯეტი.
ინდიკატორი 5.3.1.2 შესაბამისობაშია

3.დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას. კერძოდ: დაწესებულებამ აწარმოებს ფინანსურ ანგარიშს და ასაჯაროვებს მას კანონმდებლობის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზღვაო აკადემიის ფინანსური მდგრადობა გრძელვადიანი სტაბილურობის, რესურსების ეფექტური მართვისა და განვითარების უზრუნველყოფის აუცილებელი პირობაა, რაზედაც პასუხისმგებელია აკადემიის რექტორი და ადმინისტრაციის უფროსი. ფინანსური მდგრადობის ობიექტური შეფასებისთვის ფინანსების მართვის სამსახური გამოიყენებს ფინანსური ანალიზის ინსტრუმენტებს, ახდენს პროგნოზირებას და რისკების იდენტიფიცირებას.

ინფორმაციას აკადემიის ფინანსური მდგრადობისა და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ადმინისტრაციის უფროსი წარუდგენს აკადემიის სენატს. გარდა ამისა, საზღვაო აკადემია ყოველწლიურად გადის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გარე აუდიტს. აუდიტი ამოწმებს ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას კანონმდებლობასა და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან. ყოველწლიური დასკვნები გამოქვეყნებულია საჯარო აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე.

ფინანსური მდგრადობის შეფასების შედეგები ინტეგრირებულია დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმაში, რაც უზრუნველყოფს ფინანსური გადაწყვეტილებების თანხვედრას გრძელვადიან მიზნებთან.

ინდიკატორი 5.3.1.3 შესაბამისობაშია

4.დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე. კერძოდ: ფინანსების მართვის სამსახური, მუდმივად აკონტროლებს ბიუჯეტის შესრულებას, აფასებს მიღწეულ შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახდენს კორექტირებას.აღნიშნული ანგარიშის და საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტური შეფასების შედეგად, იგეგმება შემდგომი აქტივობები და ხდება სათანადო რეაგირება შეფასების შედეგებზე.

ინდიკატორი 5.3.1.4 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აკადემიის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები;
- პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი;
- ვებგვერდზე განთავსებული წლიური სამოქმედო გეგმის ანგარიშები;
- აკადემიის დაფინანსების დინამიკა;
- საოპერაციო ხარჯები;
- ადმინისტრაციულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საწყობის ოპერირება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საწყობის ოპერირებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0416

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება No.05-141 26.09.2025 წ.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N53
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება □

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

დასაბუთება

.....
.....
.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

კერძოდ: სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია წარმოადგენს სპეციალიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს პროფესიული და უმაღლესი განათლების პროგრამებს საზღვაო და მასთან მომიჯნავე დარგებში. აკადემიის მისია ეფუძნება კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას, კვლევითი საქმიანობის განვითარებასა და მიღებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცოდნის საზოგადოებაში გავრცელებას, თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

აკადემიის სტრატეგიული ხედვის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება ორიენტირებულია შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კომპეტენციების მქონე, პროფესიული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის უნარის, გუნდური მუშაობის, პასუხისმგებლობისა და პიროვნული პოტენციალის რეალიზაციის უნარებით აღჭურვილი კადრების მომზადებაზე. ამ მიზნების მისაღწევად, აკადემია ახორციელებს როგორც პროფესიულ, ისე უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებსა და უწყვეტი განათლების კურსებს.

საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირება და შემუშავება მიმდინარეობს აკადემიის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და დადგენილი პროცედურების შესაბამისად, დაინტერესებული მხარეების ჩართულობითა და კოლეგიური განხილვის საფუძველზე. პროგრამის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კოორდინირებული მონაწილეობა, რაც ხელს უწყობს პროგრამის შინაარსის შესაბამისობას როგორც საგანმანათლებლო სტანდარტებთან, ისე პრაქტიკულ საჭიროებებთან.

ამ კონტექსტში „საწყობის ოპერირების“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება თანხვედრაშია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მისიასთანა და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან. რეგიონში მომსახურების სექტორის განვითარება განაპირობებს კვალიფიციური პერსონალის მზარდ მოთხოვნას, რაც პროგრამის აქტუალურობასა და საჭიროებას ამყარებს.

პროგრამის შინაარსი პასუხობს თანამედროვე მომსახურების სექტორის მოთხოვნებს და მოიცავს იმ კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც დაკავშირებულია სერვისის ხარისხის მართვასთან, მომხმარებელთან ეფექტურ კომუნიკაციასთან, ოპერაციული პროცესების ორგანიზებასა და ჰიგიენის სტანდარტების დაცვასთან. შრომის ბაზრის ანალიზი და დამსაქმებელთა პოზიციები ადასტურებს პროგრამის შესაბამისობას პრაქტიკულ საჭიროებებთან.

პროგრამაში ინტეგრირებულია თეორიული სწავლება და პრაქტიკული კომპონენტი პარტნიორ ორგანიზაციებში, რაც ზრდის სტუდენტთა პროფესიულ მზაობას და დასაქმების შესაძლებლობებს. აღნიშნული მიდგომა სრულ შესაბამისობაშია აკადემიის ხედვასთან, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლებას, შრომის ბაზართან მჭიდრო კავშირსა და უწყვეტი განათლების განვითარებას.

საწყობის ოპერირება თანამედროვე ბიზნესისა და ლოგისტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. მისი ეფექტური მართვა განსაზღვრავს პროდუქციის მიწოდების სისწრაფეს, ხარჯების ოპტიმიზაციასა და მომხმარებლის კმაყოფილებას. სატრანსპორტო სისტემა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და ლოგისტიკა მსოფლიო ეკონომიკის ხერხემალი და მთავარი მამოძრავებელი ძალაა ყველა სექტორისთვის, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო, საწარმოო თუ სერვისის მიმწოდებელი ინდუსტრიებისთვის. გამომდინარე იქედან, რომ საქართველოსთვის ერთ ერთი მნიშვნელოვანი სექტორია საზღვაო და სახმელეთო გადაზიდვები, რასაც ყოველწლიურად მზარდი მაჩვენებლები ადასტურებს, ხოლო მიწოდების ჯაჭვის მნიშვნელოვანი ნაწილია საწყობი, საწყობის ოპერირების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება პირდაპირ კავშირშია მისიით გაცხადებულ პუნქტებთან.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2024 წლის ანალიზით ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა რიცხოვნობამ 69,352 ადამიანი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 4.2%-ით აღემატება. აღნიშნულ სექტორში დასაქმებულთა წილი ბიზნეს სექტორში დასაქმების 8.4%-ია. დასაქმებულთა განაწილება რეგიონების მიხედვით შემდეგია: თბილისი - 58.9%; აჭარა - 11.9%, სამეგრელო ზემო სვანეთი - 11.5%. სხვა დანარჩენი რეგიონების ცალკე აღებული წილი 5%-ს არ აღემატება. ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა ყველაზე მაღალი წილი სახმელეთო ტრანსპორტზე მოდის (66.4%). მას მოჰყვება დასაწყობება და დამხმარე სატრანსპორტო საქმიანობები (25.3%). შრომის ბაზრის შესწავლის შედეგებით გამოიკვეთა, პრიორიტეტული პროფესიები, რომლებიც საჭიროებენ ბაზრის მოთხოვნებზე მორგებას, მათ შორის ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში. კვლევებით დგინდება, რომ დაგეგმილი საინვესტიციო პროექტების განხორციელების შემთხვევაში, გადაზიდვების ზრდის პარალელურად არსებულ ბაზარზე გაიზრდება მოთხოვნა ლოგისტიკურ ჯაჭვში ჩართულ სპეციალისტებზე, მათ შორის საწყობის ოპერირების სპეციალისტებზე. მოთხოვნა აღნიშნულ სპეციალობაზე აქტუალურია, რასაც ხელს უწყობს დასავლეთ საქართველოში საზღვაო ინფრასტრუქტურის (ბათუმის, ფოთის, ყულევის ნავსადგურები, სუფსის ტერმინალი, ანაკლიის ნავსადგურის მშენებლობა) და ლოგისტიკური სექტორის განვითარება.

შუა დერეფანი ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო მარშრუტის (ტრასეკა) მნიშვნელოვანი ნაწილია, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ფიგურანტი არის საქართველო. კვლევებმა ცხადყო, რომ დერეფნის მთელი სიმძლავრით ამოქმედებისათვის საჭიროა სატრანსპორტო-ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის სრულყოფა, რაც გაზრდის ინტერესს და შესაბამისად მოთხოვნას სატვირთო გადაზიდვებში ჩართული სპეციალისტების მიმართ, მათ შორის საწყობის ოპერირების სპეციალისტებზე. ზოგადად სატრანსპორტო და მათ შორის საზღვაო ინდუსტრიაში დიდია მოთხოვნა ლოგისტიკაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებზე. დამსაქმებელთა ფორუმებზე, რომლებიც იმართება საზღვაო აკადემიის ორგანიზებით აღნიშნული სპეციალისტების მოთხოვნას სატრანსპორტო ინდუსტრიის წარმომადგენლებიც ადასტურებენ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი ლოგისტიკა და პორტის მენეჯმენტი, რომლითაც განსაზღვრული იყო საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში, საზღვაო აკადემიაში ერთერთი წარმატებულ და მოთხოვნად სპეციალისტებს ამზადებდა, დღეისათვის ჩანაცვლდა ორი პროფესიული სტანდარტით საწყობის ოპერირების სპეციალისტი და საწყობის ოპერატორი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერატორის პროგრამაზე სწავლის მსურველი აპლიკანტები გადანაწილდებიან აღნიშნულ პროგრამებზე, რაც დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით რეგიონის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე დაინტერესებული პირების მომართვით, რადგან საწყობის ოპერირების სპეციალისტის დასაქმების არეალი რეგიონის რეალობას ეხმაურება და მიმართულია არსებული შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, კერძოდ ესაა: ტვირთების გადამზიდავი ექსპედიტორული და სატრანსპორტო - ლოგისტიკური ფირმები, საბაჟო-სატრანსპორტო მომსახურების საწარმოები, სატრანსპორტო-ლოგისტიკური ასოციაციები, სატრანსპორტო და საექსპედიციო ფირმები, სხვადასხვა დონის სავაჭრო-ლოგისტიკური კომპლექსები, სავაჭრო-შემსყიდველი და საშუამავლო ფირმები, მზა პროდუქციის მსხვილი სადისტრიბუტორო ფირმები, გამანაწილებელი და ლოგისტიკური ცენტრები, საბაჟო ტერმინალური კომპლექსები და სხვა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ „საწყობის ოპერირების“ პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება მიღებულია აკადემიის შიდა პოლიტიკის, ხარისხის უზრუნველყოფის წესებისა და შესაბამისი კოლეგიური ორგანოების პროცედურების დაცვით. პროგრამა შეესაბამება აკადემიის მისიას, სტრატეგიულ მიზნებსა და რეგიონული განვითარების საჭიროებებს.

ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

კერძოდ: სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საწყობის ოპერირება“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები დარეგულირებულია აკადემიის მიერ დამტკიცებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით და სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული და გამჭვირვალე წესის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე იმ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე განათლება, ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება საკმარისია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის დადგენილ ვადაში. აღნიშნული პროცესი რეგულირდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესით და ინტეგრირებულია აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში

დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით და ასახულია პროგრამის დოკუმენტში (დაშვების წინაპირობა-სრული ზოგადი განათლება) პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ეტაპზე მოწმდება კანდიდატის შესაბამისობა პროგრამის მოთხოვნებთან, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში მისი ეფექტური ჩართულობისა და შედეგებზე გასვლის შესაძლებლობას.

სასწავლო პროცესის ორგანიზება და სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა სრულად ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „საწყობის ოპერირება“, რაც უზრუნველყოფს წინარე ცოდნისა და უნარების თანმიმდევრულ განვითარებას და სწავლის შედეგების ეტაპობრივ მიღწევას. საჭიროების შემთხვევაში, აკადემია იყენებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მექანიზმს, რაც დამატებით უზრუნველყოფს სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლის პროცესში ჩართულობას და შედეგების მიღწევას პროგრამის განხორციელების ვადაში

აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები არა მხოლოდ ფორმალურად არის დადგენილი, არამედ პრაქტიკაში რეალურად გამოიყენება იმგვარად, რომ პროგრამაზე დაშვებული პირები ფლობენ იმ აუცილებელ საფუძვლებს, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს წარმატებით დაეუფლონ „საწყობის ოპერირების“ პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

უნივერსიტეტში პროფესიული პროგრამის ჩარიცხვის პროცესი რეგულირდება „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესით (ND 2-F30)“, სადაც განსაზღვრულია:

- განაცხადის მიღების წესი;
- გასაუბრების ორგანიზება და შეფასების კრიტერიუმები;
- შედეგების დაფიქსირება და სტუდენტის ჩარიცხვა ჯგუფში;
- სტატუსის მინიჭების ადმინისტრაციული პროცედურები.

ექსპერტებთან სამუშაო შეხვედრების ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ხორციელდება პროფესიული განათლების ცენტრის მიერ ჩამოყალიბებული შეფასების კომისიის მეშვეობით. აპლიკანტები გადიან მოტივაციურ გასაუბრებას, ქულები აისახება ელექტრონულ სისტემაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს შერჩევის პროცესის ობიექტურობასა და თანაბარ პირობებში განხორციელებას, უზრუნველყოფს აკადემიური და პროფესიული მოთხოვნების დაცვას, ქმნის ჯგუფების დაკომპლექტების ერთიან პრაქტიკას და საფუძველს უყრის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტებმა შეისწავლეს გასაუბრების დოკუმენტაცია და გაესაუბრნენ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით პასუხისმგებელ პირებს. წრმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების შედეგებით დადგინდა, რომ „საწყობის ოპერირების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ჩარიცხვის პროცედურები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და გამჭვირვალედ, სრულად შეესაბამება მოქმედ ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოს, უზრუნველყოფს სამართლიან შერჩევას და ქმნის რეალურ შესაძლებლობას სწავლის შედეგების მიღწევისთვის. აღნიშნული მიდგომა თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ მიმართულებებთან.
ინდიკატორი 2.1.1.2. შესაბამისობაშია

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

კერძოდ: სსიპ სასწავლო უნივერსიტეტში – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება აკადემიის მიერ დამტკიცებული შესაბამისი მეთოდოლოგიის საფუძველზე. აღნიშნული პროცესი რეგულირდება დოკუმენტით „პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესი“, რომელიც ადგენს როგორც კრიტერიუმებს, ისე გადაწყვეტილების მიღების ეტაპებს. მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ რესურსებსა და გარემოებებს, მათ შორის: სასწავლო გარემოს ტიპსა და გამტარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, პრაქტიკის კომპონენტის ხელმისაწვდომობას, პროგრამის ხანგრძლივობასა და სასწავლო გეგმის სპეციფიკას, აგრეთვე პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დადგენისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასწავლო სივრცეების რეალურ შესაძლებლობებს. კვოტა განისაზღვრება სასწავლო გარემოში არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობის მიხედვით და ეფუძნება ყველაზე შემზღუდავ რესურსს, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხიან და უსაფრთხო განხორციელებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკული კომპონენტის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა დამატებით ეფუძნება პრაქტიკის ობიექტების ხელმისაწვდომობასა და მათ მიერ განსაზღვრული სტუდენტთა მიღების შესაძლებლობებს, რაც ხელშეკრულებებით არის დადასტურებული. სამუშაოზე დაფუძნებული, დუალური ან კოოპერაციული სწავლების ფორმების შემთხვევაში, კვოტის განსაზღვრა ხორციელდება აკადემიასა და პარტნიორ ორგანიზაციებს შორის გაფორმებული შეთანხმებების პირობების შესაბამისად

დადგენილი წესის შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა თითოეულ მიღებაზე მტკიცდება აკადემიის რექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების წარდგინების საფუძველზე. აღნიშნული პრაქტიკა ქმნის სტუდენტთა რაოდენობის რეალისტური დაგეგმვის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების პროცესის ორგანიზებულობასა და სტაბილურობას.
ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება მკაფიოდ დადგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით და პრაქტიკაში ხორციელდება იმგვარად, რომ გათვალისწინებულია როგორც სასწავლო გარემოს გამტარიანობა, ისე პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის, ადგილზე ვიზუალური დათვალიერებისა და ადმინისტრაციასთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია მოქმედი მეთოდოლოგიის შესაბამისად.
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას რექტორის 2024 წლის 10 დეკემბრის #01-284 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესი, რომლის მიხედვითაც დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა (ორ ცვლაში);
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა (ორ ცვლაში);
- C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა (თუ სტუდენტებს აქვთ ინდივიდუალური სამუშაო ადგილები) ან C სასწავლო გარემოს ფართი (თუ პროფესიულ სტუდენტს არ აქვს ინდივიდუალური სამუშაო გარემო) ან პროგრამის განმახორციელებელ სასწავლო საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა ან რამდენიმე საწარმოს შემთხვევაში - ადგილების ჯამი (ორ ცვლაში);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პრაქტიკის კომპონენტის არსებობის შემთხვევაში - პრაქტიკის ობიექტის ხელმისაწვდომობა (ხელშეკრულებით დადასტურებული) და პროფესიულ სტუდენტთა განსაზღვრული რაოდენობის მომსახურების შესაძლებლობები;
- ერთი და იგივე სივრცის დაშვების შესაძლებლობა სხვადასხვა პროგრამის განხორციელებისათვის პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით;

პროფესიულ სტუდენტთა გამტარიანობა დამოკიდებულია სასწავლო გარემოზე და ის მით მეტია, რაც მეტია გარემო.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს აუცილებელია გავითვალისწინოთ შემდეგი დამატებითი ფაქტორები:

- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით დადგენილი რენტაბელობის ზღვარი;
- პროგრამის ხანგრძლივობა და სასწავლო გეგმის სპეციფიკა;
- შრომის ბაზრის მოთხოვნები და პროგრამის კონკურენტუნარიანობა.

კვოტის განსაზღვრის მნიშვნელოვანი ფაქტორია პროგრამით განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა. პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს უფლება სწავლება განახორციელოს სხვადასხვა ცვლაში, შრომის კოდექსის მოთხოვნების დაცვით.

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ „საწყობის ოპერირების“ პროგრამისთვის განსაზღვრული 20 პროფესიული სტუდენტი წარმოადგენს დასაშვებ და რეალისტურ ზღვრულ რაოდენობას. **ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია**

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში სასწავლო რესურსების, მათ შორის მასალა-ნედლეულის დაგეგმვა, მიწოდება, შენახვა და გამოყენება ორგანიზებულია წინასწარ განსაზღვრული და დოკუმენტირებული წესის შესაბამისად (პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ND 2-F03 (დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 21 ივლისს № 01-142 ბრძანებით) მუხლი 23. სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების წესი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსების შესაბამისობას პროგრამების შინაარსთან, სწავლების მეთოდებთან და თითოეული მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.

დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ მოდულების განხორციელებისათვის დამტკიცებული აქვს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და რესურსების სია, რომლებიც უზრუნველყოფს მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებულია მოდულების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი, რომელთა შინაარსი შესაბამისობაშია შესაბამისი მოდულის სწავლის შედეგებთან.

სასწავლო პროცესის მასალებითა და ნედლეულით უზრუნველყოფა ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობისა და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით. რესურსების შერჩევა ეფუძნება მოდულების მოთხოვნებს და მიმართულია იმ პრაქტიკული ცოდნისა და უნარების განვითარებაზე, რომლებიც განსაზღვრულია პროგრამებით. აკადემია უზრუნველყოფს, რომ პროფესიულ სტუდენტებს ჰქონდეთ საჭირო რაოდენობისა და ხარისხის სასწავლო მასალაზე წვდომა, რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის უწყვეტობასა და შედეგიანობას.

მასალა-ნედლეულის შენახვა და გამოყენება ხორციელდება უსაფრთხოების, ჰიგიენური და გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვით. განსაზღვრული პასუხისმგებელი პირების ჩართულობით უზრუნველყოფილია რესურსების მიზნობრივი და რაციონალური გამოყენება, რაც ამცირებს როგორც არასათანადო მოხმარების, ისე სასწავლო პროცესის შეფერხების რისკებს. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მასწავლებლები უზრუნველყოფენ რესურსების გამოყენებას სწავლების მიზნების შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში ახდენენ მათი გამოყენების ადაპტაციას სასწავლო პროცესის დინამიკისა და სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

ამასთან, აკადემიაში დადგენილია სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის რეგულაცია (მუხლი 24. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის წესი), რაც უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაცვას და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შენარჩუნებას. მასალა-ნედლეულის გამოყენების სრული ციკლი -მიწოდებიდან უტილიზაციამდე - ორგანიზებულია ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა და პრაქტიკული კომპონენტების ხარისხიანი განხორციელება.

დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ მოდულების განხორციელებისათვის დამტკიცებული აქვს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და რესურსების სია, რომლებიც უზრუნველყოფს მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებულია მოდულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი, რომელთა შინაარსი შესაბამისობაშია შესაბამისი მოდულის სწავლის შედეგებთან.

ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საწყობის ოპერირება" არ მოიცავს არჩევით მოდულს.

ინდიკატორი 2.1.1.5 შესაბამისობაშია

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების პროცედურა რეგულირდება უნივერსიტეტის წესდებითა და შიდა ნორმატიული აქტებით. წესდების მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე და მათ ცვლილებებზე პასუხისმგებელი პირი არის რექტორი. აღნიშნული უფლებამოსილება განსაზღვრულია აკადემიის წესდებაში (მუხლი 7. პუნქტი 3. აკადემიის რექტორი კანონმდებლობისა და ამ წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში: დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულების წარდგინებით ამტკიცებს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებს) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესით ND 2-F09-01 (დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებით) პუნქტი 9. ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს რექტორი ბრძანებით.

„საწყობის ოპერირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია შესაბამისი სამუშაო ჯგუფის წარდგინებით რექტორის მიერ №05-141 26/09/2025 წ. ექსპერთა ჯგუფი გაეცნო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ ჯგუფის შექმნის ბრძნებას და შემუშავების პროცესის ამსახველ დოკუმენტაციას.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის დამტკიცების პროცედურა სრულად შეესაბამება წესდებით განსაზღვრულ უფლებამოსილებასა და გადაწყვეტილების მიღების ფორმატს. პროცესი არის ფორმალურად გამართული, გამჭვირვალე და უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცდეს შესაბამისი ორგანოს მიერ, სათანადო დასაბუთებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისობაშია

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს პროგრამის შინაარსობრივ მიმართულებას და სრულ შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან. პროგრამის სტრუქტურა აგებულია ისე, რომ ეტაპობრივად ფარავს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობისათვის აუცილებელ ყველა ძირითად კომპონენტს – ორგანიზაციულ, სამართლებრივ, დაგეგმვის, დოკუმენტირების, განხორციელებისა და კონტროლის მიმართულებებს.

პროგრამა მოიცავს შემდეგ მოდულებს:

- საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და სასაწყობო ოპერაციები;
- საწყობის ოპერირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და რეგულაციები;
- საქონლის მიღება საწყობში;
- საწყობში საქონლის ტრანსპორტირება;
- საქონლის დასაწყობება;
- საქონლის აგროვება;
- საწყობიდან საქონლის გაცემა;
- საწყობში საქონლის აღრიცხვა.

აღნიშნული მოდულები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შემდეგი სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ, პროფესიულ სტუდენტს შეუძლია:

- აღწეროს საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და საწყობის ოპერაციები;
- აღწეროს სასაწყობო ოპერაციებთან დაკავშირებული კანონმდებლობა და უსაფრთხოების ნორმები;
- მიიღოს საქონელი საწყობში;
- განახორციელოს საქონლის ტრანსპორტირება საწყობში;
- დაასაწყობოს საქონელი;
- ააგროვოს საქონელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- გასცეს საქონელი საწყობიდან;
- აღრიცხოს საქონელი საწყობში.

მოდულების შინაარსი და მათთან დაკავშირებული სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას და სრულად მოიცავს სატრანსპორტო-საექსპედიტორო სფეროში დასაქმებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება არის შინაარსობრივად გამართლებული, ზუსტი და არ ქმნის შეცდომაში შემყვან წარმოდგენას პროგრამის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებით.

ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და აკადემიის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების სრული დაცვით. პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის თანახმად (ND 2-F09-01; დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებით) პროგრამა დამტკიცებულია აკადემიის რექტორის შესაბამისი ბრძანებით (№05-141 26/10/2025 წ. ბრძანება), პროგრამების დამტკიცების აქტის საფუძველზე, და სრულად შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასთან, შინაარსთან და განხორციელების პროცედურებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. შესაბამისად, პროგრამა აკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ ყველა მოთხოვნას.

პროგრამა დამტკიცებულია აკადემიის რექტორის მიერ. იგი ეფუძნება საგანმანათლებლო სტანდარტს „საწყობის ოპერირება; Warehousing.“ პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების დეტალური აღწერა, შეფასების მიმართულებები, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. მოდულების ბლოკში ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. შესაბამისად, ქართული ენის მოდულების გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე გამოცდის ან/და ტესტირების ჩაბარების გზით კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნული პირებისათვის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით („ქართული ენა A2" და „ქართული ენა" B1 მოდულები).

პროგრამის შემუშავების ეტაპზე გათვალისწინებული იქნა შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, დამსაქმებელთა საჭიროებები და დარგის განვითარების ტენდენციები, ამავე დროს, განსაზღვრულია პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა აკადემიის მიერ დამტკიცებული პროფესიული სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხიან განხორციელებასა და რესურსების ადეკვატურ განაწილებას.

ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით "საწყობის ოპერირება" დამტკიცებული რექტორის №05-141 26/10/2025 წ. ბრძანებით;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი ND 2-F09-01 დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებით;
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ND 2-F03 (დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 21 ივლისს № 01-142 ბრძანებით);
- სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების წესი;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა ND 2-O06-01(დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2024 წლის 22 თებერვლის ბრძანებით № 01-58);
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით;
- სამუშაო შეხვედრების ფურცლებით;
- სამსახურებრივი ბარათებით;
- აკადემიის მისია, ხედვა, ღირებულებებით - განთავსებული ვებგვერდზე https://bsma.edu.ge/page/akademiis-misia-xedva-girebulebebi;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „საწყობის ოპერირება“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის დასაბუთება;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება აკადემიის შესაბამის სასწავლო სივრცეებში, სადაც უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და საგანმანათლებლო გარემო. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა დაწესებულებისა და პარტნიორი კომპანიის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია. სწავლებისათვის დაწესებულებას გააჩნია:

ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. #53- 20 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი სასწავლო გარემო A, აუდიტორია N3002:

- პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) - 1 ც
- პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი - 1ც
- პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) - 20 ც
- დემონსტრირების საშუალება - 1ც
- დაფა - 1 ც

ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. #53, 20 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი სასწავლო გარემო B, აუდიტორია N3007:

- პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) - 1 ც;
- პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი (ტვირთების გადაზიდვების მართვის კომპიუტერული პროგრამით) - 20 ც ;
- პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი (ტვირთების გადაზიდვების მართვის კომპიუტერული პროგრამით) - 1ც;
- პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) - 20 ც ;
- დემონსტრირების საშუალება - 1ც;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დაფა - 1 ც.

პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობები:

- შპს ,,სუბტროპიკი“ – ერთდროულად შეუძლია პრაქტიკაზე 20 პროფესიული სტუდენტის მიღება სხვადასხვა ცვლაში;
- შპს ,,ნოვა“ - ერთდროულად შეუძლია პრაქტიკაზე 20 პროფესიული სტუდენტის მიღება სხვადასხვა ცვლაში.

პრაქტიკის ხელშეკრულებაში მითითებულია მოდულები და სწავლის შედეგები (მოდული: საქონლის დასაწყობება, სწავლის შედეგი 2-ტვირთების დაცულობის უზრუნველყოფა; მოდული: საქონლის აგროვება, სწავლის შედეგი 2-საქონლის აგროვება და მოდული საწყობში საქონლის ტრანსპორტირება, სწავლის შედეგი 1-შიდა ტრანსპორტირებისთვის საქონლის მომზადება და სწავლის შედეგი 2-საქონლის შიდა ტრანსპორტირება) რომელთა მიღწევა ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე. ხელშეკრულების დანართში მოცემულია ის მასალა-ნედლეული რაც გამოიყენება სწავლების პროცესში. პრაქტიკის ობიექტის მიერ გამოყოფილია შესაბამისი კვალიფიკაციი მქონე პირი. პარტნიორების მხრიდან არსებული რესურსები სრულ შესაბამისობაშია მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, რაც ექსპერტების ვიზუალური დათვალიერებითაც დადასტურდა.

პროფესიულ საგანმამათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება 20 პროფესიული სტუდენტით ერთ მიღებაზე. მიმდინარე სტუდენტების რაოდენობა არის 20.

პრაქტიკის წარმართვაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებისა და სასწავლო გარემოს დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტის მატერიალური ბაზა, პარტნიორი ობიექტების რესურსი, რესურსების ხელმისაწვდომობა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროგრამის ხანგძლივობის (ორი წელი), სასწავლო გარემოს, აღჭურვილობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის გათვალისწინებით დაგეგმილია პროგრამის ფარგლებში სულ ერთი ჯგუფის მიღება.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური და სასწავლო რესურსები არის რეალისტურად დაგეგმილი, ფაქტობრივად ხელმისაწვდომი და სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებსა და შინაარსთან.

ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის წარმოდგენილია წინასწარ გაფორმებული ხელშეკრულებები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ და სტაბილურ განხორციელებას.

პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტს ჰყავს ჯამში 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან:

- 7 მასწავლებელი ახორციელებს ზოგად მოდულებს;
- 7 პროფესიული განათლების მასწავლებელი პასუხისმგებელია პროგრამის პროფესიულ მოდულებზე.

ასეთი სტრუქტურა პროგრამის შინაარსობრივ მრავალფეროვნებას აერთიანებს და უზრუნველყოფს როგორც ზოგადი კომპეტენციების, ისე ლოგისტიკის სფეროში სპეციფიკური უნარების სრულფასოვან მიწოდებას.

ჩანაცვლებადობა და რესურსების მდგრადობა

მოდულების მიხედვით უნივერსიტეტს ჰყავს მოდულზე ორი განმახორციელებელი მასწავლებელი, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს სრულფასოვნად ჩაანაცვლებენ. ეს ქმნის:

- პროგრამის უწყვეტობის გარანტიას;
- მოსალოდნელი რისკების მინიმიზაციას;
- მოდულების შესრულების დროულ უზრუნველყოფას.

ექსპერტთა შეფასებით, რესურსების ასეთი განაწილება წარმოადგენს კარგი პრაქტიკის მაგალითს.

მასწავლებელთა დატვირთვა

წარდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ, ყველა განმახორციელებელი მასწავლებლის დატვირთვა შეესაბამება „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს. კვირაში საერთო სამუშაო დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. განაწილება ოპტიმალურია და არ ქმნის გადატვირთვის ან პროცესის შეფერხების ალბათობას.

პროგრამას დამატებული აქვს განმახორციელებელი პერსონალის სია, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, „საწყობის ოპერირების“ პროგრამისათვის წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და დატვირთვის განაწილება საკმარისია, რეალისტურია და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად, უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას.

ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებულმა გასაუბრებამ და მათი პირადი საქმეების შესწავლამ დაადასტურა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული განათლების მასწავლებლები სრულად აკმაყოფილებენ „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ კვალიფიკაციასა და პროფესიულ მოთხოვნებს.

მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია პროგრამის პროფილის შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის: შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები; ლოგისტიკის სფეროში სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები; ასევე პროფესიული პრაქტიკის დამადასტურებელი დოკუმენტები პარტნიორი ორგანიზაციებიდან. წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფლობს როგორც თეორიული ცოდნის გადაცემის, ისე პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის აუცილებელ პროფესიულ კომპეტენციებს.

პრაქტიკული გამოცდილება და პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობა

დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებს აქვთ პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება ლოგისტიკური პროფილის მქონე ორგანიზაციებში, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს სასწავლო პროცესის პრაქტიკულ ორიენტაციას. ამასთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან მოწვეული სპეციალისტები – პარტნიორი ორგანიზაციების მოქმედი თანამშრომლები, რომელთა მონაწილეობა უზრუნველყოფს სწავლების შინაარსის შესაბამისობას რეალურ სამუშაო პროცესებთან, მოქმედ რეგულაციებთან და ინდუსტრიის მიმდინარე მოთხოვნებთან.

პროფესიული განვითარების აქტიური პრაქტიკა

გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელმა მასწავლებლებმა რეგულარულად გაიარეს პროფესიული განვითარებისა და გადამზადების კურსები, მათ შორის:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები;
- უნარების განვითარების სააგენტოს ტრენინგები („სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება“);
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამები („პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით“).

აღნიშნული გადამზადების კურსები მნიშვნელოვნად აძლიერებს მასწავლებელთა პედაგოგიურ და პროფესიულ კომპეტენციებს და დადებითად აისახება მოდულების სწავლების ხარისხზე.

დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, აქტიურად არიან ჩართული: მოდულების შემუშავებისა და საჭიროების შემთხვევაში მათი ადაპტირების პროცესში; სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში; მოდულების განხორციელების მიმდინარეობის მონიტორინგში. აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს, რომ პროგრამის შინაარსი ეფუძნება კოლეგიურ თანამშრომლობასა და პრაქტიკულ პროფესიულ გამოცდილებას.

ყველა პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებელთან გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულებები, ხოლო მომდინარე მოდულის განმახორციელებლებთან შრომითი ხელშეკრულებები, რომლებშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული სამართლებრივად მოთხოვნილი ძირითადი პირობები, კონკრეტული მოდულები, სამუშაო ფუნქციები, პასუხისმგებლობები და სასწავლო დატვირთვა. დადგინდა, რომ მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, რაც შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსს.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება, პროფესიული განვითარების ისტორია და სამუშაო დატვირთვის რაციონალური განაწილება სრულად უზრუნველყოფს „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიან, უწყვეტ და მდგრად განხორციელებას. მასწავლებელთა კომპეტენციები პირდაპირ უწყობს ხელს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

კერძოდ: აკადემიაში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა – EP-QA პოლიტიკა“ (დანართი EP-QA1.1) განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციისა და პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპეტენციების მოთხოვნებს. დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს შესაბამისი დარგის სპეციალისტი ან/და შესაბამის სფეროში პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი, რაც უზრუნველყოფს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტების ეფექტიან მართვას.

განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის ძირითადი ფუნქციები, მათ შორის: პროგრამის შინაარსობრივი და სტრუქტურული ანალიზი; სასწავლო პროცესის გეგმებთან შესაბამისობის მონიტორინგი; სასწავლო ცხრილების დამტკიცებულ გეგმასთან შეჯერება; შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში მონაწილეობა; პროფესიული სტუდენტების კონსულტირება; სასწავლო პროცესის მონიტორინგი და მხარდაჭერა.

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის (პირადი საქმის) შესწავლისა და პროგრამის ხელმძღვანელთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ „საწყობის ოპერირების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც ფლობს პროგრამის პროფილის შესაბამის დარგობრივ კომპეტენციებს, წარმოდგენილი აქვს დადასტურებული კვალიფიკაცია და პრაქტიკული პროფესიული გამოცდილება სატრანსპორტო-საექსპედიტორო და ლოგისტიკის სფეროში. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობს როგორც პროგრამის შემუშავებისა და განახლების პროცესში, ისე მისი განხორციელების ეტაპზე.

დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებასთან ერთად, ახორციელებს დარგობრივ მოდულებს, რაც დამატებით აძლიერებს პროგრამის პრაქტიკულ სისწორეს, სწავლების რეალურ სამუშაო გარემოსთან შესაბამისობასა და სასწავლო პროცესის ხარისხს. აღნიშნული პრაქტიკა არ ქმნის გადაფარვის ან ინტერესთა კონფლიქტის რისკს, არამედ უზრუნველყოფს პროგრამის მართვისა და სწავლების პროცესის ერთიან, კოორდინირებულ განხორციელებას.

პროგრამის ხელმძღვანელი სისტემურად იყენებს პოლიტიკით განსაზღვრულ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმილ, სტრუქტურირებულ და დროულ განხორციელებას, ასევე სწავლების ხარისხის მუდმივ მონიტორინგსა და გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ მიდგომას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება და მაღალი ჩართულობა სრულად შეესაბამება EP-QA პოლიტიკის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიან, მდგრად და ხარისხზე ორიენტირებულ მართვას.

ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

კერძოდ: ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიბლიოთეკისა და დამატებითი სასწავლო სივრცეების დათვალიერება, ასევე შერჩევითი პრინციპით შეამოწმა „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსები. ბიბლიოთეკართან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე არსებული მდგომარეობა შეფასდა როგორც სანდო და მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი.

დადგინდა, რომ პროგრამის მოდულებით განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. კერძოდ, აკადემიის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია მოდულების მიხედვით შერჩეული ბეჭდური სასწავლო მასალები, რომლებიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების დაცვით და თავისუფლად ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ისე პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლებისთვის.

ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. სასწავლო მასალები ინახება სპეციალურ მყარ დისკებზე, საიდანაც შესაძლებელია მათი გადატანა, ბეჭდვა ან ელექტრონულად გამოყენება. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საჭირო მასალები მიიღონ ელექტრონული ფოსტის საშუალებით ან შესაბამისი ამონარიდები ბეჭდური სახით.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან, რაც უზრუნველყოფს „საწყობის ოპერირების“ პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტებისა და რეგულაციების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განახლებულ ვერსიებზე მუდმივ წვდომას. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლოგისტიკური საქმიანობის სფეროში მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს შესასწავლად.

აკადემიის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რაც უზრუნველყოფს მომსახურების პირობების საჯაროობას, რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას და უსაფრთხო, ორგანიზებულ სასწავლო გარემოს შექმნას.

დაწესებულები სარგებლობს საბიბლიოთეკო პროგრამით OpenBiblio, აქვს რესურსებზე წვდომა ორგანიზებულია გამჭვირვალედ როგორც ბიბლიოთეკაში, ისე სასწავლო გარემოებსა და ელექტრონული რესურსების მეშვეობითნ რაც დადებითად აისახება სასწავლო პროცესის ეფექტიანობაზე.

ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

კერძოდ: ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სასწავლო პირობები, რომლებიც გამოიყენება „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის. სასწავლო სივრცეების დათვალიერებისა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურულ პირობებს, მათ შორის ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნას.

აკადემიის იმ სასწავლო კორპუსში, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცეები, უზრუნველყოფილია მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი ხელმისაწვდომობა. კერძოდ, შენობა აღჭურვილია კიბეებზე ასასვლელი და ჩამოსასვლელი სპეციალური მოწყობილობებით, რაც უზრუნველყოფს შეზღუდული მობილობის მქონე პირების დამოუკიდებელ გადაადგილებას. ასევე, აკადემიაში ფუნქციონირებს ადაპტირებული სველი წერტილები, რომლებიც სრულად შეესაბამება უნივერსალური დიზაინის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

A და B ტიპის სასწავლო სივრცეებში შესაძლებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს ორგანიზება, მათ შორის მოსარგები სამუშაო ადგილებისა და სივრცის მოქნილი განლაგების საშუალებით. C ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც გამოიყენება „საწყობის ოპერირების“ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად, ასევე აკმაყოფილებს ბაზისური ხელმისაწვდომობის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს პრაქტიკული საქმიანობის უსაფრთხო პირობებში განხორციელებას. კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფს სამუშაო ადგილის ადაპტირებას ან საჭიროების შემთხვევაში მის მოდიფიცირებას. აკადემიას „საწყობის ოპერირების“ პროგრამაზე არ ყავს სსსმ პირები.

აკადემიის ბიბლიოთეკისა და საინფორმაციო რესურსების გამოყენება ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვისაც. ბიბლიოთეკის სივრცეებში უზრუნველყოფილია მობილობის შეზღუდვის მქონე პირების თავისუფალი გადაადგილება, ხოლო კომპიუტერული კლასები იძლევა სამუშაო ადგილის ადაპტირების ან საჭიროების შემთხვევაში მისი მოდიფიცირების შესაძლებლობას.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ უზრუნველყოფილი ინფრასტრუქტურა და სასწავლო სივრცეების ადაპტირება სრულ თანხვედრაშია პროფესიული განათლების სტანდარტის მოთხოვნებთან. „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს უსაფრთხო, ხელმისაწვდომ და ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, რაც ყველა პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს, აძლევს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.6 შესაბამისობაშია

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. დოკუმენტის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ბიუჯეტი ჩამოყალიბებულია გამჭვირვალე, ეკონომიკურად გონივრული და სტანდარტებთან შესაბამისი პრინციპებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. ბიუჯეტის სტრუქტურა და შემოსავლების ნაწილი

საპროგნოზო ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი დაფუძნებულია სწავლის საფასურზე, რომლის მოცულობა განსაზღვრულია უნივერსიტეტის ფინანსური პოლიტიკის შესაბამისად. შემოსავლის პროგნოზი ეფუძნება ზღვრული რაოდენობისა და მინიმალური დასაშვები ჯგუფის ანალიზს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

2. ხარჯვითი ნაწილი – დეტალური და რეალისტური განაწილება

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მოიცავს პროგრამის სრულფასოვანი განხორციელებისთვის აუცილებელ ყველა პოზიციას, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი;
- შრომის ანაზღაურება აკადემიური და საათობრივად მოწვეული პერსონალი;
- სახარჯი მასალები;
- კომუნალური მომსახურების ხარჯი;
- პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული ხარჯი (მივლინება, კადრების გადამზადება, ელ. პლატფორმები და სხვ.).

ხარჯების ასეთი სტრუქტურა ასახავს პროგრამის განხორციელების რეალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტობას.

ბიუჯეტირება ეფუძნება მინიმალური ჯგუფის ფორმირების პრინციპს, რაც უნივერსიტეტში განსაზღვრულია როგორც ფინანსური მდგრადობის პირობა. ანალიზის მიხედვით, „საწყობის ოპერირების“ პროგრამის **რენტაბელობის ზღვარი არის ჯგუფში 8** პროფესიული სტუდენტი, რომლის პირობებშიც პროგრამა ოპერატიულ ხარჯებს სრულად ფარავს და შესაძლებელია მისი მიმდინარეობა ხარისხის ზიანის გარეშე.

განხილული მონაცემებით დგინდება, რომ:საპროგნოზო ბიუჯეტი რეალისტურად მოიაზრებს ყველა აუცილებელ ხარჯს;

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ წარმოდგენილი „საწყობის ოპერირების“ პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი:

- სტანდარტებთან შესაბამისია;
- უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად განხორციელებას;
- გათვლილია საჭირო მინიმუმზე.

რაც აძლიერებს ფინანსური დაგეგმვის პასუხისმგებლიან მიდგომას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბიუჯეტი ასახავს უნივერსიტეტის სისტემურ მიდგომას ფინანსურ მართვაში და ქმნის საფუძველს პროგრამის ხარისხიანი და უწყვეტი რეალიზაციისთვის.

ინდიკატორი 2.2.1.7 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დოკუმენტაცია საქარტველოს საკანონმდებლო მაცნეს შესყიდვის შესახებ;
- სტრუქტურული ერთეულები, სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ვებ გვერდი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები.
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას რექტორის 2024 წლის 10 დეკემბრის #01-284 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესი
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას რექტორის 2025 წლის 26 სექტემბრის #05-141 ბრძანებით დამტკიცებული ,,საწყობის ოპერირების“ საგანმათლებლო პროგრამა
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთად და ინსტრუქტორებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

კერძოდ: ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ დამტკიცებული „პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი“, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და განვითარების ძირითად პროცესებს. დოკუმენტი ქმნის პროფესიული განათლების ხარისხის მართვის ერთიან, სისტემურ და პროცედურულად გაწერილ ჩარჩოს და უზრუნველყოფს პროცესების თანმიმდევრულ და გამჭვირვალე განხორციელებას.

დადგენილი წესების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ეფუძნება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს, მათ შორის: შრომის ბაზრის კვლევის შედეგების რეგულარულ ანალიზს; დაინტერესებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მხარეების – პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, დამსაქმებლებისა და პარტნიორი ორგანიზაციების უკუკავშირს; ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებას; ასევე პროგრამის შინაარსისა და მისაღწევი შედეგების პერიოდულ გადახედვას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამების აქტუალობისა და შესაბამისობის სისტემურ შემოწმებას როგორც შიდა, ისე გარე მოთხოვნებთან მიმართებით.

ამასთან, აკადემიაში მოქმედი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ დეტალურად განსაზღვრავს პროგრამების შიდა შეფასების პროცედურებს, შეფასების განხორციელების პერიოდულობას, ცვლილებების შეტანის წესებსა და საფუძვლებს, ასევე პროცესში ჩართული პასუხისმგებელი პირების ფუნქციებს. მეთოდოლოგიაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის სრული ლოგიკა (Plan–Do–Check–Act), რაც უზრუნველყოფს პროგრამების უწყვეტ მონიტორინგს და დაგეგმილი შედეგების მიღწევის კონტროლს.

ექსპერტებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემურად ახორციელებს ხარისხის მართვის ფუნქციებს. სამსახური ატარებს პერიოდულ კვლევებს, იყენებს წინასწარ შემუშავებულ და დამტკიცებულ კითხვარებს, აანალიზებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების შეფასებებს და ამზადებს რეკომენდაციებს პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. კვლევების შედეგები გამოიყენება როგორც მიმდინარე სასწავლო პროცესის დახვეწისა და ოპტიმიზაციისთვის, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების დაგეგმვისას.

ექსპერტთა შეფასებით, აკადემიაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციები და პრაქტიკა ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების ეფექტიან და მდგრად სისტემას, რაც ხელს უწყობს პროგრამების ხარისხის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 2.3.1.1 შესაბამისობაშია

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კერძოდ: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში შეტანილი ცვლილებების ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამების განვითარების კუთხით პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლოა განხორციელდეს ცვლილება. კერძოდ, შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

აკადემია პერიოდულად ახორციელებს ხარისხის შეფასებას, რაც მოიცავს როგორც შინაგან, ასევე გარე შეფასებებს. შეფასებისთვის გამოიყენება სტუდენტთა და მასწავლებლების უკუკავშირი, ვერიფიკაციის შედეგები, პროგრამის სხვა შეფასებები და ა.შ.

შეფასებისას განიხილება:

- სტუდენტთა სასწავლო მიზნების მიღწევა და გამოწვევები;
- სასწავლო პროცესის ეფექტიანობა და რესურსების საკმარისობა;
- ძლიერი და გაუმჯობესების საჭირო სფეროები;
- ახალი მიდგომებისა და მასალების საჭიროება;
- პროგრამის შესაბამისობა საგანმანათლებლო მიზნებთან და პროფესიულ განვითარებასთან.

შეფასების შედეგების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, აკადემია იღებს გადაწყვეტილებებს პროგრამაში ცვლილებების შესატანად შიდა რეგულაციების შესაბამისად. ცვლილებები შესაძლოა მოიცავდეს ახალი მასალების ან მეთოდების დანერგვას, სასწავლო პროცესის ორგანიზების შეცვლას ან რესურსების ოპტიმიზაციას. ყველა ცვლილება ხორციელდება შიდა რეგულაციებისა და დოკუმენტების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და სტანდარტებთან შესაბამისობას.

აკადემიის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულებას აქვს პრაქტიკა საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს პროგრამაში ცვლილება ,,საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. კონკრეტულად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ,,საწყობის ოპერირება” სწავლების გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც დაგროვდება გამოცდილება, საჭიროების შესაბამისად, განხორციელდება ცვლილებები.

ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA პოლიტიკა;
- ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილი სასწავლო გეგმა წარმოდგენილია მკაფიო, თანმიმდევრულ და ლოგიკურად გააზრებულ სტრუქტურად. დადგინდა, რომ გეგმა სრულად შეესაბამება სამუშაო სტანდარტის მოთხოვნებს და შეიცავს მის მიერ რეკომენდირებულ უმთავრეს ელემენტებს.

„საწყობის ოპერირების“ პროგრამის სასწავლო გეგმა:

- ასახავს მოდულების თანმიმდევრობას;
- განსაზღვრავს თითოეული მოდულის განხორციელების კვირობრივ განრიგს;
- უზრუნველყოფს საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების მკაფიო გაწერას.

გეგმა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას დაწყებული საბაზისო ცოდნის ფორმირებიდან, დასრულებული რესტორნის მომსახურების პრაქტიკული უნარ-ჩვევების დამუშავებამდე.

სასწავლო გეგმის საფუძველზე დგება პროფესიული სტუდენტების მეცადინეობის ცხრილი, რაც საშუალებას იძლევა:

- სწავლის პროცესის ეფექტური ორგანიზაციას;
- სამუშაო საათების სწორად გადანაწილებას;
- თეორიული და პრაქტიკული ნაწილის გონივრული გაწერას.

ეს უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების გამართულობას და მოდულების ერთმანეთთან თანხვედრას.

სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მიდგომას იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე ჩაირიცხება არაქართულენოვანი სტუდენტები. მათთვის გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულით პროგრამის დაწყება.

გამოკვლეული დოკუმენტაციისა და გასაუბრებებზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ:

- სასწავლო გეგმა არის შინაარსობრივად და სტრუქტურულად გამართული;
- მოდულების თანმიმდევრობა და განაწილება დამკვირვებელი ლოგიკით არის ჩამოყალიბებული;
- პროგრამის განხორციელება დაგეგმილია დამტკიცებული სასწავლო გეგმის სრული დაცვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას. გეგმა არის მკაფიოდ სტრუქტურირებული. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო გეგმის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.4.1.1 შესაბამისობაშია

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული სტუდენტების სტატუსის, უფლებებისა და ადმინისტრაციული პროცედურების მართვა ხორციელდება რექტორის 2023 წლის 24 იანვრის №12§17 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის“ საფუძველზე. დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს:

- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესებს;
- მობილობის განხორციელების პირობებს;
- მიღებული განათლების აღიარების პრინციპებს;
- პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს.

სტუდენტზე ორიენტირებული ადმინისტრირება

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ უნივერსიტეტი სრულად იცავს მოქმედ რეგულაციებს და პრაქტიკაში იყენებს მოქნილ, სტუდენტზე მორგებულ მიდგომებს. განხორციელებული ვიზიტისას გამოიკვეთა რამდენიმე ტიპური პრინციპი: თუ პროფესიული სტუდენტი დასაქმებულია პროგრამის პროფილის მიხედვით, უნივერსიტეტი ცდილობს, სასწავლო ცხრილი და შეფასების პროცესები ისე დაგეგმოს, რომ მათი სამუშაო გრაფიკი მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული. ეს პრაქტიკა ხელს უწყობს სტუდენტების წარმატებულ ჩართულობას და უზრუნველყოფს სწავლის პროცესის შეწყობას ყოველგვარი დამატებითი ბიუროკრატიული სირთულეების გარეშე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემა

დაწესებულებაში მოქმედი პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემა ადგენს:

- შეფასების კრიტერიუმების წინასწარ გაცნობას;
- შეფასების პროცესის ორგანიზებულობას;
- ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას.

ფუნქციონირებს როგორც მიმდინარე, ისე საბოლოო შეფასების მექანიზმები, ხოლო შეფასების ცვლილების ან გადავადების შემთხვევები ხდება განსაზღვრული წესის დაცვით.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია სრულად უზრუნველყოფს:

- პროფესიული სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცესების სწორ მართვას;
- რეალურ სტუდენტურ საჭიროებებზე მორგებულ მოქნილ მიდგომებს;
- ობიექტურ და გამჭვირვალე შეფასების პრაქტიკას.

აღნიშნული მექანიზმები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან და სტუდენტთა წარმატებაზე ორიენტირებულ მიდგომად შეიძლება ჩაითვალოს. აღნიშნულ პროგრამაზე სტატუსის შეწყვეტის და შეჩერების შემთხვევები არ ყოფილა.

ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისობაშია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული განათლების ცენტრი უზრუნველყოფს, რომ „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების პროცესში ინტეგრირებული იყოს სწავლების თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომები და სასაწყობო დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიები. აკადემიაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ქმნის შესაძლებლობას, რომ სწავლება განხორციელდეს რეალურ სამუშაო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში, რაც ხელს უწყობს პროფესიული კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის ფარგლებში აქტიურად გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქეის-სტადიები, სიტუაციური ანალიზი, პროფესიული როლების იმიტაცია, დემონსტრაციებისა და პრაქტიკული დავალებების კომბინაცია, თანასწორებს შორის სწავლების (peer-learning)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ელემენტები და ინტერაქტიური ჯგუფური მუშაობა. აღნიშნული მიდგომები სტუდენტებს საშუალებას აძლევს რეალური პროცესების ანალიზისა და პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღების უნარები განივითაროს.

პროგრამის განხორციელების პროცესში გამოიყენება იმიტირებული და სიმულაციური სასწავლო გარემოები, რომლებიც ასახავს საწყობის ოპერირების პროცესების ძირითად ეტაპებს. პრაქტიკული უნარების დასამუშავებლად გამოყენებულია შესაბამისი სასწავლო მასალები, ინვენტარი და ტექნიკური საშუალებები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ეტაპობრივ მომზადებას რეალური სამუშაო გარემოსთვის.

„საწყობის ოპერირების“ პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური ფორმით. ელექტრონული მასალები განთავსებულია აკადემიის ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებში, სასწავლო სივრცეების კომპიუტერებში და შესაბამის ციფრულ პლატფორმებზე, რაც ზრდის პროფესიული სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის შესაძლებლობას და ამარტივებს სასწავლო რესურსებზე ოპერატიულ წვდომას. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებს აქვთ ბეჭდური მასალების გამოყენების შესაძლებლობაც.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები არის თანამედროვე, დარგის სპეციფიკასთან თავსებადი და პროფესიული სტუდენტების პრაქტიკულ განვითარებაზე ორიენტირებული. სწავლების პროცესში ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს მოდერნიზაციას, ხოლო აქტიური სწავლების ფორმები ზრდის სტუდენტთა ჩართულობას და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.
ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში „საწყობის ოპერირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. აღნიშნული პრაქტიკა სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ საჭირო კომპეტენციების ეფექტიან და პრაქტიკულად ორიენტირებულ განვითარებას.
ინდიკატორი 2.4.1.3 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

კერძოდ: დაწესებულების რეგულაციებით გაწერილია სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურები, რომელიც მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე და ითვალისწინებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 32-ე მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს თუ: პროფესიულ სტუდენტს დადგენილი აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, პროფესიული სტუდენტი ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო, დროებით საჭიროებს სპეციალური საგანმანათლებლო რეჟიმს/ისგ-ს, პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობით, ფორმალური განათლების ნაწილობრივი აღიარების/დადასტურების შემთხვევაში ან სხვა შემთხვევები, როდესაც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება დგება პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვის გათვალისწინებით. ინკლუზიური სპეციალური განათლების სპეციალისტი პერიოდულად აკვირდება სტუდენტთა სასწავლო პროცესში ჩართულობას, პროგრამის განმახორციელებელი პირებისა და დაკვირვების შედეგების საფუძველზე ავსებს სპეციალურ დაკვირვების ფორმებს. ინდ/გეგმების შედგენის საჭიროების შემთხვევაში რექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფები, რომელშიც შედის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, სასწავლო პროცესის თანამშრომლები, პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებელი პირები, ასევე საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა მოწვეულ იქნას სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტი, რომლებიც სსსმ/შშმ პირის კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. სამუშაო ჯგუფის მიერ ხდება მოდულის/საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტის მოდიფიკაცია ან აკომოდაცია.

აკადემიაში საწყობის ოპერირების პროგრამაზე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება არ დამდგარა.

ინდიკატორი 2.4.1.4 ს შესაბამისობაშია.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საწყობის ოპერირება“ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს და დარგის ტექნოლოგიებს. სწავლების შედეგების მიღწევა დაგეგმილია როგორც დაწესებულების შენობაში, ასევე პარტნიორ დაწესებულებაში. აკადემიას გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა კომპანიებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების მიზნით. მემორანდუმის საგანია „საწყობის ოპერირება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კოოპერაციული სწავლების მიზნით, მოდული: საქონლის დასაწყობება, სწავლის შედეგი 2-ტვირთების დაცულობის უზრუნველყოფა; მოდული: საქონლის აგროვება, სწავლის შედეგი 2-საქონლის აგროვება და მოდული საწყობში საქონლის ტრანსპორტირება, სწავლის შედეგი 1-შიდა ტრანსპორტირებისთვის საქონლის მომზადება და სწავლის შედეგი 2-საქონლის შიდა ტრანსპორტირება- ერთობლივი განხორციელება პრაქტიკის ობიექტის ბაზაზე, რეალურ სამუშაო გარემოში სწავლის შედეგების მისაღწევად.
მემორანდუმები გაფორმებულია შემდეგ ორგანიზაციებთან:

- შპს ,,სუბტროპიკი“ – ერთდროულად შეუძლია პრაქტიკაზე 20 პროფესიული სტუდენტის მიღება სხვადასხვა ცვლაში;
- შპს ,,ნოვა“ - ერთდროულად შეუძლია პრაქტიკაზე 20 პროფესიული სტუდენტის მიღება სხვადასხვა ცვლაში.

პრაქტიკის მემორანდუმებში განსაზღვრულია თანამშრომლობის მიზნები, მხარეთა ვალდებულებები, პრაქტიკის განხორციელების დეტალები, მისაღები სტუდენტების რაოდენობები. მემორანდუმები გაფორმებულია მინიმუმ პროგრამის განხორციელების ვადით. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებს, რომელთაც გამოხატეს მემორანდუმით განსაზღვრული პირობების შესრულების მზაობა.

ინდიკატორი 2.4.1.5 შესაბამისობაშია.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკისა და განხორციელებული აქტივობების ხასიათის გათვალისწინებით. დაწესებულებაში უსაფრთხოების საკითხები არ შემოიფარგლება მხოლოდ ფორმალური ინსტრუქტაჟის ჩატარებით, არამედ ეფუძნება სისტემურ მიდგომას.
დაწესებულებას ჰყავს შრომის უსაფრთხოების პასუხისმგებელი სპეციალისტ(ებ)ი, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხოების პროცესების კოორდინაციას, მონიტორინგსა და გაუმჯობესებას. შემუშავებულია და დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და შესაბამისი შიდა რეგულაციები, რაც ქმნის ერთიან ჩარჩოს უსაფრთხოების მართვისთვის.
სასწავლო პროცესში გამოყენებული იმიტირებული/სიმულაციური გარემოები წინასწარ არის შეფასებული უსაფრთხოების კუთხით. რეგულარულად მიმდინარეობს რისკების იდენტიფიცირება და შეფასება როგორც სასწავლო, ისე ადმინისტრაციულ სივრცეებში, რის საფუძველზეც განისაზღვრება პრევენციული და კორექტიული ღონისძიებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული სტუდენტების, პროფესიული მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის ტარდება მიზნობრივი ინსტრუქტაჟები, რომლებიც მოიცავს როგორც ზოგად, ისე პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უსაფრთხოების წესებს.
ინსტრუქტაჟები დოკუმენტირდება და წარმოადგენს შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის შემადგენელ ნაწილს.
პროგრამა არ საჭიროებს დამატებით უსაფრთხოების მოთხოვნებს. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტების სწავლებას, რომელიც ხორციელდება დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, ხელშეკრულებაში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო.
აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კონტროლირებად, უსაფრთხო გარემოში და შეესაბამება მოქმედ შრომის უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.
ინდიკატორი 2.4.1.6 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საწყობის ოპერირება“ სასწავლო გეგმა;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები;
- ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან;
- პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას რექტორის 2024 წლის 10 დეკემბრის #01-284 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესი;
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას რექტორის 2025 წლის 26 სექტემბრის #05-141 ბრძანებით დამტკიცებული ,,საწყობის ოპერირების“ საგანმათლებლო პროგრამა;
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი.

შეფასება:
☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.2.1 პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და შესაბამის პირებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა რეგულირდება აკადემიის რექტორის 2024 წლის 23 თებერვლის №01-62 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“.

აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს შეფასების სისტემის ყველა არსებით კომპონენტს, მათ შორის: შეფასების ინსტრუმენტების შერჩევისა და შემუშავების პროცედურებს; შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების მიმართ მოთხოვნებს; შიდა მონიტორინგის მექანიზმებს; შეფასების ადმინისტრირების წესს; შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებულ საკითხებს; აპელაციისა და განმეორებითი შეფასების განხორციელების წესსა და ვადებს; ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის პროცედურებს. დოკუმენტში ასევე გაწერილია ნამუშევრების გასწორებისა და შეფასების ვადები და განმეორებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობები.

მარეგულირებელი წესის მიხედვით, შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს, რაც ქმნის შეფასების პროცესის სამართლებრივად და მეთოდოლოგიურად გამართულ ჩარჩოს.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელებულმა გასაუბრებებმა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან დაადასტურა, რომ შეფასების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება სრულად ეფუძნება აღნიშნული წესის მოთხოვნებს. მასწავლებლებმა განმარტეს, რომ ისინი ჯერ კიდევ მოდულის დაწყების ეტაპზე აცნობენ პროფესიულ სტუდენტებს შეფასების მიდგომებს, შეფასების ტიპებსა და კრიტერიუმებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის წინასწარ გამჭვირვალობას. ამასთან, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასება ხორციელდება მხოლოდ ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით და შეფასებამდე არანაკლებ ერთი კვირით ადრე შეფასების ინსტრუმენტი მზად არის, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას დროულად გაეცნონ შეფასების მოთხოვნებს და შესაბამისი მომზადება უზრუნველყონ.

გასაუბრებების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ პროფესიული სტუდენტები იცნობენ საკუთარ უფლებებს შეფასების პროცესში, მათ შორის შეფასების შედეგების მიღების, გასაჩივრებისა და განმეორებითი შეფასების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ შეფასების ადმინისტრირება ხორციელდება დადგენილი პროცედურების დაცვით, მათ შორის შეფასების ვადების, შეფასების შედეგების ოფიციალურად დაფიქსირებისა და სტუდენტებისთვის დროული ინფორმირების ნაწილში. გასაუბრებებისას ასევე გამოიკვეთა, რომ პერსონალი კარგად იცნობს აპელაციისა და განმეორებითი შეფასების წესს და მზად არის მისი გამოყენებისთვის საჭიროების შემთხვევაში.
წარმოდგენილი შეფასების დოკუმენტაციით და გასაუბრებების შედეგებით შეფასების სისტემა აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ინდიკატორი 2.4.2.1 შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2.2 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში შემუშავებული და დანერგილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს გამოყენებული შეფასების სისტემის შესაბამისობას პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან. აღნიშნული მექანიზმი წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის ნაწილს და დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2022 წლის 11 მარტის №4/14 გადაწყვეტილებით.

ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შეფასების სისტემის შემოწმებას სამ ძირითად მიმართულებით:

ა) შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია და ვერიფიკაცია;

ბ) შეფასების პროცესის ვერიფიკაცია;

გ) შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

მექანიზმი ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს. ვერიფიკაციის პროცესის ორგანიზება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ, შესაბამისი ვერიფიკაციის ჯგუფის ჩართულობით. განხორციელებული ვერიფიკაციის შედეგებზე ფორმდება დასკვნა, რომელიც რეკომენდაციების შემუშავების მიზნით წარედგინება პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს.

დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის განხორციელების დამადასტურებელი მტკიცებულებები, მათ შორის: ვერიფიკაციის გეგმები, შერჩევის მექანიზმები (რისკების სისტემა), ვერიფიკაციის დასკვნები და შესაბამისი დანართები. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება არა ფორმალურად, არამედ სტრუქტურირებულად და წინასწარ განსაზღვრული პროცედურების დაცვით.

ექსპერტთა მიერ შესწავლილი მასალების მიხედვით ასევე დადგინდა, რომ ვერიფიკაციის დასკვნების საფუძველზე დაწესებულებაში შედგა მაკორექტირებელი გეგმები, სადაც გაწერილია კონკრეტული ღონისძიებები, პასუხისმგებელი პირები და განხორციელების ვადები. აღნიშნული გეგმების შესრულება ექვემდებარება შემდგომ მონიტორინგს, რაც უზრუნველყოფს გამოვლენილი საკითხების რეაგირებასა და შეფასების სისტემის განვითარებას.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მოქმედი პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი ფუნქციონირებს რეგულაციის შესაბამისად, ეფუძნება მონაცემებსა და მტკიცებულებებს და ქმნის პირობებს შეფასების პროცესის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.4.2.2 შესაბამისობაშია.

2.4.2.3 პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

კერძოდ:ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და შესაბამის პირებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის პროცესი რეგულირდება მოქმედი ნორმატიული დოკუმენტით – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (მუხლები 25 და 26). აღნიშნული რეგულაციის თანახმად, შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტები, შეფასების მტკიცებულებები და შეფასების უწყისები, ექვემდებარება წინასწარ განსაზღვრული წესით აღრიცხვასა და შენახვას. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან არანაკლებ 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს როგორც პროცესის გამჭვირვალობას, ისე საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის ხელახალ გადამოწმების შესაძლებლობას.

დაწესებულების წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ აღნიშნული წესები პრაქტიკაში სრულად ხორციელდება. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა შეფასებასთან დაკავშირებული აღრიცხვის მტკიცებულებები, რომლებიც არის სტრუქტურირებულად დალაგებული, დანომრილი და მიკვლევადი. წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა შესაძლებლობას, შეფასების პროცესის თითოეული ეტაპი იყოს ადვილად იდენტიფიცირებადი კონკრეტულ პროფესიულ სტუდენტთან, მოდულთან და შეფასების ინსტრუმენტთან მიმართებით.

ექსპერტთა შეფასებით, შეფასების მონაცემების აღრიცხვისა და შენახვის არსებული პრაქტიკა უზრუნველყოფს ინფორმაციის სანდოობას, ხელმისაწვდომობასა და დაცულობას, ხოლო რეგულაციისა და პრაქტიკის თანხვედრა მიუთითებს პროცესის ორგანიზებულ და პასუხისმგებლიან განხორციელებაზე.

ინდიკატორი 2.4.2.3 შესაბამისობაშია.

2.4.2.4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადასტურდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოიყენება არა მხოლოდ მიღწეული სწავლის შედეგების დასადგენად, არამედ სტუდენტების შემდგომი აკადემიური და პროფესიული განვითარების მხარდასაჭერად. პროფესიული განათლების მასწავლებლები განმსაზღვრელი შეფასების პარალელურად აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, რაც საშუალებას იძლევა სწავლის პროცესში დროულად გამოვლინდეს სტუდენტების ძლიერი მხარეები და განვითარების საჭიროებები. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების შედეგები პერიოდულად განიხილება პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალურ ფორმატში, რაც ხელს უწყობს შეფასების პროცესის გააზრებას და სწავლის შედეგებზე ორიენტირებულ უკუკავშირს.
გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროფესიული სტუდენტის მხრიდან დამატებითი კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებლები ახორციელებენ ინდივიდუალურ კონსულტირებას. ამ პროცესში სტუდენტს მიეწოდება განმარტებები შეფასების შედეგების შესახებ, განიხილება არსებული სირთულეები და ერთობლივად განისაზღვრება სწავლების პროცესის გაუმჯობესების შესაძლო გზები. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მიდგომები განსხვავებულია სტუდენტთა პიროვნული თავისებურებებისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას.
ამასთან, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზი გამოიყენება უფრო ფართო კონტექსტშიც – შეფასების პროცესის შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია ინიცირდეს სწავლების მეთოდების ან/და შეფასების სისტემის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული წინადადებები. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს როგორც სტუდენტების ინდივიდუალურ განვითარებას, ისე სასწავლო პროცესის ხარისხის ეტაპობრივ გაუმჯობესებას.
ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება არის მიზანმიმართული, განვითარებაზე ორიენტირებული და შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ინდიკატორი 2.4.2.4 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2022 წლის 11 მარტის № 4/14 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი - ვერიფიკაცია.
- ვერიფიკაციის დოკუმენტაციით;
- შეფასების დოკუმენტაციით;
- გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ტვირთების ექსპედირება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ტვირთების ექსპედირებაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება No.05-141 26.09.2025 წ.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. N53
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

დასაბუთება

.....

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

☒ შეესაბამება	☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება	☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კერძოდ: სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია წარმოადგენს სპეციალიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს პროფესიული და უმაღლესი განათლების პროგრამებს საზღვაო და მასთან მომიჯნავე დარგებში. აკადემიის მისია ეფუძნება კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას, კვლევითი საქმიანობის განვითარებასა და მიღებული ცოდნის საზოგადოებაში გავრცელებას, თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

აკადემიის სტრატეგიული ხედვის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება ორიენტირებულია შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კომპეტენციების მქონე, პროფესიული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის უნარის, გუნდური მუშაობის, პასუხისმგებლობისა და პიროვნული პოტენციალის რეალიზაციის უნარებით აღჭურვილი კადრების მომზადებაზე. ამ მიზნების მისაღწევად, აკადემია ახორციელებს როგორც პროფესიულ, ისე უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებსა და უწყვეტი განათლების კურსებს.

საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირება და შემუშავება მიმდინარეობს აკადემიის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და დადგენილი პროცედურების შესაბამისად, დაინტერესებული მხარეების ჩართულობითა და კოლეგიური განხილვის საფუძველზე. პროგრამის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კოორდინირებული მონაწილეობა, რაც ხელს უწყობს პროგრამის შინაარსის შესაბამისობას როგორც საგანმანათლებლო სტანდარტებთან, ისე პრაქტიკულ საჭიროებებთან.

ამ კონტექსტში „ტვირთების ექსპედირების“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება თანხვედრაშია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მისიასთანა და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან. რეგიონში მომსახურების სექტორის განვითარება განაპირობებს კვალიფიციური პერსონალის მზარდ მოთხოვნას, რაც პროგრამის აქტუალურობასა და საჭიროებას ამყარებს.

პროგრამის შინაარსი პასუხობს თანამედროვე მომსახურების სექტორის მოთხოვნებს და მოიცავს იმ კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც დაკავშირებულია სერვისის ხარისხის მართვასთან, მომხმარებელთან ეფექტურ კომუნიკაციასთან, ოპერაციული პროცესების ორგანიზებასა და ჰიგიენის სტანდარტების დაცვასთან. შრომის ბაზრის ანალიზი და დამსაქმებელთა პოზიციები ადასტურებს პროგრამის შესაბამისობას პრაქტიკულ საჭიროებებთან.

პროგრამაში ინტეგრირებულია თეორიული სწავლება და პრაქტიკული კომპონენტი პარტნიორ ორგანიზაციებში, რაც ზრდის სტუდენტთა პროფესიულ მზაობას და დასაქმების შესაძლებლობებს. აღნიშნული მიდგომა სრულ შესაბამისობაშია აკადემიის ხედვასთან, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლებას, შრომის ბაზართან მჭიდრო კავშირსა და უწყვეტი განათლების განვითარებას.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2024 წლის ანალიზით ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა რიცხოვნობამ 69,352 ადამიანი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 4.2%-ით აღემატება. აღნიშნულ სექტორში დასაქმებულთა წილი ბიზნეს სექტორში დასაქმების 8.4%-ია. დასაქმებულთა განაწილება რეგიონების მიხედვით შემდეგია: თბილისი - 58.9%; აჭარა - 11.9%, სამეგრელო ზემო სვანეთი - 11.5%. სხვა დანარჩენი რეგიონების ცალკე აღებული წილი 5%-ს არ აღემატება. ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში დასაქმებულთა ყველაზე მაღალი წილი სახმელეთო ტრანსპორტზე მოდის (66.4%). მას მოჰყვება დასაწყობება და დამხმარე სატრანსპორტო საქმიანობები (25.3%). შრომის ბაზრის შესწავლის შედეგებით გამოიკვეთა, პრიორიტეტული პროფესიები, რომლებიც საჭიროებენ ბაზრის მოთხოვნებზე მორგებას, მათ შორის ტრანსპორტირებისა და დასაწყობების სექტორში. კვლევებით დგინდება, რომ დაგეგმილი საინვესტიციო პროექტების განხორციელების შემთხვევაში, გადაზიდვების ზრდის პარალელურად არსებულ ბაზარზე გაიზრდება მოთხოვნა ლოგისტიკურ ჯაჭვში ჩართულ სპეციალისტებზე: სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორი, სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის სპეციალისტი, ნავსადგურში მომუშავე დამხმარე პერსონალი, საზღვაო ბიზნესის მართვის სპეციალისტი. მოთხოვნა აღნიშნულ სპეციალობაზე აქტუალურია, რასაც ხელს უწყობს დასავლეთ საქართველოში საზღვაო ინფრასტრუქტურის (ბათუმის, ფოთის, ყულევის ნავსადგურები, სუფსის ტერმინალი, ანაკლიის ნავსადგურის მშენებლობა) და ლოგისტიკური სექტორის განვითარება.

შუა დერეფანი ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო მარშრუტის (ტრასეკა) მნიშვნელოვანი ნაწილია, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ფიგურანტი არის საქართველო. კვლევებმა ცხადყო, რომ დერეფნის მთელი სიმძლავრით ამოქმედებისათვის საჭიროა სატრანსპორტო-ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის სრულყოფა, რაც გაზრდის ინტერესს და შესაბამისად მოთხოვნას სატვირთო გადაზიდვებში ჩართული სპეციალისტების მიმართ: ტვირთების გადამზიდავი ექსპედიტორული და სატრანსპორტო - ლოგისტიკური ფირმები, საბაჟო-სატრანსპორტო მომსახურების საწარმოები, სატრანსპორტო-ლოგისტიკური ასოციაციები, სატრანსპორტო და საექსპედიციო ფირმები, ლოგისტიკური ცენტრები, საბაჟო ტერმინალური კომპლექსები, ესაა მცირე ჩამონათვალი სამუშაო ადგილებისა, სადაც შესაძლებელია პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმება.

დამსაქმებელთა ფორუმებზე, რომლებიც იმართება საზღვაო აკადემიის ორგანიზებით, გამოიკვეთა, რომ დიდია მოთხოვნა ლოგისტიკაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციიის მქონე სპეციალისტებზე. აღნიშნული სპეციალისტების მოთხოვნას სატრანსპორტო ინდუსტრიის წარმომადგენლებიც ადასტურებენ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი ლოგისტიკა და პორტის მენეჯმენტი, რომლითაც განსაზღვრული იყო საშუალო და უმარლესი პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში, საზღვაო აკადემიაში ერთერთი წარმატებულ და მოთხოვნად სპეციალისტებს ამზადებდა. დღეისათვის ჩანაცვლდა ორი პროფესიული სტანდარტით ტვირთების ექსპედირების სპეციალისტი და საწყობის ოპერატორი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის ოპერატორის პროგრამაზე სწავლის მსურველი აპლიკანტები გადანაწილდებიან აღნიშნულ პროგრამებზე, რაც დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით რეგიონის ფარგლებში გამართულ ფორუმებზე დაინტერესებული პირების მომართვით, რადგან ტვირთების ექსპედირების სპეციალისტის დასაქმების არეალი რეგიონის რეალობას ეხმაურება და მიმართულია არსებული შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, კერძოდ ესაა: ტვირთების გადამზიდავი ექსპედიტორული და სატრანსპორტო - ლოგისტიკური ფირმები, სატრანსპორტო-ლოგისტიკური ასოციაციები, სატრანსპორტო და საექსპედიტორო ფირმები, სხვადასხვა დონის სავაჭრო-ლოგისტიკური კომპლექსები, სავაჭრო-შემსყიდველი და საშუამავლო ფირმები და სხვა.

საქართველოს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის მნიშვნელოვანია ქვეყნის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სწრაფი განვითარება, რაც გულისხმობს ეროვნული ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მზარდ სისტემას, ახალ სარკინიგზო მარშრუტებს, საერთაშორისო აეროპორტებსა და გაფართოებულ საზღვაო ნავსადგურებს/ტერმინალებს. ლოგისტიკური ცენტრების მშენებლობა, სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან ერთად, ხელს შეუწყობს ლოგისტიკური სერვისების განვითარებას. ამიტომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - ტვირთების ექსპედირების საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე შესაბამისი უნარების მქონე პირი მოთხოვნადი იქნება რეგიონის და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ „ტვირთების ექსპედირების“ პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება მიღებულია აკადემიის შიდა პოლიტიკის, ხარისხის უზრუნველყოფის წესებისა და შესაბამისი კოლეგიური ორგანოების პროცედურების დაცვით. პროგრამა შეესაბამება აკადემიის მისიას, სტრატეგიულ მიზნებსა და რეგიონული განვითარების საჭიროებებს.

ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

კერძოდ: სსიპ სასწავლო უნივერსიტეტში – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ტვირთების ექსპედირება“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები დარეგულირებულია აკადემიის მიერ დამტკიცებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით და სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული და გამჭვირვალე წესის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე იმ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე განათლება, ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება საკმარისია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის დადგენილ ვადაში. აღნიშნული პროცესი რეგულირდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესით და ინტეგრირებულია აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში

დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით და ასახულია პროგრამის დოკუმენტში (დაშვების წინაპირობა-სრული ზოგადი განათლება) პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ეტაპზე მოწმდება კანდიდატის შესაბამისობა პროგრამის მოთხოვნებთან, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში მისი ეფექტური ჩართულობისა და შედეგებზე გასვლის შესაძლებლობას.

სასწავლო პროცესის ორგანიზება და სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა სრულად ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ტვირთების ექსპედირება“, რაც უზრუნველყოფს წინარე ცოდნისა და უნარების თანმიმდევრულ განვითარებას და სწავლის შედეგების ეტაპობრივ მიღწევას. საჭიროების შემთხვევაში, აკადემია იყენებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მექანიზმს, რაც დამატებით უზრუნველყოფს სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლის პროცესში ჩართულობას და შედეგების მიღწევას პროგრამის განხორციელების ვადაში

აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები არა მხოლოდ ფორმალურად არის დადგენილი, არამედ პრაქტიკაში რეალურად გამოიყენება იმგვარად, რომ პროგრამაზე დაშვებული პირები ფლობენ იმ აუცილებელ საფუძვლებს, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს წარმატებით დაეუფლონ „ტვირთების ექსპედირების“ პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უნივერსიტეტში პროფესიული პროგრამის ჩარიცხვის პროცესი რეგულირდება „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესით (ND 2-F30)“, სადაც განსაზღვრულია:

- განაცხადის მიღების წესი;
- გასაუბრების ორგანიზება და შეფასების კრიტერიუმები;
- შედეგების დაფიქსირება და სტუდენტის ჩარიცხვა ჯგუფში;
- სტატუსის მინიჭების ადმინისტრაციული პროცედურები.

ექსპერტებთან სამუშაო შეხვედრების ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ხორციელდება პროფესიული განათლების ცენტრის მიერ ჩამოყალიბებული შეფასების კომისიის მეშვეობით. აპლიკანტები გადიან მოტივაციურ გასაუბრებას, ქულები აისახება ელექტრონულ სისტემაში.

აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს შერჩევის პროცესის ობიექტურობასა და თანაბარ პირობებში განხორციელებას, უზრუნველყოფს აკადემიური და პროფესიული მოთხოვნების დაცვას, ქმნის ჯგუფების დაკომპლექტების ერთიან პრაქტიკას და საფუძველს უყრის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

„ტვირთების ექსპედირების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ჩარიცხვის პროცედურები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და გამჭვირვალედ, სრულად შეესაბამება მოქმედ ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოს, უზრუნველყოფს სამართლიან შერჩევას და ქმნის რეალურ შესაძლებლობას სწავლის შედეგების მიღწევისთვის. აღნიშნული მიდგომა თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ მიმართულებებთან.

ინდიკატორი 2.1.1.2. შესაბამისობაშია

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

კერძოდ: სსიპ სასწავლო უნივერსიტეტში – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება აკადემიის მიერ დამტკიცებული შესაბამისი მეთოდოლოგიის საფუძველზე. აღნიშნული პროცესი რეგულირდება დოკუმენტით „პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესი“, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადგენს როგორც კრიტერიუმებს, ისე გადაწყვეტილების მიღების ეტაპებს. მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ რესურსებსა და გარემოებებს, მათ შორის: სასწავლო გარემოს ტიპსა და გამტარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, პრაქტიკის კომპონენტის ხელმისაწვდომობას, პროგრამის ხანგრძლივობასა და სასწავლო გეგმის სპეციფიკას, აგრეთვე პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დადგენისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასწავლო სივრცეების რეალურ შესაძლებლობებს. კვოტა განისაზღვრება სასწავლო გარემოში არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობის მიხედვით და ეფუძნება ყველაზე შემზღუდავ რესურსს, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხიან და უსაფრთხო განხორციელებას

პრაქტიკული კომპონენტის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა დამატებით ეფუძნება პრაქტიკის ობიექტების ხელმისაწვდომობასა და მათ მიერ განსაზღვრული სტუდენტთა მიღების შესაძლებლობებს, რაც ხელშეკრულებებით არის დადასტურებული. სამუშაოზე დაფუძნებული, დუალური ან კოოპერაციული სწავლების ფორმების შემთხვევაში, კვოტის განსაზღვრა ხორციელდება აკადემიასა და პარტნიორ ორგანიზაციებს შორის გაფორმებული შეთანხმებების პირობების შესაბამისად

დადგენილი წესის შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა თითოეულ მიღებაზე მტკიცდება აკადემიის რექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების წარდგინების საფუძველზე. აღნიშნული პრაქტიკა ქმნის სტუდენტთა რაოდენობის რეალისტური დაგეგმვის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების პროცესის ორგანიზებულობასა და სტაბილურობას.
ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება მკაფიოდ დადგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით და პრაქტიკაში ხორციელდება იმგვარად, რომ გათვალისწინებულია როგორც სასწავლო გარემოს გამტარიანობა, ისე პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის, ადგილზე ვიზუალური დათვალიერებისა და ადმინისტრაციასთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია მოქმედი მეთოდოლოგიის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას რექტორის 2024 წლის 10 დეკემბრის #01-284 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესი, რომლის მიხედვითაც დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა (ორ ცვლაში);
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა (ორ ცვლაში);
- C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა (თუ სტუდენტებს აქვთ ინდივიდუალური სამუშაო ადგილები) ან C სასწავლო გარემოს ფართი (თუ პროფესიულ სტუდენტს არ აქვს ინდივიდუალური სამუშაო გარემო) ან პროგრამის განმახორციელებელ სასწავლო საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა ან რამდენიმე საწარმოს შემთხვევაში - ადგილების ჯამი (ორ ცვლაში);
- პრაქტიკის კომპონენტის არსებობის შემთხვევაში - პრაქტიკის ობიექტის ხელმისაწვდომობა (ხელშეკრულებით დადასტურებული) და პროფესიულ სტუდენტთა განსაზღვრული რაოდენობის მომსახურების შესაძლებლობები;
- ერთი და იგივე სივრცის დაშვების შესაძლებლობა სხვადასხვა პროგრამის განხორციელებისათვის პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით;

პროფესიულ სტუდენტთა გამტარიანობა დამოკიდებულია სასწავლო გარემოზე და ის მით მეტია, რაც მეტია გარემო. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს აუცილებელია გავითვალისწინოთ შემდეგი დამატებითი ფაქტორები:

- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით დადგენილი რენტაბელობის ზღვარი;
- პროგრამის ხანგრძლივობა და სასწავლო გეგმის სპეციფიკა;
- შრომის ბაზრის მოთხოვნები და პროგრამის კონკურენტუნარიანობა.

კვოტის განსაზღვრის მნიშვნელოვანი ფაქტორია პროგრამით განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა. პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს უფლება სწავლება განახორციელოს სხვადასხვა ცვლაში, შრომის კოდექსის მოთხოვნების დაცვით.

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ „ტვირთების ექსპედირების“ პროგრამისთვის განსაზღვრული 20 პროფესიული სტუდენტი წარმოადგენს დასაშვებ და რეალისტურ ზღვრულ რაოდენობას. **ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში სასწავლო რესურსების, მათ შორის მასალა-ნედლეულის დაგეგმვა, მიწოდება, შენახვა და გამოყენება ორგანიზებულია წინასწარ განსაზღვრული და დოკუმენტირებული წესის შესაბამისად (პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ND 2-F03 (დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 21 ივლისს № 01-142 ბრძანებით) მუხლი 23. სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების წესი). აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსების შესაბამისობას პროგრამების შინაარსთან, სწავლების მეთოდებთან და თითოეული მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.

დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ტვირთების ექსპედირება“ მოდულების განხორციელებისათვის დამტკიცებული აქვს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და რესურსების სია, რომლებიც უზრუნველყოფს მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებულია მოდულების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი, რომელთა შინაარსი შესაბამისობაშია შესაბამისი მოდულის სწავლის შედეგებთან.

სასწავლო პროცესის მასალებითა და ნედლეულით უზრუნველყოფა ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობისა და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით. რესურსების შერჩევა ეფუძნება მოდულების მოთხოვნებს და მიმართულია იმ პრაქტიკული ცოდნისა და უნარების განვითარებაზე, რომლებიც განსაზღვრულია პროგრამებით. აკადემია უზრუნველყოფს, რომ პროფესიულ სტუდენტებს ჰქონდეთ საჭირო რაოდენობისა და ხარისხის სასწავლო მასალაზე წვდომა, რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის უწყვეტობასა და შედეგიანობას.

მასალა-ნედლეულის შენახვა და გამოყენება ხორციელდება უსაფრთხოების, ჰიგიენური და გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვით. განსაზღვრული პასუხისმგებელი პირების ჩართულობით უზრუნველყოფილია რესურსების მიზნობრივი და რაციონალური გამოყენება, რაც ამცირებს როგორც არასათანადო მოხმარების, ისე სასწავლო პროცესის შეფერხების რისკებს. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მასწავლებლები უზრუნველყოფენ რესურსების გამოყენებას სწავლების მიზნების შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში ახდენენ მათი გამოყენების ადაპტაციას სასწავლო პროცესის დინამიკისა და სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამასთან, აკადემიაში დადგენილია სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის რეგულაცია (მუხლი 24. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის წესი), რაც უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაცვას და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შენარჩუნებას. მასალა-ნედლეულის გამოყენების სრული ციკლი -მიწოდებიდან უტილიზაციამდე - ორგანიზებულია ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა და პრაქტიკული კომპონენტების ხარისხიანი განხორციელება.

დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ტვირთების ექსპედირება“ მოდულების განხორციელებისათვის დამტკიცებული აქვს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და რესურსების სია, რომლებიც უზრუნველყოფს მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებულია მოდულების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი, რომელთა შინაარსი შესაბამისობაშია შესაბამისი მოდულის სწავლის შედეგებთან.

ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ტვირთების ექსპედირება” არ მოიცავს არჩევით მოდულს.

ინდიკატორი 2.1.1.5 შესაბამისობაშია

7. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების პროცედურა რეგულირდება უნივერსიტეტის წესდებითა და შიდა ნორმატიული აქტებით. წესდების მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე და მათ ცვლილებებზე პასუხისმგებელი პირი არის რექტორი. აღნიშნული უფლებამოსილება განსაზღვრულია აკადემიის წესდებაში (მუხლი 7. პუნქტი 3. აკადემიის რექტორი კანონმდებლობისა და ამ წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში: დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულების წარდგინებით ამტკიცებს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებს) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესით ND 2-F09-01

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებით) პუნქტი 9. ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს რექტორი ბრძანებით.

„ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია შესაბამისი სამუშაო ჯგუფის წარდგინებით რექტორის მიერ №05-141 26/09/2025 წ. ექსპერთა ჯგუფი გაეცნო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ ჯგუფის შექმნის ბრძნებას და შემუშავების პროცესის ამსახველ დოკუმენტაცია.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის დამტკიცების პროცედურა სრულად შეესაბამება წესდებით განსაზღვრულ უფლებამოსილებასა და გადაწყვეტილების მიღების ფორმატს. პროცესი არის ფორმალურად გამართული, გამჭვირვალე და უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცდეს შესაბამისი ორგანოს მიერ, სათანადო დასაბუთებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე.

ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისობაშია

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს პროგრამის შინაარსობრივ მიმართულებას და სრულ შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან. პროგრამის სტრუქტურა აგებულია ისე, რომ ეტაპობრივად ფარავს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობისათვის აუცილებელ ყველა ძირითად კომპონენტს – ორგანიზაციულ, სამართლებრივ, დაგეგმვის, დოკუმენტირების, განხორციელებისა და კონტროლის მიმართულებებს.

პროგრამა მოიცავს შემდეგ მოდულებს:

- ექსპედირების საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და ოპერაციები;
- ტვირთების ექსპედირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და რეგულაციები;
- სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის დაგეგმვა;
- სატრანსპორტო-საექსპედიტორო დოკუმენტაციის მომზადება;
- სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის განხორციელება;
- ტვირთის გადაზიდვის კონტროლი;
- სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის ხარისხის კონტროლი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული მოდულები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შემდეგი სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ, პროფესიულ სტუდენტს შეუძლია:

- აღწეროს ექსპედირების საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და ოპერაციები;
- აღწეროს ტვირთების ექსპედირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და რეგულაციები;
- დაგეგმოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობა;
- მოამზადოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო დოკუმენტაცია;
- განახორციელოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობა;
- აკონტროლოს ტვირთის გადაზიდვა;
- აკონტროლოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის ხარისხი.

მოდულების შინაარსი და მათთან დაკავშირებული სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას და სრულად მოიცავს სატრანსპორტო-საექსპედიტორო სფეროში დასაქმებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება არის შინაარსობრივად გამართლებული, ზუსტი და არ ქმნის შეცდომაში შემყვან წარმოდგენას პროგრამის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებით.

ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და აკადემიის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების სრული დაცვით. პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის თანახმად (ND 2-F09-01; დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებით) პროგრამა დამტკიცებულია აკადემიის რექტორის შესაბამისი ბრძანებით (№05-141 26/10/2025 წ. ბრძანება), პროგრამების დამტკიცების აქტის საფუძველზე, და სრულად შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასთან, შინაარსთან და განხორციელების პროცედურებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაკავშირებულ მოთხოვნებს. შესაბამისად, პროგრამა აკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ ყველა მოთხოვნას.

პროგრამა დამტკიცებულია აკადემიის რექტორის მიერ. იგი ეფუძნება საგანმანათლებლო სტანდარტს „ ტვირთების ექსპედირება; Freight forwarding“. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების დეტალური აღწერა, შეფასების მიმართულებები, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. მოდულების ბლოკში ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. შესაბამისად, ქართული ენის მოდულების გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე გამოცდის ან/და ტესტირების ჩაბარების გზით კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნული პირებისათვის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით (,,ქართული ენა A2” და ,,ქართული ენა“ B1 მოდულები).

პროგრამის შემუშავების ეტაპზე გათვალისწინებული იქნა შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, დამსაქმებელთა საჭიროებები და დარგის განვითარების ტენდენციები, ამავე დროს, განსაზღვრულია პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა აკადემიის მიერ დამტკიცებული პროფესიული სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხიან განხორციელებასა და რესურსების ადეკვატურ განაწილებას.

ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ”ტვირთების ექსპედირება“ დამტკიცებული რექტორის №05-141 26/10/2025 წ. ბრძანებით;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი ND 2-F09-01 დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ND 2-F03 (დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 21 ივლისს № 01-142 ბრძანებით);
- სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების წესი;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა ND 2-O06-01(დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2024 წლის 22 თებერვლის ბრძანებით № 01-58);
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით;
- სამუშაო შეხვედრების ფურცლებით;
- სამსახურებრივი ბარათებით;
- აკადემიის მისია, ხედვა, ღირებულებებით - განთავსებული ვებგვერდზე https://bsma.edu.ge/page/akademiis-misia-xedva-girebulebebi;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „ტვირთების ექსპედირება“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის დასაბუთება;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება აკადემიის შესაბამის სასწავლო სივრცეებში, სადაც უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და საგანმანათლებლო გარემო. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.
პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას.
პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა დაწესებულებისა და პარტნიორი კომპანიის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია. სწავლებისათვის დაწესებულებას გააჩნია:
ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. #53- 20 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი სასწავლო გარემო A, აუდიტორია N3005:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) - 1 ც
- პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი - 1ც
- პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) - 20 ც
- დემონსტრირების საშუალება - 1ც
- დაფა - 1 ც

ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. #53, 20 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი სასწავლო გარემო B, აუდიტორია N3007:

- პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) - 1 ც;
- პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი (ტვირთების გადაზიდვების მართვის კომპიუტერული პროგრამით) - 20 ც ;
- პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი (ტვირთების გადაზიდვების მართვის კომპიუტერული პროგრამით) - 1ც;
- პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) - 20 ც ;
- დემონსტრირების საშუალება - 1ც;
- დაფა - 1 ც.

ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. #53, 20 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი სასწავლო გარემო B, აუდიტორია N321:

- პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) - 1 ც;
- პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი (ტვირთების გადაზიდვების მართვის კომპიუტერული პროგრამით) - 20 ც ;
- პროფესიული მასწავლებლის კომპიუტერი (ტვირთების გადაზიდვების მართვის კომპიუტერული პროგრამით) - 1ც;
- პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი) - 20 ც ;
- დემონსტრირების საშუალება - 1ც;
- დაფა - 1 ც.

პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობები:

- შპს ,,ელ ეი ემ შიფინგ ეჯენსიზ“ – ერთდროულად შეუძლია პრაქტიკაზე 20 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- შპს ,,ნოვა“ - ერთდროულად შეუძლია პრაქტიკაზე 20 პროფესიული სტუდენტის მიღება.

პრაქტიკის ხელშეკრულებაში მითითებულია მოდულები და სწავლის შედეგები (მოდული: სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის დაგეგმვა, სწავლის შედეგი 4-სატრანსპორტო საშუალების დატვირთვის ორგანიზება; მოდული: სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის განხორციელება, სწავლის შედეგი 2-ტვირთის გადაზიდვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სწავლის შედეგი 3-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გადაზიდვების პროცესის ორგანიზება) რომელთა მიღწევა ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე. ხელშეკრულების დანართში მოცემულია ის მასალა-ნედლეული რაც გამოიყენება სწავლების პროცესში. პრაქტიკის ობიექტის მიერ გამოყოფილია შესაბამისი კვალიფიკაციი მქონე პირი. პარტნიორების მხრიდან არსებული რესურსები სრულ შესაბამისობაშია მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, რაც ექსპერტების ვიზუალური დათვალიერებითაც დადასტურდა .

პროფესიულ საგანმამათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება 20 პროფესიული სტუდენტით ერთ მიღებაზე. მიმდინარე სტუდენტების რაოდენობა არის 20.

პრაქტიკის წარმართვაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებისა და სასწავლო გარემოს დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტის მატერიალური ბაზა, პარტნიორი ობიექტების რესურსი, რესურსების ხელმისაწვდომობა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროგრამის ხანგძლივობის (ორი წელი), სასწავლო გარემოს, აღჭურვილობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის გათვალისწინებით დაგეგმილია პროგრამის ფარგლებში სულ ერთი ჯგუფის მიღება.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური და სასწავლო რესურსები არის რეალისტურად დაგეგმილი, ფაქტობრივად ხელმისაწვდომი და სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებსა და შინაარსთან.

ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის წარმოდგენილია წინასწარ გაფორმებული ხელშეკრულებები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ და სტაბილურ განხორციელებას.

პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტს ჰყავს ჯამში 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან:

- 7 მასწავლებელი ახორციელებს ზოგად მოდულებს (მათ შორის 1 მასწავლებელი ასრულებს პროფესიული მოდულების ნაწილსაც);
- 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი პასუხისმგებელია პროგრამის პროფესიულ მოდულებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასეთი სტრუქტურა პროგრამის შინაარსობრივ მრავალფეროვნებას აერთიანებს და უზრუნველყოფს როგორც ზოგადი კომპეტენციების, ისე ლოგისტიკის სფეროში სპეციფიკური უნარების სრულფასოვან მიწოდებას.

ჩანაცვლებადობა და რესურსების მდგრადობა

მოდულების მიხედვით უნივერსიტეტს ჰყავს მოდულზე ორი განმახორციელებელი მასწავლებელი, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს სრულფასოვნად ჩაანაცვლებენ. ეს ქმნის:

- პროგრამის უწყვეტობის გარანტიას;
- მოსალოდნელი რისკების მინიმიზაციას;
- მოდულების შესრულების დროულ უზრუნველყოფას.

ექსპერტთა შეფასებით, რესურსების ასეთი განაწილება წარმოადგენს კარგი პრაქტიკის მაგალითს.

წარდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ, ყველა განმახორციელებელი მასწავლებლის დატვირთვა შეესაბამება „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს. კვირაში საერთო სამუშაო დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. განაწილება ოპტიმალურია და არ ქმნის გადატვირთვის ან პროცესის შეფერხების ალბათობას.

პროგრამას ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, „ტვირთების ექსპედირების“ პროგრამისათვის წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და დატვირთვის განაწილება საკმარისია, რეალისტურია და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად, უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას.

ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებულმა გასაუბრებამ და მათი პირადი საქმეების შესწავლამ დაადასტურა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული განათლების მასწავლებლები სრულად აკმაყოფილებენ „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ კვალიფიკაციასა და პროფესიულ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია პროგრამის პროფილის შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის: შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები; სატრანსპორტო, ლოგისტიკური და ექსპედირების სფეროში სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები; ასევე პროფესიული პრაქტიკის დამადასტურებელი დოკუმენტები პარტნიორი ორგანიზაციებიდან. წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფლობს როგორც თეორიული ცოდნის გადაცემის, ისე პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის აუცილებელ პროფესიულ კომპეტენციებს.

დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებს აქვთ პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება სატრანსპორტო-საექსპედიტორო და ლოგისტიკური პროფილის მქონე ორგანიზაციებში, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს სასწავლო პროცესის პრაქტიკულ ორიენტაციას. ამასთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან მოწვეული სპეციალისტები – პარტნიორი ორგანიზაციების მოქმედი თანამშრომლები, რომელთა მონაწილეობა უზრუნველყოფს სწავლების შინაარსის შესაბამისობას რეალურ სამუშაო პროცესებთან, მოქმედ რეგულაციებთან და ინდუსტრიის მიმდინარე მოთხოვნებთან.

გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელმა მასწავლებლებმა რეგულარულად გაიარეს პროფესიული განვითარებისა და გადამზადების კურსები, მათ შორის:

- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები;
- უნარების განვითარების სააგენტოს ტრენინგები („სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება“);
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამები („პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით“).

აღნიშნული გადამზადების კურსები მნიშვნელოვნად აძლიერებს მასწავლებელთა პედაგოგიურ და პროფესიულ კომპეტენციებს და დადებითად აისახება მოდულების სწავლების ხარისხზე.

დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, აქტიურად არიან ჩართული: მოდულების შემუშავებისა და საჭიროების შემთხვევაში მათი ადაპტირების პროცესში; სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში; მოდულების განხორციელების მიმდინარეობის მონიტორინგში. აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს, რომ პროგრამის შინაარსი ეფუძნება კოლეგიურ თანამშრომლობასა და პრაქტიკულ პროფესიულ გამოცდილებას.

ყველა პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებელთან გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულებები, ხოლო მომდინარე მოდულის განმახორციელებლებთან შრომითი ხელშეკრულებები, რომლებშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული სამართლებრივად მოთხოვნილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ძირითადი პირობები, კონკრეტული მოდულები, სამუშაო ფუნქციები, პასუხისმგებლობები და სასწავლო დატვირთვა. დადგინდა, რომ მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, რაც შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსს.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება, პროფესიული განვითარების ისტორია და სამუშაო დატვირთვის რაციონალური განაწილება სრულად უზრუნველყოფს „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიან, უწყვეტ და მდგრად განხორციელებას. მასწავლებელთა კომპეტენციები პირდაპირ უწყობს ხელს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

კერძოდ: აკადემიაში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა – EP-QA პოლიტიკა“ (დანართი EP-QA1.1) განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციისა და პროფესიული კომპეტენციების მოთხოვნებს. დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს შესაბამისი დარგის სპეციალისტი ან/და შესაბამის სფეროში პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი, რაც უზრუნველყოფს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტების ეფექტიან მართვას.

განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის ძირითადი ფუნქციები, მათ შორის: პროგრამის შინაარსობრივი და სტრუქტურული ანალიზი; სასწავლო პროცესის გეგმებთან შესაბამისობის მონიტორინგი; სასწავლო ცხრილების დამტკიცებულ გეგმასთან შეჯერება; შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში მონაწილეობა; პროფესიული სტუდენტების კონსულტირება; სასწავლო პროცესის მონიტორინგი და მხარდაჭერა.

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის (პირადი საქმის) შესწავლისა და პროგრამის ხელმძღვანელთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც ფლობს პროგრამის პროფილის შესაბამის დარგობრივ კომპეტენციებს, წარმოდგენილი აქვს დადასტურებული კვალიფიკაცია და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკული პროფესიული გამოცდილება სატრანსპორტო-საექსპედიტორო და ლოგისტიკის სფეროში. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობს როგორც პროგრამის შემუშავებისა და განახლების პროცესში, ისე მისი განხორციელების ეტაპზე.

დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებასთან ერთად, ახორციელებს დარგობრივ მოდულებს, რაც დამატებით აძლიერებს პროგრამის პრაქტიკულ სისწორეს, სწავლების რეალურ სამუშაო გარემოსთან შესაბამისობასა და სასწავლო პროცესის ხარისხს. აღნიშნული პრაქტიკა არ ქმნის გადაფარვის ან ინტერესთა კონფლიქტის რისკს, არამედ უზრუნველყოფს პროგრამის მართვისა და სწავლების პროცესის ერთიან, კოორდინირებულ განხორციელებას.

პროგრამის ხელმძღვანელი სისტემურად იყენებს პოლიტიკით განსაზღვრულ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმილ, სტრუქტურირებულ და დროულ განხორციელებას, ასევე სწავლების ხარისხის მუდმივ მონიტორინგსა და გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ მიდგომას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება და მაღალი ჩართულობა სრულად შეესაბამება EP-QA პოლიტიკის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიან, მდგრად და ხარისხზე ორიენტირებულ მართვას.

ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

კერძოდ: ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიბლიოთეკისა და დამატებითი სასწავლო სივრცეების დათვალიერება, ასევე შერჩევითი პრინციპით შეამოწმა „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსები. ბიბლიოთეკართან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე არსებული მდგომარეობა შეფასდა როგორც სანდო და მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადგინდა, რომ პროგრამის მოდულებით განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. კერძოდ, აკადემიის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია მოდულების მიხედვით შერჩეული ბეჭდური სასწავლო მასალები, რომლებიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების დაცვით და თავისუფლად ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ისე პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლებისთვის.

ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. სასწავლო მასალები ინახება სპეციალურ მყარ დისკებზე, საიდანაც შესაძლებელია მათი გადატანა, ბეჭდვა ან ელექტრონულად გამოყენება. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საჭირო მასალები მიიღონ ელექტრონული ფოსტის საშუალებით ან შესაბამისი ამონარიდები ბეჭდური სახით.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან, რაც უზრუნველყოფს „ტვირთების ექსპედირების“ პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტებისა და რეგულაციების განახლებულ ვერსიებზე მუდმივ წვდომას. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სატრანსპორტო-საექსპედიტორო და ლოგისტიკური საქმიანობის სფეროში მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს შესასწავლად.

აკადემიის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რაც უზრუნველყოფს მომსახურების პირობების საჯაროობას, რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას და უსაფრთხო, ორგანიზებულ სასწავლო გარემოს შექმნას.

დაწესებულები სარგებლობს საბიბლიოთეკო პროგრამით OpenBiblio, აქვს რესურსებზე წვდომა ორგანიზებულია გამჭვირვალედ როგორც ბიბლიოთეკაში, ისე სასწავლო გარემოებსა და ელექტრონული რესურსების მეშვეობითნ რაც დადებითად აისახება სასწავლო პროცესის ეფექტიანობაზე.

ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კერძოდ: ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სასწავლო პირობები, რომლებიც გამოიყენება „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის. სასწავლო სივრცეების დათვალიერებისა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურულ პირობებს, მათ შორის ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნას.

აკადემიის იმ სასწავლო კორპუსში, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცეები, უზრუნველყოფილია მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი ხელმისაწვდომობა. კერძოდ, შენობა აღჭურვილია კიბეებზე ასასვლელი და ჩამოსასვლელი სპეციალური მოწყობილობებით, რაც უზრუნველყოფს შეზღუდული მობილობის მქონე პირების დამოუკიდებელ გადაადგილებას. ასევე, აკადემიაში ფუნქციონირებს ადაპტირებული სველი წერტილები, რომლებიც სრულად შეესაბამება უნივერსალური დიზაინის პრინციპებს.

A და B ტიპის სასწავლო სივრცეებში შესაძლებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს ორგანიზება, მათ შორის მოსარგები სამუშაო ადგილებისა და სივრცის მოქნილი განლაგების საშუალებით. C ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც გამოიყენება „ტვირთების ექსპედირების“ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად, ასევე აკმაყოფილებს ბაზისური ხელმისაწვდომობის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს პრაქტიკული საქმიანობის უსაფრთხო პირობებში განხორციელებას. კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფს სამუშაო ადგილის ადაპტირებას ან საჭიროების შემთხვევაში მის მოდიფიცირებას. აკადემიას „ტვირთების ექსპედირების“ პროგრამაზე არ ყავს სსსმ პირები.

აკადემიის ბიბლიოთეკისა და საინფორმაციო რესურსების გამოყენება ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვისაც. ბიბლიოთეკის სივრცეებში უზრუნველყოფილია მობილობის შეზღუდვის მქონე პირების თავისუფალი გადაადგილება, ხოლო კომპიუტერული კლასები იძლევა სამუშაო ადგილის ადაპტირების ან საჭიროების შემთხვევაში მისი მოდიფიცირების შესაძლებლობას.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ უზრუნველყოფილი ინფრასტრუქტურა და სასწავლო სივრცეების ადაპტირება სრულ თანხვედრაშია პროფესიული განათლების სტანდარტის მოთხოვნებთან. „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს უსაფრთხო, ხელმისაწვდომ და ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, რაც ყველა პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს, აძლევს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.6 შესაბამისობაშია

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. დოკუმენტის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ბიუჯეტი ჩამოყალიბებულია გამჭვირვალე, ეკონომიკურად გონივრული და სტანდარტებთან შესაბამისი პრინციპებით.

საპროგნოზო ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი დაფუძნებულია სწავლის საფასურზე, რომლის მოცულობა განსაზღვრულია უნივერსიტეტის ფინანსური პოლიტიკის შესაბამისად. შემოსავლის პროგნოზი ეფუძნება ზღვრული რაოდენობისა და მინიმალური დასაშვები ჯგუფის ანალიზს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მოიცავს პროგრამის სრულფასოვანი განხორციელებისთვის აუცილებელ ყველა პოზიციას, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი;
- შრომის ანაზღაურება აკადემიური და საათობრივად მოწვეული პერსონალი;
- სახარჯი მასალები;
- კომუნალური მომსახურების ხარჯი;
- პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული ხარჯი (მივლინება, კადრების გადამზადება, ელ. პლატფორმები და სხვ.).

ხარჯების ასეთი სტრუქტურა ასახავს პროგრამის განხორციელების რეალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტობას.

ბიუჯეტირება ეფუძნება **მინიმალური ჯგუფის ფორმირების პრინციპს**, რაც უნივერსიტეტში განსაზღვრულია როგორც ფინანსური მდგრადობის პირობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ანალიზის მიხედვით, „ტვირთების ექსპედირების“ პროგრამის **რენტაბელობის ზღვარი** არის ჯგუფში 11 პროფესიული სტუდენტი, რომლის პირობებშიც პროგრამა ოპერატიულ ხარჯებს სრულად ფარავს და შესაძლებელია მისი მიმდინარეობა ხარისხის ზიანის გარეშე. განხილული მონაცემებით დგინდება, რომ:საპროგნოზო ბიუჯეტი რეალისტურად მოიაზრებს ყველა აუცილებელ ხარჯს;

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ წარმოდგენილი „ტვირთების ექსპედირების“ პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი:

- სტანდარტებთან შესაბამისია;
- უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად განხორციელებას;
- გათვლილია საჭირო მინიმუმზე.

რაც აძლიერებს ფინანსური დაგეგმვის პასუხისმგებლიან მიდგომას.
ბიუჯეტი ასახავს უნივერსიტეტის სისტემურ მიდგომას ფინანსურ მართვაში და ქმნის საფუძველს პროგრამის ხარისხიანი და უწყვეტი რეალიზაციისთვის.
ინდიკატორი 2.2.1.7 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დოკუმენტაცია საქარტველოს საკანონმდებლო მაცნეს შესყიდვის შესახებ;
- სტრუქტურული ერთეულები, სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ვებ გვერდი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები.
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას რექტორის 2024 წლის 10 დეკემბრის #01-284 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას რექტორის 2025 წლის 26 სექტემბრის #05-141 ბრძანებით დამტკიცებული ,,ტვირთების ექსპედირების“ საგანმათლებლო პროგრამა
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთად და ინსტრუქტორებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

კერძოდ: ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ დამტკიცებული „პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი“, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და განვითარების ძირითად პროცესებს. დოკუმენტი ქმნის პროფესიული განათლების ხარისხის მართვის ერთიან, სისტემურ და პროცედურულად გაწერილ ჩარჩოს და უზრუნველყოფს პროცესების თანმიმდევრულ და გამჭვირვალე განხორციელებას.

დადგენილი წესების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ეფუძნება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს, მათ შორის: შრომის ბაზრის კვლევის შედეგების რეგულარულ ანალიზს; დაინტერესებული მხარეების – პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, დამსაქმებლებისა და პარტნიორი ორგანიზაციების უკუკავშირს; ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებას; ასევე პროგრამის შინაარსისა და მისაღწევი შედეგების პერიოდულ გადახედვას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამების აქტუალობისა და შესაბამისობის სისტემურ შემოწმებას როგორც შიდა, ისე გარე მოთხოვნებთან მიმართებით.

ამასთან, აკადემიაში მოქმედი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ დეტალურად განსაზღვრავს პროგრამების შიდა შეფასების პროცედურებს, შეფასების განხორციელების პერიოდულობას, ცვლილებების შეტანის წესებსა და საფუძვლებს, ასევე პროცესში ჩართული პასუხისმგებელი პირების ფუნქციებს. მეთოდოლოგიაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის სრული ლოგიკა (Plan–Do–Check–Act), რაც უზრუნველყოფს პროგრამების უწყვეტ მონიტორინგს და დაგეგმილი შედეგების მიღწევის კონტროლს.

ექსპერტებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემურად ახორციელებს ხარისხის მართვის ფუნქციებს. სამსახური ატარებს პერიოდულ კვლევებს, იყენებს წინასწარ შემუშავებულ და დამტკიცებულ კითხვარებს, აანალიზებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების შეფასებებს და ამზადებს რეკომენდაციებს პროგრამების გაუმჯობესების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიზნით. კვლევების შედეგები გამოიყენება როგორც მიმდინარე სასწავლო პროცესის დახვეწისა და ოპტიმიზაციისთვის, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების დაგეგმვისას.

ექსპერტთა შეფასებით, აკადემიაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციები და პრაქტიკა ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების ეფექტიან და მდგრად სისტემას, რაც ხელს უწყობს პროგრამების ხარისხის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 2.3.1.1 შესაბამისობაშია

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

კერძოდ: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში შეტანილი ცვლილებების ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამების განვითარების კუთხით პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლოა განხორციელდეს ცვლილება. კერძოდ, შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

აკადემია პერიოდულად ახორციელებს ხარისხის შეფასებას, რაც მოიცავს როგორც შინაგან, ასევე გარე შეფასებებს. შეფასებისთვის გამოიყენება სტუდენტთა და მასწავლებლების უკუკავშირი, ვერიფიკაციის შედეგები, პროგრამის სხვა შეფასებები და ა.შ.

შეფასებისას განიხილება:

- სტუდენტთა სასწავლო მიზნების მიღწევა და გამოწვევები;
- სასწავლო პროცესის ეფექტიანობა და რესურსების საკმარისობა;
- ძლიერი და გაუმჯობესების საჭირო სფეროები;
- ახალი მიდგომებისა და მასალების საჭიროება;
- პროგრამის შესაბამისობა საგანმანათლებლო მიზნებთან და პროფესიულ განვითარებასთან.

შეფასების შედეგების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, აკადემია იღებს გადაწყვეტილებებს პროგრამაში ცვლილებების შესატანად შიდა რეგულაციების შესაბამისად. ცვლილებები შესაძლოა მოიცავდეს ახალი მასალების ან მეთოდების დანერგვას, სასწავლო პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ორგანიზების შეცვლას ან რესურსების ოპტიმიზაციას. ყველა ცვლილება ხორციელდება შიდა რეგულაციებისა და დოკუმენტების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და სტანდარტებთან შესაბამისობას.

აკადემიის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულებას აქვს პრაქტიკა საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს პროგრამაში ცვლილება ,,საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. კონკრეტულად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ,,ტვირთების ექსპედირება” სწავლების გარკვეული პერიოდის შემდეგ, როდესაც დაგროვდება გამოცდილება, საჭიროების შესაბამისად, განხორციელდება ცვლილებები.

ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA პოლიტიკა;
- ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილი სასწავლო გეგმა წარმოდგენილია მკაფიო, თანმიმდევრულ და ლოგიკურად გააზრებულ სტრუქტურად. დადგინდა, რომ გეგმა სრულად შეესაბამება სამუშაო სტანდარტის მოთხოვნებს და შეიცავს მის მიერ რეკომენდირებულ უმთავრეს ელემენტებს.

„ტვირთების ექსპედირების“ პროგრამის სასწავლო გეგმა:

- ასახავს მოდულების თანმიმდევრობას;
- განსაზღვრავს თითოეული მოდულის განხორციელების კვირობრივ განრიგს;
- უზრუნველყოფს საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების მკაფიო გაწერას.

გეგმა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას დაწყებული საბაზისო ცოდნის ფორმირებიდან, დასრულებული რესტორნის მომსახურების პრაქტიკული უნარ-ჩვევების დამუშავებამდე.

სასწავლო გეგმის საფუძველზე დგება პროფესიული სტუდენტების მეცადინეობის ცხრილი, რაც საშუალებას იძლევა:

- სწავლის პროცესის ეფექტური ორგანიზაციას;
- სამუშაო საათების სწორად გადანაწილებას;
- თეორიული და პრაქტიკული ნაწილის გონივრული გაწერას.

ეს უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების გამართულობას და მოდულების ერთმანეთთან თანხვედრას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მიდგომას იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე ჩაირიცხება არაქართულენოვანი სტუდენტები. მათთვის გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულით პროგრამის დაწყება.

გამოკვლეული დოკუმენტაციისა და გასაუბრებებზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ:

- სასწავლო გეგმა არის შინაარსობრივად და სტრუქტურულად გამართული;
- მოდულების თანმიმდევრობა და განაწილება დამკვირვებელი ლოგიკით არის ჩამოყალიბებული;
- პროგრამის განხორციელება დაგეგმილია დამტკიცებული სასწავლო გეგმის სრული დაცვით.

ექსპერტთა შეფასებით, „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას. გეგმა არის მკაფიოდ სტრუქტურირებული. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო გეგმის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.4.1.1 შესაბამისობაშია

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული სტუდენტების სტატუსის, უფლებებისა და ადმინისტრაციული პროცედურების მართვა ხორციელდება რექტორის 2023 წლის 24 იანვრის №12§17 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის“ საფუძველზე. დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს:

- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესებს;
- მობილობის განხორციელების პირობებს;
- მიღებული განათლების აღიარების პრინციპებს;
- პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტზე ორიენტირებული ადმინისტრირება

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ უნივერსიტეტი სრულად იცავს მოქმედ რეგულაციებს და პრაქტიკაში იყენებს მოქნილ, სტუდენტზე მორგებულ მიდგომებს. განხორციელებული ვიზიტისას გამოიკვეთა რამდენიმე ტიპური პრინციპი: თუ პროფესიული სტუდენტი დასაქმებულია პროგრამის პროფილის მიხედვით, უნივერსიტეტი ცდილობს, სასწავლო ცხრილი და შეფასების პროცესები ისე დაგეგმოს, რომ მათი სამუშაო გრაფიკი მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული. ეს პრაქტიკა ხელს უწყობს სტუდენტების წარმატებულ ჩართულობას და უზრუნველყოფს სწავლის პროცესის შეწყობას ყოველგვარი დამატებითი ბიუროკრატიული სირთულეების გარეშე.

შეფასების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემა

დაწესებულებაში მოქმედი პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემა ადგენს:

- შეფასების კრიტერიუმების წინასწარ გაცნობას;
- შეფასების პროცესის ორგანიზებულობას;
- ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას.

ფუნქციონირებს როგორც მიმდინარე, ისე საბოლოო შეფასების მექანიზმები, ხოლო შეფასების ცვლილების ან გადავადების შემთხვევები ხდება განსაზღვრული წესის დაცვით.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია სრულად უზრუნველყოფს:

- პროფესიული სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცესების სწორ მართვას;
- რეალურ სტუდენტურ საჭიროებებზე მორგებულ მოქნილ მიდგომებს;
- ობიექტურ და გამჭვირვალე შეფასების პრაქტიკას.

აღნიშნული მექანიზმები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან და სტუდენტთა წარმატებაზე ორიენტირებულ მიდგომად შეიძლება ჩაითვალოს. აღნიშნულ პროგრამაზე სტატუსის შეწყვეტის და შეჩერების შემთხვევები არ ყოფილა.

ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისობაშია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული განათლების ცენტრი უზრუნველყოფს, რომ „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების პროცესში ინტეგრირებული იყოს სწავლების თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომები და სატრანსპორტო-საექსპედიტორო დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიები. აკადემიაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ქმნის შესაძლებლობას, რომ სწავლება განხორციელდეს რეალურ სამუშაო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში, რაც ხელს უწყობს პროფესიული კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას.
პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის ფარგლებში აქტიურად გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქეის-სტადიები, სიტუაციური ანალიზი, პროფესიული როლების იმიტაცია, დემონსტრაციებისა და პრაქტიკული დავალებების კომბინაცია, თანასწორებს შორის სწავლების (peer-learning) ელემენტები და ინტერაქტიური ჯგუფური მუშაობა. აღნიშნული მიდგომები სტუდენტებს საშუალებას აძლევს რეალური სატრანსპორტო-საექსპედიტორო პროცესების ანალიზისა და პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღების უნარები განივითაროს.

პროგრამის განხორციელების პროცესში გამოიყენება იმიტირებული და სიმულაციური სასწავლო გარემოები, რომლებიც ასახავს ტვირთების ექსპედირების პროცესების ძირითად ეტაპებს, მათ შორის სატრანსპორტო ოპერაციების დაგეგმვას, დოკუმენტაციის დამუშავებას, ტვირთის გადაზიდვის კონტროლსა და ხარისხის მონიტორინგს. პრაქტიკული უნარების დასამუშავებლად გამოყენებულია შესაბამისი სასწავლო მასალები, ინვენტარი და ტექნიკური საშუალებები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ეტაპობრივ მომზადებას რეალური სამუშაო გარემოსთვის.

„ტვირთების ექსპედირების“ პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური ფორმით. ელექტრონული მასალები განთავსებულია აკადემიის ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებში, სასწავლო სივრცეების კომპიუტერებში და შესაბამის ციფრულ პლატფორმებზე, რაც ზრდის პროფესიული სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის შესაძლებლობას და ამარტივებს სასწავლო რესურსებზე ოპერატიულ წვდომას. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებს აქვთ ბეჭდური მასალების გამოყენების შესაძლებლობაც.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები არის თანამედროვე, დარგის სპეციფიკასთან თავსებადი და პროფესიული სტუდენტების პრაქტიკულ განვითარებაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ორიენტირებული. სწავლების პროცესში ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს მოდერნიზაციას, ხოლო აქტიური სწავლების ფორმები ზრდის სტუდენტთა ჩართულობას და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და სატრანსპორტო-საექსპედიტორო დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. აღნიშნული პრაქტიკა სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ საჭირო კომპეტენციების ეფექტიან და პრაქტიკულად ორიენტირებულ განვითარებას.

ინდიკატორი 2.4.1.3 შესაბამისობაშია

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

კერძოდ: დაწესებულების რეგულაციებით გაწერილია სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურები, რომელიც მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე და ითვალისწინებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 32-ე მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს თუ: პროფესიულ სტუდენტს დადგენილი აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, პროფესიული სტუდენტი ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო, დროებით საჭიროებს სპეციალური საგანმანათლებლო რეჟიმს/ისგ-ს, პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობით, ფორმალური განათლების ნაწილობრივი აღიარების/დადასტურების შემთხვევაში ან სხვა შემთხვევები, როდესაც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება დგება პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვის გათვალისწინებით. ინკლუზიური სპეციალური განათლების სპეციალისტი პერიოდულად აკვირდება სტუდენტთა სასწავლო პროცესში ჩართულობას, პროგრამის განმახორციელებელი პირებისა და დაკვირვების შედეგების საფუძველზე ავსებს სპეციალურ დაკვირვების ფორმებს. ინდ/გეგმების შედგენის საჭიროების შემთხვევაში რექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფები, რომელშიც შედის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, სასწავლო პროცესის თანამშრომლები, პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებელი პირები, ასევე საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა მოწვეულ იქნას სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტი, რომლებიც სსსმ/შშმ პირის კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით შეიმუშავებენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. სამუშაო ჯგუფის მიერ ხდება მოდულის/საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტის მოდიფიკაცია ან აკომოდაცია.

აკადემიაში ტვირთების ექსპედირების პროგრამაზე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება არ დამდგარა.

ინდიკატორი 2.4.1.4 შესაბამისობაშია.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ტვირთების ექსპედირება“ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს და დარგის ტექნოლოგიებს. სწავლების შედეგების მიღწევა დაგეგმილია როგორც დაწესებულების შენობაში, ასევე პარტნიორ დაწესებულებაში. აკადემიას გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა კომპანიებთან პროგრამის განხორციელების მიზნით. მემორანდუმის საგანია „ტვირთების ექსპედირება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კოოპერაციული სწავლების მიზნით, მოდულის „სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის დაგეგმვა“, სწავლის შედეგი 4: სატრანსპორტო საშუალების დატვირთვის ორგანიზება, მოდულის „სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის განხორციელება“ - სწავლის შედეგი 2: ტვირთის გადაზიდვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სწავლის შედეგი 3: გადაზიდვების პროცესის ორგანიზება - ერთობლივი განხორციელება პრაქტიკის ობიექტის ბაზაზე, რეალურ სამუშაო გარემოში სწავლის შედეგების მისაღწევად.

მემორანდუმები გაფორმებულია შემდეგ ორგანიზაციებთან:

- შპს ,,ელ ეი ემ შიფინგ ეჯენსიზ“ – ერთდროულად შეუძლია პრაქტიკაზე 20 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- შპს ,,ნოვა“ - ერთდროულად შეუძლია პრაქტიკაზე 20 პროფესიული სტუდენტის მიღება.

პრაქტიკის მემორანდუმებში განსაზღვრულია თანამშრომლობის მიზნები, მხარეთა ვალდებულებები, პრაქტიკის განხორციელების დეტალები, მისაღები სტუდენტების რაოდენობები. მემორანდუმები გაფორმებულია მინიმუმ პროგრამის განხორციელების ვადით. ექსპერტთა ჯგუფი გაესაურა პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებს, რომელთაც გამოხატეს მემორანდუმით განსაზღვრული პირობების შესრულების მზაობა.

ინდიკატორი 2.4.1.5შესაბამისობაშია.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკისა და განხორციელებული აქტივობების ხასიათის გათვალისწინებით. დაწესებულებაში უსაფრთხოების საკითხები არ შემოიფარგლება მხოლოდ ფორმალური ინსტრუქტაჟის ჩატარებით, არამედ ეფუძნება სისტემურ მიდგომას.

დაწესებულებას ჰყავს შრომის უსაფრთხოების პასუხისმგებელი სპეციალისტ(ებ)ი, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხოების პროცესების კოორდინაციას, მონიტორინგსა და გაუმჯობესებას. შემუშავებულია და დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და შესაბამისი შიდა რეგულაციები, რაც ქმნის ერთიან ჩარჩოს უსაფრთხოების მართვისთვის.

სასწავლო პროცესში გამოყენებული გარემოები წინასწარ არის შეფასებული უსაფრთხოების კუთხით. რეგულარულად მიმდინარეობს რისკების იდენტიფიცირება და შეფასება როგორც სასწავლო, ისე ადმინისტრაციულ სივრცეებში, რის საფუძველზეც განისაზღვრება პრევენციული და კორექტიული ღონისძიებები.

პროფესიული სტუდენტების, პროფესიული მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის ტარდება მიზნობრივი ინსტრუქტაჟები, რომლებიც მოიცავს როგორც ზოგად, ისე პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უსაფრთხოების წესებს. ინსტრუქტაჟები დოკუმენტირდება და წარმოადგენს შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის შემადგენელ ნაწილს.

პროგრამა არ საჭიროებს დამატებით უსაფრთხოების მოთხოვნებს. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტების სწავლებას, რომელიც ხორციელდება დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, ხელშეკრულებაში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო.

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კონტროლირებად, უსაფრთხო გარემოში და შეესაბამება მოქმედ შრომის უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.4.1.6 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ტვირთების ექსპედირება“ სასწავლო გეგმა;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები;
- შრომის უსაფრთხოების დოკუმენტაციით;
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების პირადი საქმეებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟებით;
- ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან;
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას რექტორის 2024 წლის 10 დეკემბრის #01-284 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესი;
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას რექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგანმათლებლო პროგრამით;
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი.
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2.1 პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და შესაბამის პირებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა რეგულირდება აკადემიის რექტორის 2024 წლის 23 თებერვლის №01-62 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“.

აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს შეფასების სისტემის ყველა არსებით კომპონენტს, მათ შორის: შეფასების ინსტრუმენტების შერჩევისა და შემუშავების პროცედურებს; შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების მიმართ მოთხოვნებს; შიდა მონიტორინგის მექანიზმებს; შეფასების ადმინისტრირების წესს; შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებულ საკითხებს; აპელაციისა და განმეორებითი შეფასების განხორციელების წესსა და ვადებს; ასევე მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის პროცედურებს. დოკუმენტში ასევე გაწერილია ნამუშევრების გასწორებისა და შეფასების ვადები და განმეორებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობები.

მარეგულირებელი წესის მიხედვით, შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს, რაც ქმნის შეფასების პროცესის სამართლებრივად და მეთოდოლოგიურად გამართულ ჩარჩოს.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელებულმა გასაუბრებებმა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან დაადასტურა, რომ შეფასების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება სრულად ეფუძნება აღნიშნული წესის მოთხოვნებს. მასწავლებლებმა განმარტეს, რომ ისინი ჯერ კიდევ მოდულის დაწყების ეტაპზე აცნობენ პროფესიულ სტუდენტებს შეფასების მიდგომებს, შეფასების ტიპებსა და კრიტერიუმებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის წინასწარ გამჭვირვალობას. ამასთან, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასება ხორციელდება მხოლოდ ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით და შეფასებამდე არანაკლებ ერთი კვირით ადრე შეფასების ინსტრუმენტი მზად არის, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას დროულად გაეცნონ შეფასების მოთხოვნებს და შესაბამისი მომზადება უზრუნველყონ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაუბრებების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ პროფესიული სტუდენტები იცნობენ საკუთარ უფლებებს შეფასების პროცესში, მათ შორის შეფასების შედეგების მიღების, გასაჩივრებისა და განმეორებითი შეფასების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ შეფასების ადმინისტრირება ხორციელდება დადგენილი პროცედურების დაცვით, მათ შორის შეფასების ვადების, შეფასების შედეგების ოფიციალურად დაფიქსირებისა და სტუდენტებისთვის დროული ინფორმირების ნაწილში. გასაუბრებებისას ასევე გამოიკვეთა, რომ პერსონალი კარგად იცნობს აპელაციისა და განმეორებითი შეფასების წესს და მზად არის მისი გამოყენებისთვის საჭიროების შემთხვევაში.
წარმოდგენილი შეფასების დოკუმენტაციით და გასაუბრებების შედეგებით შეფასების სისტემა აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ინდიკატორი 2.4..2.1 შესაბამისობაშია.

2.4.2.2 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს
ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში შემუშავებული და დანერგილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს გამოყენებული შეფასების სისტემის შესაბამისობას პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან. აღნიშნული მექანიზმი წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის ნაწილს და დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2022 წლის 11 მარტის №4/14 გადაწყვეტილებით.
ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შეფასების სისტემის შემოწმებას სამ ძირითად მიმართულებით:
ა) შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია და ვერიფიკაცია;
ბ) შეფასების პროცესის ვერიფიკაცია;
გ) შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია.
მექანიზმი ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს. ვერიფიკაციის პროცესის ორგანიზება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ, შესაბამისი ვერიფიკაციის ჯგუფის ჩართულობით. განხორციელებული ვერიფიკაციის შედეგებზე ფორმდება დასკვნა, რომელიც რეკომენდაციების შემუშავების მიზნით წარედგინება პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის განხორციელების დამადასტურებელი მტკიცებულებები, მათ შორის: ვერიფიკაციის გეგმები, შერჩევის მექანიზმები (რისკების სისტემა), ვერიფიკაციის დასკვნები და შესაბამისი დანართები. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება არა ფორმალურად, არამედ სტრუქტურირებულად და წინასწარ განსაზღვრული პროცედურების დაცვით.

ექსპერტთა მიერ შესწავლილი მასალების მიხედვით ასევე დადგინდა, რომ ვერიფიკაციის დასკვნების საფუძველზე დაწესებულებაში შედგა მაკორექტირებელი გეგმები, სადაც გაწერილია კონკრეტული ღონისძიებები, პასუხისმგებელი პირები და განხორციელების ვადები. აღნიშნული გეგმების შესრულება ექვემდებარება შემდგომ მონიტორინგს, რაც უზრუნველყოფს გამოვლენილი საკითხების რეაგირებასა და შეფასების სისტემის განვითარებას.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მოქმედი პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი ფუნქციონირებს რეგულაციის შესაბამისად, ეფუძნება მონაცემებსა და მტკიცებულებებს და ქმნის პირობებს შეფასების პროცესის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი 2.4.2.2 შესაბამისობაშია.

2.4.2.3 პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

კერძოდ:ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და შესაბამის პირებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის პროცესი რეგულირდება მოქმედი ნორმატიული დოკუმენტით – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (მუხლები 25 და 26). აღნიშნული რეგულაციის თანახმად, შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტები, შეფასების მტკიცებულებები და შეფასების უწყისები, ექვემდებარება წინასწარ განსაზღვრული წესით აღრიცხვასა და შენახვას. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან არანაკლებ 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს როგორც პროცესის გამჭვირვალობას, ისე საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის ხელახალ გადამოწმების შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ აღნიშნული წესები პრაქტიკაში სრულად ხორციელდება. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა შეფასებასთან დაკავშირებული აღრიცხვის მტკიცებულებები, რომლებიც არის სტრუქტურირებულად დალაგებული, დანომრილი და მიკვლევადი. წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა შესაძლებლობას, შეფასების პროცესის თითოეული ეტაპი იყოს ადვილად იდენტიფიცირებადი კონკრეტულ პროფესიულ სტუდენტთან, მოდულთან და შეფასების ინსტრუმენტთან მიმართებით.
ექსპერტთა შეფასებით, შეფასების მონაცემების აღრიცხვისა და შენახვის არსებული პრაქტიკა უზრუნველყოფს ინფორმაციის სანდოობას, ხელმისაწვდომობასა და დაცულობას, ხოლო რეგულაციისა და პრაქტიკის თანხვედრა მიუთითებს პროცესის ორგანიზებულ და პასუხისმგებლიან განხორციელებაზე.
ინდიკატორი 2.4.2.3 შესაბამისობაშია.

2.4.2.4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის
კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადასტურდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოიყენება არა მხოლოდ მიღწეული სწავლის შედეგების დასადგენად, არამედ სტუდენტების შემდგომი აკადემიური და პროფესიული განვითარების მხარდასაჭერად. პროფესიული განათლების მასწავლებლები განმსაზღვრელი შეფასების პარალელურად აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, რაც საშუალებას იძლევა სწავლის პროცესში დროულად გამოვლინდეს სტუდენტების ძლიერი მხარეები და განვითარების საჭიროებები. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების შედეგები პერიოდულად განიხილება პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალურ ფორმატში, რაც ხელს უწყობს შეფასების პროცესის გააზრებას და სწავლის შედეგებზე ორიენტირებულ უკუკავშირს.
გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროფესიული სტუდენტის მხრიდან დამატებითი კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებლები ახორციელებენ ინდივიდუალურ კონსულტირებას. ამ პროცესში სტუდენტს მიეწოდება განმარტებები შეფასების შედეგების შესახებ, განიხილება არსებული სირთულეები და ერთობლივად განისაზღვრება სწავლების პროცესის გაუმჯობესების შესაძლო გზები. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მიდგომები განსხვავებულია სტუდენტთა პიროვნული თავისებურებებისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამასთან, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზი გამოიყენება უფრო ფართო კონტექსტშიც – შეფასების პროცესის შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია ინიცირდეს სწავლების მეთოდების ან/და შეფასების სისტემის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული წინადადებები. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს როგორც სტუდენტების ინდივიდუალურ განვითარებას, ისე სასწავლო პროცესის ხარისხის ეტაპობრივ გაუმჯობესებას.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება არის მიზანმიმართული, განვითარებაზე ორიენტირებული და შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.4.2.4 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2022 წლის 11 მარტის № 4/14 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი - ვერიფიკაცია.
- ვერიფიკაციის დოკუმენტაციით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარომომადგენლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან;
- გასაუბრების შედეგებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

III. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ელექტროობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება No.05-141 26.09.2025 წ.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ.ბათუმი, რუსთაველის ქ. N53
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100

IV. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

188

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია წარმოადგენს სპეციალიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს პროფესიული და უმაღლესი განათლების პროგრამებს საზღვაო და მასთან მომიჯნავე დარგებში. აკადემიის მისია ეფუძნება კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას, კვლევითი საქმიანობის განვითარებასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიღებული ცოდნის საზოგადოებაში გავრცელებას, თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

აკადემიის სტრატეგიული ხედვის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება ორიენტირებულია შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კომპეტენციების მქონე, პროფესიული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის უნარის, გუნდური მუშაობის, პასუხისმგებლობისა და პიროვნული პოტენციალის რეალიზაციის უნარებით აღჭურვილი კადრების მომზადებაზე. ამ მიზნების მისაღწევად, აკადემია ახორციელებს როგორც პროფესიულ, ისე უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებსა და უწყვეტი განათლების კურსებს.

საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირება და შემუშავება მიმდინარეობს აკადემიის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და დადგენილი პროცედურების შესაბამისად, დაინტერესებული მხარეების ჩართულობითა და კოლეგიური განხილვის საფუძველზე. პროგრამის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კოორდინირებული მონაწილეობა, რაც ხელს უწყობს პროგრამის შინაარსის შესაბამისობას როგორც საგანმანათლებლო სტანდარტებთან, ისე პრაქტიკულ საჭიროებებთან.

საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტროობა“ თანხვედრაშია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მისიასთან და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან. რეგიონში ტურიზმისა და მომსახურების სექტორის განვითარება განაპირობებს კვალიფიციური პერსონალის მზარდ მოთხოვნას, რაც პროგრამის აქტუალურობასა და საჭიროებას ამყარებს.

პროგრამის შინაარსი პასუხობს თანამედროვე მომსახურების სექტორის მოთხოვნებს და მოიცავს იმ კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც დაკავშირებულია სერვისის ხარისხის მართვასთან, მომხმარებელთან ეფექტურ კომუნიკაციასთან. . შრომის ბაზრის ანალიზი და დამსაქმებელთა პოზიციები ადასტურებს პროგრამის შესაბამისობას პრაქტიკულ საჭიროებებთან.

პროგრამაში ,,ელექტროობა“ ინტეგრირებულია თეორიული სწავლება და პრაქტიკული კომპონენტი პარტნიორ ორგანიზაციებში, რაც ზრდის სტუდენტთა პროფესიულ მზაობას და დასაქმების შესაძლებლობებს. აღნიშნული მიდგომა სრულ შესაბამისობაშია აკადემიის ხედვასთან, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლებას, შრომის ბაზართან მჭიდრო კავშირსა და უწყვეტი განათლების განვითარებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ „ელექტროობის“ პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება მიღებულია აკადემიის შიდა პოლიტიკების, ხარისხის უზრუნველყოფის წესებისა და შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეგიური ორგანოების პროცედურების დაცვით. პროგრამა შეესაბამება აკადემიის მისიას, სტრატეგიულ მიზნებსა და რეგიონული განვითარების საჭიროებებს.

ინდიკატორი 2.1.1.1. შესაბამისობაშია

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტში – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ელექტრონობა“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები დარეგულირებულია აკადემიის მიერ დამტკიცებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით და სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული და გამჭვირვალე წესის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე იმ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე განათლება, ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება საკმარისია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის დადგენილ ვადაში. აღნიშნული პროცესი რეგულირდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესით და ინტეგრირებულია აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით და ასახულია პროგრამის დოკუმენტში (8.დაშვების წინაპირობა-სრული ზოგადი განათლება) პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ეტაპზე მოწმდება კანდიდატის შესაბამისობა პროგრამის მოთხოვნებთან, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში მისი ეფექტური ჩართულობისა და შედეგებზე გასვლის შესაძლებლობას.

სასწავლო პროცესის ორგანიზება და სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა სრულად შეესაბამება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ელექტრონობა“, რაც უზრუნველყოფს წინარე ცოდნისა და უნარების თანმიმდევრულ განვითარებას და სწავლის შედეგების ეტაპობრივ მიღწევას. საჭიროების შემთხვევაში, აკადემია იყენებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მექანიზმს, რაც დამატებით უზრუნველყოფს სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლის პროცესში ჩართულობას და შედეგების მიღწევას პროგრამის განხორციელების ვადაში

აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები არა მხოლოდ ფორმალურად არის დადგენილი, არამედ პრაქტიკაში რეალურად გამოიყენება იმგვარად, რომ პროგრამაზე დაშვებული პირები ფლობენ იმ აუცილებელ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფუძვლებს, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს წარმატებით დაეუფლონ „ელექტროობის“ პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

უნივერსიტეტში პროფესიული პროგრამის ჩარიცხვის პროცესი რეგულირდება „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესით (ND 2-F30)“. სადაც განსაზღვრულია:

- განაცხადის მიღების წესი;
- გასაუბრების ორგანიზება და შეფასების კრიტერიუმები;
- შედეგების დაფიქსირება და სტუდენტის ჩარიცხვა ჯგუფში;
- სტატუსის მინიჭების ადმინისტრაციული პროცედურები.

ექსპერტებთან სამუშაო შეხვედრების ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ელექტროობა“ მიღება ხორციელდება პროფესიული განათლების ცენტრის მიერ ჩამოყალიბებული შეფასების კომისიის მეშვეობით. აპლიკანტები გადიან მოტივაციურ გასაუბრებას, ქულები აისახება ელექტრონულ სისტემაში.

აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს შერჩევის პროცესის ობიექტურობასა და თანაბარ პირობებში განხორციელებას, უზრუნველყოფს აკადემიური და პროფესიული მოთხოვნების დაცვას, ქმნის ჯგუფების დაკომპლექტების ერთიან პრაქტიკას და საფუძველს უყრის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

„ელექტროობის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ჩარიცხვის პროცედურები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და გამჭვირვალედ, სრულად შეესაბამება მოქმედ ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოს, უზრუნველყოფს სამართლიან შერჩევას და ქმნის რეალურ შესაძლებლობას სწავლის შედეგების მიღწევისთვის. აღნიშნული მიდგომა თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ მიმართულებებთან.

ინდიკატორი 2.1.1.2. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

სსიპ სასწავლო უნივერსიტეტში – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,ელექტრონიკა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება აკადემიის მიერ დამტკიცებული შესაბამისი მეთოდოლოგიის საფუძველზე. აღნიშნული პროცესი რეგულირდება დოკუმენტით „პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესი“, რომელიც ადგენს როგორც კრიტერიუმებს, ისე გადაწყვეტილების მიღების ეტაპებს .მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ რესურსებსა და გარემოებებს, მათ შორის: სასწავლო გარემოს ტიპსა და გამტარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, პრაქტიკის კომპონენტის ხელმისაწვდომობას, პროგრამის ხანგრძლივობასა და სასწავლო გეგმის სპეციფიკას, აგრეთვე პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას.

საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,ელექტრონიკა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დადგენისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასწავლო სივრცეების რეალურ შესაძლებლობებს. A, B და C სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას. კვოტა განისაზღვრება სასწავლო გარემოში არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობის მიხედვით და ეფუძნება ყველაზე შემზღუდავ რესურსს, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხიან და უსაფრთხო განხორციელებას.

სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა ასევე ეფუძნება პრაქტიკის ობიექტების ხელმისაწვდომობასა და მათ მიერ განსაზღვრული სტუდენტთა მიღების შესაძლებლობებს, რაც ხელშეკრულებებით არის დადასტურებული. კვოტის განსაზღვრა ხორციელდება აკადემიასა და პარტნიორ ორგანიზაციებს შორის გაფორმებული შეთანხმებების პირობების შესაბამისად.

დადგენილი წესის შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა თითოეულ მიღებაზე მტკიცდება აკადემიის რექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების წარდგინების საფუძველზე. აღნიშნული პრაქტიკა ქმნის სტუდენტთა რაოდენობის რეალისტური დაგეგმვის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების პროცესის ორგანიზებულობასა და სტაბილურობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება მკაფიოდ დადგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით და პრაქტიკაში ხორციელდება იმგვარად, რომ გათვალისწინებულია როგორც სასწავლო გარემოს გამტარიანობა, ისე პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის, ადგილზე დათვალიერებისა და ადმინისტრაციასთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია მოქმედი მეთოდოლოგიის შესაბამისად.
ზღვრული რაოდენობის დასაბუთების პროცესში გამოყენებულია:
სასწავლო გარემოს (აუდიტორიებისა და სხვა სივრცეების) დატვირთვის გრაფიკები;
თითოეული სასწავლო და პრაქტიკული გარემოს სიმძლავრის მაჩვენებლები, მათ შორის სამუშაო ადგილების რაოდენობა;
ლაბორატორიული და პრაქტიკული სივრცეების შესახებ არსებული მონაცემები;
პარტნიორი ორგანიზაციების შესაძლებლობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და სხვა..
განხორციელებული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული რესურსები და პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობის შესაძლებლობები სრულად უზრუნველყოფს ერთ ჯგუფში 15 პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ეფექტიან განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ „ელექტროობის“ პროგრამისთვის განსაზღვრული 15 პროფესიული სტუდენტი წარმოადგენს დასაშვებ და რეალისტურ ზღვრულ რაოდენობას.
ინდიკატორი 2.1.1.3. შესაბამისობაშია

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში სასწავლო რესურსების, მათ შორის მასალა-ნედლეულის დაგეგმვა, მიწოდება, შენახვა და გამოყენება ორგანიზებულია წინასწარ განსაზღვრული და დოკუმენტირებული წესის შესაბამისად(პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ND

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2-F03(დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 21 ივლისს № 01-142 ბრძანებით)მუხლი 23. სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების წესი). აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსების შესაბამისობას პროგრამების შინაარსთან, სწავლების მეთოდებთან და თითოეული მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამით ,,ელექტროობა“ გათვალისწინებული სასწავლო რესურსების შერჩევა ეფუძნება მოდულების მოთხოვნებს და მიმართულია იმ პრაქტიკული ცოდნისა და უნარების განვითარებაზე, რომლებიც განსაზღვრულია პროგრამით. აკადემია უზრუნველყოფს, რომ პროფესიულ სტუდენტებს ჰქონდეთ საჭირო რაოდენობისა და ხარისხის სასწავლო მასალაზე წვდომა, სასწავლო პროცესის მასალებითა და ნედლეულით უზრუნველყოფა ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობისა და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის უწყვეტობასა და შედეგიანობას.

მასალა-ნედლეულის შენახვა და გამოყენება ხორციელდება უსაფრთხოების, ჰიგიენური და გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვით. განსაზღვრული პასუხისმგებელი პირების ჩართულობით უზრუნველყოფილია რესურსების მიზნობრივი და რაციონალური გამოყენება, რაც ამცირებს როგორც არასათანადო მოხმარების, ისე სასწავლო პროცესის შეფერხების რისკებს. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მასწავლებლები უზრუნველყოფენ რესურსების გამოყენებას სწავლების მიზნების შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში ახდენენ მათი გამოყენების ადაპტაციას სასწავლო პროცესის დინამიკისა და სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში აუდიტორიები, ლაბორატორიები, სასწავლო გარემო და მასალები სრულად შეესაბამება პროგრამა ,,ელექტროობის“ მოთხოვნებს. აკადემიაში არსებული საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები ფუნქციურად უკავშირდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტროობის“ მიზნებს და ეფექტიანად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორი 2.1.1.4. შესაბამისობაშია

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა” არ მოიცავს არჩევით მოდულს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია

8. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების პროცედურა რეგულირდება უნივერსიტეტის წესდებითა და შიდა ნორმატიული აქტებით. წესდების მიხედვით, **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე და მათ ცვლილებებზე პასუხისმგებელი პირი არის რექტორი . აღნიშნული უფლებამოსილება განსაზღვრულია აკადემიის წესდებაში(მუხლი 7. პუნქტი 3. აკადემიის რექტორი კანონმდებლობისა და ამ წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში: დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულების წარდგინებით ამტკიცებს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებს) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესით ND 2-F09-01** (დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებით)პუნქტი 9. ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს რექტორი ბრძანებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტროობა" დამტკიცებულია რექტორის №05-141 26. 09. 2025 ბრძანებით. ექსპერთა ჯგუფი გაეცნო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ ჯგუფის შექმნის ბრძანებას და შემუშავების პროცესის ამსახველ დოკუმენტაციას.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის დამტკიცების პროცედურა სრულად შეესაბამება წესდებით განსაზღვრულ უფლებამოსილებასა და გადაწყვეტილების მიღების ფორმატს. პროცესი არის ფორმალურად გამართული, გამჭვირვალე და უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცდეს შესაბამისი ორგანოს მიერ, სათანადო დასაბუთებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე.

ინდიკატორი 2.1.1.6. შესაბამისობაშია

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ,,ელექტროობა“ ზუსტად იმეორებს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდებას, ასახავს პროგრამის შინაარსობრივ მიმართულებას და სრულ შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან.

პროგრამა მოიცავს ზოგად და პროფესიულ მოდულებს, სასწავლო გეგმას, მატერიალური რესურსების ჩამონათვალს. მოდულები უზრუნველყოფენ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულების შინაარსი და მათთან დაკავშირებული სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას და სრულად მოიცავს ელექტროობის სფეროში დასაქმებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება არის შინაარსობრივად გამართლებული, ზუსტი და არ ქმნის შეცდომაში შემყვან წარმოდგენას პროგრამის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებით.

ინდიკატორი 2.1.1.7. შესაბამისობაშია

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და აკადემიის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების სრული დაცვით. პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის თანახმად(ND 2-F09-01 დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებით.) პროგრამა დამტკიცებულია აკადემიის რექტორის შესაბამისი ბრძანებით(№05-141 26 / სექტემბერი / 2025 წ.ბრძანებით), პროგრამების დამტკიცების აქტის საფუძველზე, და სრულად შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასთან, შინაარსთან და განხორციელების პროცედურებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. შესაბამისად, პროგრამა აკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ ყველა მოთხოვნას.

პროგრამა დამტკიცებულია აკადემიის რექტორის მიერ.

პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების დეტალური აღწერა შეფასების მიმართულებები, დასაქმების შესაძლებლობები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. შესაბამისად, ქართული ენის მოდულების გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე გამოცდის ან/და ტესტირების ჩაბარების გზით კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

აღნიშნული პირებისათვის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. („ქართული ენა A2"და „ქართული ენა B1 მოდულები).

პროგრამის შემუშავების ეტაპზე გათვალისწინებული იქნა შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, დამსაქმებელთა საჭიროებები და დარგის განვითარების ტენდენციები, ამავე დროს, განსაზღვრულია პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა აკადემიის მიერ დამტკიცებული პროფესიული სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხიან განხორციელებასა და რესურსების ადეკვატურ განაწილებას.

ინდიკატორი 2.1.1.8. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა" დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით №05-141 26 / სექტემბერი / 2025 წ.
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი ND 2-F09-01 დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებითპროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ND 2-F03(დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 21 ივლისს № 01-142 ბრძანებით)მუხლი 23. სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების წესი;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა ND 2-O06-01(დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2024 წლის 22 თებერვლის ბრძანებით № 01-58)
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.
- სამუშაო შეხვედრების ფურცლები;
- სამსახურებრივი ბარათები;
- აკადემიის მისია, ხედვა, ღირებულებები - განთავსებული ვებგვერდზე https://bsma.edu.ge/page/akademiis-misia-xedva-girebulebebi

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში კოოპერაციული მიდგომით. აკადემიის შესაბამის სასწავლო სივრცეებში უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და საგანმანათლებლო გარემო. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას. აკადემიაში „ელექტროობის “ პროგრამისთვის გამოყოფილია კეთილმოწყობილი და ტექნიკურად გამართული **A და B ტიპის სასწავლო გარემო**, რომლებიც გამოიყენება თეორიული მეცადინეობებისა და კომპიუტერზე დაფუძნებული სასწავლო აქტივობების ჩასატარებლად. აღნიშნული სივრცეები აღჭურვილია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი სამუშაო მაგიდებითა და სკამებით, პერსონალური კომპიუტერებით, უწყვეტი ინტერნეტითა და პროგრამის შინაარსთან დაკავშირებული შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით. უზრუნველყოფილია პრეზენტაციისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებები: პროექტორი, ეკრანი, პრეზენტაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაფა, ასლგადამღები მოწყობილობები და სხვა დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რაც ხელს უწყობს სასწავლო მასალის ეფექტიან მიწოდებასა და ვიზუალურ აღქმას. სასწავლო ლაბორატორია აკმაყოფილებს პროგრამის სტანდარტის მოთხოვნებს ხელსაწყოების რაოდენობასთან დაკავშირებით. პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად აკადემიას აქვს **C ტიპის სასწავლო გარემო**,რომლის ფართობი შეესაბამება სტანდარტით განსაზღვრულ ნორმებს. პრაქტიკულ სივრცეებში არის პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთი, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები, ამკრძალავი და გამაფრთხილებელი პლაკატები. **C გარემოში** არის დამიწების კონტური, მისი ვარგისიანობა დამოწმებულია დოკუმენტებით. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გამოყენებულია დიფერენციალური გამთიშველები და სასიგნალო ნათურები.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფ როგორც აკადემიის სასწავლო სივრცეებში არსებული მატერიალური ბაზით, ასევე მასთან თანამშრომლობაში მყოფი პარტნიორი საწარმოების საკუთრებაში არსებული რესურსით. ,,ელექტროობის“ პროგრამისთვის საწარმოო პრაქტიკის კომპონენტს მნიშვნელოვანი ფუნქციური დატვირთვა აქვს. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები შემდეგ კომპანიებთან: შპს ,,ენერგო-პრო“. შპს ,,ამკა ენერჯი“ და შპს ,,ჩაქვი ასს“, სადაც პროფესიული სტუდენტები გადიან როგორც გაცნობით პრაქტიკას, ისე ძირითადი მოდულებით გათვალისწინებულ საწარმოო პრაქტიკასა და პრაქტიკული პროექტის განხორციელებას. პარტნიორი ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფს სტუდენტების ჩართვას რეალურ სამუშაო პროცესებში.

პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებისა და სასწავლო და საწარმოო გარემოების დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ აკადემიის მატერიალური ბაზა, პარტნიორი ორგანიზაციების რესურსები და მათი ხელმისაწვდომობა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, სრულად უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური და სასწავლო რესურსები არის რეალისტურად დაგეგმილი, ფაქტობრივად ხელმისაწვდომი და სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებსა და შინაარსთან.

ინდიკატორი 2.2.1.1.შესაბამისობაშია

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის წარმოდგენილია წინასწარ გაფორმებული ხელშეკრულებები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ და სტაბილურ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტროობის“ სწავლების სრულყოფილად წარმართვისათვის საზღვაო აკადემიას ჰყავს **პროფესიული განათლების 29 მასწავლებელი**, ამთგან:

- **10 მასწავლებელი ახორციელებს ზოგადი მოდულების სწავლებას.**
- **19 პროფესიული განათლების მასწავლებელი** პასუხისმგებელია პროგრამის პროფესიულ მოდულებზე. მათი საქმიანობა, საკონტაქტო საათების ჩატარების გარდა, მოიცავს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება და მათ ვალიდაციაში მონაწილეობა, სტუდენტთა ნამუშევრების შეფასება.

მოდულების მიხედვით საზღვაო აკადემიას ჰყავს მოდულზე მინიმუმ **ორი განმახორციელებელი პირი** რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს სრულფასოვნად ჩაანაცვლებენ. ეს ქმნის:

- პროგრამის უწყვეტობის გარანტიას,
- მოსალოდნელი რისკების მინიმიზაციას,
- მოდულების შესრულების დროულ უზრუნველყოფას.

ექსპერტთა შეფასებით, მასწავლებელთა რაოდენობა, რესურსების ასეთი განაწილება და სტრუქტურა ქმნის პროგრამის შინაარსობრივ მრავალფეროვნებას და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას,

წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ:

- ყველა განმახორციელებელი მასწავლებლის დატვირთვა შეესაბამება **„საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს**,
- კვირაში საერთო სამუშაო დატვირთვა **არ აღემატება 40 საათს**,
- განაწილება ოპტიმალურია და არ ქმნის გადატვირთვის ან პროცესის შეფერხების ალბათობას.

პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლით, კვალიფიკაციის დადასტურებითა და მათთან გასაუბრებით დადგინდა, რომ:

- წარმოდგენილი მასწავლებლები ფლობენ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელ პროფესიულ და პედაგოგიურ კომპეტენციებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული გამოცდილება შესაბამისობაშია მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან,
- რაოდენობა და განაწილება სრულად უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივ და პრაქტიკულ განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობისთვის“ წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა, კვალიფიკაცია და დატვირთვის განაწილება **საკმარისია, რეალისტურია და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად, უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას**.

ინდიკატორი 2.2.1.2.შესაბამისობაშია

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებულმა გასაუბრებამ და მათი პირადი საქმეების შესწავლამ დაადასტურა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული განათლების მასწავლებლები სრულად აკმაყოფილებენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტროობის“ განხორციელებისთვის აუცილებელ კვალიფიკაციასა და პროფესიულ მოთხოვნებს.

მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია პროგრამის პროფილის შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის: შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები; ასევე პროფესიული პრაქტიკის დამადასტურებელი დოკუმენტები პარტნიორი ორგანიზაციებიდან. წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფლობს როგორც თეორიული ცოდნის გადაცემის, ისე პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის აუცილებელ პროფესიულ კომპეტენციებს.

პრაქტიკული გამოცდილება და პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობა

პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებს აქვთ პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს სასწავლო პროცესის პრაქტიკულ ორიენტაციას. ამასთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან მოწვეული სპეციალისტები – პარტნიორი ორგანიზაციების მოქმედი თანამშრომლები, რომელთა მონაწილეობა უზრუნველყოფს სწავლების შინაარსის შესაბამისობას რეალურ სამუშაო პროცესებთან, მოქმედ რეგულაციებთან და ინდუსტრიის მიმდინარე მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განვითარების აქტიური პრაქტიკა

გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელმა მასწავლებლებმა რეგულარულად გაიარეს პროფესიული განვითარებისა და გადამზადების კურსები, მათ შორის:

- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები
- უნარების განვითარების სააგენტოს ტრენინგები („სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება“);
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამები („პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით“).

აღნიშნული გადამზადების კურსები მნიშვნელოვნად აძლიერებს მასწავლებელთა პედაგოგიურ და პროფესიულ კომპეტენციებს და დადებითად აისახება მოდულების სწავლების ხარისხზე.

პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, აქტიურად არიან ჩართული: მოდულების შემუშავებისა და საჭიროების შემთხვევაში მათი ადაპტირების პროცესში; სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში; მოდულების განხორციელების მიმდინარეობის მონიტორინგში. აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს, რომ პროგრამის შინაარსი ეფუძნება კოლეგიურ თანამშრომლობასა და პრაქტიკულ პროფესიულ გამოცდილებას. პროგრამის განმახორციელებელ ყვფელა მასწავლებელთან გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულებები, რომლებშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული სამართლებრივად მოთხოვნილი ძირითადი პირობები, კონკრეტული მოდულები, სამუშაო ფუნქციები, პასუხისმგებლობები და სასწავლო დატვირთვა. დადგინდა, რომ მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, რაც შეესაბამება **„საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს**,

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა, მათი კვალიფიკაცია, კომპეტენციები, პრაქტიკული გამოცდილება, პროფესიული განვითარების ისტორია და სამუშაო დატვირთვის რაციონალური განაწილება სრულად უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტროობის“ ხარისხიან, უწყვეტ და მდგრად განხორციელებას და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

ინდიკატორი 2.2.1.3.შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა – EP-QA პოლიტიკა“ (დანართი EP-QA1.1) განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციისა და პროფესიული კომპეტენციების მოთხოვნებს. დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს შესაბამისი დარგის სპეციალისტი ან/და შესაბამის სფეროში პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი, რაც უზრუნველყოფს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტების ეფექტიან მართვას.

განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის ძირითადი ფუნქციები, მათ შორის: პროგრამის შინაარსობრივი და სტრუქტურული ანალიზი; სასწავლო პროცესის გეგმებთან შესაბამისობის მონიტორინგი; სასწავლო ცხრილების დამტკიცებულ გეგმასთან შეჯერება; შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში მონაწილეობა; პროფესიული სტუდენტების კონსულტირება; სასწავლო პროცესის მონიტორინგი და მხარდაჭერა.

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის (პირადი საქმის) შესწავლისა და პროგრამის ხელმძღვანელთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ,,ელექტროობა“ ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც ფლობს პროგრამის პროფილის შესაბამის დარგობრივ კომპეტენციებს, წარმოდგენილი აქვს დადასტურებული კვალიფიკაცია და პრაქტიკული პროფესიული გამოცდილება ენერგეტიკის სფეროში. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობს როგორც პროგრამის შემუშავებისა და განახლების პროცესში, ისე მისი განხორციელების ყველა ეტაპზე.

დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებასთან ერთად, ახორციელებს დარგობრივ მოდულებს, რაც დამატებით აძლიერებს პროგრამის პრაქტიკულ სისწორეს, სწავლების რეალურ სამუშაო გარემოსთან შესაბამისობასა და სასწავლო პროცესის ხარისხს. აღნიშნული პრაქტიკა არ ქმნის გადაფარვის ან ინტერესთა კონფლიქტის რისკს, არამედ უზრუნველყოფს პროგრამის მართვისა და სწავლების პროცესის ერთიან, კოორდინირებულ განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის ხელმძღვანელი სისტემურად იყენებს პოლიტიკით განსაზღვრულ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმილ, სტრუქტურირებულ და დროულ განხორციელებას, ასევე სწავლების ხარისხის მუდმივ მონიტორინგსა და გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ მიდგომას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება და მაღალი ჩართულობა სრულად შეესაბამება EP-QA პოლიტიკის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტრობის' ეფექტიან, მდგრად და ხარისხზე ორიენტირებულ მართვას.

ინდიკატორი 2.2.1.4.შესაბამისობაშია

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიბლიოთეკისა და დამატებითი სასწავლო სივრცეების დათვალიერება, ასევე შეამოწმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,ელექტრობა" განსაზღვრული სასწავლო რესურსები. ბიბლიოთეკართან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე არსებული მდგომარეობა შეფასდა, როგორც სანდო და მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი.

პროგრამის მოდულებით განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. კერძოდ, აკადემიის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია მოდულების მიხედვით შერჩეული ბეჭდური სასწავლო მასალები, რომლებიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების დაცვით და თავისუფლად ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ისე პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლებისთვის.

ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. სასწავლო მასალები ინახება სპეციალურ მყარ დისკებზე, საიდანაც შესაძლებელია მათი გადატანა, ბეჭდვა ან ელექტრონულად გამოყენება. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საჭირო მასალები მიიღონ ელექტრონული ფოსტის საშუალებით ან შესაბამისი ამონარიდები ბეჭდური სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რაც უზრუნველყოფს მომსახურების პირობების საჯაროობას, რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას და უსაფრთხო, ორგანიზებულ სასწავლო გარემოს შექმნას. პროფესიული მასწავლებლების წვდომას ისეთ საგანმანათლებლო რესურსებზე, რომლებიც ითვალისწინებენ ნორმატიული აქტების გამოყენებას, აკადემია უზრუნველყოფს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს საკანონმდებლო აქტების საძიებო სისტემის (matsne.gov.ge) ავტორიზებული მომხმარებლის სტატუსით.

ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტრომობისთვის' განსაზღვრული სასწავლო და მატერიალური რესურსები არის რელევანტური, მრავალფეროვანი და სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. რესურსებზე წვდომა ორგანიზებულია გამჭვირვალედ – როგორც ბიბლიოთეკაში, ისე სასწავლო გარემოებსა და ელექტრონული რესურსების მეშვეობით – რაც დადებითად აისახება სასწავლო პროცესის ეფექტიანობაზე.
ინდიკატორი 2.2.1.5.შესაბამისობაშია

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სასწავლო პირობები, რომლებიც გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ელექტრომობა" განხორციელებისთვის. სასწავლო სივრცეების დათვალიერებისა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფენ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურულ პირობებს, მათ შორის ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნას.

აკადემიის იმ სასწავლო კორპუსში, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცეები, უზრუნველყოფილია მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი ხელმისაწვდომობა. კერძოდ, შენობა აღჭურვილია კიბეებზე ასასვლელი და ჩამოსასვლელი სპეციალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოწყობილობებით, რაც უზრუნველყოფს შეზღუდული მობილობის მქონე პირების დამოუკიდებელ გადაადგილებას. ასევე, აკადემიაში ფუნქციონირებს ადაპტირებული სველი წერტილები, რომლებიც სრულად შეესაბამება უნივერსალური დიზაინის პრინციპებს.

A და B ტიპის სასწავლო სივრცეებში შესაძლებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს ორგანიზება, მათ შორის ადაპტირებული სამუშაო ადგილებისა და სივრცის მოქნილი განლაგების საშუალებით. C ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც გამოიყენება „ელექტროობის“ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად, ასევე აკმაყოფილებს ბაზისური ხელმისაწვდომობის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს პრაქტიკული საქმიანობის უსაფრთხო პირობებში განხორციელებას.

აკადემიის ბიბლიოთეკა და საინფორმაციო რესურსები ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის. ბიბლიოთეკის სივრცეებში უზრუნველყოფილია მობილობის შეზღუდვის მქონე პირების თავისუფალი გადაადგილება, ხოლო კომპიუტერული კლასები იძლევა სამუშაო ადგილის ადაპტირების ან საჭიროების შემთხვევაში მისი მოდიფიცირების შესაძლებლობას.

თუ მასწავლებელი ჩათვლის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის სტანდარტული მოდულით განსაზღვრული აქტივობები არ არის საკმარისი მოდულის დასაძლევად, აკადემია ინკლუზიური განათლების სპეციალისტებთან და სსსმ სტუდენტის ასისტენტთან ერთად განიხილავს სტუდენტისთვის დამხმარე ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას. სსსმ სტუდენტებისთვის აკადემიას ხელშეკრულებით მოწვეული ჰყავს შესაბამისი სპეციალისტი, რომელიც ჩაერთვება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისა და განხორციელების პროცესში.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ უზრუნველყოფილი ინფრასტრუქტურა და სასწავლო სივრცეების ადაპტირება სრულ თანხვედრაშია პროფესიული განათლების სტანდარტის მოთხოვნებთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ელექტროობა“ A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფენ უსაფრთხო, ხელმისაწვდომ და ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, რაც ყველა პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს, აძლევს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.6.შესაბამისობაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ელექტროობა“ საპროგნოზო ბიუჯეტი. დოკუმენტის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ბიუჯეტი ჩამოყალიბებულია გამჭვირვალე, ეკონომიკურად გონივრული და სტანდარტებთან შესაბამისი პრინციპებით.

1. ბიუჯეტის სტრუქტურა და შემოსავლების ნაწილი

საპროგნოზო ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი დაფუძნებულია **სწავლის საფასურზე**, რომლის მოცულობა განსაზღვრულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფინანსური პოლიტიკის შესაბამისად. შემოსავლის პროგნოზი ეფუძნება **ზღვრული რაოდენობისა და მინიმალური ჯგუფის ანალიზს**, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

2. ხარჯვითი ნაწილი – დეტალური და რეალისტური განაწილება:

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მოიცავს პროგრამის სრულფასოვანი განხორციელებისთვის აუცილებელ ყველა პოზიციას, მათ შორის:

- **პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივ ანაზღაურებას;**
- **ადმინისტრაციის (პროგრამასთან დაკავშირებული) ანაზღაურებას**,
- **კომუნალურ ხარჯებს**,
- **სწავლებისათვის საჭირო სივრცეების მოვლა–შენახვის ხარჯებს**,
- **მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ხარჯებს**,
- **პერსონალის პროფესიული განვითარების ხარჯებს**,
- **საოფისე და ადმინისტრაციულ ხარჯებს**,
- **სატრანსპორტო და სხვა არაპროგნოზირებად მცირე ხარჯებს**, საჭიროების მიხედვით.

ხარჯების ასეთი სტრუქტურა ასახავს პროგრამის განხორციელების რეალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტობას.

ბიუჯეტი ეფუძნება **მინიმალური ჯგუფის ფორმირების პრინციპს**, რაც ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში განსაზღვრულია როგორც ფინანსური მდგრადობის პირობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ანალიზის მიხედვით, „ელექტროობის“ პროგრამის **რენტაბელობის ზღვარი** არის ჯგუფში 15 პროფესიული სტუდენტი, რომლის პირობებშიც პროგრამა ოპერატიულ ხარჯებს სრულად ფარავს და შესაძლებელია მისი მიმდინარეობა ხარისხის ზიანის გარეშე. განხილული მონაცემებით დგინდება, რომ:საპროგნოზო ბიუჯეტი რეალისტურად მოიაზრებს ყველა აუცილებელ ხარჯს, დასკვნა

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ წარმოდგენილი „ელექტროობის“ პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი:

- **სტანდარტებთან შესაბამისია**,
- **უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად განხორციელებას**,
- **გათვლილია საჭირო მინიმუმზე**, რაც აძლიერებს ფინანსური დაგეგმვის პასუხისმგებლიან მიდგომას.

ბიუჯეტი ასახავს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სისტემურ მიდგომას ფინანსურ მართვაში და ქმნის საფუძველს პროგრამის ხარისხიანი და უწყვეტი რეალიზაციისთვის.

ინდიკატორი 2.2.1.7.შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დოკუმენტაცია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს შესყიდვის შესახებ;
- სტრუქტურული ერთეულები, სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- განმახორციელებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ვებ გვერდი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ დამტკიცებული „პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი“, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და განვითარების ძირითად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესებს. დოკუმენტი ქმნის პროფესიული განათლების ხარისხის მართვის ერთიან, სისტემურ და პროცედურულად გაწერილ ჩარჩოს და უზრუნველყოფს პროცესების თანმიმდევრულ და გამჭვირვალე განხორციელებას.

დადგენილი წესების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ეფუძნება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს, მათ შორის: შრომის ბაზრის კვლევის შედეგების რეგულარულ ანალიზს; დაინტერესებული მხარეების – პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, დამსაქმებლებისა და პარტნიორი ორგანიზაციების უკუკავშირს; ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებას; ასევე პროგრამის შინაარსისა და მისაღწევი შედეგების პერიოდულ გადახედვას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამების აქტუალობისა და შესაბამისობის სისტემურ შემოწმებას როგორც შიდა, ისე გარე მოთხოვნებთან მიმართებით.

ამასთან, აკადემიაში მოქმედი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ დეტალურად განსაზღვრავს პროგრამების შიდა შეფასების პროცედურებს, შეფასების განხორციელების პერიოდულობას, ცვლილებების შეტანის წესებსა და საფუძვლებს, ასევე პროცესში ჩართული პასუხისმგებელი პირების ფუნქციებს. მეთოდოლოგიაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის სრული ლოგიკა (Plan–Do–Check–Act), რაც უზრუნველყოფს პროგრამების უწყვეტ მონიტორინგს და დაგეგმილი შედეგების მიღწევის კონტროლს.

ექსპერტებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემურად ახორციელებს ხარისხის მართვის ფუნქციებს. შემუშავებული აქვთ მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ზედამხედველობა პროგრამის მიმდინარეობაზე, დაკვირვება სასწავლო პროცესზე. სამსახური ატარებს პერიოდულ კვლევებს, იყენებს წინასწარ შემუშავებულ და დამტკიცებულ კითხვარებს, აანალიზებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების შეფასებებს და მოსაზრებებს. ამზადებს რეკომენდაციებს პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. კვლევების შედეგები გამოიყენება როგორც მიმდინარე სასწავლო პროცესის დახვეწისა და ოპტიმიზაციისთვის, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების დაგეგმვისას, სადაც კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა უკუკავშირთან ერთად აუცილებლად ითვალისწინებენ შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, აკადემიაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციები და პრაქტიკა ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების ეფექტიან და მდგრად სისტემას, რაც ხელს უწყობს პროგრამების ხარისხის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 2.3.1.1.შესაბამისობაშია

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილების საფუძველია პროგრამის შიდა ხარისხის მექანიზმებით გათვალისწინებული სისტემური შეფასების შედეგებით გამოვლენილი მიგნებები, პროგრამის გარე შეფასება, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამკვეთთა უკუკავშირის მონაცემები, აღებული კვლევის მასალებიდან, შრომის ბაზრის მოთხოვნის ცვლილებები. პსდ განსაზღვრავს პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესებს.

ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- მოიძებნება შესაბამისი საფუძველი შეფასების პროცესში.
- არსებობს დადასტურებული საჭიროება შრომის ბაზრის ან მოთხოვნების ცვლილების გამო.
- მიღებულია უკუკავშირი დაინტერესებული მხარეებისგან.

მსგავსი მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამის სტაბილურობას, მაგრამ არასოდეს უშლის ხელს მის დროულ განახლებას.
ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მოქმედი შიდა რეგულაციები, მეთოდოლოგიები და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ელექტროობა“ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი:

- არის სისტემური და პროცესზე დაფუძნებული,
- მოიცავს მრავალწყაროიან შეფასებას,
- ეფუძნება ხარისხის ციკლის პრინციპს,
- უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივ და სტრუქტურულ განახლებას საჭიროების შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებებს ამტკიცებს რექტორი ბრძანებით გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დგება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირების საჭიროება. პროგრამასა და მოდულებში ცვლილებების შეტანის პროცედურა რეგულირდება ნორმატიული დოკუმენტით: ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და განვითარების წესი“.
ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს პროგრამის მდგრად და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამის განხორციელებას.
ინდიკატორი 2.3.1.2.შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA პოლიტიკა;
- ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილი სასწავლო გეგმა წარმოდგენილია მკაფიო, თანმიმდევრულ და ლოგიკურად გააზრებულ სტრუქტურად. გეგმა სრულად შეესაბამება სამუშაო სტანდარტის მოთხოვნებს და შეიცავს მის მიერ რეკომენდირებულ უმთავრეს ელემენტებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ელექტროობა“ სასწავლო გეგმა:

- ასახავს მოდულების თანმიმდევრობას,
- განსაზღვრავს თითოეული მოდულის განხორციელების ყოველკვირეულ განრიგს,
- უზრუნველყოფს საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების მკაფიო გაწერას.

სასწავლო გეგმის საფუძველზე დგება პროფესიული სტუდენტების მეცადინეობის ცხრილი, რაც საშუალებას იძლევა:

- სწავლის პროცესის ეფექტური ორგანიზაციას;
- სამუშაო საათების სწორად გადანაწილებას;
- თეორიული და პრაქტიკული ნაწილის გონივრული გაწერას.

ეს უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების გამართულობას და მოდულების ერთმანეთთან თანხვედრას.

სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მიდგომას იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე ჩაირიცხება არაქართულენოვანი სტუდენტები. მათთვის გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულით პროგრამის დაწყება.

დოკუმენტაციის გაცნობისა და გასაუბრებებზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ:

- სასწავლო გეგმა არის შინაარსობრივად და სტრუქტურულად გამართული,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მოდულების თანმიმდევრობა ლოგიკურად დალაგებული.
- პროგრამის განხორციელება დაგეგმილია დამტკიცებული სასწავლო გეგმის სრული დაცვით.

ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ელექტრობა“ სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.4.1.1.შესაბამისობაშია

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული სტუდენტების სტატუსის, უფლებებისა და ადმინისტრაციული პროცედურების მართვა ხორციელდება რექტორის 2023 წლის 24 იანვრის №12§17 ბრძანებით დამტკიცებული **„პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის“** საფუძველზე. დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს:

- პროფესიული სტუდენტის **სტატუსის შეჩერების** და **შეწყვეტის** წესებს,
- **მობილობის** განხორციელების პირობებს,
- მიღებული განათლების **აღიარების** პრინციპებს,

პროგრამის **შეცვლის ან გაუქმების** შემთხვევაში შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ უნივერსიტეტი სრულად იცავს მოქმედ რეგულაციებს და პრაქტიკაში იყენებს მოქნილ, სტუდენტზე მორგებულ მიდგომებს.

. განხორციელებული ვიზიტისას გამოიკვეთა რამდენიმე ტიპური პრინციპი:

- თუ პროფესიული სტუდენტი დასაქმებულია პროგრამის პროფილის მიხედვით,

უნივერსიტეტი ცდილობს, **სასწავლო ცხრილი და შეფასების პროცესები** ისე დაგეგმოს, რომ მათი სამუშაო გრაფიკი მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული.

აკადემიაში სასწავლო პროცესი ორგანიზებულია სასწავლო გეგმის შესაბამისად პროფესიული სტუდენტების ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებით. სასწავლო პროცესში მხედველობაში მიიღება, როგორც სტუდენტთა აკადემიური საჭიროებები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ისე მათი პირადი და სოციალური მდგომარეობა. საჭიროების შემთხვევაში სასწავლო პროცესი იგეგმება ცვლადი გრაფიკით ან დისტანციური ფორმით, დამატებითი კონსულტაციების უზრუნველყოფით. ასეთი სტუდენტისთვის შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

დაწესებულებაში მოქმედი პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემა ადგენს:

- შეფასების **კრიტერიუმების წინასწარ გაცნობას**,
- შეფასების პროცესის **ორგანიზებულობას**,
- ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას.

ფუნქციონირებს როგორც მიმდინარე, ისე საბოლოო შეფასების მექანიზმები, ხოლო შეფასების ცვლილების ან გადავადების შემთხვევები ხდება განსაზღვრული წესის დაცვით.

დასკვნა

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია სრულად უზრუნველყოფს:

- პროფესიული სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცესების სწორ მართვას,
- რეალურ სტუდენტურ საჭიროებებზე მორგებულ მოქნილ მიდგომებს,
- ობიექტურ და გამჭვირვალე შეფასების პრაქტიკას.

აღნიშნული მექანიზმები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან და სტუდენტთა წარმატებაზე ორიენტირებულ მიდგომად შეიძლება ჩაითვალოს.

ინდიკატორი 2.4.1.2.შესაბამისობაშია

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული განათლების ცენტრი უზრუნველყოფს, რომ „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების პროცესში ინტეგრირებული იყოს სწავლების თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომები. აკადემიაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ქმნის შესაძლებლობას, რომ სწავლება განხორციელდეს რეალურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამუშაო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში, რაც ხელს უწყობს პროფესიული კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის განხორციელების პროცესში გამოიყენება იმიტირებული და სიმულაციური სასწავლო გარემოები, პრაქტიკული უნარების გამოსამუშავებლად გამოყენებულია შესაბამისი სასწავლო მასალები, ინვენტარი და ტექნიკური საშუალებები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ეტაპობრივ მომზადებას რეალური სამუშაო გარემოსთვის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტროობის“ პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება C გარემოში: ელექტროსამონტაჟო სახელოსნო, მაღალი ძაბვის ლაბორატორია, ელექტროტექნიკის ლაბორატორია. პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის საზღვაო აკადემია გეგმავს და ატარებს ტრენინგებს, ვორქშოპებს პარტნიორ სასწავლებლებთან ერთად საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, ორგანიზებას უწევს მასწავლებლებს შორის სწავლება-შეფასების ნაწილში გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. პროგრამაში ჩართული მასწავლებლები დარგის მოქმედი სპეციალისტები არიან, სამუშაო შეხვედრები საშუალებას აძლევთ მათ გაეცნონ დარგის ტექნოლოგიურ სიახლეებს.
„ელექტროობის“ პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური ფორმით. ელექტრონული მასალები განთავსებულია აკადემიის ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებში, სასწავლო სივრცეების კომპიუტერებში და შესაბამის ციფრულ პლატფორმებზე, რაც ზრდის პროფესიული სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის შესაძლებლობას და ამარტივებს სასწავლო რესურსებზე ოპერატიულ წვდომას. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებს აქვთ ბეჭდური მასალების გამოყენების შესაძლებლობაც.
ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები არის თანამედროვე, დარგის სპეციფიკასთან თავსებადი და პროფესიული სტუდენტების პრაქტიკულ განვითარებაზე ორიენტირებული. სწავლების პროცესში ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს მოდერნიზაციას, ხოლო აქტიური სწავლების ფორმები ზრდის სტუდენტთა ჩართულობას და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.
ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ელექტროობა“ განხორციელება ეფუძნება სწავლების თანამედროვე მეთოდებს. აღნიშნული პრაქტიკა სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ საჭირო კომპეტენციების ეფექტიან და პრაქტიკულად ორიენტირებულ განვითარებას.

ინდიკატორი 2.4.1.3.შესაბამისობაშია

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია სწავლის შედეგების მიღწევისას ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. აკადემია ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილავს ყველა იმ შემთხვევას, როდესაც სწავლება სასწავლო გეგმით ვერ ხორციელდება. ასეთ შემთხვევებად მიიჩნევა: სტატუსშეჩერებული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში,მობილობა,პროგრამაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა,სტუდენტის ოჯახური ან ჯანმრთელობის მდგომარეობა. ასეთი შემთხვევებისთვის ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური გეგმის შედგენის წესი, რომელიც წარმოადგენს ნორმატიული დოკუმენტის ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შემადგენელ ნაწილს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში მონაწილეობს პროფესიული სტუდენტი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ასევე გათვალისწინებულია შშმ პირებზე.

ინდიკატორი 2.4.1.4.შესაბამისობაშია

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ელექტრონიკა“ პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება როგორც იმიტირებულ სასწავლო გარემოში: ელექტროსამონტაჟო სახელოსნო, მაღალი ძაბვის ლაბორატორია, ელექტროტექნიკის ლაბორატორია, ასევე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ საწარმოში.

პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგების მისაღწევად ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები შემდეგ კომპანიებთან: შპს ,,ენერგო-პრო“. შპს ,,ამკა ენერჯი“ და შპს ,,ჩაქვი ასს“, სადაც პროფესიული სტუდენტები გადიან როგორც გაცნობით პრაქტიკას, ისე ძირითადი მოდულებით გათვალისწინებულ საწარმოო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკასა და პრაქტიკული პროექტის განხორციელებას. მემორანდუმში განსაზღვრული და გამიჯნულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, პროფესიულ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიები, პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა.

პრაქტიკული კომპონენტის თანაგანმახორციელებელ ზემოაღნიშნულ დაწესებულებებში ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტროობის' შემდეგი მოდულების განხორციელება:

უსაფრთხოება მაღალი ძაბვის ელექტროობაში,
მაღალი ძაბვის ეგხ-ების მშენებლობა და მომსახურება,
ქვესადგურების მონტაჟი, დიაგნოსტიკა და მომსახურება.

ინდიკატორი 2.4.1.5.შესაბამისობაშია

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკისა და განხორციელებული აქტივობების ხასიათის გათვალისწინებით. დაწესებულებაში უსაფრთხოების საკითხები არ შემოიფარგლება მხოლოდ ფორმალური ინსტრუქტაჟის ჩატარებით, არამედ ეფუძნება სისტემურ მიდგომას.

დაწესებულებას ჰყავს შრომის უსაფრთხოების პასუხისმგებელი სპეციალისტ(ებ)ი, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხოების პროცესების კოორდინაციას, მონიტორინგსა და გაუმჯობესებას. შემუშავებულია და დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და შესაბამისი შიდა რეგულაციები, რაც ქმნის ერთიან ჩარჩოს უსაფრთხოების მართვისთვის.

სასწავლო პროცესში გამოყენებული გარემოები წინასწარ არის შეფასებული უსაფრთხოების კუთხით. რეგულარულად მიმდინარეობს რისკების იდენტიფიცირება და შეფასება როგორც სასწავლო, ისე ადმინისტრაციულ სივრცეებში, რის საფუძველზეც განისაზღვრება პრევენციული და კორექტიული ღონისძიებები.

პროფესიული სტუდენტების, პროფესიული მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის ტარდება მიზნობრივი ინსტრუქტაჟები, რომლებიც მოიცავს როგორც ზოგად, ისე პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უსაფრთხოების წესებს. ინსტრუქტაჟები დოკუმენტირდება და წარმოადგენს შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის შემადგენელ ნაწილს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტროობის“ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება მიმდინარეობს C გარემოში, რომელიც მოიცავს ელექტროსამონტაჟო სახელოსნოს, მაღალი ძაბვის ლაბორატორიას და ელექტროტექნიკის ლაბორატორიას. ლაბორატორიებში და სახელოსნოში ელექტროდანადგარებთან მიმდინარე სამუშაოების უსაფრთხოების ინსტრუქციები გაწერილია ნორმატიულ დოკუმენტში; ,,პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“. **C გარემოს** პრაქტიკულ სივრცეებში განთავსებულია პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთი, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები, ამკრძალავი და გამაფრთხილებელი პლაკატები. **C გარემოში** არის დამიწების კონტური, მისი ვარგისიანობა დამოწმებულია დოკუმენტებით. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გამოყენებულია დიფერენციალური გამთიშველები და სასიგნალო ნათურები. პრაქტიკული სამუშაოს დაწყების წინ მასწავლებლები სტუდენტებს დაწვრილებით უხსნიან და აცნობენ უსაფრთხოების წესებს.

პრაქტიკის ობიექტებზე პროფესიულ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიები უზრუნველყოფილია პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმით.

ინდიკატორი 2.4.1.6. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით;
- ხელშეკრულებებით პარტნიორ საწარმოებთან;
- აკადემიის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკითა და დოკუმენტაციით;
- პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესით;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები;
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების პირადი საქმეებით;
- შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟებით;
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას რექტორის 2024 წლის 10 დეკემბრის #01-284 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესი;
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას რექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგანმათლებლო პროგრამა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი.
- ვიზუალური დათვალიერებით.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.2.1 პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და შესაბამის პირებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა რეგულირდება აკადემიის რექტორის 2024 წლის 23 თებერვლის №01-62 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“.

აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს შეფასების სისტემის ყველა არსებით კომპონენტს, მათ შორის: შეფასების ინსტრუმენტების შერჩევისა და შემუშავების პროცედურებს; შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების მიმართ მოთხოვნებს; შიდა მონიტორინგის მექანიზმებს; შეფასების ადმინისტრირების წესს; შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებულ საკითხებს; აპელაციისა და განმეორებითი შეფასების განხორციელების წესსა და ვადებს; ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის პროცედურებს. დოკუმენტში ასევე გაწერილია ნამუშევრების გასწორებისა და შეფასების ვადები და განმეორებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობები.

მარეგულირებელი წესის მიხედვით, შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს, რაც ქმნის შეფასების პროცესის სამართლებრივად და მეთოდოლოგიურად გამართულ ჩარჩოს.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელებულმა გასაუბრებებმა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან დაადასტურა, რომ შეფასების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება სრულად ეფუძნება აღნიშნული წესის მოთხოვნებს. მასწავლებლებმა განმარტეს, რომ ისინი ჯერ კიდევ მოდულის დაწყების ეტაპზე აცნობენ პროფესიულ სტუდენტებს შეფასების მიდგომებს, შეფასების ტიპებსა და კრიტერიუმებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის წინასწარ გამჭვირვალობას. ამასთან, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასება ხორციელდება მხოლოდ ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით და შეფასებამდე არანაკლებ ერთი კვირით ადრე შეფასების ინსტრუმენტი მზად არის, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას დროულად გაეცნონ შეფასების მოთხოვნებს და შესაბამისი მომზადება უზრუნველყონ.

გასაუბრებების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ პროფესიული სტუდენტები იცნობენ საკუთარ უფლებებს შეფასების პროცესში, მათ შორის შეფასების შედეგების მიღების, გასაჩივრებისა და განმეორებითი შეფასების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ შეფასების ადმინისტრირება ხორციელდება დადგენილი პროცედურების დაცვით, მათ შორის შეფასების ვადების, შეფასების შედეგების ოფიციალურად დაფიქსირებისა და სტუდენტებისთვის დროული ინფორმირების ნაწილში. გასაუბრებებისას ასევე გამოიკვეთა, რომ პერსონალი კარგად იცნობს აპელაციისა და განმეორებითი შეფასების წესს და მზად არის მისი გამოყენებისთვის საჭიროების შემთხვევაში.
წარმოდგენილი შეფასების დოკუმენტაციით და გასაუბრებების შედეგებით შეფასების სისტემა აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ინდიკატორი 2.4..2.1 შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2.2 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში შემუშავებული და დანერგილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს გამოყენებული შეფასების სისტემის შესაბამისობას პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან. აღნიშნული მექანიზმი წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის ნაწილს და დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2022 წლის 11 მარტის №4/14 გადაწყვეტილებით.

ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შეფასების სისტემის შემოწმებას სამ ძირითად მიმართულებით:

ა) შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია და ვერიფიკაცია;

ბ) შეფასების პროცესის ვერიფიკაცია;

გ) შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

მექანიზმი ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს. ვერიფიკაციის პროცესის ორგანიზება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ, შესაბამისი ვერიფიკაციის ჯგუფის ჩართულობით. განხორციელებული ვერიფიკაციის შედეგებზე ფორმდება დასკვნა, რომელიც რეკომენდაციების შემუშავების მიზნით წარედგინება პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს.

დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის განხორციელების დამადასტურებელი მტკიცებულებები, მათ შორის: ვერიფიკაციის გეგმები, შერჩევის მექანიზმები (რისკების სისტემა), ვერიფიკაციის დასკვნები და შესაბამისი დანართები. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება არა ფორმალურად, არამედ სტრუქტურირებულად და წინასწარ განსაზღვრული პროცედურების დაცვით.

ექსპერტთა მიერ შესწავლილი მასალების მიხედვით ასევე დადგინდა, რომ ვერიფიკაციის დასკვნების საფუძველზე დაწესებულებაში შედგა მაკორექტირებელი გეგმები, სადაც გაწერილია კონკრეტული ღონისძიებები, პასუხისმგებელი პირები და განხორციელების ვადები. აღნიშნული გეგმების შესრულება ექვემდებარება შემდგომ მონიტორინგს, რაც უზრუნველყოფს გამოვლენილი საკითხების რეაგირებასა და შეფასების სისტემის განვითარებას.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მოქმედი პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი ფუნქციონირებს რეგულაციის შესაბამისად, ეფუძნება მონაცემებსა და მტკიცებულებებს და ქმნის პირობებს შეფასების პროცესის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.4.2.2 შესაბამისობაშია.

2.4.2.3 პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

კერძოდ:ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და შესაბამის პირებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის პროცესი რეგულირდება მოქმედი ნორმატიული დოკუმენტით – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (მუხლები 25 და 26). აღნიშნული რეგულაციის თანახმად, შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტები, შეფასების მტკიცებულებები და შეფასების უწყისები, ექვემდებარება წინასწარ განსაზღვრული წესით აღრიცხვასა და შენახვას. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან არანაკლებ 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს როგორც პროცესის გამჭვირვალობას, ისე საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის ხელახალ გადამოწმების შესაძლებლობას.

დაწესებულების წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ აღნიშნული წესები პრაქტიკაში სრულად ხორციელდება. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა შეფასებასთან დაკავშირებული აღრიცხვის მტკიცებულებები, რომლებიც არის სტრუქტურირებულად დალაგებული, დანომრილი და მიკვლევადი. წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა შესაძლებლობას, შეფასების პროცესის თითოეული ეტაპი იყოს ადვილად იდენტიფიცირებადი კონკრეტულ პროფესიულ სტუდენტთან, მოდულთან და შეფასების ინსტრუმენტთან მიმართებით.

ექსპერტთა შეფასებით, შეფასების მონაცემების აღრიცხვისა და შენახვის არსებული პრაქტიკა უზრუნველყოფს ინფორმაციის სანდოობას, ხელმისაწვდომობასა და დაცულობას, ხოლო რეგულაციისა და პრაქტიკის თანხვედრა მიუთითებს პროცესის ორგანიზებულ და პასუხისმგებლიან განხორციელებაზე.

ინდიკატორი 2.4.2.3 შესაბამისობაშია.

2.4.2.4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადასტურდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოიყენება არა მხოლოდ მიღწეული სწავლის შედეგების დასადგენად, არამედ სტუდენტების შემდგომი აკადემიური და პროფესიული განვითარების მხარდასაჭერად. პროფესიული განათლების მასწავლებლები განმსაზღვრელი შეფასების პარალელურად აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, რაც საშუალებას იძლევა სწავლის პროცესში დროულად გამოვლინდეს სტუდენტების ძლიერი მხარეები და განვითარების საჭიროებები. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების შედეგები პერიოდულად განიხილება პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალურ ფორმატში, რაც ხელს უწყობს შეფასების პროცესის გააზრებას და სწავლის შედეგებზე ორიენტირებულ უკუკავშირს.

გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროფესიული სტუდენტის მხრიდან დამატებითი კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებლები ახორციელებენ ინდივიდუალურ კონსულტირებას. ამ პროცესში სტუდენტს მიეწოდება განმარტებები შეფასების შედეგების შესახებ, განიხილება არსებული სირთულეები და ერთობლივად განისაზღვრება სწავლების პროცესის გაუმჯობესების შესაძლო გზები. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მიდგომები განსხვავებულია სტუდენტთა პიროვნული თავისებურებებისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას.

ამასთან, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზი გამოიყენება უფრო ფართო კონტექსტშიც – შეფასების პროცესის შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია ინიცირდეს სწავლების მეთოდების ან/და შეფასების სისტემის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული წინადადებები. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს როგორც სტუდენტების ინდივიდუალურ განვითარებას, ისე სასწავლო პროცესის ხარისხის ეტაპობრივ გაუმჯობესებას.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება არის მიზანმიმართული, განვითარებაზე ორიენტირებული და შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.4.2.4 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2022 წლის 11 მარტის № 4/14 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი - ვერიფიკაცია.
- ვერიფიკაციის დოკუმენტაციით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შეფასების დოკუმენტაციით;
- გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I.ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში.
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება No.05-141 26.09.2025 წ.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ.ბათუმი, რუსთაველის ქ. N53

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	51
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	81

7. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება [redacted]

230

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

დასაბუთება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ არ შეესაბამება	☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია წარმოადგენს სპეციალიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს პროფესიული და უმაღლესი განათლების პროგრამებს საზღვაო და მასთან მომიჯნავე დარგებში. აკადემიის მისია ეფუძნება კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას, კვლევითი საქმიანობის განვითარებასა და მიღებული ცოდნის საზოგადოებაში გავრცელებას, თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

აკადემიის სტრატეგიული ხედვის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება ორიენტირებულია შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კომპეტენციების მქონე, პროფესიული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის უნარის, გუნდური მუშაობის, პასუხისმგებლობისა და პიროვნული პოტენციალის რეალიზაციის უნარებით აღჭურვილი კადრების მომზადებაზე. ამ მიზნების მისაღწევად, აკადემია ახორციელებს როგორც პროფესიულ, ისე უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებსა და უწყვეტი განათლების კურსებს.

საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირება და შემუშავება მიმდინარეობს აკადემიის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და დადგენილი პროცედურების შესაბამისად, დაინტერესებული მხარეების ჩართულობითა და კოლეგიური განხილვის საფუძველზე. პროგრამის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კოორდინირებული მონაწილეობა, რაც ხელს უწყობს პროგრამის შინაარსის შესაბამისობას როგორც საგანმანათლებლო სტანდარტებთან, ისე პრაქტიკულ საჭიროებებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამ კონტექსტში, "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის" საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება თანხვედრაშია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მისიასთან და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან. რეგიონში ტურიზმისა და მომსახურების სექტორის განვითარება განაპირობებს კვალიფიციური პერსონალის მზარდ მოთხოვნას, რაც პროგრამის აქტუალურობასა და საჭიროებას ამყარებს.
პროგრამის შინაარსი პასუხობს თანამედროვე მომსახურების სექტორის მოთხოვნებს და მოიცავს იმ კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც დაკავშირებულია სერვისის ხარისხის მართვასთან, მომხმარებელთან ეფექტურ კომუნიკაციასთან, ოპერაციული პროცესების ორგანიზებასა და ჰიგიენის სტანდარტების დაცვასთან. შრომის ბაზრის ანალიზი და დამსაქმებელთა პოზიციები ადასტურებს პროგრამის შესაბამისობას პრაქტიკულ საჭიროებებთან.
პროგრამაში ინტეგრირებულია თეორიული სწავლება, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა პროფესიულ მზაობას და დასაქმების შესაძლებლობებს. აღნიშნული მიდგომა სრულ შესაბამისობაშია აკადემიის ხედვასთან, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლებას, შრომის ბაზართან მჭიდრო კავშირსა და უწყვეტი განათლების განვითარებას.
წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის" პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება მიღებულია აკადემიის შიდა პოლიტიკების, ხარისხის უზრუნველყოფის წესებისა და შესაბამისი კოლეგიური ორგანოების პროცედურების დაცვით. პროგრამა შეესაბამება აკადემიის მისიას, სტრატეგიულ მიზნებსა და რეგიონული განვითარების საჭიროებებს.

ინდიკატორი 2.1.1.1. შესაბამისობაშია

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: სსიპ სასწავლო უნივერსიტეტში – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი" დაშვების წინაპირობები და პროცედურები დარეგულირებულია აკადემიის მიერ დამტკიცებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით და სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული და გამჭვირვალე წესის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე იმ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე განათლება, ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება საკმარისია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის დადგენილ ვადაში. აღნიშნული პროცესი რეგულირდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესით და ინტეგრირებულია აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში

დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით და ასახულია პროგრამის დოკუმენტში(8.დაშვების წინაპირობა-სრული ზოგადი განათლება) პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ეტაპზე მოწმდება კანდიდატის შესაბამისობა პროგრამის მოთხოვნებთან, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში მისი ეფექტური ჩართულობისა და შედეგებზე გასვლის შესაძლებლობას.

სასწავლო პროცესის ორგანიზება და სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა სრულად ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას “პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი” რაც უზრუნველყოფს წინარე ცოდნისა და უნარების თანმიმდევრულ განვითარებას და სწავლის შედეგების ეტაპობრივ მიღწევას. საჭიროების შემთხვევაში, აკადემია იყენებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მექანიზმს, რაც დამატებით უზრუნველყოფს სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლის პროცესში ჩართულობას და შედეგების მიღწევას პროგრამის განხორციელების ვადაში

აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები არა მხოლოდ ფორმალურად არის დადგენილი, არამედ პრაქტიკაში რეალურად გამოიყენება იმგვარად, რომ პროგრამაზე დაშვებული პირები ფლობენ იმ აუცილებელ საფუძვლებს, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს წარმატებით დაეუფლონ “პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის”პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

უნივერსიტეტში პროფესიული პროგრამის ჩარიცხვის პროცესი რეგულირდება „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესით (ND 2-F30)“. სადაც განსაზღვრულია:

- განაცხადის მიღების წესი;
- გასაუბრების ორგანიზება და შეფასების კრიტერიუმები;
- შედეგების დაფიქსირება და სტუდენტის ჩარიცხვა ჯგუფში;
- სტატუსის მინიჭების ადმინისტრაციული პროცედურები.

ექსპერტებთან სამუშაო შეხვედრების ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ხორციელდება პროფესიული განათლების ცენტრის მიერ ჩამოყალიბებული შეფასების კომისიის მეშვეობით. აპლიკანტები გადიან მოტივაციურ გასაუბრებას, ქულები აისახება ელექტრონულ სისტემაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს შერჩევის პროცესის ობიექტურობასა და თანაბარ პირობებში განხორციელებას, უზრუნველყოფს აკადემიური და პროფესიული მოთხოვნების დაცვას, ქმნის ჯგუფების დაკომპლექტების ერთიან პრაქტიკას და საფუძველს უყრის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

“პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის”პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ჩარიცხვის პროცედურები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და გამჭვირვალედ, სრულად შეესაბამება მოქმედ ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოს, უზრუნველყოფს სამართლიან შერჩევას და ქმნის რეალურ შესაძლებლობას სწავლის შედეგების მიღწევისთვის. აღნიშნული მიდგომა თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ მიმართულებებთან.

ინდიკატორი 2.1.1.2. შესაბამისობაშია

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. სსიპ სასწავლო უნივერსიტეტში – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება აკადემიის მიერ დამტკიცებული შესაბამისი მეთოდოლოგიის საფუძველზე. აღნიშნული პროცესი რეგულირდება დოკუმენტით „პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესი“, რომელიც ადგენს როგორც კრიტერიუმებს, ისე გადაწყვეტილების მიღების ეტაპებს .მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ რესურსებსა და გარემოებებს, მათ შორის: სასწავლო გარემოს ტიპსა და გამტარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, პროგრამის ხანგრძლივობასა და სასწავლო გეგმის სპეციფიკას, აგრეთვე პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დადგენისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასწავლო სივრცეების რეალურ შესაძლებლობებს. კვოტა განისაზღვრება სასწავლო გარემოში არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობის მიხედვით და ეფუძნება ყველაზე შემზღუდავ რესურსს, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხიან და უსაფრთხო განხორციელებას

დადგენილი წესის შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა თითოეულ მიღებაზე მტკიცდება აკადემიის რექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტრუქტურული ერთეულების წარდგინების საფუძველზე. აღნიშნული პრაქტიკა ქმნის სტუდენტთა რაოდენობის რეალისტური დაგეგმვის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების პროცესის ორგანიზებულობასა და სტაბილურობას.
ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება მკაფიოდ დადგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით და პრაქტიკაში ხორციელდება იმგვარად, რომ გათვალისწინებულია როგორც სასწავლო გარემოს გამტარიანობა, ისე პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის, ადგილზე ვიზუალური დათვალიერებისა და ადმინისტრაციასთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის"პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია მოქმედი მეთოდოლოგიის შესაბამისად ზღვრული რაოდენობის დასაბუთების პროცესში გამოყენებული იყო:
სასწავლო გარემოს (აუდიტორიებისა და სხვა სივრცეების) დატვირთვის გრაფიკები;
თითოეული სასწავლო და პრაქტიკული გარემოს სიმძლავრის მაჩვენებლები, მათ შორის სამუშაო ადგილების რაოდენობა;
იმიტირებული სივრცეების შესახებ არსებული მონაცემები;
განხორციელებული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული რესურსები სრულად უზრუნველყოფს ერთ ჯგუფში 15 პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ეფექტიან განხორციელებას.
ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის" პროგრამისთვის განსაზღვრული 15 პროფესიული სტუდენტი წარმოადგენს დასაშვებ და რეალისტურ ზღვრულ რაოდენობას.
ინდიკატორი 2.1.1.3. შესაბამისობაშია

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში სასწავლო რესურსების, მათ შორის მასალა-ნედლეულის დაგეგმვა, მიწოდება, შენახვა და გამოყენება ორგანიზებულია წინასწარ განსაზღვრული და დოკუმენტირებული წესის შესაბამისად (პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ND 2-F03 (დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 21 ივლისს № 01-142 ბრძანებით) მუხლი 23. სასწავლო პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების წესი). აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსების შესაბამისობსა პროგრამების შინაარსთან, სწავლების მეთოდებთან და თითოეული მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.

სასწავლო პროცესის მასალებითა და ნედლეულით უზრუნველყოფა ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით. რესურსების შერჩევა ეფუძნება მოდულების მოთხოვნებს და მიმართულია იმ პრაქტიკული ცოდნისა და უნარების განვითარებაზე, რომლებიც განსაზღვრულია პროგრამებით. აკადემია უზრუნველყოფს, რომ პროფესიულ სტუდენტებს ჰქონდეთ საჭირო რაოდენობისა და ხარისხის სასწავლო მასალაზე წვდომა, რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის უწყვეტობასა და შედეგიანობას.

მასალა-ნედლეულის შენახვა და გამოყენება ხორციელდება უსაფრთხოების, ჰიგიენური და გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვით. განსაზღვრული პასუხისმგებელი პირების ჩართულობით უზრუნველყოფილია რესურსების მიზნობრივი და რაციონალური გამოყენება, რაც ამცირებს როგორც არასათანადო მოხმარების, ისე სასწავლო პროცესის შეფერხების რისკებს. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მასწავლებლები უზრუნველყოფენ რესურსების გამოყენებას სწავლების მიზნების შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში ახდენენ მათი გამოყენების ადაპტაციას სასწავლო პროცესის დინამიკისა და სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

ამასთან, აკადემიაში დადგენილია სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის რეგულაცია (მუხლი 24. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის წესი), რაც უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაცვას და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შენარჩუნებას. მასალა-ნედლეულის გამოყენების სრული ციკლი -მიწოდებიდან უტილიზაციამდე - ორგანიზებულია ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

ზემოაღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში არსებული საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები ფუნქციურად უკავშირდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებს და ეფექტიანად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი“ ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, ცალკეული მოდულებით დადგენილი სწავლის შედგების მიღწევა უზრუნველყოფილია ინტერაქციული ლექციების, სხვადასხვა ფოტო-ვიდეო მასალი ჩვენებით, სასწავლო მასალების დემონსტრირების და სტუდენტების მხრიდან პრაქტიკული დავალებების განხორციელების გზით. აკადემიას ექსპლუატაციას უწევს მფლობელობაში არსებულ არსებულ A და B გარემოებს, აკადემიის საწყობს, ტრენინგ ცენტრის სამედიცინო კაბინეტს N3, სახანძრო სიმულატორს და სასწავლო გემს (CADET), რაც ფარავს პროფესიული პროგრამის 16-ე დანართში მოცემულ მატერიალურ რესურსს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.1.1.4. შესაბამისობაშია

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი" არ მოიცავს არჩევით მოდულს.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია

9. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ; კერძოდ:

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების პროცედურა რეგულირდება უნივერსიტეტის წესდებითა და შიდა ნორმატიული აქტებით. წესდების მიხედვით, **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე და მათ ცვლილებებზე პასუხისმგებელი პირი არის რექტორი . აღნიშნული უფლებამოსილება განსაზღვრულია აკადემიის წესდებაში(მუხლი 7. პუნქტი 3. აკადემიის რექტორი კანონმდებლობისა და ამ წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში: დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულების წარდგინებით ამტკიცებს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებს) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესით ND 2-F09-01** (დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებით) პუნქტი 9. ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს რექტორი ბრძანებით.

"პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის"პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია შესაბამისი სამუშაო ჯგუფის წარდგინებით რექტორის მიერ №05-141 26 / სექტემბერი / 2025 წ.ექსპერთა ჯგუფი გაეცნო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ ჯგუფის შექმნის ბრძნებას და შემუშავების პროცესის ამსახველ დოკუმენტაცია.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის დამტკიცების პროცედურა სრულად შეესაბამება წესდებით განსაზღვრულ უფლებამოსილებასა და გადაწყვეტილების მიღების ფორმატს. პროცესი არის ფორმალურად გამართული, გამჭვირვალე და უზრუნველყოფს, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცდეს შესაბამისი ორგანოს მიერ, სათანადო დასაბუთებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.6. შესაბამისობაშია

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს პროგრამის შინაარსობრივ მიმართულებას და სრულ შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან. პროგრამის სტრუქტურა აგებულია ისე, რომ ეტაპობრივად ფარავს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობისათვის აუცილებელ ყველა ძირითად კომპონენტს – ორგანიზაციულ, სამართლებრივ, დაგეგმვის, დოკუმენტირების, განხორციელებისა და კონტროლის მიმართულებებს.
პროგრამა მოიცავს შემდეგ მოდულებს:

- ნავსადგურში მუშაობისას ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხოება
- პორტის ინფრასატრუქტურის, აღჭურვილობის იდენტიფიცირება და გამოყენება
- პორტის საშუალებით საქონლისა და ტვირთის გადაზიდვა
- სამართლებრივი რეგულირება საპორტო ოპერაციებში
- პორტის ოპერაციების შესრულება
- სასაქონლო დოკუმენტაციის დამუშავება
- პორტის ოპერაციებში არსებული წყაროების მართვა
- გუნდის ლიდერობის პრინციპები
- საპორტო ოპერაციების გუნდის წევრთა მართვა

აღნიშნული მოდულები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შემდეგი სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ, პროფესიულ სტუდენტს შეუძლია:

- დაგეგმოს და განახორციელოს მარაგის საჭირო დონის შენახვისათვის მინიმალური ხარჯები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- გამართოს მოლაპარაკებები მომწოდებლებთან კონტრაქტებთან დაკავშირებით ხარისხის, ხარჯებისა და მიწოდების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;
- განახორციელოს საწყობისა და ინვენტარის სისტემების მონიტორინგი;
- განახორციელოს ზედამხედველობა საგზაო ავტოსატრანსპორტო საშუალებებში, მატარებლებში, ხომალდებზე თუ თვითმფრინავებში;
- განახორციელოს ჩანაწერები საქონლის გადაადგილების მონიტორინგის მიზნით და უზრუნველყოს დროის ოპტიმალურ მონაკვეთში ხელახალი მომარაგება;
- დაამყაროს კავშირი სხვა დეპარტამენტებთან და მომხმარებლებთან საზღვრებს გარეთ გასატანი საქონლისა და მისი ექსპედირებისათვის წაყენებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;
- განახორციელოს ზედამხედველობა შესყიდვის, დასაწყობებისა და დისტრიბუციასთან დაკავშირებული ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციის შენახვაზე;
- დაგეგმოს, განახორციელოს და გაუწიოს მონიტორინგი შესყიდვების, დასაწყობებისა და დისტრიბუციის სტრატეგიას და პოლიტიკას;
- შეიმუშაოს და მართოს ბიუჯეტი ხარჯების კონტროლისა და რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველსაყოფად;
- შეიმუშაოს და მართოს ადმინისტრაციული პროცედურები;
- განახორციელოს ზედამხედველობა თანამშრომელთა შერჩევის, გადამზადებისა და მათ მიერ შესრულების სამუშაოს პროცესზე.

მოდულების შინაარსი და მათთან დაკავშირებული სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას და სრულად მოიცავს ლოგისტიკის სფეროში დასაქმებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება არის შინაარსობრივად გამართლებული, ზუსტი და არ ქმნის შეცდომაში შემყვან წარმოდგენას პროგრამის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებით.

ინდიკატორი 2.1.1.7. შესაბამისობაშია

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ:ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და აკადემიის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების სრული დაცვით. პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის თანახმად(ND 2-F09-01

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებით.) პროგრამა დამტკიცებულია აკადემიის რექტორის შესაბამისი ბრძანებით (№05-141 26 / სექტემბერი / 2025 წ.ბრძანებით), პროგრამების დამტკიცების აქტის საფუძველზე, და სრულად შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასთან, შინაარსთან და განხორციელების პროცედურებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. შესაბამისად, პროგრამა აკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ ყველა მოთხოვნას.
პროგრამა დამტკიცებულია აკადემიის რექტორის იგი ეფუძნება საგანმანათლებლო სტანდარტს “ლოგისტიკა და პორტის მენეჯმენტი / Logistics and Port Management”

პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების დეტალური აღწერა შეფასების მიმართულებები, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. შესაბამისად, ქართული ენის მოდულ(ებ)ის გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე გამოცდის ან/და ტესტირების ჩაბარების გზით კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
აღნიშნული პირებისათვის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. („ქართული ენა A2”და „ქართული ენა“ B1 მოდულები).

პროგრამის შემუშავების ეტაპზე გათვალისწინებული იქნა შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, დამსაქმებელთა საჭიროებები და დარგის განვითარების ტენდენციები, ამავე დროს, განსაზღვრულია პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა აკადემიის მიერ დამტკიცებული პროფესიული სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხიან განხორციელებასა და რესურსების ადეკვატურ განაწილებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით “პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი” დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით №05-141 26 / სექტემბერი / 2025 წ.
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალით
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი ND 2-F09-01 დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებითპროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ND 2-F03 (დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 21 ივლისს № 01-142 ბრძანებით) მუხლი 23. სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების წესი;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა ND 2-O06-01(დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2024 წლის 22 თებერვლის ბრძანებით № 01-58)
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით-
- სამუშაო შეხვედრების ფურცლებით;
- სამსახურებრივი ბარათებით;
- აკადემიის მისია, ხედვა, ღირებულებებით - განთავსებული ვებგვერდზე https://bsma.edu.ge/page/akademiis-misia-xedva-girebulebebi

ინდიკატორი 2.1.1.8. შესაბამისობაშია

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის"პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება აკადემიის შესაბამის სასწავლო სივრცეებში, სადაც უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და საგანმანათლებლო გარემო. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიის სასწავლო კორპუსში "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის" პროგრამისთვის გამოყოფილია კეთილმოწყობილი და ტექნიკურად გამართული **A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები**, რომლებიც გამოიყენება თეორიული მეცადინეობების, და კომპიუტერზე დაფუძნებული ისეთი სასწავლო აქტივობების ჩასატარებლად, რაც გათალისწინებულია ზოგადი მოდულით ინფორმაციული წიგნიერება 2 და ცალკეული დარგობრივი მოდულებით და მიცავს სხვადასხვა სახის დოკუმენტაციის წარმოების წესების შესწავლას

A გარემო - 3005 20 სამუშაო ადგილი სტუდენტებისთვის, პროექტორი, მულტიფუნქციური პრინტერი, დაფა და 1 სამუშაო ადგილი მასწავლებლისთვის.

AC გარემო - სამედიცინო კაბინეტი და სახანძრო სიმულატორი ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების მოდულით გათვალისწინებული მატერიალური რესურსით და უზრუნველყოფს შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურებისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების გამომუშავებას

B გარემო 3007 და 321 უზრუნველოყოფილია კომპიუტერებით აღჭურვილი 20 სამუშაო ადგილით, პროექტორით, მულტიფუნქციური პრინტერით და მასწავლებლის სამუშაო ადგილით. სივრცეები უზრუნველყოფილია უწყვეტი კავშირით ინტერნეტთან

C გარემო - აკადემიის საწყობი. იმიტირებული გარემო

C გარემო - აკადემიის სასწავლო გემი CADET-იმიტირებული გარემო

აღნიშნული სივრცეები ხელს უწყობს სასწავლო მასალის ეფექტიან მიწოდებას და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური და სასწავლო რესურსები არის რეალისტურად დაგეგმილი, ფაქტობრივად ხელმისაწვდომი და სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებსა და შინაარსთან.

ინდიკატორი 2.2.1.1. შესაბამისობაშია

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის"პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის წარმოდგენილია წინასწარ გაფორმებული ხელშეკრულებები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ და სტაბილურ განხორციელებას.

პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტს ჰყავს **ჯამში 17 პროფესიული განათლების მასწავლებელი**, რომელთაგან:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **6 მასწავლებელი ახორციელებს ზოგად მოდულებს**
- **11 პროფესიული განათლების მასწავლებელი** პასუხისმგებელია პროგრამის პროფესიულ მოდულებზე. (მათ შორის 2 მასწავლებელი ასრულებს ზოგადი მოდულების ნაწილსაც);

ასეთი სტრუქტურა პროგრამის შინაარსობრივ მრავალფეროვნებას აერთიანებს და უზრუნველყოფს როგორც ზოგადი კომპეტენციების, ისე სარესტორნო სფეროში სპეციფიკური უნარების სრულფასოვან მიწოდებას.

ჩანაცვლებადობა და რესურსების მდგრადობა

ცალკეულ მოდულებზე აკადემიას ჰყავს მოდულზე **ორი განმახორციელებელი მასწავლებელი**, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს სრულფასოვნად ჩაანაცვლებენ. ეს ქმნის:

- პროგრამის უწყვეტობის გარანტიას,
- მოსალოდნელი რისკების მინიმიზაციას,
- მოდულების შესრულების დროულ უზრუნველყოფას.

ექსპერტთა შეფასებით, რესურსების ასეთი განაწილება წარმოადგენს კარგი პრაქტიკის მაგალითს.

მასწავლებელთა დატვირთვა

წარდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ:

- ყველა განმახორციელებელი მასწავლებლის დატვირთვა შეესაბამება **„საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს**,
- კვირაში საერთო სამუშაო დატვირთვა **არ აღემატება 40 საათს**,
- განაწილება ოპტიმალურია და არ ქმნის გადატვირთვის ან პროცესის შეფერხების ალბათობას.

პროგრამას დამატებული აქვს **განმახორციელებელი პერსონალის სია**, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას.

პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლით, კვალიფიკაციის დადასტურებითა და მათთან გასაუბრებით დადგინდა, რომ:

- წარმოდგენილი მასწავლებლები ფლობენ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელ პროფესიულ და პედაგოგიურ კომპეტენციებს,
- პროფესიული გამოცდილება შესაბამისობაშია მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან,
- რაოდენობა და განაწილება სრულად უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივ და პრაქტიკულ განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის"პროგრამისათვის წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა, კვალიფიკაცია და დატვირთვის განაწილება **საკმარისია, რეალისტურია და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად, უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას**.

ინდიკატორი 2.2.1.2. შესაბამისობაშია

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებულმა გასაუბრებამ და მათი პირადი საქმეების შესწავლამ დაადასტურა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული განათლების მასწავლებლები სრულად აკმაყოფილებენ "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ კვალიფიკაციასა და პროფესიულ მოთხოვნებს.

მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია პროგრამის პროფილის შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის: შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები; სატრანსპორტო, ლოგისტიკური და ექსპედირების სფეროში სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები; ასევე პროფესიული პრაქტიკის დამადასტურებელი დოკუმენტები პარტნიორი ორგანიზაციებიდან. წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფლობს როგორც თეორიული ცოდნის გადაცემის, ისე პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის აუცილებელ პროფესიულ კომპეტენციებს.

პრაქტიკული გამოცდილება და პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობა

დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებს აქვთ პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება სატრანსპორტო-საექსპედიტორო და ლოგისტიკური პროფილის მქონე ორგანიზაციებში, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს სასწავლო პროცესის პრაქტიკულ ორიენტაციას. ამასთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან მოწვეული სპეციალისტები – პარტნიორი ორგანიზაციების მოქმედი თანამშრომლები, რომელთა მონაწილეობა უზრუნველყოფს სწავლების შინაარსის შესაბამისობას რეალურ სამუშაო პროცესებთან, მოქმედ რეგულაციებთან და ინდუსტრიის მიმდინარე მოთხოვნებთან.

პროფესიული განვითარების აქტიური პრაქტიკა

გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელმა მასწავლებლებმა რეგულარულად გაიარეს პროფესიული განვითარებისა და გადამზადების კურსები, მათ შორის:

- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- უნარების განვითარების სააგენტოს ტრენინგები („სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება“);
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამები („პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით“).

აღნიშნული გადამზადების კურსები მნიშვნელოვნად აძლიერებს მასწავლებელთა პედაგოგიურ და პროფესიულ კომპეტენციებს და დადებითად აისახება მოდულების სწავლების ხარისხზე.

დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, აქტიურად არიან ჩართული: მოდულების შემუშავებისა და საჭიროების შემთხვევაში მათი ადაპტირების პროცესში; სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში; მოდულების განხორციელების მიმდინარეობის მონიტორინგში. აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს, რომ პროგრამის შინაარსი ეფუძნება კოლეგიურ თანამშრომლობასა და პრაქტიკულ პროფესიულ გამოცდილებას.

პროგრამის განმახორციელებელ ყველა მასწავლებელთან გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულებები, რომლებშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული სამართლებრივად მოთხოვნილი ძირითადი პირობები, კონკრეტული მოდულები, სამუშაო ფუნქციები, პასუხისმგებლობები და სასწავლო დატვირთვა. დადგინდა, რომ მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, რაც შეესაბამება საქართველოს

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა, მათი კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება, პროფესიული განვითარების ისტორია და სამუშაო დატვირთვის რაციონალური განაწილება სრულად უზრუნველყოფს “პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიან, უწყვეტ და მდგრად განხორციელებას. მასწავლებელთა კომპეტენციები პირდაპირ უწყობს ხელს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

აკადემიაში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა – EP-QA პოლიტიკა“ (დანართი EP-QA1.1) განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციისა და პროფესიული კომპეტენციების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოთხოვნებს. დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს შესაბამისი დარგისსპეციალისტი ან/და შესაბამის სფეროში პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო კომპონენტების ეფექტიან მართვას.

განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის ძირითადი ფუნქციები, მათ შორის: პროგრამის შინაარსობრივი და სტრუქტურული ანალიზი; სასწავლო პროცესის გეგმებთან შესაბამისობის მონიტორინგი; სასწავლო ცხრილების დამტკიცებულ გეგმასთან შეჯერება; შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში მონაწილეობა; პროფესიული სტუდენტების კონსულტირება; სასწავლო პროცესის მონიტორინგი და მხარდაჭერა.

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის (პირადი საქმის) შესწავლისა და პროგრამის ხელმძღვანელთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის"პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც ფლობს პროგრამის პროფილის შესაბამის დარგობრივ კომპეტენციებს, წარმოდგენილი აქვს დადასტურებული კვალიფიკაცია და პრაქტიკული პროფესიული გამოცდილება სატრანსპორტო-საექსპედიტორო და ლოგისტიკის სფეროში. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობს როგორც პროგრამის შემუშავებისა და განახლების პროცესში, ისე მისი განხორციელებაში

დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებასთან ერთად, ახორციელებს დარგობრივ მოდულებს, რაც დამატებით აძლიერებს პროგრამის პრაქტიკულ სისწორეს, სწავლების რეალურ სამუშაო გარემოსთან შესაბამისობასა და სასწავლო პროცესის ხარისხს. აღნიშნული პრაქტიკა არ ქმნის გადაფარვის ან ინტერესთა კონფლიქტის რისკს, არამედ უზრუნველყოფს პროგრამის მართვისა და სწავლების პროცესის ერთიან, კოორდინირებულ განხორციელებას.

პროგრამის ხელმძღვანელი სისტემურად იყენებს პოლიტიკით განსაზღვრულ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმილ, სტრუქტურირებულ და დროულ განხორციელებას, ასევე სწავლების ხარისხის მუდმივ მონიტორინგსა და გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ მიდგომას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება და მაღალი ჩართულობა სრულად შეესაბამება EP-QA პოლიტიკის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიან, მდგრად და ხარისხზე ორიენტირებულ მართვას.

ინდიკატორი 2.2.1.4. შესაბამისობაშია

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. კერძოდ:

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიბლიოთეკისა და დამატებითი სასწავლო სივრცეების დათვალიერება, ასევე შერჩევითი პრინციპით შეამოწმა "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსები. ბიბლიოთეკართან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე არსებული მდგომარეობა შეფასდა როგორც სანდო და მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი.

დადგინდა, რომ პროგრამის მოდულებით განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. კერძოდ, აკადემიის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია მოდულების მიხედვით შერჩეული ბეჭდური სასწავლო მასალები, რომლებიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების დაცვით და თავისუფლად ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ისე პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლებისთვის.

ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. სასწავლო მასალები ინახება სპეციალურ მყარ დისკებზე, საიდანაც შესაძლებელია მათი გადატანა, ბეჭდვა ან ელექტრონულად გამოყენება. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საჭირო მასალები მიიღონ ელექტრონული ფოსტის საშუალებით ან შესაბამისი ამონარიდები ბეჭდური სახით.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან, რაც უზრუნველყოფს "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის" პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეგულაციების განახლებულ ვერსიებზე მუდმივ წვდომას. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სატრანსპორტო-საექსპედიტორო და ლოგისტიკური საქმიანობის სფეროში მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს შესასწავლად.

აკადემიის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რაც უზრუნველყოფს მომსახურების პირობების საჯაროობას, რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას და უსაფრთხო, ორგანიზებულ სასწავლო გარემოს შექმნას.

ექსპერტთა შეფასებით, "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო და მატერიალური რესურსები არის რელევანტური, მრავალფეროვანი და სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. რესურსებზე წვდომა ორგანიზებულია გამჭვირვალედ – როგორც ბიბლიოთეკაში, ისე სასწავლო გარემოებსა და ელექტრონული რესურსების მეშვეობით – რაც დადებითად აისახება სასწავლო პროცესის ეფექტიანობაზე.

ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისობაშია

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კერძოდ:ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სასწავლო პირობები, რომლებიც გამოიყენება "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის. სასწავლო სივრცეების დათვალიერებისა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურულ პირობებს, მათ შორის ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნას.

აკადემიის იმ სასწავლო კორპუსში, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცეები, უზრუნველყოფილია მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი ხელმისაწვდომობა. კერძოდ, შენობა აღჭურვილია კიბეებზე ასასვლელი და ჩამოსასვლელი სპეციალური მოწყობილობებით, რაც უზრუნველყოფს შეზღუდული მობილობის მქონე პირების დამოუკიდებელ გადაადგილებას. ასევე, აკადემიაში ფუნქციონირებს ადაპტირებული სველი წერტილები, რომლებიც სრულად შეესაბამება უნივერსალური დიზაინის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

A და B ტიპის სასწავლო სივრცეებში შესაძლებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს ორგანიზება, მათ შორის მოსარგები სამუშაო ადგილებისა და სივრცის მოქნილი განლაგების საშუალებით. C ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც გამოიყენება "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის" პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად, ასევე აკმაყოფილებს ბაზისური ხელმისაწვდომობის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს პრაქტიკული საქმიანობის უსაფრთხო პირობებში განხორციელებას.კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფს სამუშაო ადგილის ადაპტირებას ან საჭიროების შემთხვევაში მის მოდიფიცირებას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტებისათვის პროფესიული განათლების მიწოდება იგეგმება ინდივიდუალურად მათი საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით, რისთვისაც საზღვაო აკადემია უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. ინკლუზიური საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის აკადემიას წინარე ხელშეკრულებით მოწვეული ყავს შესაბამისი სპეციალისტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ჩაერთვება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესში.

აკადემიის ბიბლიოთეკისა და საინფორმაციო რესურსების გამოყენება ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვისაც. ბიბლიოთეკის სივრცეებში უზრუნველყოფილია მობილობის შეზღუდვის მქონე პირების თავისუფალი გადაადგილება, ხოლო კომპიუტერული კლასები იძლევა სამუშაო ადგილის ადაპტირების ან საჭიროების შემთხვევაში მისი მოდიფიცირების შესაძლებლობას.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ უზრუნველყოფილი ინფრასტრუქტურა და სასწავლო სივრცეების ადაპტირება სრულ თანხვედრაშია პროფესიული განათლების სტანდარტის მოთხოვნებთან. "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის"პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს უსაფრთხო, ხელმისაწვდომ და ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, რაც ყველა პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს, აძლევს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.6. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. კერძოდ:
ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის"პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. დოკუმენტის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ბიუჯეტი ჩამოყალიბებულია გამჭვირვალე, ეკონომიკურად გონივრული და სტანდარტებთან შესაბამისი პრინციპებით.
1. ბიუჯეტის სტრუქტურა და შემოსავლების ნაწილი
საპროგნოზო ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი დაფუძნებულია **სწავლის საფასურზე**, რომლის მოცულობა განსაზღვრულია უნივერსიტეტის ფინანსური პოლიტიკის შესაბამისად. შემოსავლის პროგნოზი ეფუძნება **ზღვრული რაოდენობისა და მინიმალური დასაშვები ჯგუფის ანალიზს**, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.
2. ხარჯვითი ნაწილი – დეტალური და რეალისტური განაწილება
ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მოიცავს პროგრამის სრულფასოვანი განხორციელებისთვის აუცილებელ ყველა პოზიციას, მათ შორის:

- **პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივ ანაზღაურებას**,
- **ადმინისტრაციული და დამხმარე პრსონალის შრომის ანაზღაურება**
- **კომუნალურ ხარჯებს**,
- **პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს (მივლინება, კადრის მომზადება, ელ. პლატფორმა და სხვა)**

ხარჯების ასეთი სტრუქტურა ასახავს პროგრამის განხორციელების რეალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტობას.

ბიუჯეტირება ეფუძნება **მინიმალური ჯგუფის ფორმირების პრინციპს**, რაც უნივერსიტეტში განსაზღვრულია როგორც ფინანსური მდგრადობის პირობა.
ანალიზის მიხედვით, "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის"პროგრამის **რენტაბელობის ზღვარი** არის ჯგუფში 13 პროფესიული სტუდენტი, რომლის პირობებშიც პროგრამა ოპერატიულ ხარჯებს სრულად ფარავს და შესაძლებელია მისი მიმდინარეობა ხარისხის ზიანის გარეშე.
განხილული მონაცემებით დგინდება, რომ:საპროგნოზო ბიუჯეტი რეალისტურად მოიაზრებს ყველა აუცილებელ ხარჯს,
დასკვნა
ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ წარმოდგენილი "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის"პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **სტანდარტებთან შესაბამისია**,
- **უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად განხორციელებას**,
- **გათვლილია საჭირო მინიმუმზე**, რაც აძლიერებს ფინანსური დაგეგმვის პასუხისმგებლიან მიდგომას.

ბიუჯეტი ასახავს უნივერსიტეტის სისტემურ მიდგომას ფინანსურ მართვაში და ქმნის საფუძველს პროგრამის ხარისხიანი და უწყვეტი რეალიზაციისთვის.

ინდიკატორი 2.2.1.7. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დოკუმენტაცია საქარტველოს საკანონმდებლო მაცნეს შესყიდვის შესახებ;
- სტრუქტურული ერთეულები, სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- განმახორციელებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ვებ გვერდი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.; კერძოდ: ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ დამტკიცებული „პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი“, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და განვითარების ძირითად პროცესებს. დოკუმენტი ქმნის პროფესიული განათლების ხარისხის მართვის ერთიან, სისტემურ და პროცედურულად გაწერილ ჩარჩოს და უზრუნველყოფს პროცესების თანმიმდევრულ და გამჭვირვალე განხორციელებას.

დადგენილი წესების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ეფუძნება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს, მათ შორის: შრომის ბაზრის კვლევის შედეგების რეგულარულ ანალიზს; დაინტერესებული მხარეების – პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, დამსაქმებლებისა და პარტნიორი ორგანიზაციების უკუკავშირს; ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებას; ასევე პროგრამის შინაარსისა და მისაღწევი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგების პერიოდულ გადახედვას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამების აქტუალობისა და შესაბამისობის სისტემურ შემოწმებას როგორც შიდა, ისე გარე მოთხოვნებთან მიმართებით.

ამასთან, აკადემიაში მოქმედი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ დეტალურად განსაზღვრავს პროგრამების შიდა შეფასების პროცედურებს, შეფასების განხორციელების პერიოდულობას, ცვლილებების შეტანის წესებსა და საფუძვლებს, ასევე პროცესში ჩართული პასუხისმგებელი პირების ფუნქციებს. მეთოდოლოგიაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის სრული ლოგიკა (Plan–Do–Check–Act), რაც უზრუნველყოფს პროგრამების უწყვეტ მონიტორინგს და დაგეგმილი შედეგების მიღწევის კონტროლს.

ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემურად ახორციელებს ხარისხის მართვის ფუნქციებს. სამსახური ატარებს პერიოდულ კვლევებს, იყენებს წინასწარ შემუშავებულ და დამტკიცებულ კითხვარებს, აანალიზებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების შეფასებებს და ამზადებს რეკომენდაციებს პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. კვლევების შედეგები გამოიყენება როგორც მიმდინარე სასწავლო პროცესის დახვეწისა და ოპტიმიზაციისთვის, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების დაგეგმვისას.

ექსპერტთა შეფასებით, აკადემიაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციები და პრაქტიკა ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების ეფექტიან და მდგრად სისტემას, რაც ხელს უწყობს პროგრამების ხარისხის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 2.3.1.1. შესაბამისობაშია

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.კერძოდ:

განსაზღვრავს პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესებს.

ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მოიძებნება შესაბამისი საფუძველი შეფასების პროცესში,
- არსებობს დადასტურებული საჭიროება შრომის ბაზრის ან მოთხოვნების ცვლილების გამო,
- მიღებულია უკუკავშირი დაინტერესებული მხარეებისგან.

მსგავსი მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამის სტაბილურობას, მაგრამ არასოდეს უშლის ხელს მის დროულ განახლებას.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ხორციელდება დარგში ოპერირებად ორგანიზაციებთან კომუნიკაცია, კურსდამთავრებულთა იმ უნარების დასადგენად რომელიც შრომის ბაზრის შესაბამისი საჭიროების გაუმჯობესებას. რის შემდეგადაც, გამოვლენილი იქნა ინგლისური ენის ცოდნა. რაც გათვალისწინებული იქნა პრორამის განვითარების დროს.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მოქმედი შიდა რეგულაციები, მეთოდოლოგიები და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან.
“პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის” პროგრამაზე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი:

- არის სისტემური და პროცესზე დაფუძნებული,
- მოიცავს მრავალწყაროიან შეფასებას,
- ეფუძნება ხარისხის ციკლის პრინციპს,
- უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივ და სტრუქტურულ განახლებას საჭიროების შემთხვევაში.

ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს პროგრამის მდგრად და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამის განხორციელებას.

ინდიკატორი 2.3.1.2. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA პოლიტიკა;
- ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. კერძოდ:

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილი სასწავლო გეგმა წარმოდგენილია მკაფიო, თანმიმდევრულ და ლოგიკურად გააზრებულ სტრუქტურად. დადგინდა, რომ გეგმა სრულად შეესაბამება სამუშაო სტანდარტის მოთხოვნებს და შეიცავს მის მიერ რეკომენდირებულ უმთავრეს ელემენტებს.

"პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის" პროგრამის სასწავლო გეგმა:

- ასახავს მოდულების თანმიმდევრობას,
- განსაზღვრავს თითოეული მოდულის განხორციელების კვირობრივ განრიგს,
- უზრუნველყოფს საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების მკაფიო გაწერას.

გეგმა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას – დაწყებული საბაზისო ცოდნის ფორმირებიდან, დასრულებული პორტების ლოგისტიკის მართვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების დამუშავებამდე.

სასწავლო გეგმის საფუძველზე უნივერსიტეტი ადგენს პროფესიული სტუდენტების მეცადინეობის ცხრილს, რაც საშუალებას იძლევა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სწავლის პროცესის ეფექტური ორგანიზაცია,
- სამუშაო საათების სწორად გადანაწილება,
- თეორიული და პრაქტიკული ნაწილის გონივრული გაწერა.

ეს უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების გამართულობას და მოდულების ერთმანეთთან თანხვედრას.

სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მიდგომას იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე ჩაირიცხება არაქართულენოვანი სტუდენტები. მათთვის გათვალისწინებულია ქართული ენის შემავსებელი მოდული, რაც უზრუნველყოფს:

- სასწავლო პროცესში თანაბარ ჩართულობას,
- პროფესიული ლექსიკის დაუფლებას,
- სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

გამოკვლეული დოკუმენტაციისა და გასაუბრებებზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ:

- სასწავლო გეგმა არის შინაარსობრივად და სტრუქტურულად გამართული,
- მოდულების თანმიმდევრობა და განაწილება დამკვირვებელი ლოგიკით არის ჩამოყალიბებული,
- პროგრამის განხორციელება დაგეგმილია დამტკიცებული სასწავლო გეგმის სრული დაცვით.

ექსპერტთა შეფასებით, "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის"პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას. გეგმა არის მკაფიოდ სტრუქტურირებული

ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული სტუდენტების სტატუსის, უფლებებისა და ადმინისტრაციული პროცედურების მართვა ხორციელდება რექტორის 2023 წლის 24 იანვრის №12§17 ბრძანებით დამტკიცებული **„პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის"** საფუძველზე. დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს:

- პროფესიული სტუდენტის **სტატუსის შეჩერების** და **შეწყვეტის** წესებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **მობილობის** განხორციელების პირობებს,
- მიღებული განათლების **აღიარების** პრინციპებს,
- პროგრამის **შეცვლის ან გაუქმების** შემთხვევაში შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს.

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ მათვის ცნობილია მობილობის შესაზებლობის და წესების შესახებ.

სტუდენტზე ორიენტირებული ადმინისტრირება

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ უნივერსიტეტი სრულად იცავს მოქმედ რეგულაციებს და პრაქტიკაში იყენებს მოქნილ, სტუდენტზე მორგებულ მიდგომებს. განხორციელებული ვიზიტისას გამოიკვეთა რამდენიმე ტიპური პრინციპი:

- თუ პროფესიული სტუდენტი დასაქმებულია პროგრამის პროფილის მიხედვით, უნივერსიტეტი ცდილობს, **სასწავლო ცხრილი და შეფასების პროცესები** ისე დაგეგმოს, რომ მათი სამუშაო გრაფიკი მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული. აღნიშნული დადასტურდა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას ეს პრაქტიკა ხელს უწყობს სტუდენტების წარმატებულ ჩართულობას და უზრუნველყოფს სწავლის პროცესის შეწყობას ყოველგვარი დამატებითი ბიუროკრატიული სირთულეების გარეშე.

შეფასების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემა

დაწესებულებაში მოქმედი პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემა ადგენს:

- შეფასების **კრიტერიუმების წინასწარ გაცნობას**,
- შეფასების პროცესის **ორგანიზებულობას**,
- ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას.

ფუნქციონირებს როგორც მიმდინარე, ისე საბოლოო შეფასების მექანიზმები, ხოლო შეფასების ცვლილების ან გადავადების შემთხვევები ხდება განსაზღვრული წესის დაცვით. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათთვის ცნობილი იყო შეფასების კრიტერიუმების შესახებ და რომ ცნობილია გასაჩივრების შესაძლებლობა

დასკვნა

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია სრულად უზრუნველყოფს:

- პროფესიული სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცესების სწორ მართვას,
- რეალურ სტუდენტურ საჭიროებებზე მორგებულ მოქნილ მიდგომებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ობიექტურ და გამჭვირვალე შეფასების პრაქტიკას.

სტუდენტებთან გასაუბრების შედეგან დადგინდა, რომ მას შემდეგ რაც სწავლის პერიოდში გამოთქვეს რეალურ სამუშაო გარემოსთან გაცნობის სურვილი, პსდ-მ უზრუნველყო გაცნობითი პრაქტიკის განხორციელება პარტნიორი ორგანიზაციაში. რამაც კურსდამთავრებულთა თქმით გაზარდა თეორიული მასალის აღქმის დონე.

აღნიშნული მექანიზმები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან და სტუდენტთა წარმატებაზე ორიენტირებულ მიდგომად შეიძლება ჩაითვალოს.

ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;კერძოდ:

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული განათლების ცენტრი უზრუნველყოფს, რომ "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის"პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების პროცესში ინტეგრირებული იყოს სწავლების თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომები და სატრანსპორტო-საექსპედიტორო დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიები. აკადემიაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ქმნის შესაძლებლობას, რომ სწავლება განხორციელდეს რეალურ სამუშაო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში, რაც ხელს უწყობს პროფესიული კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის ფარგლებში აქტიურად გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქეის-სტადები, სიტუაციური ანალიზი, პროფესიული როლების იმიტაცია, დემონსტრაციებისა და პრაქტიკული დავალებების კომბინაცია, საწარმოო დოკუმენტაციის წაკითხვა და გაფორმება, თანასწორებს შორის სწავლების (peer-learning) ელემენტები და ინტერაქტიური ჯგუფური მუშაობა. აღნიშნული მიდგომები სტუდენტებს საშუალებას აძლევს რეალური საპორტო ლოგისტიკური პროცესების ანალიზისა და პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღების უნარები განივითაროს

პროგრამის განხორციელების პროცესში გამოიყენება იმიტირებული და სიმულაციური სასწავლო გარემოები, რომლებიც ასახავს პორტის ლოგისტიკის მართვის პროცესების ძირითად ეტაპებს, მათ შორის საწყობისა და ინვენტარის მონიტორინგის განხორციელება, დაგეგმოს და მონიტორინგი გაუწიოს შესყიდვების, დასაწყობებისა და დისტრიბუციის სტრატეგიას, შეიმუშაოს და მართოს ადმინისტრაციული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცედურები, განახორციელოს ზედამხედველობა თანამშრომელთა შერჩევის, გადამზადებისა და მათ მიერ შესრულების სამუშაოს პროცესზე. რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ეტაპობრივ მომზადებას რეალური სამუშაო გარემოსთვის.

“პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის” პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური ფორმით. ელექტრონული მასალები განთავსებულია აკადემიის ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებში, სასწავლო სივრცეების კომპიუტერებში და შესაბამის ციფრულ პლატფორმებზე, რაც ზრდის პროფესიული სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის შესაძლებლობას და ამარტივებს სასწავლო რესურსებზე ოპერატიულ წვდომას. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებს აქვთ ბეჭდური მასალების გამოყენების შესაძლებლობაც.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები არის თანამედროვე, დარგის სპეციფიკასთან თავსებადი და პროფესიული სტუდენტების პრაქტიკულ განვითარებაზე ორიენტირებული. სწავლების პროცესში ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს მოდერნიზაციას, ხოლო აქტიური სწავლების ფორმები ზრდის სტუდენტთა ჩართულობას და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.
ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში “პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და სატრანსპორტო-საექსპედიტორო დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. აღნიშნული პრაქტიკა სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ საჭირო კომპეტენციების ეფექტიან და პრაქტიკულად ორიენტირებულ განვითარებას.
ინდიკატორი 2.4.1.3. შესაბამისობაშია

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები და მათი სასწავლო სტატუსი. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ მათთვის ცნობილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის არსებობა, დანიშნულება და გამოყენების შესაძლებლობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია დასაქმებული სტუდენტების პრაქტიკა – მათ მიერ გაცდენილი სასწავლო მასალის ანაზღაურება ხორციელდება პედაგოგებთან დამატებითი კონსულტაციების გზით. აღნიშნული კონსულტაციები, უმეტეს შემთხვევაში, ტარდება აკადემიურ გარემოში და არის შეთანხმებული სტუდენტისა და მასწავლებლის ინდივიდუალური გრაფიკის შესაბამისად. დაწესებულების მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტთა ინდივიდუალური მდგომარეობა (დასაქმება, დროებითი შეზღუდვები, სასწავლო ტემპის განსხვავება) არ გახდეს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის დამაბრკოლებელი ფაქტორი და ხელი შეეწყოს სტუდენტთა სწავლის პროცესში ჩართულობასა და პროგრესს.

ინდიკატორი 2.4.1.4. შესაბამისობაშია

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში

ინდიკატორი 2.4.1.5. შესაბამისობაშია

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკისა და განხორციელებული აქტივობების ხასიათის გათვალისწინებით. დაწესებულებაში უსაფრთხოების საკითხები არ შემოიფარგლება მხოლოდ ფორმალური ინსტრუქტაჟის ჩატარებით, არამედ ეფუძნება სისტემურ მიდგომას.

დაწესებულებას ჰყავს შრომის უსაფრთხოების პასუხისმგებელი სპეციალისტ(ებ)ი, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხოების პროცესების კოორდინაციას, მონიტორინგსა და გაუმჯობესებას. შემუშავებულია და დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და შესაბამისი შიდა რეგულაციები, რაც ქმნის ერთიან ჩარჩოს უსაფრთხოების მართვისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესში გამოყენებული იმიტირებული/სიმულაციური გარემოები წინასწარ არის შეფასებული უსაფრთხოების კუთხით. რეგულარულად მიმდინარეობს რისკების იდენტიფიცირება და შეფასება როგორც სასწავლო, ისე ადმინისტრაციულ სივრცეებში, რის საფუძველზეც განისაზღვრება პრევენციული და კორექტიული ღონისძიებები.
პროფესიული სტუდენტების, პროფესიული მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის ტარდება მიზნობრივი ინსტრუქტაჟები, რომლებიც მოიცავს როგორც ზოგად, ისე პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უსაფრთხოების წესებს.
ინსტრუქტაჟები დოკუმენტირდება და წარმოადგენს შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის შემადგენელ ნაწილს.
აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კონტროლირებად, უსაფრთხო გარემოში და შეესაბამება მოქმედ შრომის უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.4.1.4. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით “პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი“;
- აკადემიის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკითა და დოკუმენტაციით;
- პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესით;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები;
- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების პირადი საქმეებით;
- შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟებით;
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას რექტორის 2024 წლის 10 დეკემბრის #01-284 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესი;
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას რექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგანმათლებლო პროგრამით;
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი.
- ვიზუალური დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.2.1 პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და შესაბამის პირებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა რეგულირდება აკადემიის რექტორის 2024 წლის 23 თებერვლის №01-62 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“.

აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს შეფასების სისტემის ყველა არსებით კომპონენტს, მათ შორის: შეფასების ინსტრუმენტების შერჩევისა და შემუშავების პროცედურებს; შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების მიმართ მოთხოვნებს; შიდა მონიტორინგის მექანიზმებს; შეფასების ადმინისტრირების წესს; შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებულ საკითხებს; აპელაციისა და განმეორებითი შეფასების განხორციელების წესსა და ვადებს; ასევე მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის პროცედურებს. დოკუმენტში ასევე გაწერილია ნამუშევრების გასწორებისა და შეფასების ვადები და განმეორებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობები.

მარეგულირებელი წესის მიხედვით, შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს, რაც ქმნის შეფასების პროცესის სამართლებრივად და მეთოდოლოგიურად გამართულ ჩარჩოს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის ფარგლებში განხორციელებულმა გასაუბრებებმა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან დაადასტურა, რომ შეფასების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება სრულად ეფუძნება აღნიშნული წესის მოთხოვნებს. მასწავლებლებმა განმარტეს, რომ ისინი ჯერ კიდევ მოდულის დაწყების ეტაპზე აცნობენ პროფესიულ სტუდენტებს შეფასების მიდგომებს, შეფასების ტიპებსა და კრიტერიუმებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის წინასწარ გამჭვირვალობას. ამასთან, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასება ხორციელდება მხოლოდ ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით და შეფასებამდე არანაკლებ ერთი კვირით ადრე შეფასების ინსტრუმენტი მზად არის, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას დროულად გაეცნონ შეფასების მოთხოვნებს და შესაბამისი მომზადება უზრუნველყონ.

გასაუბრებების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ პროფესიული სტუდენტები იცნობენ საკუთარ უფლებებს შეფასების პროცესში, მათ შორის შეფასების შედეგების მიღების, გასაჩივრებისა და განმეორებითი შეფასების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ შეფასების ადმინისტრირება ხორციელდება დადგენილი პროცედურების დაცვით, მათ შორის შეფასების ვადების, შეფასების შედეგების ოფიციალურად დაფიქსირებისა და სტუდენტებისთვის დროული ინფორმირების ნაწილში. გასაუბრებებისას ასევე გამოიკვეთა, რომ პერსონალი კარგად იცნობს აპელაციისა და განმეორებითი შეფასების წესს და მზად არის მისი გამოყენებისთვის საჭიროების შემთხვევაში.
წარმოდგენილი შეფასების დოკუმენტაციით და გასაუბრებების შედეგებით შეფასების სისტემა აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ინდიკატორი 2.4..2.1 შესაბამისობაშია.

2.4.2.2 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს
ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში შემუშავებული და დანერგილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს გამოყენებული შეფასების სისტემის შესაბამისობას პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან. აღნიშნული მექანიზმი წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის ნაწილს და დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2022 წლის 11 მარტის №4/14 გადაწყვეტილებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შეფასების სისტემის შემოწმებას სამ ძირითად მიმართულებით:
ა) შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია და ვერიფიკაცია;
ბ) შეფასების პროცესის ვერიფიკაცია;
გ) შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია.
მექანიზმი ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს. ვერიფიკაციის პროცესის ორგანიზება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ, შესაბამისი ვერიფიკაციის ჯგუფის ჩართულობით. განხორციელებული ვერიფიკაციის შედეგებზე ფორმდება დასკვნა, რომელიც რეკომენდაციების შემუშავების მიზნით წარედგინება პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს.
დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის განხორციელების დამადასტურებელი მტკიცებულებები, მათ შორის: ვერიფიკაციის გეგმები, შერჩევის მექანიზმები (რისკების სისტემა), ვერიფიკაციის დასკვნები და შესაბამისი დანართები. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება არა ფორმალურად, არამედ სტრუქტურირებულად და წინასწარ განსაზღვრული პროცედურების დაცვით.
ექსპერტთა მიერ შესწავლილი მასალების მიხედვით ასევე დადგინდა, რომ ვერიფიკაციის დასკვნების საფუძველზე დაწესებულებაში შედგა მაკორექტირებელი გეგმები, სადაც გაწერილია კონკრეტული ღონისძიებები, პასუხისმგებელი პირები და განხორციელების ვადები. აღნიშნული გეგმების შესრულება ექვემდებარება შემდგომ მონიტორინგს, რაც უზრუნველყოფს გამოვლენილი საკითხების რეაგირებასა და შეფასების სისტემის განვითარებას.
ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მოქმედი პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი ფუნქციონირებს რეგულაციის შესაბამისად, ეფუძნება მონაცემებსა და მტკიცებულებებს და ქმნის პირობებს შეფასების პროცესის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებისთვის.
ინდიკატორი 2.4.2.2 შესაბამისობაშია.

2.4.2.3 პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით
კერძოდ:ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და შესაბამის პირებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის პროცესი რეგულირდება მოქმედი ნორმატიული დოკუმენტით – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (მუხლები 25 და 26). აღნიშნული რეგულაციის თანახმად, შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტები, შეფასების მტკიცებულებები და შეფასების უწყისები, ექვემდებარება წინასწარ განსაზღვრული წესით აღრიცხვასა და შენახვას. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან არანაკლებ 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს როგორც პროცესის გამჭვირვალობას, ისე საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის ხელახალ გადამოწმების შესაძლებლობას.

დაწესებულების წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ აღნიშნული წესები პრაქტიკაში სრულად ხორციელდება. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა შეფასებასთან დაკავშირებული აღრიცხვის მტკიცებულებები, რომლებიც არის სტრუქტურირებულად დალაგებული, დანომრილი და მიკვლევადი. წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა შესაძლებლობას, შეფასების პროცესის თითოეული ეტაპი იყოს ადვილად იდენტიფიცირებადი კონკრეტულ პროფესიულ სტუდენტთან, მოდულთან და შეფასების ინსტრუმენტთან მიმართებით.

ექსპერტთა შეფასებით, შეფასების მონაცემების აღრიცხვისა და შენახვის არსებული პრაქტიკა უზრუნველყოფს ინფორმაციის სანდოობას, ხელმისაწვდომობასა და დაცულობას, ხოლო რეგულაციისა და პრაქტიკის თანხვედრა მიუთითებს პროცესის ორგანიზებულ და პასუხისმგებლიან განხორციელებაზე.

ინდიკატორი 2.4.2.3 შესაბამისობაშია.

2.4.2.4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადასტურდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოიყენება არა მხოლოდ მიღწეული სწავლის შედეგების დასადგენად, არამედ სტუდენტების შემდგომი აკადემიური და პროფესიული განვითარების მხარდასაჭერად. პროფესიული განათლების მასწავლებლები განმსაზღვრელი შეფასების პარალელურად აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, რაც საშუალებას იძლევა სწავლის პროცესში დროულად გამოვლინდეს სტუდენტების ძლიერი მხარეები და განვითარების საჭიროებები. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების შედეგები პერიოდულად განიხილება პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალურ ფორმატში, რაც ხელს უწყობს შეფასების პროცესის გააზრებას და სწავლის შედეგებზე ორიენტირებულ უკუკავშირს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროფესიული სტუდენტის მხრიდან დამატებითი კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებლები ახორციელებენ ინდივიდუალურ კონსულტირებას. ამ პროცესში სტუდენტს მიეწოდება განმარტებები შეფასების შედეგების შესახებ, განიხილება არსებული სირთულეები და ერთობლივად განისაზღვრება სწავლების პროცესის გაუმჯობესების შესაძლო გზები. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მიდგომები განსხვავებულია სტუდენტთა პიროვნული თავისებურებებისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას.

ამასთან, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზი გამოიყენება უფრო ფართო კონტექსტშიც – შეფასების პროცესის შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია ინიცირდეს სწავლების მეთოდების ან/და შეფასების სისტემის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული წინადადებები. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს როგორც სტუდენტების ინდივიდუალურ განვითარებას, ისე სასწავლო პროცესის ხარისხის ეტაპობრივ გაუმჯობესებას.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება არის მიზანმიმართული, განვითარებაზე ორიენტირებული და შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.4.2.4 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2022 წლის 11 მარტის № 4/14 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი - ვერიფიკაცია.
- ვერიფიკაციის დოკუმენტაციით;
- შეფასების დოკუმენტაციით;
- გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საბაჟო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1032
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება No.07-93 26.09.2025 წ.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ფოთი, წმინდა გიორგის ქ. #24
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	45
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	93
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება □

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

273

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასაბუთება

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კერძოდ: სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალი წარმოადგენს სპეციალიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს პროფესიული და უმაღლესი განათლების პროგრამებს საზღვაო და მასთან მომიჯნავე დარგებში. აკადემიის მისია ეფუძნება კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას, კვლევითი საქმიანობის განვითარებასა და მიღებული ცოდნის საზოგადოებაში გავრცელებას, თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

აკადემიის სტრატეგიული ხედვის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება ორიენტირებულია შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კომპეტენციების მქონე, პროფესიული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის უნარის, გუნდური მუშაობის, პასუხისმგებლობისა და პიროვნული პოტენციალის რეალიზაციის უნარებით აღჭურვილი კადრების მომზადებაზე. ამ მიზნების მისაღწევად, აკადემია ახორციელებს როგორც პროფესიულ, ისე უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებსა და უწყვეტი განათლების კურსებს.

საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირება და შემუშავება მიმდინარეობს აკადემიის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და დადგენილი პროცედურების შესაბამისად, დაინტერესებული მხარეების ჩართულობითა და კოლეგიური განხილვის საფუძველზე. პროგრამის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კოორდინირებული მონაწილეობა, რაც ხელს უწყობს პროგრამის შინაარსის შესაბამისობას როგორც საგანმანათლებლო სტანდარტებთან, ისე პრაქტიკულ საჭიროებებთან.

ამ კონტექსტში „საბაჟო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება თანხვედრაშია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მისიასთანა და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან. პროგრამის შინაარსი პასუხობს სექტორის მოთხოვნებს და მოიცავს იმ კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც დაკავშირებულია სერვისის ხარისხის მართვასთან, მომხმარებელთან ეფექტურ კომუნიკაციასთან, ოპერაციული პროცესების ორგანიზებასა და ჰიგიენის სტანდარტების დაცვასთან. შრომის ბაზრის ანალიზი და დამსაქმებელთა პოზიციები ადასტურებს პროგრამის შესაბამისობას პრაქტიკულ საჭიროებებთან.

პროგრამაში ინტეგრირებულია თეორიული სწავლება და პრაქტიკული კომპონენტი პარტნიორ ორგანიზაციებში, რაც ზრდის სტუდენტთა პროფესიულ მზაობას და დასაქმების შესაძლებლობებს. აღნიშნული მიდგომა სრულ შესაბამისობაშია აკადემიის ხედვასთან, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლებას, შრომის ბაზართან მჭიდრო კავშირსა და უწყვეტი განათლების განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზღვაო აკადემიის მისია და სტრატეგიული მიზანია საზღვაო და მომიჯნავე დარგებში კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე, პასუხისმგებლიანი სპეციალისტებისა და ლიდერების მომზადება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პერსონალის მომზადება, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალის პრიორიტეტია და გაწერილია საზღვაო აკადემიის მისიით. პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიული გეგმაც ამ პრიორიტეტებზეა აგებული, რომელსაც საფუძვლად უდევს საზღვაო აკადემიის პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელების სწავლის, პროფესიული უნარების ათვისებისა და დასაქმების მაჩვენებელი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბაჟო საქმე“ პირდაპირ პასუხობს აკადემიის მიზნებსა და სტრატეგიას, რაც გაცხადებულია საზღვაო აკადემიის მისიით. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის გეოპოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების მთავარი წყარო საზღვაო და მომიჯნავე დარგების განვითარებაა, პროცესში აქტიურად არიან ჩართული რეგიონში მოქმედი ლოჯისტიკური სატრანსპორტო კომპანიები, სადაც დიდია მოთხოვნა საბაჟო საქმის მცოდნე პროფესიონალ კადრებზე.

შრომის ბაზრის კვლევის შედეგებით გამოიკვეთა, პრიორიტეტული პროფესიები, რომლებიც საჭიროებენ ბაზრის მოთხოვნებზე მორგებას. კვლევების ანალიზი აჩვენებს ტრანსპორტირებისა და დასაწყობების, საერთაშორისო ვაჭრობის სექტორში, მზარდ მოთხოვნას ისეთ პროფესიებზე, როგორებიცაა: ნავსადგურში მომუშავე პერსონალი, საზღვაო ეკონომიკის, ფინანსებისა და დაზღვევის სპეციალისტი, საზღვაო ბიზნესის მართვის სპეციალისტი, გადაზიდვების სპეციალისტი ლოგისტიკის სპეციალისტი, და რა თქმა უნდა ზემთ ჩამოთვლილი მიმართულებები საბაჟო საქმის მცოდნე სპეციალისტების გარეშე წარმოუდგენელია.

კურსდამთავრებულთა გამოკითხვების შედეგებით იკვეთება, რომ მოთხოვნა საბაჟო საქმის სპეციალობაზე ისევ აქტუალურია, რაც ასევე განპირობებულია დასავლეთ საქართველოში საზღვაო ინფრასტრუქტურის არსებობით და მზარდი განვითარებით (ბათუმისა და ფოთის ნავსადგურები, სუფსის ტერმინალი და ანაკლიის ნავსადგურის მშენებლობა). საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას ახლავს ლოგისტიკის განვითარება სადაც საბაჟო საქმის მცოდნე სპეციალისტები მნიშვნელოვანი რგოლია ყველა ამ პროცესებში ჩართული ორგანიზაციისათვის.

საბაჟო საქმის მცოდნე სპეციალისტები მოთხოვნადია ისეთ ორგანიზაციებში როგორიცაა; საბროკერო, საკონსულტაციო, სავაჭრო, სამრეწველო, გადამზიდველი და ლოგისტიკური კომპანიები, დიპლომატიური დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საბაჟო საწყობები და ტერმინალები.

ბოლო წლებში საგრძნობლად იზრდება პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, რაც მეტყველებს თავად პროფესიული განათლების შესაძლებლობებზე. საბაჟო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქმდებიან როგორც სახელმწიფო სტრუქტურებში (შემოსავლების სამსახური) ასევე კერძო სექტორში (საზღვაო ნავსადგურებში, გადამზიდავ კომპანიებში, საბროკეროებში, სატრანსპორტო სააგენტოებში).

დღეისათვის რეგიონში დიდია მოთხოვნა უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „საბაჟო საქმე“ სპეციალისტებზე. აღნიშნულის დასადასტურებლად შეიძლება ჩაითვალოს ისიც, 2022 წლის 10 მარტის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N 241353 ოქმის გადაწყვეტილებით „საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა განისაზღვრა 45-ით (გაიზარდა 15-ით).

აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალმა პირველი მიღება 2021 წელს განახორციელა და საკმაოდ ახალი სასწავლო დაწესებულებაა რეგიონში. მიუხედავად ამისა სტატისტიკა გვაჩვენებს რომ მსურველების მოთხოვნა პროგრამაზე წლიდან წლამდე იზრდება.

პროგრამაზე სწავლის მსურველთა მზარდი სტატისტიკა ასახულია აპლიკანტთა რეგისტრაციის შედეგებში:

2021 - თავისუფალი ადგილი 30, დარეგისტრირებული 54, ჩარიცხული 24;

2022 - თავისუფალი ადგილი 30, დარეგისტრირებული 38, ჩარიცხული 13;

2023 - თავისუფალი ადგილი 28, დარეგისტრირებული 76, ჩარიცხული 28;

2024 - თავისუფალი ადგილი 29, დარეგისტრირებული 77, ჩარიცხული 27.

დასაქმების პლატფორმების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ დიდია მოთხოვნა საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული კომპანიებიდან და ასევე სახელმწიფო სამსახურებიდან (შემოსავლების სამსახური) საბაჟო საქმის მცოდნე კვალიფიციურ კადრებზე. არსებობს მოთხოვნა იმ სამუშაო უნარებზე, კომპეტენციებზე რის გამომუშავებასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბაჟო საქმე“. 2023 წლის შრომის ბაზრის ანალიზის მონაცემებით, რომელიც განახორციელა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, გამოიკვეთა მოთხოვნა იმ სამუშაო უნარებზე, რომელსაც უზრუნველყოფს უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბაჟო საქმე“.

შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „საბაჟო საქმე'“ კურსდამთავრებულების დასაქმებისუნარიანობა მაღალია, დასაქმების არეალი კი ფართო. საბაჟო საქმეში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს როგორც საჯარო (სსიპ – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი), ისე კერძო სექტორში (საბროკერო, საკონსულტაციო, სავაჭრო, სამრეწველო, გადამზიდველი და ლოგისტიკური კომპანიები, დიპლომატიური დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საბაჟო საწყობები და ტერმინალები). საჯარო სექტორში ის შეიძლება დასაქმდეს სასაზღვრო გამშვები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პუნქტის ან საბაჟო გაფორმების საბაჟო ოფიცრად, ხოლო კერძო სექტორში - საბაჟო ბროკერად, საბაჟო დეკლარანტად, საბაჟო გაფორმების სპეციალისტად.

სამოქმედო არეალში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს მხოლოდ საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალი. შრომის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბაჟო საქმე“ მიზანია, საბაჟო საქმის სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს განახორციელოს საბაჟო საზღვრის კვეთასთან, საქონლის საბაჟო გაფორმებასთან, საბაჟო ზედამხედველობასთან, საბაჟო კონტროლის განხორციელებასთან, ასევე საბაჟო წარმომადგენლობასთან დაკავშირებული ამოცანები. პროგრამის წარმატებულ განხორციელებას ხელს უწყობს გამოცდილი სპეციალისტების გუნდი და საბიბლიოთეკო რესურსი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ „საბაჟო საქმის“ პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება მიღებულია აკადემიის შიდა პოლიტიკების, ხარისხის უზრუნველყოფის წესებისა და შესაბამისი კოლეგიური ორგანოების პროცედურების დაცვით. პროგრამა შეესაბამება აკადემიის მისიას, სტრატეგიულ მიზნებსა და რეგიონული განვითარების საჭიროებებს.

ინდიკატორი 2.1.1.1 შესაბამისობაშია

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას

კერძოდ: სსიპ სასწავლო უნივერსიტეტში – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საბაჟო საქმე“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები დარეგულირებულია აკადემიის მიერ დამტკიცებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით და სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული და გამჭვირვალე წესის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე იმ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე განათლება, ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება საკმარისია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის დადგენილ ვადაში. აღნიშნული პროცესი რეგულირდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესით და ინტეგრირებულია აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით და ასახულია პროგრამის დოკუმენტში (დაშვების წინაპირობა-სრული ზოგადი განათლება) პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ეტაპზე მოწმდება კანდიდატის შესაბამისობა პროგრამის მოთხოვნებთან, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში მისი ეფექტური ჩართულობისა და შედეგებზე გასვლის შესაძლებლობას.
სასწავლო პროცესის ორგანიზება და სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა სრულად ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „საბაჟო საქმე“, რაც უზრუნველყოფს წინარე ცოდნისა და უნარების თანმიმდევრულ განვითარებას და სწავლის შედეგების ეტაპობრივ მიღწევას. საჭიროების შემთხვევაში, აკადემია იყენებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მექანიზმს, რაც დამატებით უზრუნველყოფს სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლის პროცესში ჩართულობას და შედეგების მიღწევას პროგრამის განხორციელების ვადაში
აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები არა მხოლოდ ფორმალურად არის დადგენილი, არამედ პრაქტიკაში რეალურად გამოიყენება იმგვარად, რომ პროგრამაზე დაშვებული პირები ფლობენ იმ აუცილებელ საფუძვლებს, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს წარმატებით დაეუფლონ „საბაჟო საქმის“ პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

უნივერსიტეტში პროფესიული პროგრამის ჩარიცხვის პროცესი რეგულირდება „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესით (ND 2-F30)“. სადაც განსაზღვრულია:

- განაცხადის მიღების წესი;
- გასაუბრების ორგანიზება და შეფასების კრიტერიუმები;
- შედეგების დაფიქსირება და სტუდენტის ჩარიცხვა ჯგუფში;
- სტატუსის მინიჭების ადმინისტრაციული პროცედურები.

ექსპერტებთან სამუშაო შეხვედრების ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ხორციელდება პროფესიული განათლების ცენტრის მიერ ჩამოყალიბებული შეფასების კომისიის მეშვეობით. აპლიკანტები გადიან მოტივაციურ გასაუბრებას, ქულები აისახება ელექტრონულ სისტემაში.

აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს შერჩევის პროცესის ობიექტურობასა და თანაბარ პირობებში განხორციელებას, უზრუნველყოფს აკადემიური და პროფესიული მოთხოვნების დაცვას, ქმნის ჯგუფების დაკომპლექტების ერთიან პრაქტიკას და საფუძველს უყრის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„საბაჟო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ჩარიცხვის პროცედურები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და გამჭვირვალედ, სრულად შეესაბამება მოქმედ ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოს, უზრუნველყოფს სამართლიან შერჩევას და ქმნის რეალურ შესაძლებლობას სწავლის შედეგების მიღწევისთვის. აღნიშნული მიდგომა თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ მიმართულებებთან.

ინდიკატორი 2.1.1.2. შესაბამისობაშია

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით

კერძოდ: აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება აკადემიის მიერ დამტკიცებული შესაბამისი მეთოდოლოგიის საფუძველზე. აღნიშნული პროცესი რეგულირდება დოკუმენტით „პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესი“, რომელიც ადგენს როგორც კრიტერიუმებს, ისე გადაწყვეტილების მიღების ეტაპებს. მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ რესურსებსა და გარემოებებს, მათ შორის: სასწავლო გარემოს ტიპსა და გამტარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, პრაქტიკის კომპონენტის ხელმისაწვდომობას, პროგრამის ხანგრძლივობასა და სასწავლო გეგმის სპეციფიკას, აგრეთვე პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დადგენისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასწავლო სივრცეების რეალურ შესაძლებლობებს. კვოტა განისაზღვრება სასწავლო გარემოში არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობის მიხედვით და ეფუძნება ყველაზე შემზღუდავ რესურსს, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხიან და უსაფრთხო განხორციელებას

პრაქტიკული კომპონენტის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა დამატებით ეფუძნება პრაქტიკის ობიექტების ხელმისაწვდომობასა და მათ მიერ განსაზღვრული სტუდენტთა მიღების შესაძლებლობებს, რაც ხელშეკრულებებით არის დადასტურებული. სამუშაოზე დაფუძნებული, დუალური ან კოოპერაციული სწავლების ფორმების შემთხვევაში, კვოტის განსაზღვრა ხორციელდება აკადემიასა და პარტნიორ ორგანიზაციებს შორის გაფორმებული შეთანხმებების პირობების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადგენილი წესის შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა თითოეულ მიღებაზე მტკიცდება აკადემიის რექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების წარდგინების საფუძველზე. აღნიშნული პრაქტიკა ქმნის სტუდენტთა რაოდენობის რეალისტური დაგეგმვის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების პროცესის ორგანიზებულობასა და სტაბილურობას.
ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება მკაფიოდ დადგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით და პრაქტიკაში ხორციელდება იმგვარად, რომ გათვალისწინებულია როგორც სასწავლო გარემოს გამტარიანობა, ისე პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის, ადგილზე ვიზუალური დათვალიერებისა და ადმინისტრაციასთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ „საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია მოქმედი მეთოდოლოგიის შესაბამისად.
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას რექტორის 2024 წლის 10 დეკემბრის #01-284 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესი, რომლის მიხედვითაც დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა (ორ ცვლაში);
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა (ორ ცვლაში);
- C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა (თუ სტუდენტებს აქვთ ინდივიდუალური სამუშაო ადგილები) ან C სასწავლო გარემოს ფართი (თუ პროფესიულ სტუდენტს არ აქვს ინდივიდუალური სამუშაო გარემო) ან პროგრამის განმახორციელებელ სასწავლო საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა ან რამდენიმე საწარმოს შემთხვევაში - ადგილების ჯამი (ორ ცვლაში);
- პრაქტიკის კომპონენტის არსებობის შემთხვევაში - პრაქტიკის ობიექტის ხელმისაწვდომობა (ხელშეკრულებით დადასტურებული) და პროფესიულ სტუდენტთა განსაზღვრული რაოდენობის მომსახურების შესაძლებლობები;
- ერთი და იგივე სივრცის დაშვების შესაძლებლობა სხვადასხვა პროგრამის განხორციელებისათვის პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტთა გამტარიანობა დამოკიდებულია სასწავლო გარემოზე და ის მით მეტია, რაც მეტია გარემო. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს აუცილებელია გავითვალისწინოთ შემდეგი დამატებითი ფაქტორები:

- პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით დადგენილი რენტაბელობის ზღვარი;
- პროგრამის ხანგრძლივობა და სასწავლო გეგმის სპეციფიკა;
- შრომის ბაზრის მოთხოვნები და პროგრამის კონკურენტუნარიანობა.

კვოტის განსაზღვრის მნიშვნელოვანი ფაქტორია პროგრამით განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა. პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს უფლება სწავლება განახორციელოს სხვადასხვა ცვლაში, შრომის კოდექსის მოთხოვნების დაცვით.

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ „საბაჟო საქმის“ პროგრამისთვის განსაზღვრული 45 პროფესიული სტუდენტი წარმოადგენს დასაშვებ და რეალისტურ ზღვრულ რაოდენობას.

ინდიკატორი 2.1.1.3 შესაბამისობაშია

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში სასწავლო რესურსების, მათ შორის მასალა-ნედლეულის დაგეგმვა, მიწოდება, შენახვა და გამოყენება ორგანიზებულია წინასწარ განსაზღვრული და დოკუმენტირებული წესის შესაბამისად (პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ND 2-F03 (დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 21 ივლისს № 01-142 ბრძანებით) მუხლი 23. სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების წესი). აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსების შესაბამისობას პროგრამების შინაარსთან, სწავლების მეთოდებთან და თითოეული მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.

დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბაჟო საქმე“ მოდულების განხორციელებისათვის დამტკიცებული აქვს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და რესურსების სია, რომლებიც უზრუნველყოფს მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებულია მოდულების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი, რომელთა შინაარსი შესაბამისობაშია შესაბამისი მოდულის სწავლის შედეგებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესის მასალებითა და ნედლეულით უზრუნველყოფა ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობისა და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით. რესურსების შერჩევა ეფუძნება მოდულების მოთხოვნებს და მიმართულია იმ პრაქტიკული ცოდნისა და უნარების განვითარებაზე, რომლებიც განსაზღვრულია პროგრამებით. აკადემია უზრუნველყოფს, რომ პროფესიულ სტუდენტებს ჰქონდეთ საჭირო რაოდენობისა და ხარისხის სასწავლო მასალაზე წვდომა, რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის უწყვეტობასა და შედეგიანობას.

მასალა-ნედლეულის შენახვა და გამოყენება ხორციელდება უსაფრთხოების, ჰიგიენური და გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვით. განსაზღვრული პასუხისმგებელი პირების ჩართულობით უზრუნველყოფილია რესურსების მიზნობრივი და რაციონალური გამოყენება, რაც ამცირებს როგორც არასათანადო მოხმარების, ისე სასწავლო პროცესის შეფერხების რისკებს. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მასწავლებლები უზრუნველყოფენ რესურსების გამოყენებას სწავლების მიზნების შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში ახდენენ მათი გამოყენების ადაპტაციას სასწავლო პროცესის დინამიკისა და სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

ამასთან, აკადემიაში დადგენილია სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის რეგულაცია (მუხლი 24. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის წესი), რაც უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაცვას და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შენარჩუნებას. მასალა-ნედლეულის გამოყენების სრული ციკლი - მიწოდებიდან უტილიზაციამდე - ორგანიზებულია ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა და პრაქტიკული კომპონენტების ხარისხიანი განხორციელება.

დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბაჟო საქმე“ მოდულების განხორციელებისათვის დამტკიცებული აქვს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და რესურსების სია, რომლებიც უზრუნველყოფს მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებულია მოდულების განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი, რომელთა შინაარსი შესაბამისობაშია შესაბამისი მოდულის სწავლის შედეგებთან.

ინდიკატორი 2.1.1.4 შესაბამისობაშია

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბაჟო საქმე” არ მოიცავს არჩევით მოდულს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.1.1.5 შესაბამისობაშია

10. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ

კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების პროცედურა რეგულირდება უნივერსიტეტის წესდებითა და შიდა ნორმატიული აქტებით. წესდების მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე და მათ ცვლილებებზე პასუხისმგებელი პირი არის რექტორი. აღნიშნული უფლებამოსილება განსაზღვრულია აკადემიის წესდებაში (მუხლი 7. პუნქტი 3. აკადემიის რექტორი კანონმდებლობისა და ამ წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში: დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულების წარდგინებით ამტკიცებს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებს) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესით ND 2-F09-01 (დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებით) პუნქტი 9. ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს რექტორი ბრძანებით.

„საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია შესაბამისი სამუშაო ჯგუფის წარდგინებით რექტორის მიერ №07-93 26/09/2025 წ. ექსპერთა ჯგუფი გაეცნო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ ჯგუფის შექმნის ბრძნებას და შემუშავების პროცესის ამსახველ დოკუმენტაცია.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის დამტკიცების პროცედურა სრულად შეესაბამება წესდებით განსაზღვრულ უფლებამოსილებასა და გადაწყვეტილების მიღების ფორმატს. პროცესი არის ფორმალურად გამართული, გამჭვირვალე და უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცდეს შესაბამისი ორგანოს მიერ, სათანადო დასაბუთებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე.

ინდიკატორი 2.1.1.6 შესაბამისობაშია

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს პროგრამის შინაარსობრივ მიმართულებას და სრულ შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან. პროგრამის სტრუქტურა აგებულია ისე, რომ ეტაპობრივად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფარავს საბაჟო სფეროში საქმიანობისათვის აუცილებელ ყველა ძირითად კომპონენტს – ორგანიზაციულ, სამართლებრივ, დოკუმენტირების, განხორციელებისა და კონტროლის მიმართულებებს.

პროგრამა მოიცავს შემდეგ მოდულებს:

- გაცნობითი პრაქტიკა-საბაჟო საქმე;
- ჰარმონიზებული სისტემა (ნომენკლატურა);
- ფიზიკური პირის კონტროლი;
- სატრანსპორტო საშუალების კონტროლი;
- საქონლის წარმოშობის ქვეყნის და საბაჟო ღირებულების განსაზღვრა;
- საბაჟო პროცედურები/რეექსპორტი და იმპორტის გადასახდელი;
- საბაჟო დეკლარირება;
- საბაჟო გაფორმება;
- სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი;
- არასატარიფო ღონისძიებები;
- საბაჟო სამართალდარღვევის საქმისწარმოება;
- საწარმოო პრაქტიკა-საბაჟო საქმე;
- Ms Exel;
- დარგობრივი უცხო ენა-საბაჟო საქმე.

აღნიშნული მოდულები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შემდეგი სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ, პროფესიულ სტუდენტს შეუძლია:

- განახორციელოს საბაჟო ზედამხედველობა;
- გააკონტროლოს ფიზიკური პირი და სატრანსპორტო საშუალება;
- განსაზღვროს საქონლის წარმოშობის ქვეყანა და საბაჟო ღირებულება;
- განსაზღვროს საბაჟო პროცედურა;
- განახორციელოს საბაჟო დეკლარირების და გაფორმების პროცედურები;
- განახორციელოს სასაზღვრო-საკარანტინო და არასატარიფო ღონისძიებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- განახორიელოს საბაჟო სამართალდარღვევის საქმისწარმოება.

მოდულების შინაარსი და მათთან დაკავშირებული სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას და სრულად მოიცავს სატრანსპორტო-საექსპედიტორო სფეროში დასაქმებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება არის შინაარსობრივად გამართლებული, ზუსტი და არ ქმნის შეცდომაში შემყვან წარმოდგენას პროგრამის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებით.

ინდიკატორი 2.1.1.7 შესაბამისობაშია

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბაჟო საქმე“ შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და აკადემიის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების სრული დაცვით. პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის თანახმად (ND 2-F09-01; დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებით) და დამტკიცებულია აკადემიის რექტორის შესაბამისი ბრძანებით (№07-93 26/10/2025 წ. ბრძანება), პროგრამების დამტკიცების აქტის საფუძველზე, და სრულად შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასთან, შინაარსთან და განხორციელების პროცედურებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. შესაბამისად, პროგრამა აკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ ყველა მოთხოვნას.

პროგრამით განსაზღვრულია სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების დეტალური აღწერა, შეფასების მიმართულებები, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. მოდულების ბლოკში ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. შესაბამისად, ქართული ენის მოდულების გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე გამოცდის ან/და ტესტირების ჩაბარების გზით კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული პირებისათვის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით („ქართული ენა A2” და „ქართული ენა“ B1 მოდულები).

პროგრამის შემუშავების ეტაპზე გათვალისწინებული იქნა შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, დამსაქმებელთა საჭიროებები და დარგის განვითარების ტენდენციები, ამავე დროს, განსაზღვრულია პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა აკადემიის მიერ დამტკიცებული პროფესიული სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხიან განხორციელებასა და რესურსების ადეკვატურ განაწილებას.
ინდიკატორი 2.1.1.8 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ”საბაჟო საქმე“ დამტკიცებული რექტორის №07-93 26/10/20252025 წ. ბრძანებით;
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი ND 2-F09-01, დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებით;
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ND 2-F03 (დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 21 ივლისს № 01-142 ბრძანებით);
- სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების წესი;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა ND 2-O06-01 (დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2024 წლის 22 თებერვლის ბრძანებით № 01-58);
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით;
- სამუშაო შეხვედრების ფურცლებით;
- სამსახურებრივი ბარათებით;
- აკადემიის მისია, ხედვა, ღირებულებებით - განთავსებული ვებგვერდზე https://bsma.edu.ge/page/akademiis-misia-xedva-girebulebebi;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „საბაჟო საქმე“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის დასაბუთება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალში „საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება აკადემიის შესაბამის სასწავლო სივრცეებში, სადაც უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და საგანმანათლებლო გარემო. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას.

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა დაწესებულებისა და პარტნიორი კომპანიის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია. სწავლებისათვის დაწესებულებას გააჩნია:

ქ. ფოთი, წმინდა გიორგის ქ. #24, 23 პროფესიულ სტუდენტზე გათვილი ორი სასწავლო გარემო B, აუდიტორია N309:310 და სასწავლო გარემო A, აუდიტორია N306: N301:აუდიტორიები აღჭურვილია ზღვრული რაოდენობების გათვალისწინებით.

პრაქტიკის ობიექტების შესაძლებლობები:

- "კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური" – ერთდროულად შეუძლია პრაქტიკაზე 10 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- "შემოსავლების სამსახური"- ერთდროულად შეუძლია პრაქტიკაზე 10 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- "სოფმარი"-ერთდროულად შეუძლია პრაქტიკაზე 10 პროფესიული სტუდენტის მიღება.
- შპს ჯა ლოჯისტიკა - ერთდროულად შეუძლია პრაქტიკაზე 10 პროფესიული სტუდენტის მიღება.;
- შპს ჯირჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი - ერთდროულად შეუძლია პრაქტიკაზე 5 პროფესიული სტუდენტის მიღება.

პრაქტიკის ხელშეკრულებაში მითითებულია მოდულები და სწავლის შედეგები (მოდული: გაცნობითი პრაქტიკა, პრაქტიკული პროექტი, საწარმოო პრაქტიკა) რომელთა მიღწევა ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე. ხელშეკრულების დანართში მოცემულია ის მასალა-ნედლეული რაც გამოიყენება სწავლების პროცესში. პრაქტიკის ობიექტის მიერ გამოყოფილია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პარტნიორების მხრიდან არსებული რესურსები სრულ შესაბამისობაშია მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, რაც ექსპერტების ვიზუალური დათვალიერებითაც დადასტურდა.

პრაქტიკის წარმართვაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებისა და სასწავლო გარემოს დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტის მატერიალური ბაზა, პარტნიორი ობიექტების რესურსი, რესურსების ხელმისაწვდომობა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, „საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური და სასწავლო რესურსები არის რეალისტურად დაგეგმილი, ფაქტობრივად ხელმისაწვდომი და სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებსა და შინაარსთან.

ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიიის ფოთის ფილიალში „საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის წარმოდგენილია წინასწარ გაფორმებული ხელშეკრულებები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ და სტაბილურ განხორციელებას.
პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტს ჰყავს ჯამში 8 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან:

- 3 მასწავლებელი ახორციელებს ზოგად მოდულებს;
- 5 პროფესიული განათლების მასწავლებელი პასუხისმგებელია პროგრამის პროფესიულ მოდულებზე.

ასეთი სტრუქტურა პროგრამის შინაარსობრივ მრავალფეროვნებას აერთიანებს და უზრუნველყოფს როგორც ზოგადი კომპეტენციების, ისე სარესტორნო სფეროში სპეციფიკური უნარების სრულფასოვან მიწოდებას.

ჩანაცვლებადობა და რესურსების მდგრადობა

მოდულების მიხედვით უნივერსიტეტს ჰყავს მოდულზე ორი განმახორციელებელი მასწავლებელი, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს სრულფასოვნად ჩაანაცვლებენ. ეს ქმნის:

- პროგრამის უწყვეტობის გარანტიას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მოსალოდნელი რისკების მინიმიზაციას;
- მოდულების შესრულების დროულ უზრუნველყოფას.

ექსპერტთა შეფასებით, რესურსების ასეთი განაწილება წარმოადგენს კარგი პრაქტიკის მაგალითს.

მასწავლებელთა დატვირთვა

წარდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ, ყველა განმახორციელებელი მასწავლებლის დატვირთვა შეესაბამება „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს. კვირაში საერთო სამუშაო დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. განაწილება ოპტიმალურია და არ ქმნის გადატვირთვის ან პროცესის შეფერხების ალბათობას.

პროგრამას დამატებული აქვს განმახორციელებელი პერსონალის სია, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, „საბაჟო საქმის“ პროგრამისათვის წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და დატვირთვის განაწილება საკმარისია, რეალისტურია და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად, უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას.

ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებულმა გასაუბრებამ და მათი პირადი საქმეების შესწავლამ დაადასტურა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული განათლების მასწავლებლები სრულად აკმაყოფილებენ „საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ კვალიფიკაციასა და პროფესიულ მოთხოვნებს.

მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია პროგრამის პროფილის შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის: შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები; საბაჟო სფეროში სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები; ასევე პროფესიული პრაქტიკის დამადასტურებელი დოკუმენტები პარტნიორი ორგანიზაციებიდან. წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფლობს როგორც თეორიული ცოდნის გადაცემის, ისე პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის აუცილებელ პროფესიულ კომპეტენციებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებს აქვთ პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება საბაჟო პროფილის მქონე ორგანიზაციებში, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს სასწავლო პროცესის პრაქტიკულ ორიენტაციას. ამასთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან მოწვეული სპეციალისტები – პარტნიორი ორგანიზაციების მოქმედი თანამშრომლები, რომელთა მონაწილეობა უზრუნველყოფს სწავლების შინაარსის შესაბამისობას რეალურ სამუშაო პროცესებთან, მოქმედ რეგულაციებთან და ინდუსტრიის მიმდინარე მოთხოვნებთან.

გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელმა მასწავლებლებმა რეგულარულად გაიარეს პროფესიული განვითარებისა და გადამზადების კურსები, მათ შორის:

- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები;
- უნარების განვითარების სააგენტოს ტრენინგები („სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება“);
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამები („პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით“).

აღნიშნული გადამზადების კურსები მნიშვნელოვნად აძლიერებს მასწავლებელთა პედაგოგიურ და პროფესიულ კომპეტენციებს და დადებითად აისახება მოდულების სწავლების ხარისხზე.

დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, აქტიურად არიან ჩართული: მოდულების შემუშავებისა და საჭიროების შემთხვევაში მათი ადაპტირების პროცესში; სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში; მოდულების განხორციელების მიმდინარეობის მონიტორინგში. აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს, რომ პროგრამის შინაარსი ეფუძნება კოლეგიურ თანამშრომლობასა და პრაქტიკულ პროფესიულ გამოცდილებას.

ყველა პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებელთან გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულებები, ხოლო მომდინარე მოდულის განმახორციელებლებთან შრომითი ხელშეკრულებები, რომლებშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული სამართლებრივად მოთხოვნილი ძირითადი პირობები, კონკრეტული მოდულები, სამუშაო ფუნქციები, პასუხისმგებლობები და სასწავლო დატვირთვა. დადგინდა, რომ მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, რაც შეესაბამება საქართველოს შრომის კოდექსს.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება, პროფესიული განვითარების ისტორია და სამუშაო დატვირთვის რაციონალური განაწილება სრულად უზრუნველყოფს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიან, უწყვეტ და მდგრად განხორციელებას. მასწავლებელთა კომპეტენციები პირდაპირ უწყობს ხელს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

კერძოდ: აკადემიაში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა – EP-QA პოლიტიკა“ (დანართი EP-QA1.1) განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციისა და პროფესიული კომპეტენციების მოთხოვნებს. დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს შესაბამისი დარგის სპეციალისტი ან/და შესაბამის სფეროში პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი, რაც უზრუნველყოფს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტების ეფექტიან მართვას.

განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის ძირითადი ფუნქციები, მათ შორის: პროგრამის შინაარსობრივი და სტრუქტურული ანალიზი; სასწავლო პროცესის გეგმებთან შესაბამისობის მონიტორინგი; სასწავლო ცხრილების დამტკიცებულ გეგმასთან შეჯერება; შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში მონაწილეობა; პროფესიული სტუდენტების კონსულტირება; სასწავლო პროცესის მონიტორინგი და მხარდაჭერა.

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის (პირადი საქმის) შესწავლისა და პროგრამის ხელმძღვანელთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ „საბაჟო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც ფლობს პროგრამის პროფილის შესაბამის დარგობრივ კომპეტენციებს, წარმოდგენილი აქვს დადასტურებული კვალიფიკაცია და პრაქტიკული პროფესიული გამოცდილება საბაჟო სფეროში. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობს როგორც პროგრამის შემუშავებისა და განახლების პროცესში, ისე მისი განხორციელების ეტაპზე.

დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებასთან ერთად, ახორციელებს დარგობრივ მოდულებს, რაც დამატებით აძლიერებს პროგრამის პრაქტიკულ სისწორეს, სწავლების რეალურ სამუშაო გარემოსთან შესაბამისობასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესის ხარისხს. აღნიშნული პრაქტიკა არ ქმნის გადაფარვის ან ინტერესთა კონფლიქტის რისკს, არამედ უზრუნველყოფს პროგრამის მართვისა და სწავლების პროცესის ერთიან, კოორდინირებულ განხორციელებას.

პროგრამის ხელმძღვანელი სისტემურად იყენებს პოლიტიკით განსაზღვრულ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმილ, სტრუქტურირებულ და დროულ განხორციელებას, ასევე სწავლების ხარისხის მუდმივ მონიტორინგსა და გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ მიდგომას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება და მაღალი ჩართულობა სრულად შეესაბამება EP-QA პოლიტიკის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს „საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიან, მდგრად და ხარისხზე ორიენტირებულ მართვას.

ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

კერძოდ: ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალის ბიბლიოთეკისა და დამატებითი სასწავლო სივრცეების დათვალიერება, ასევე შერჩევითი პრინციპით შეამოწმა „საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსები. ბიბლიოთეკართან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე არსებული მდგომარეობა შეფასდა როგორც სანდო და მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი.

დადგინდა, რომ პროგრამის მოდულებით განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. კერძოდ, აკადემიის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია მოდულების მიხედვით შერჩეული ბეჭდური სასწავლო მასალები, რომლებიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების დაცვით და თავისუფლად ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ისე პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. სასწავლო მასალები ინახება სპეციალურ მყარ დისკებზე, საიდანაც შესაძლებელია მათი გადატანა, ბეჭდვა ან ელექტრონულად გამოყენება. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საჭირო მასალები მიიღონ ელექტრონული ფოსტის საშუალებით ან შესაბამისი ამონარიდები ბეჭდური სახით.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან, რაც უზრუნველყოფს „საბაჟო საქმის“ პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტებისა და რეგულაციების განახლებულ ვერსიებზე მუდმივ წვდომას. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბაჟო საქმიანობის სფეროში მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს შესასწავლად.

აკადემიის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რაც უზრუნველყოფს მომსახურების პირობების საჯაროობას, რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას და უსაფრთხო, ორგანიზებულ სასწავლო გარემოს შექმნას.

ბიბლიოთეკა აღჭურვილია ყველა იმ რესურსით, რომელიც საჭიროა მისი სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის.
დაწესებულები სარგებლობს საბიბლიოთეკო პროგრამით OpenBiblio, რესურსებზე წვდომა ორგანიზებულია გამჭვირვალედ როგორც ბიბლიოთეკაში, ისე სასწავლო გარემოებსა და ელექტრონული რესურსების მეშვეობით, რაც დადებითად აისახება სასწავლო პროცესის ეფექტიანობაზე.
ინდიკატორი 2.2.1.5 შესაბამისობაშია

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად
კერძოდ: ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალის სასწავლო პირობები, რომლებიც გამოიყენება „საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის. სასწავლო სივრცეების დათვალიერებისა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს პროგრამით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურულ პირობებს, მათ შორის ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნას.

აკადემიის იმ სასწავლო კორპუსში, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცეები, უზრუნველყოფილია მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი ხელმისაწვდომობა. კერძოდ, შენობა აღჭურვილია კიბეებზე ასასვლელი და ჩამოსასვლელი სპეციალური მოწყობილობებით, რაც უზრუნველყოფს შეზღუდული მობილობის მქონე პირების დამოუკიდებელ გადაადგილებას. ასევე, აკადემიაში ფუნქციონირებს ადაპტირებული სველი წერტილები, რომლებიც სრულად შეესაბამება უნივერსალური დიზაინის პრინციპებს.

A და B ტიპის სასწავლო სივრცეებში შესაძლებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს ორგანიზება, მათ შორის მოსარგები სამუშაო ადგილებისა და სივრცის მოქნილი განლაგების საშუალებით. C ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც გამოიყენება „საბაჟო საქმის“ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად, ასევე აკმაყოფილებს ბაზისური ხელმისაწვდომობის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს პრაქტიკული საქმიანობის უსაფრთხო პირობებში განხორციელებას. კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფს სამუშაო ადგილის ადაპტირებას ან საჭიროების შემთხვევაში მის მოდიფიცირებას. აკადემიას „საბაჟო საქმის“ პროგრამაზე არ ყავს სსსმ პირები.

აკადემიის ბიბლიოთეკისა და საინფორმაციო რესურსების გამოყენება ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვისაც. ბიბლიოთეკის სივრცეებში უზრუნველყოფილია მობილობის შეზღუდვის მქონე პირების თავისუფალი გადაადგილება, ხოლო კომპიუტერული კლასები იძლევა სამუშაო ადგილის ადაპტირების ან საჭიროების შემთხვევაში მისი მოდიფიცირების შესაძლებლობას.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ უზრუნველყოფილი ინფრასტრუქტურა და სასწავლო სივრცეების ადაპტირება სრულ თანხვედრაშია პროფესიული განათლების სტანდარტის მოთხოვნებთან. „საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს უსაფრთხო, ხელმისაწვდომ და ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, რაც ყველა პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს, აძლევს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.1.6 შესაბამისობაშია

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი „საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. დოკუმენტის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ბიუჯეტი ჩამოყალიბებულია გამჭვირვალე, ეკონომიკურად გონივრული და სტანდარტებთან შესაბამისი პრინციპებით.

საპროგნოზო ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი დაფუძნებულია სწავლის საფასურზე, რომლის მოცულობა განსაზღვრულია უნივერსიტეტის ფინანსური პოლიტიკის შესაბამისად. შემოსავლის პროგნოზი ეფუძნება ზღვრული რაოდენობისა და მინიმალური დასაშვები ჯგუფის ანალიზს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მოიცავს პროგრამის სრულფასოვანი განხორციელებისთვის აუცილებელ ყველა პოზიციას, მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი;
- შრომის ანაზღაურება აკადემიური და საათობრივად მოწვეული პერსონალი;
- სახარჯი მასალები;
- კომუნალური მომსახურების ხარჯი;
- პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებული ხარჯი (მივლინება, კადრების გადამზადება, ელ. პლატფორმები და სხვ.);

ხარჯების ასეთი სტრუქტურა ასახავს პროგრამის განხორციელების რეალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტობას.

ბიუჯეტირება ეფუძნება მინიმალური ჯგუფის ფორმირების პრინციპს, რაც უნივერსიტეტში განსაზღვრულია როგორც ფინანსური მდგრადობის პირობა. ანალიზის მიხედვით, „საბაჟო საქმის“ პროგრამის **რენტაბელობის ზღვარი არის ჯგუფში 9 პროფესიული სტუდენტი,** რომლის პირობებშიც პროგრამა ოპერატიულ ხარჯებს სრულად ფარავს და შესაძლებელია მისი მიმდინარეობა ხარისხის ზიანის გარეშე. განხილული მონაცემებით დგინდება, რომ:საპროგნოზო ბიუჯეტი რეალისტურად მოიაზრებს ყველა აუცილებელ ხარჯს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ წარმოდგენილი „საბაჟო საქმის“ პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი:

- სტანდარტებთან შესაბამისია;
- უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად განხორციელებას;
- გათვლილია საჭირო მინიმუმზე;

რაც აძლიერებს ფინანსური დაგეგმვის პასუხისმგებლიან მიდგომას.

ბიუჯეტი ასახავს უნივერსიტეტის სისტემურ მიდგომას ფინანსურ მართვაში და ქმნის საფუძველს პროგრამის ხარისხიანი და უწყვეტი რეალიზაციისთვის.

ინდიკატორი 2.2.1.7 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დოკუმენტაცია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს შესყიდვის შესახებ;
- სტრუქტურული ერთეულები, სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ვებ გვერდი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები;
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას რექტორის 2024 წლის 10 დეკემბრის #01-284 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი;
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას რექტორის 2025 წლის 26 სექტემბრის #07-93 ბრძანებით დამტკიცებული ,,საბაჟო საქმის“ საგანმათლებლო პროგრამა;
- ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;

300

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთად და ინსტრუქტორებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კერძოდ: ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ დამტკიცებული „პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი“, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და განვითარების ძირითად პროცესებს. დოკუმენტი ქმნის პროფესიული განათლების ხარისხის მართვის ერთიან, სისტემურ და პროცედურულად გაწერილ ჩარჩოს და უზრუნველყოფს პროცესების თანმიმდევრულ და გამჭვირვალე განხორციელებას.

დადგენილი წესების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ეფუძნება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს, მათ შორის: შრომის ბაზრის კვლევის შედეგების რეგულარულ ანალიზს; დაინტერესებული მხარეების – პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, დამსაქმებლებისა და პარტნიორი ორგანიზაციების უკუკავშირს; ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებას; ასევე პროგრამის შინაარსისა და მისაღწევი შედეგების პერიოდულ გადახედვას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამების აქტუალობისა და შესაბამისობის სისტემურ შემოწმებას როგორც შიდა, ისე გარე მოთხოვნებთან მიმართებით.

ამასთან, აკადემიაში მოქმედი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ დეტალურად განსაზღვრავს პროგრამების შიდა შეფასების პროცედურებს, შეფასების განხორციელების პერიოდულობას, ცვლილებების შეტანის წესებსა და საფუძვლებს, ასევე პროცესში ჩართული პასუხისმგებელი პირების ფუნქციებს. მეთოდოლოგიაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის სრული ლოგიკა (Plan–Do–Check–Act), რაც უზრუნველყოფს პროგრამების უწყვეტ მონიტორინგს და დაგეგმილი შედეგების მიღწევის კონტროლს.

ექსპერტებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემურად ახორციელებს ხარისხის მართვის ფუნქციებს. სამსახური ატარებს პერიოდულ კვლევებს, იყენებს წინასწარ შემუშავებულ და დამტკიცებულ კითხვარებს, აანალიზებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების შეფასებებს და ამზადებს რეკომენდაციებს პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. კვლევების შედეგები გამოიყენება როგორც მიმდინარე სასწავლო პროცესის დახვეწისა და ოპტიმიზაციისთვის, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების დაგეგმვისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, აკადემიაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციები და პრაქტიკა ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების ეფექტიან და მდგრად სისტემას, რაც ხელს უწყობს პროგრამების ხარისხის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 2.3.1.1 შესაბამისობაშია

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად

კერძოდ: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ სტანდარტში შეტანილი ცვლილებების ან სხვა გარემოებების საფუძველზე. პროგრამების განვითარების კუთხით პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლოა განხორციელდეს ცვლილება. კერძოდ, შეიცვალოს მოდულების რიგითობა, სწავლების მეთოდები ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

აკადემია პერიოდულად ახორციელებს ხარისხის შეფასებას, რაც მოიცავს როგორც შინაგან, ასევე გარე შეფასებებს. შეფასებისთვის გამოიყენება სტუდენტთა და მასწავლებლების უკუკავშირი, ვერიფიკაციის შედეგები, პროგრამის სხვა შეფასებები და ა.შ.

შეფასებისას განიხილება:

- სტუდენტთა სასწავლო მიზნების მიღწევა და გამოწვევები;
- სასწავლო პროცესის ეფექტიანობა და რესურსების საკმარისობა;
- ძლიერი და გაუმჯობესების საჭირო სფეროები;
- ახალი მიდგომებისა და მასალების საჭიროება;
- პროგრამის შესაბამისობა საგანმანათლებლო მიზნებთან და პროფესიულ განვითარებასთან.

შეფასების შედეგების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, აკადემია იღებს გადაწყვეტილებებს პროგრამაში ცვლილებების შესატანად შიდა რეგულაციების შესაბამისად. ცვლილებები შესაძლოა მოიცავდეს ახალი მასალების ან მეთოდების დანერგვას, სასწავლო პროცესის ორგანიზების შეცვლას ან რესურსების ოპტიმიზაციას. ყველა ცვლილება ხორციელდება შიდა რეგულაციებისა და დოკუმენტების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და სტანდარტებთან შესაბამისობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულებას აქვს პრაქტიკა საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს პროგრამაში ცვლილება ,,საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. კონკრეტულად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ,,საბაჟო საქმე” პერიოდულად ხორციელდებოდა ცვლილებები, ძირითადად სასწავლო რესურსის განახლების კუთხით, რაშიც ჩართული იყვნენ პროფესიული მასწავლებლები და პროგრამის ხელმძღვანელი.

ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA პოლიტიკა;
- ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად

კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილი სასწავლო გეგმა წარმოდგენილია მკაფიო, თანმიმდევრულ და ლოგიკურად გააზრებულ სტრუქტურად. დადგინდა, რომ გეგმა სრულად შეესაბამება სამუშაო სტანდარტის მოთხოვნებს და შეიცავს მის მიერ რეკომენდირებულ უმთავრეს ელემენტებს.

„საბაჟო საქმის“ პროგრამის სასწავლო გეგმა:

- ასახავს მოდულების თანმიმდევრობას;
- განსაზღვრავს თითოეული მოდულის განხორციელების კვირობრივ განრიგს;
- უზრუნველყოფს საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების მკაფიო გაწერას.

გეგმა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას დაწყებული საბაზისო ცოდნის ფორმირებიდან, დასრულებული რესტორნის მომსახურების პრაქტიკული უნარ-ჩვევების დამუშავებამდე.

სასწავლო გეგმის საფუძველზე დგება პროფესიული სტუდენტების მეცადინეობის ცხრილი, რაც საშუალებას იძლევა:

- სწავლის პროცესის ეფექტური ორგანიზაციას;
- სამუშაო საათების სწორად გადანაწილებას;
- თეორიული და პრაქტიკული ნაწილის გონივრული გაწერას.

ეს უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების გამართულობას და მოდულების ერთმანეთთან თანხვედრას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მიდგომას იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე ჩაირიცხება არაქართულენოვანი სტუდენტები. მათთვის გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულით პროგრამის დაწყება.

გამოკვლეული დოკუმენტაციისა და გასაუბრებებზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ:

- სასწავლო გეგმა არის შინაარსობრივად და სტრუქტურულად გამართული;
- მოდულების თანმიმდევრობა და განაწილება დამკვირვებელი ლოგიკით არის ჩამოყალიბებული;
- პროგრამის განხორციელება დაგეგმილია დამტკიცებული სასწავლო გეგმის სრული დაცვით.

ექსპერტთა შეფასებით, „საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას. გეგმა არის მკაფიოდ სტრუქტურირებული. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო გეგმის შესაბამისად.

ინდიკატორი 2.4.1.1 შესაბამისობაშია

2.ჰსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული სტუდენტების სტატუსის, უფლებებისა და ადმინისტრაციული პროცედურების მართვა ხორციელდება რექტორის 2023 წლის 24 იანვრის №12§17 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის“ საფუძველზე. დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს:

- პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესებს;
- მობილობის განხორციელების პირობებს;
- მიღებული განათლების აღიარების პრინციპებს;
- პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს.

სტუდენტზე ორიენტირებული ადმინისტრირება

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ უნივერსიტეტი სრულად იცავს მოქმედ რეგულაციებს და პრაქტიკაში იყენებს მოქნილ, სტუდენტზე მორგებულ მიდგომებს. განხორციელებული ვიზიტისას გამოიკვეთა რამდენიმე ტიპური პრინციპი: თუ პროფესიული სტუდენტი დასაქმებულია პროგრამის პროფილის მიხედვით, უნივერსიტეტი ცდილობს, სასწავლო ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და შეფასების პროცესები ისე დაგეგმოს, რომ მათი სამუშაო გრაფიკი მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული. ეს პრაქტიკა ხელს უწყობს სტუდენტების წარმატებულ ჩართულობას და უზრუნველყოფს სწავლის პროცესის შეწყობას ყოველგვარი დამატებითი ბიუროკრატიული სირთულეების გარეშე.

შეფასების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემა

დაწესებულებაში მოქმედი პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემა ადგენს:

- შეფასების კრიტერიუმების წინასწარ გაცნობას;
- შეფასების პროცესის ორგანიზებულობას;
- ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას.

ფუნქციონირებს როგორც მიმდინარე, ისე საბოლოო შეფასების მექანიზმები, ხოლო შეფასების ცვლილების ან გადავადების შემთხვევები ხდება განსაზღვრული წესის დაცვით.

დასკვნა

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალი სრულად უზრუნველყოფს:

- პროფესიული სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცესების სწორ მართვას;
- რეალურ სტუდენტურ საჭიროებებზე მორგებულ მოქნილ მიდგომებს;
- ობიექტურ და გამჭვირვალე შეფასების პრაქტიკას.

აღნიშნული მექანიზმები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან და სტუდენტთა წარმატებაზე ორიენტირებულ მიდგომად შეიძლება ჩაითვალოს.

ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისობაშია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას

კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული განათლების ცენტრი უზრუნველყოფს, რომ „საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების პროცესში ინტეგრირებული იყოს სწავლების თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომები და საბაჟო დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიები. აკადემიაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქმნის შესაძლებლობას, რომ სწავლება განხორციელდეს რეალურ სამუშაო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში, რაც ხელს უწყობს პროფესიული კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას.
პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის ფარგლებში აქტიურად გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქეის-სტადიები, სიტუაციური ანალიზი, პროფესიული როლების იმიტაცია, დემონსტრაციებისა და პრაქტიკული დავალებების კომბინაცია, თანასწორებს შორის სწავლების (peer-learning) ელემენტები და ინტერაქტიური ჯგუფური მუშაობა. აღნიშნული მიდგომები სტუდენტებს საშუალებას აძლევს რეალური პროცესების ანალიზისა და პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღების უნარები განივითაროს.

პროგრამის განხორციელების პროცესში გამოიყენება იმიტირებული და სიმულაციური სასწავლო გარემოები, რომლებიც ასახავს საბაჟო საქმის პროცესების ძირითად ეტაპებს. პრაქტიკული უნარების დასამუშავებლად გამოყენებულია შესაბამისი სასწავლო მასალები, ინვენტარი და ტექნიკური საშუალებები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ეტაპობრივ მომზადებას რეალური სამუშაო გარემოსთვის.

„საბაჟო საქმის“ პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური ფორმით. ელექტრონული მასალები განთავსებულია აკადემიის ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებში, სასწავლო სივრცეების კომპიუტერებში და შესაბამის ციფრულ პლატფორმებზე, რაც ზრდის პროფესიული სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის შესაძლებლობას და ამარტივებს სასწავლო რესურსებზე ოპერატიულ წვდომას. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებს აქვთ ბეჭდური მასალების გამოყენების შესაძლებლობაც.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები არის თანამედროვე, დარგის სპეციფიკასთან თავსებადი და პროფესიული სტუდენტების პრაქტიკულ განვითარებაზე ორიენტირებული. სწავლების პროცესში ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს მოდერნიზაციას, ხოლო აქტიური სწავლების ფორმები ზრდის სტუდენტთა ჩართულობას და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.
ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში „საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკა სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ საჭირო კომპეტენციების ეფექტიან და პრაქტიკულად ორიენტირებულ განვითარებას.

ინდიკატორი 2.4.1.3 შესაბამისობაშია

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები

კერძოდ: დაწესებულების რეგულაციებით გაწერილია სასწავლო პროცესის ორგანიზების პროცედურები, რომელიც მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა ინტერესებზე და ითვალისწინებს რეაგირებას შემხვედრ საჭიროებებზე. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 32-ე მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს თუ: პროფესიულ სტუდენტს დადგენილი აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, პროფესიული სტუდენტი ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო, დროებით საჭიროებს სპეციალური საგანმანათლებლო რეჟიმს, პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობით, ფორმალური განათლების ნაწილობრივი აღიარების/დადასტურების შემთხვევაში ან სხვა შემთხვევები, როდესაც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება დგება პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვის გათვალისწინებით. ინკლუზიური სპეციალური განათლების სპეციალისტი პერიოდულად აკვირდება სტუდენტთა სასწავლო პროცესში ჩართულობას, პროგრამის განმახორციელებელი პირებისა და დაკვირვების შედეგების საფუძველზე ავსებს სპეციალურ დაკვირვების ფორმებს. ინდ/გეგმების შედგენის საჭიროების შემთხვევაში რექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფები, რომელშიც შედის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, სასწავლო პროცესის თანამშრომლები, პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებელი პირები, ასევე საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა მოწვეულ იქნას სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტი, რომლებიც სსსმ/შშმ პირის კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით შეიმუშავებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. სამუშაო ჯგუფის მიერ ხდება მოდულის/საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული კომპონენტის მოდიფიკაცია ან აკომოდაცია.

აკადემიაში საბაჟო საქმის პროგრამაზე ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება არ დამდგარა

ინდიკატორი 2.4.1.4 შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით

კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბაჟო საქმე“ ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს და დარგის ტექნოლოგიებს. სწავლების შედეგების მიღწევა დაგეგმილია როგორც დაწესებულების შენობაში, ასევე პარტნიორ დაწესებულებაში. აკადემიას გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა კომპანიებთან პროგრამის განხორციელების მიზნით. მემორანდუმის საგანია „საბაჟო საქმე“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კოოპერაციული სწავლების მიზნით, მოდულების: გაცნობითი პრაქტიკა, პრაქტიკული პროექტი და საწარმოო პრაქტიკა - ერთობლივი განხორციელება პრაქტიკის ობიექტის ბაზაზე, რეალურ სამუშაო გარემოში სწავლის შედეგების მისაღწევად.

მემორანდუმები გაფორმებულია შემდეგ ორგანიზაციებთან:

- "კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგური" – ერთდროულად შეუძლია პრაქტიკაზე 10 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- "შემოსავლების სამსახური"- ერთდროულად შეუძლია პრაქტიკაზე 10 პროფესიული სტუდენტის მიღება;
- "სოფმარი"-ერთდროულად შეუძლია პრაქტიკაზე 10 პროფესიული სტუდენტის მიღება.
- შპს ჯა ლოჯისტიკა - ერთდროულად შეუძლია პრაქტიკაზე 10 პროფესიული სტუდენტის მიღება.;
- შპს ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი - ერთდროულად შეუძლია პრაქტიკაზე 5 პროფესიული სტუდენტის მიღება.

პრაქტიკის მემორანდუმებში განსაზღვრულია თანამშრომლობის მიზნები, მხარეთა ვალდებულებები, პრაქტიკის განხორციელების დეტალები, მისაღები სტუდენტების რაოდენობები. მემორანდუმები გაფორმებულია მინიმუმ პროგრამის განხორციელების ვადით. ექსპერტთა ჯგუფი გაესაურა პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებს. პრაქტიკის ობოექტებზე სწავლება მიმდინარეობს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

ინდიკატორი 2.4.1.5 შესაბამისობაშია.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკისა და განხორციელებული აქტივობების ხასიათის გათვალისწინებით. დაწესებულებაში უსაფრთხოების საკითხები არ შემოიფარგლება მხოლოდ ფორმალური ინსტრუქტაჟის ჩატარებით, არამედ ეფუძნება სისტემურ მიდგომას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებას ჰყავს შრომის უსაფრთხოების პასუხისმგებელი სპეციალისტ(ებ)ი, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხოების პროცესების კოორდინაციას, მონიტორინგსა და გაუმჯობესებას. შემუშავებულია და დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და შესაბამისი შიდა რეგულაციები, რაც ქმნის ერთიან ჩარჩოს უსაფრთხოების მართვისთვის.
სასწავლო პროცესში გამოყენებული გარემოები წინასწარ არის შეფასებული უსაფრთხოების კუთხით. რეგულარულად მიმდინარეობს რისკების იდენტიფიცირება და შეფასება როგორც სასწავლო, ისე ადმინისტრაციულ სივრცეებში, რის საფუძველზეც განისაზღვრება პრევენციული და კორექტიული ღონისძიებები.
პროფესიული სტუდენტების, პროფესიული მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის ტარდება მიზნობრივი ინსტრუქტაჟები, რომლებიც მოიცავს როგორც ზოგად, ისე პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უსაფრთხოების წესებს.
ინსტრუქტაჟები დოკუმენტირდება და წარმოადგენს შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის შემადგენელ ნაწილს.
აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კონტროლირებად, უსაფრთხო გარემოში და შეესაბამება მოქმედ შრომის უსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.
პროგრამა არ საჭიროებს დამატებით უსაფრთხოების მოთხოვნებს. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტების სწავლებას, რომელიც ხორციელდება დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, ხელშეკრულებაში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო.
ინდიკატორი 2.4.1.6 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბაჟო საქმე“ სასწავლო გეგმა;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.
- ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან;
- პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან გასაუბრება;
- აკადემიის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკითა და დოკუმენტაციით;
- პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესით;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების პირადი საქმეებით;
- შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟებით;
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას რექტორის 2024 წლის 10 დეკემბრის #01-284 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესი;
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას რექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგანმათლებლო პროგრამით;
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი.
- ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.2.1 პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და შესაბამის პირებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა რეგულირდება აკადემიის რექტორის 2024 წლის 23 თებერვლის №01-62 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“.

აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს შეფასების სისტემის ყველა არსებით კომპონენტს, მათ შორის: შეფასების ინსტრუმენტების შერჩევისა და შემუშავების პროცედურებს; შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების მიმართ მოთხოვნებს; შიდა მონიტორინგის მექანიზმებს; შეფასების ადმინისტრირების წესს; შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებულ საკითხებს; აპელაციისა და განმეორებითი შეფასების განხორციელების წესსა და ვადებს; ასევე მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის პროცედურებს. დოკუმენტში ასევე გაწერილია ნამუშევრების გასწორებისა და შეფასების ვადები და განმეორებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობები.

მარეგულირებელი წესის მიხედვით, შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს, რაც ქმნის შეფასების პროცესის სამართლებრივად და მეთოდოლოგიურად გამართულ ჩარჩოს.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელებულმა გასაუბრებებმა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან დაადასტურა, რომ შეფასების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება სრულად ეფუძნება აღნიშნული წესის მოთხოვნებს. მასწავლებლებმა განმარტეს, რომ ისინი ჯერ კიდევ მოდულის დაწყების ეტაპზე აცნობენ პროფესიულ სტუდენტებს შეფასების მიდგომებს, შეფასების ტიპებსა და კრიტერიუმებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის წინასწარ გამჭვირვალობას. ამასთან, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასება ხორციელდება მხოლოდ ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით და შეფასებამდე არანაკლებ ერთი კვირით ადრე შეფასების ინსტრუმენტი მზად არის, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას დროულად გაეცნონ შეფასების მოთხოვნებს და შესაბამისი მომზადება უზრუნველყონ.

გასაუბრებების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ პროფესიული სტუდენტები იცნობენ საკუთარ უფლებებს შეფასების პროცესში, მათ შორის შეფასების შედეგების მიღების, გასაჩივრებისა და განმეორებითი შეფასების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ შეფასების ადმინისტრირება ხორციელდება დადგენილი პროცედურების დაცვით, მათ შორის შეფასების ვადების, შეფასების შედეგების ოფიციალურად დაფიქსირებისა და სტუდენტებისთვის დროული ინფორმირების ნაწილში. გასაუბრებებისას ასევე გამოიკვეთა, რომ პერსონალი კარგად იცნობს აპელაციისა და განმეორებითი შეფასების წესს და მზად არის მისი გამოყენებისთვის საჭიროების შემთხვევაში.
წარმოდგენილი შეფასების დოკუმენტაციით და გასაუბრებების შედეგებით შეფასების სისტემა აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ინდიკატორი 2.4..2.1 შესაბამისობაშია.

2.4.2.2 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს
ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში შემუშავებული და დანერგილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს გამოყენებული შეფასების სისტემის შესაბამისობას პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან. აღნიშნული მექანიზმი წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის ნაწილს და დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2022 წლის 11 მარტის №4/14 გადაწყვეტილებით.
ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შეფასების სისტემის შემოწმებას სამ ძირითად მიმართულებით:
ა) შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია და ვერიფიკაცია;
ბ) შეფასების პროცესის ვერიფიკაცია;
გ) შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია.
მექანიზმი ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს. ვერიფიკაციის პროცესის ორგანიზება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ, შესაბამისი ვერიფიკაციის ჯგუფის ჩართულობით. განხორციელებული ვერიფიკაციის შედეგებზე ფორმდება დასკვნა, რომელიც რეკომენდაციების შემუშავების მიზნით წარედგინება პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს.
დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის განხორციელების დამადასტურებელი მტკიცებულებები, მათ შორის: ვერიფიკაციის გეგმები, შერჩევის მექანიზმები (რისკების სისტემა), ვერიფიკაციის დასკვნები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისი დანართები. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება არა ფორმალურად, არამედ სტრუქტურირებულად და წინასწარ განსაზღვრული პროცედურების დაცვით.
ექსპერტთა მიერ შესწავლილი მასალების მიხედვით ასევე დადგინდა, რომ ვერიფიკაციის დასკვნების საფუძველზე დაწესებულებაში შედგა მაკორექტირებელი გეგმები, სადაც გაწერილია კონკრეტული ღონისძიებები, პასუხისმგებელი პირები და განხორციელების ვადები. აღნიშნული გეგმების შესრულება ექვემდებარება შემდგომ მონიტორინგს, რაც უზრუნველყოფს გამოვლენილი საკითხების რეაგირებასა და შეფასების სისტემის განვითარებას.
ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მოქმედი პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი ფუნქციონირებს რეგულაციის შესაბამისად, ეფუძნება მონაცემებსა და მტკიცებულებებს და ქმნის პირობებს შეფასების პროცესის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებისთვის.
ინდიკატორი 2.4.2.2 შესაბამისობაშია.

2.4.2.3 პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით
კერძოდ:ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და შესაბამის პირებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის პროცესი რეგულირდება მოქმედი ნორმატიული დოკუმენტით – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (მუხლები 25 და 26). აღნიშნული რეგულაციის თანახმად, შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტები, შეფასების მტკიცებულებები და შეფასების უწყისები, ექვემდებარება წინასწარ განსაზღვრული წესით აღრიცხვასა და შენახვას. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან არანაკლებ 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს როგორც პროცესის გამჭვირვალობას, ისე საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის ხელახალ გადამოწმების შესაძლებლობას.
დაწესებულების წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ აღნიშნული წესები პრაქტიკაში სრულად ხორციელდება. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა შეფასებასთან დაკავშირებული აღრიცხვის მტკიცებულებები, რომლებიც არის სტრუქტურირებულად დალაგებული, დანომრილი და მიკვლევადი. წარმოდგენილი დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იძლევა შესაძლებლობას, შეფასების პროცესის თითოეული ეტაპი იყოს ადვილად იდენტიფიცირებადი კონკრეტულ პროფესიულ სტუდენტთან, მოდულთან და შეფასების ინსტრუმენტთან მიმართებით.
ექსპერტთა შეფასებით, შეფასების მონაცემების აღრიცხვისა და შენახვის არსებული პრაქტიკა უზრუნველყოფს ინფორმაციის სანდოობას, ხელმისაწვდომობასა და დაცულობას, ხოლო რეგულაციისა და პრაქტიკის თანხვედრა მიუთითებს პროცესის ორგანიზებულ და პასუხისმგებლიან განხორციელებაზე.
ინდიკატორი 2.4.2.3 შესაბამისობაშია.

2.4.2.4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის
კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადასტურდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოიყენება არა მხოლოდ მიღწეული სწავლის შედეგების დასადგენად, არამედ სტუდენტების შემდგომი აკადემიური და პროფესიული განვითარების მხარდასაჭერად. პროფესიული განათლების მასწავლებლები განმსაზღვრელი შეფასების პარალელურად აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, რაც საშუალებას იძლევა სწავლის პროცესში დროულად გამოვლინდეს სტუდენტების ძლიერი მხარეები და განვითარების საჭიროებები. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების შედეგები პერიოდულად განიხილება პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალურ ფორმატში, რაც ხელს უწყობს შეფასების პროცესის გააზრებას და სწავლის შედეგებზე ორიენტირებულ უკუკავშირს.
გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროფესიული სტუდენტის მხრიდან დამატებითი კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებლები ახორციელებენ ინდივიდუალურ კონსულტირებას. ამ პროცესში სტუდენტს მიეწოდება განმარტებები შეფასების შედეგების შესახებ, განიხილება არსებული სირთულეები და ერთობლივად განისაზღვრება სწავლების პროცესის გაუმჯობესების შესაძლო გზები. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მიდგომები განსხვავებულია სტუდენტთა პიროვნული თავისებურებებისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას.
ამასთან, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზი გამოიყენება უფრო ფართო კონტექსტშიც – შეფასების პროცესის შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია ინიცირდეს სწავლების მეთოდების ან/და შეფასების სისტემის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული წინადადებები. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს როგორც სტუდენტების ინდივიდუალურ განვითარებას, ისე სასწავლო პროცესის ხარისხის ეტაპობრივ გაუმჯობესებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება არის მიზანმიმართული, განვითარებაზე ორიენტირებული და შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ინდიკატორი 2.4.2.4 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2022 წლის 11 მარტის № 4/14 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი - ვერიფიკაცია;
- „საბაჟო საქმის“ პროგრამის შეფასების ინსტრუმენტები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

V. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)

პროგრამის სახელწოდება	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება No.07-93 26.09.2025 წ.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ფოთი, წმ. გიორგის ქ. N 24
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

VI. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება □

319

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

დასაბუთება

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია წარმოადგენს სპეციალიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს პროფესიული და უმაღლესი განათლების პროგრამებს საზღვაო და მასთან მომიჯნავე დარგებში. აკადემიის მისია ეფუძნება კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას, კვლევითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქმიანობის განვითარებასა და მიღებული ცოდნის საზოგადოებაში გავრცელებას, თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

აკადემიის სტრატეგიული ხედვის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება ორიენტირებულია შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კომპეტენციების მქონე, პროფესიული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის უნარის, გუნდური მუშაობის, პასუხისმგებლობისა და პიროვნული პოტენციალის რეალიზაციის უნარებით აღჭურვილი კადრების მომზადებაზე. ამ მიზნების მისაღწევად, აკადემია ახორციელებს როგორც პროფესიულ, ისე უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებსა და უწყვეტი განათლების კურსებს.

საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირება და შემუშავება მიმდინარეობს აკადემიის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და დადგენილი პროცედურების შესაბამისად, დაინტერესებული მხარეების ჩართულობითა და კოლეგიური განხილვის საფუძველზე. პროგრამის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კოორდინირებული მონაწილეობა, რაც ხელს უწყობს პროგრამის შინაარსის შესაბამისობას როგორც საგანმანათლებლო სტანდარტებთან, ისე პრაქტიკულ საჭიროებებთან.

ამ კონტექსტში, „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები” საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება თანხვედრაშია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მისიასთანა და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან.

პროგრამის შინაარსი პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და მოიცავს იმ კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაო გარემოში საფრთხეების იდენტიფიცირებას, რისკების შეფასებასა და პრევენციული ღონისძიებების შემუშავებას, ასევე გარემოს დაცვას, ნარჩენების მართვას და სხვ. შრომის ბაზრის ანალიზი და დამსაქმებელთა პოზიციები ადასტურებს პროგრამის შესაბამისობას პრაქტიკულ საჭიროებებთან.

პროგრამაში ინტეგრირებულია თეორიული სწავლება და პრაქტიკული კომპონენტი პარტნიორ ორგანიზაციებში, რაც ზრდის სტუდენტთა პროფესიულ მზაობას და დასაქმების შესაძლებლობებს. აღნიშნული მიდგომა სრულ შესაბამისობაშია აკადემიის ხედვასთან, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლებას, შრომის ბაზართან მჭიდრო კავშირსა და უწყვეტი განათლების განვითარებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ “შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების” პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება მიღებულია აკადემიის შიდა პოლიტიკების, ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფის წესებისა და შესაბამისი კოლეგიური ორგანოების პროცედურების დაცვით. პროგრამა შეესაბამება აკადემიის მისიას, სტრატეგიულ მიზნებსა და რეგიონული განვითარების საჭიროებებს.

ინდიკატორი 2.1.1.1. შესაბამისობაშია

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: სსიპ სასწავლო უნივერსიტეტში – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები” დაშვების წინაპირობები და პროცედურები დარეგულირებულია აკადემიის მიერ დამტკიცებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით და სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული და გამჭვირვალე წესის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე იმ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე განათლება, ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება საკმარისია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის დადგენილ ვადაში. აღნიშნული პროცესი რეგულირდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესით და ინტეგრირებულია აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში

დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით და ასახულია პროგრამის დოკუმენტში (8.დაშვების წინაპირობა-სრული ზოგადი განათლება) პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ეტაპზე მოწმდება კანდიდატის შესაბამისობა პროგრამის მოთხოვნებთან, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში მისი ეფექტური ჩართულობისა და შედეგებზე გასვლის შესაძლებლობას.

სასწავლო პროცესის ორგანიზება და სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა სრულად ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები”, რაც უზრუნველყოფს წინარე ცოდნისა და უნარების თანმიმდევრულ განვითარებას და სწავლის შედეგების ეტაპობრივ მიღწევას. საჭიროების შემთხვევაში, აკადემია იყენებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მექანიზმს, რაც დამატებით უზრუნველყოფს სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლის პროცესში ჩართულობას და შედეგების მიღწევას პროგრამის განხორციელების ვადაში.

აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები არა მხოლოდ ფორმალურად არის დადგენილი, არამედ პრაქტიკაში რეალურად გამოიყენება იმგვარად, რომ პროგრამაზე დაშვებული პირები ფლობენ იმ აუცილებელ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფუძვლებს, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს წარმატებით დაეუფლონ „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

უნივერსიტეტში პროფესიული პროგრამის ჩარიცხვის პროცესი რეგულირდება „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესით (ND 2-F30)“. სადაც განსაზღვრულია:

- განაცხადის მიღების წესი;
- გასაუბრების ორგანიზება და შეფასების კრიტერიუმები;
- შედეგების დაფიქსირება და სტუდენტის ჩარიცხვა ჯგუფში;
- სტატუსის მინიჭების ადმინისტრაციული პროცედურები.

ექსპერტებთან სამუშაო შეხვედრების ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ხორციელდება პროფესიული განათლების ცენტრის მიერ ჩამოყალიბებული შეფასების კომისიის მეშვეობით. აპლიკანტები გადიან მოტივაციურ გასაუბრებას, ქულები აისახება ელექტრონულ სისტემაში.

აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს შერჩევის პროცესის ობიექტურობასა და თანაბარ პირობებში განხორციელებას, უზრუნველყოფს აკადემიური და პროფესიული მოთხოვნების დაცვას, ქმნის ჯგუფების დაკომპლექტების ერთიან პრაქტიკას და საფუძველს უყრის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

„შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები” პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ჩარიცხვის პროცედურები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და გამჭვირვალედ, სრულად შეესაბამება მოქმედ ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოს, უზრუნველყოფს სამართლიან შერჩევას და ქმნის რეალურ შესაძლებლობას სწავლის შედეგების მიღწევისთვის. აღნიშნული მიდგომა თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ მიმართულებებთან.

ინდიკატორი 2.1.1.2. შესაბამისობაშია

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. სსიპ სასწავლო უნივერსიტეტში – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება აკადემიის მიერ დამტკიცებული შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეთოდოლოგიის საფუძველზე. აღნიშნული პროცესი რეგულირდება დოკუმენტით „პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესი“, რომელიც ადგენს როგორც კრიტერიუმებს, ისე გადაწყვეტილების მიღების ეტაპებს .მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ რესურსებსა და გარემოებებს, მათ შორის: სასწავლო გარემოს ტიპსა და გამტარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, პრაქტიკის კომპონენტის ხელმისაწვდომობას, პროგრამის ხანგრძლივობასა და სასწავლო გეგმის სპეციფიკას, აგრეთვე პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დადგენისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასწავლო სივრცეების რეალურ შესაძლებლობებს. კვოტა განისაზღვრება სასწავლო გარემოში არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობის მიხედვით და ეფუძნება ყველაზე შემზღუდავ რესურსს, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხიან და უსაფრთხო განხორციელებას.

პრაქტიკული კომპონენტის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა დამატებით ეფუძნება პრაქტიკის ობიექტების ხელმისაწვდომობასა და მათ მიერ განსაზღვრული სტუდენტთა მიღების შესაძლებლობებს, რაც ხელშეკრულებებით არის დადასტურებული. სამუშაოზე დაფუძნებული, დუალური ან კოოპერაციული სწავლების ფორმების შემთხვევაში, კვოტის განსაზღვრა ხორციელდება აკადემიასა და პარტნიორ ორგანიზაციებს შორის გაფორმებული შეთანხმებების პირობების შესაბამისად

დადგენილი წესის შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა თითოეულ მიღებაზე მტკიცდება აკადემიის რექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების წარდგინების საფუძველზე. აღნიშნული პრაქტიკა ქმნის სტუდენტთა რაოდენობის რეალისტური დაგეგმვის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების პროცესის ორგანიზებულობასა და სტაბილურობას.
ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება მკაფიოდ დადგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით და პრაქტიკაში ხორციელდება იმგვარად, რომ გათვალისწინებულია როგორც სასწავლო გარემოს გამტარიანობა, ისე პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის, ადგილზე ვიზუალური დათვალიერებისა და ადმინისტრაციასთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების” პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია მოქმედი მეთოდოლოგიის შესაბამისად ზღვრული რაოდენობის დასაბუთების პროცესში გამოყენებული იყო:
სასწავლო გარემოს (აუდიტორიებისა და სხვა სივრცეების) დატვირთვის გრაფიკები;
თითოეული სასწავლო და პრაქტიკული გარემოს სიმძლავრის მაჩვენებლები, მათ შორის სამუშაო ადგილების რაოდენობა;
ლაბორატორიული და პრაქტიკული სივრცეების შესახებ არსებული მონაცემები;
პარტნიორი ორგანიზაციების შესაძლებლობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და სხვა.
განხორციელებული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ აკადემიის ინფრასტრუქტურული რესურსები და პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობის შესაძლებლობები სრულად უზრუნველყოფს ერთ ჯგუფში 20 პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ეფექტიან განხორციელებას.
ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები” პროგრამისთვის განსაზღვრული 60 პროფესიული სტუდენტი წარმოადგენს დასაშვებ და რეალისტურ ზღვრულ რაოდენობას.

ინდიკატორი 2.1.1.3. შესაბამისობაშია.

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში სასწავლო რესურსების, მათ შორის მასალა-ნედლეულის დაგეგმვა, მიწოდება, შენახვა და გამოყენება ორგანიზებულია წინასწარ განსაზღვრული და დოკუმენტირებული წესის შესაბამისად(პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ND 2-F03 (დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 21 ივლისს № 01-142 ბრძანებით)მუხლი 23. სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების წესი). აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსების შესაბამისობსა პროგრამების შინაარსთან, სწავლების მეთოდებთან და თითოეული მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.
სასწავლო პროცესის მასალებითა და ნედლეულით უზრუნველყოფა ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობისა და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით. რესურსების შერჩევა ეფუძნება მოდულების მოთხოვნებს და მიმართულია იმ პრაქტიკული ცოდნისა და უნარების განვითარებაზე, რომლებიც განსაზღვრულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამებით. აკადემია უზრუნველყოფს, რომ პროფესიულ სტუდენტებს ჰქონდეთ საჭირო რაოდენობისა და ხარისხის სასწავლო მასალაზე წვდომა, რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის უწყვეტობასა და შედეგიანობას.

მასალა-ნედლეულის შენახვა და გამოყენება ხორციელდება უსაფრთხოების, ჰიგიენური და გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვით. განსაზღვრული პასუხისმგებელი პირების ჩართულობით უზრუნველყოფილია რესურსების მიზნობრივი და რაციონალური გამოყენება, რაც ამცირებს როგორც არასათანადო მოხმარების, ისე სასწავლო პროცესის შეფერხების რისკებს. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მასწავლებლები უზრუნველყოფენ რესურსების გამოყენებას სწავლების მიზნების შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში ახდენენ მათი გამოყენების ადაპტაციას სასწავლო პროცესის დინამიკისა და სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

ამასთან, აკადემიაში დადგენილია სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის რეგულაცია (მუხლი 24. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის წესი), რაც უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაცვას და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შენარჩუნებას. მასალა-ნედლეულის გამოყენების სრული ციკლი -მიწოდებიდან უტილიზაციამდე - ორგანიზებულია ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა და პრაქტიკული კომპონენტების ხარისხიანი განხორციელება.

ზემოაღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში არსებული საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები ფუნქციურად უკავშირდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებს და ეფექტიანად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ინდიკატორი 2.1.1.4. შესაბამისობაშია.

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები” არ მოიცავს არჩევით მოდულს.

ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ; კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების პროცედურა რეგულირდება უნივერსიტეტის წესდებითა და შიდა ნორმატიული აქტებით. წესდების მიხედვით, **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე და მათ ცვლილებებზე პასუხისმგებელი პირი არის რექტორი. აღნიშნული უფლებამოსილება განსაზღვრულია აკადემიის წესდებაში (მუხლი 7. პუნქტი 3. აკადემიის რექტორი კანონმდებლობისა და ამ წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში: დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულების წარდგინებით ამტკიცებს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებს) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესით ND 2-F09-01** (დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებით)პუნქტი 9. ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს რექტორი ბრძანებით.

„შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია შესაბამისი სამუშაო ჯგუფის წარდგინებით რექტორის მიერ №07-93 26/სექტემბერი/2025 წ. ექსპერთა ჯგუფი გაეცნო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ ჯგუფის შექმნის ბრძნებას და შემუშავების პროცესის ამსახველ დოკუმენტაცია.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის დამტკიცების პროცედურა სრულად შეესაბამება წესდებით განსაზღვრულ უფლებამოსილებასა და გადაწყვეტილების მიღების ფორმატს. პროცესი არის ფორმალურად გამართული, გამჭვირვალე და უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცდეს შესაბამისი ორგანოს მიერ, სათანადო დასაბუთებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე.

ინდიკატორი 2.1.1.6. შესაბამისობაშია

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს პროგრამის შინაარსობრივ მიმართულებას და სრულ შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან. პროგრამის სტრუქტურა აგებულია ისე, რომ ეტაპობრივად ფარავს უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი საქმიანობისათვის აუცილებელ ყველა ძირითად კომპონენტს – ორგანიზაციულ, სამართლებრივ, დაგეგმვის, დოკუმენტირების, განხორციელებისა და კონტროლის მიმართულებებს.

პროგრამა მოიცავს შემდეგ პროფესიულ მოდულებს:

- გაცნობითი პრაქტიკა - შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
- ფსიქოლოგიის საფუძვლები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ანატომიის საფუძვლები
- გარემოს დაცვის საფუძვლები
- მენეჯმენტის საფუძვლები
- დარგობრივი უცხოური ენა
- ჯანმრთელობის, შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი რეგულაციები და სტანდარტები
- საფრთხეებისა და რისკის კონტროლი სამუშაო (დასაქმების) ადგილზე
- ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მენეჯმენტი
- გარემოს დაცვის მენეჯმენტი
- საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაზიანების საფრთხეები და რისკის კონტროლი
- ქიმიური და ბიოქიმიური საფრთხეების და რისკის კონტროლი
- ელექტრო და სახანძრო უსაფრთხოება
- გარემოს დაცვა და კლიმატური გამოწვევები
- ნარჩენების მართვა
- წყლისა და ჰაერის დაბინძურება
- ტრანსპორტის უსაფრთხოების და რისკის კონტროლი
- გარემოსდაცვით საგანგებო სიატუაციებზე რეაგირების დაგეგმვა
- ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაზიანების საფრთხეების და რისკის კონტროლი
- სამუშაო აღჭურვილობის საფრთხეების და რისკის კონტროლი
- საწარმოო პრაქტიკა

აღნიშნული მოდულები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შემდეგი სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ, პროფესიულ სტუდენტს შეუძლია:

1. შეადგინოს უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის, გარემოსდაცვითი გეგმა
2. შეიმუშაოს და განაახლოს პროცედურები და ინსტრუქციები
3. შეაფასოს პროფესიული დაზიანებები და აკონტროლოს რისკი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. შეაფასოს, გააკონტროლოს და განსაზღვროს ქიმიური და ბიოქიმიური საფრთხეების პრევენციული ზომები
5. დაიცვას ელექტროუსაფრთხოებისა და სახანძრო უსაფრთოების წესები
6. განახორციელოს ევაკუაციის პროცესები
7. გაწიოს პირველადი გადაუდებელი დახმარება
8. გაატაროს საფრთხეების პრევენციისა და რისკების შემცირების ღონისძიებები
9. აკონტროლოს სამუშაო ადგილზე ადამიანთა და სამსახურებრივი ტრანსპორტის უსაფრთხოდ გადაადგილება
10. შეაფასოს გარემოზე, ეკონომიკასა და საზოგადოებაზე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედების გავლენა
11. განახორციელოს გარემოსდაცვითი სისტემის აუდიტი და მონიტორინგი
12. დაგეგმოს უსაფრთხო სასმელი წყლის დაცვისა და გამოყენების ნორმების დაცვით მოქმედება
13. აკონტროლოს წყლის წყაროების დაბინძურება
14. აკონტროლოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ჰაერში გაფრქვევის შემცირება.

მოდულების შინაარსი და მათთან დაკავშირებული სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას და სრულად მოიცავს დასაქმებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება არის შინაარსობრივად გამართლებული, ზუსტი და არ ქმნის შეცდომაში შემყვან წარმოდგენას პროგრამის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებით.

ინდიკატორი 2.1.1.7. შესაბამისობაშია

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და აკადემიის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების სრული დაცვით. პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის თანახმად (ND 2-F09-01 დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებით.) პროგრამა დამტკიცებულია აკადემიის რექტორის შესაბამისი ბრძანებით (№07-93 26 / სექტემბერი/2025 წ. ბრძანებით), პროგრამების დამტკიცების აქტის საფუძველზე, და სრულად შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასთან, შინაარსთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და განხორციელების პროცედურებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. შესაბამისად, პროგრამა აკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ ყველა მოთხოვნას.
პროგრამა დამტკიცებულია აკადემიის რექტორის მიერ. იგი ეფუძნება საგანმანათლებლო სტანდარტს "შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები "/ Occupational Safety and Environmental Technology.

პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები,სწავლის შედეგების დეტალური აღწერა შეფასების მიმართულებები, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. შესაბამისად, ქართული ენის მოდულ(ებ)ის გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე გამოცდის ან/და ტესტირების ჩაბარების გზით კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
აღნიშნული პირებისათვის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. (,,ქართული ენა A2"და ,,ქართული ენა" B1 მოდულები).

პროგრამის შემუშავების ეტაპზე გათვალისწინებული იქნა შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, დამსაქმებელთა საჭიროებები და დარგის განვითარების ტენდენციები, ამავე დროს, განსაზღვრულია პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა აკადემიის მიერ დამტკიცებული პროფესიული სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხიან განხორციელებასა და რესურსების ადეკვატურ განაწილებას.
ინდიკატორი 2.1.1.8. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით "შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები". დამტკიცებული რექტორის ბრძანებით №07-93; 26 / სექტემბერი / 2025 წ.
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალით
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი ND 2-F09-01 დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებით პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ND 2-F03 (დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 21 ივლისს № 01-142 ბრძანებით) მუხლი 23. სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების წესი;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა ND 2-O06-01 (დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2024 წლის 22 თებერვლის ბრძანებით № 01-58)
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით;
- სამუშაო შეხვედრების ფურცლებით;
- სამსახურებრივი ბარათებით;
- აკადემიის მისია, ხედვა, ღირებულებებით - განთავსებული ვებგვერდზე https://bsma.edu.ge/page/akademiis-misia-xedva-girebulebebi

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში "შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება აკადემიის შესაბამის სასწავლო სივრცეებში, სადაც უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და საგანმანათლებლო გარემო. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას.
აკადემიის სასწავლო კორპუსში "შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროგრამისთვის გამოყოფილია კეთილმოწყობილი და ტექნიკურად გამართული **A და B ტიპის სასწავლო გარემოები**, რომლებიც გამოიყენება თეორიული მეცადინეობებისა და კომპიუტერზე დაფუძნებული სასწავლო აქტივობების ჩასატარებლად. აღნიშნული სივრცეები აღჭურვილია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი სამუშაო მაგიდებითა და სკამებით, პერსონალური კომპიუტერებით, უწყვეტი ინტერნეტითა და პროგრამის შინაარსთან დაკავშირებული შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით. ასევე უზრუნველყოფილია პრეზენტაციისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებები (პროექტორი, ეკრანი, პრეზენტაციის დაფა), ასლგადამღები მოწყობილობები და სხვა დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რაც ხელს უწყობს სასწავლო მასალის ეფექტიან მიწოდებასა და ვიზუალურ აღქმას.
პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით აკადემიაში ორგანიზებულია **C ტიპის სასწავლო გარემო**, რომელიც მორგებულია "შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" საქმიანობის სპეციფიკაზე. აღნიშნული გარემო უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პირველადი დახმარების და საგანგებო სიტუაციის (ხანძრის) დროს პრაქტიკული უნარების გამომუშავებას, ასევე ფიზიკური ფაქტორების (განათება, ტენიანობა, ტემპერატურა და სხვ.) უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის მოთხოვნების დაცვით. პრაქტიკული სწავლების სივრცე გათვლილია პროგრამის ზღვრულ რაოდენობაზე და შეესაბამება პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს.
"შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროგრამისთვის საწარმოო პრაქტიკის კომპონენტს მნიშვნელოვანი ფუნქციური დატვირთვა აქვს. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სხვადასხვა ორგანიზაციებთან, სადაც პროფესიული სტუდენტები გადიან როგორც გაცნობით პრაქტიკას, ისე ძირითადი მოდულებით გათვალისწინებულ საწარმოო პრაქტიკასა და პრაქტიკული პროექტის განხორციელებას. აკადემიის პარტნიორი კომპანიებია: სსიპ-საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, "შავი ზღვის ტერმინალი", "სოფმარი", შპს "ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი", "კავკასიან მეტალს ტერმინალი", "ქალაქ ფოთის მერია", "ლამნალკო". ხელშეკრულებებში განსაზღვრულია მისაღებ სტუდენტთა რაოდენობები. პარტნიორ ორგანიზაციაში ვიზიტისას, ორგანიზაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტებს ადგილზე გამოეყოფა პირი, რომელიც მათ ჩაუტარებს ინსტრუქტაჟს და ყურადღებას მიაქცევს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებისა და სასწავლო და საწარმოო გარემოების დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ აკადემიის მატერიალური ბაზა, პარტნიორი ორგანიზაციების რესურსები და მათი ხელმისაწვდომობა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, სრულად უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პრაქტიკის ობიექტებზე სტუდენტები შეძლებენ საფრთხეების იდენტიფიცირებას, რისკების შეფასებასა და პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრას. ასევე შეაფასებენ პარტნიორ ორგანიზაციებში არსებულ ნარჩენებს, მოახდენენ მათ კლასიფიცირებას და დაადგენენ მათ გარემოზე ზამოქმედების შესაძლებლობას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, "შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური და სასწავლო რესურსები არის რეალისტურად დაგეგმილი, ფაქტობრივად ხელმისაწვდომი და სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებსა და შინაარსთან.

ინდიკატორი 2.2.1.1. შესაბამისობაშია

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში "შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის წარმოდგენილია გაფორმებული ხელშეკრულებები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ და სტაბილურ განხორციელებას.

პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტს ჰყავს **ჯამში 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი**, რომელთაგან:

- **6 მასწავლებელი ახორციელებს ზოგად მოდულებს**;
- **10 პროფესიული განათლების მასწავლებელი** პასუხისმგებელია პროგრამის პროფესიულ მოდულებზე.

ასეთი სტრუქტურა პროგრამის შინაარსობრივ მრავალფეროვნებას აერთიანებს და უზრუნველყოფს როგორც ზოგადი კომპეტენციების, ისე სპეციფიკური უნარების სრულფასოვან მიწოდებას.

მოდულების მიხედვით უნივერსიტეტს ჰყავს მოდულზე **ორი განმახორციელებელი მასწავლებელი**, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს სრულფასოვნად ჩაანაცვლებენ. ეს ქმნის:

- პროგრამის უწყვეტობის გარანტიას,
- მოსალოდნელი რისკების მინიმიზაციას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მოდულების შესრულების დროულ უზრუნველყოფას.

ექსპერტთა შეფასებით, რესურსების ასეთი განაწილება წარმოადგენს კარგი პრაქტიკის მაგალითს.

წარდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ:

- ყველა განმახორციელებელი მასწავლებლის დატვირთვა შეესაბამება **„საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს**,
- კვირაში საერთო სამუშაო დატვირთვა **არ აღემატება 40 საათს**,
- განაწილება ოპტიმალურია და არ ქმნის გადატვირთვის ან პროცესის შეფერხების ალბათობას.

პროგრამას დამატებული აქვს **განმახორციელებელი პერსონალის სია**, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას.

პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლით, კვალიფიკაციის დადასტურებითა და მათთან გასაუბრებით დადგინდა, რომ:

- წარმოდგენილი მასწავლებლები ფლობენ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელ პროფესიულ და პედაგოგიურ კომპეტენციებს,
- პროფესიული გამოცდილება შესაბამისობაშია მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან,
- რაოდენობა და განაწილება სრულად უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივ და პრაქტიკულ განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, “შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების” პროგრამისათვის წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა, კვალიფიკაცია და დატვირთვის განაწილება **საკმარისია, რეალისტურია და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად, უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას**.

ინდიკატორი 2.2.1.2. შესაბამისობაშია

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. კერძოდ:ვიზიტის ფარგლებში პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებულმა გასაუბრებამ და მათი პირადი საქმეების შესწავლამ დაადასტურა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული განათლების მასწავლებლები სრულად აკმაყოფილებენ “შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ კვალიფიკაციასა და პროფესიულ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია პროგრამის პროფილის შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის: შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები; ასევე პროფესიული პრაქტიკის დამადასტურებელი დოკუმენტები პარტნიორი ორგანიზაციებიდან. წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფლობს როგორც თეორიული ცოდნის გადაცემის, ისე პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის აუცილებელ პროფესიულ კომპეტენციებს.

პრაქტიკული გამოცდილება და პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობა

დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებს აქვთ პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება სხვადასხვა ორგანიზაციებში, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს სასწავლო პროცესის პრაქტიკულ ორიენტაციას. ამასთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან მოწვეული სპეციალისტები – პარტნიორი ორგანიზაციების მოქმედი თანამშრომლები, რომელთა მონაწილეობა უზრუნველყოფს სწავლების შინაარსის შესაბამისობას რეალურ სამუშაო პროცესებთან, მოქმედ რეგულაციებთან და შრომის ბაზრის მიმდინარე მოთხოვნებთან.

გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელმა მასწავლებლებმა რეგულარულად გაიარეს პროფესიული განვითარებისა და გადამზადების კურსები, მათ შორის:

- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები;
- უნარების განვითარების სააგენტოს ტრენინგები („სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება“);
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამები („პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით“).

აღნიშნული გადამზადების კურსები მნიშვნელოვნად აძლიერებს მასწავლებელთა პედაგოგიურ და პროფესიულ კომპეტენციებს და დადებითად აისახება მოდულების სწავლების ხარისხზე.

დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, აქტიურად არიან ჩართული: მოდულების შემუშავებისა და საჭიროების შემთხვევაში მათი ადაპტირების პროცესში; სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში; მოდულების განხორციელების მიმდინარეობის მონიტორინგში. აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს, რომ პროგრამის შინაარსი ეფუძნება კოლეგიურ თანამშრომლობასა და პრაქტიკულ პროფესიულ გამოცდილებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ყველა პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლებშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული სამართლებრივად მოთხოვნილი ძირითადი პირობები, კონკრეტული მოდულები, სამუშაო ფუნქციები, პასუხისმგებლობები და სასწავლო დატვირთვა. დადგინდა, რომ მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, რაც შეესაბამება საქართველოს ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა, მათი კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება, პროფესიული განვითარების ისტორია და სამუშაო დატვირთვის რაციონალური განაწილება სრულად უზრუნველყოფს "შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიან, უწყვეტ და მდგრად განხორციელებას. მასწავლებელთა კომპეტენციები პირდაპირ უწყობს ხელს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

აკადემიაში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა – EP-QA პოლიტიკა" (დანართი EP-QA1.1) განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციისა და პროფესიული კომპეტენციების მოთხოვნებს. დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს შესაბამისი დარგისსპეციალისტი ან/და შესაბამის სფეროში პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი, რაც უზრუნველყოფს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტების ეფექტიან მართვას.

განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის ძირითადი ფუნქციები, მათ შორის: პროგრამის შინაარსობრივი და სტრუქტურული ანალიზი; სასწავლო პროცესის გეგმებთან შესაბამისობის მონიტორინგი; სასწავლო ცხრილების დამტკიცებულ გეგმასთან შეჯერება; შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში მონაწილეობა; პროფესიული სტუდენტების კონსულტირება; სასწავლო პროცესის მონიტორინგი და მხარდაჭერა.

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის (პირადი საქმის) შესწავლისა და პროგრამის ხელმძღვანელთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ "შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც ფლობს პროგრამის პროფილის შესაბამის დარგობრივ კომპეტენციებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი აქვს დადასტურებული კვალიფიკაცია და პრაქტიკული პროფესიული გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობს როგორც პროგრამის შემუშავებისა და განახლების პროცესში, ისე მისი განხორციელების ეტაპზე.

დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებასთან ერთად, ახორციელებს დარგობრივ მოდულებს, რაც დამატებით აძლიერებს პროგრამის პრაქტიკულ სისწორეს, სწავლების რეალურ სამუშაო გარემოსთან შესაბამისობასა და სასწავლო პროცესის ხარისხს. აღნიშნული პრაქტიკა არ ქმნის გადაფარვის ან ინტერესთა კონფლიქტის რისკს, არამედ უზრუნველყოფს პროგრამის მართვისა და სწავლების პროცესის ერთიან, კოორდინირებულ განხორციელებას.

პროგრამის ხელმძღვანელი სისტემურად იყენებს პოლიტიკით განსაზღვრულ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმილ, სტრუქტურირებულ და დროულ განხორციელებას, ასევე სწავლების ხარისხის მუდმივ მონიტორინგსა და გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ მიდგომას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება და მაღალი ჩართულობა სრულად შეესაბამება EP-QA პოლიტიკის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს "შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიან, მდგრად და ხარისხზე ორიენტირებულ მართვას.
ინდიკატორი 2.2.1.4. შესაბამისობაშია.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. კერძოდ:
ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიბლიოთეკისა და დამატებითი სასწავლო სივრცეების დათვალიერება, ასევე შერჩევითი პრინციპით შეამოწმა "შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსები. ბიბლიოთეკართან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე არსებული მდგომარეობა შეფასდა როგორც სანდო და მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადგინდა, რომ პროგრამის მოდულებით განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. კერძოდ, აკადემიის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია მოდულების მიხედვით შერჩეული ბეჭდური სასწავლო მასალები, რომლებიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების დაცვით და თავისუფლად ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ისე პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლებისთვის.

ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. სასწავლო მასალები ინახება სპეციალურ მყარ დისკებზე, საიდანაც შესაძლებელია მათი გადატანა, ბეჭდვა ან ელექტრონულად გამოყენება. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საჭირო მასალები მიიღონ ელექტრონული ფოსტის საშუალებით ან შესაბამისი ამონარიდები ბეჭდური სახით.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან, რაც უზრუნველყოფს "შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტებისა და რეგულაციების განახლებულ ვერსიებზე მუდმივ წვდომას. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უსაფრთხოების საქმიანობის სფეროში მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს შესასწავლად.

აკადემიის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რაც უზრუნველყოფს მომსახურების პირობების საჯაროობას, რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას და უსაფრთხო, ორგანიზებულ სასწავლო გარემოს შექმნას.

ექსპერტთა შეფასებით, "შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო და მატერიალური რესურსები არის რელევანტური, მრავალფეროვანი და სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. რესურსებზე წვდომა ორგანიზებულია გამჭვირვალედ – როგორც ბიბლიოთეკაში, ისე სასწავლო გარემოებსა და ელექტრონული რესურსების მეშვეობით – რაც დადებითად აისახება სასწავლო პროცესის ეფექტიანობაზე.

ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კერძოდ:ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სასწავლო პირობები, რომლებიც გამოიყენება "შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის. სასწავლო სივრცეების დათვალიერებისა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურულ პირობებს, მათ შორის ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნას.

აკადემიის იმ სასწავლო კორპუსში, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცეები, უზრუნველყოფილია მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი ხელმისაწვდომობა. კერძოდ, შენობა აღჭურვილია კიბეებზე ასასვლელი და ჩამოსასვლელი სპეციალური მოწყობილობებით, რაც უზრუნველყოფს შეზღუდული მობილობის მქონე პირების დამოუკიდებელ გადაადგილებას. ასევე, აკადემიაში ფუნქციონირებს ადაპტირებული სველი წერტილები, რომლებიც სრულად შეესაბამება უნივერსალური დიზაინის პრინციპებს.

A და B ტიპის სასწავლო სივრცეებში შესაძლებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს ორგანიზება, მათ შორის მოსარგები სამუშაო ადგილებისა და სივრცის მოქნილი განლაგების საშუალებით. C ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც გამოიყენება "შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად, ასევე აკმაყოფილებს ბაზისური ხელმისაწვდომობის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს პრაქტიკული საქმიანობის უსაფრთხო პირობებში განხორციელებას.კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფს სამუშაო ადგილის ადაპტირებას ან საჭიროების შემთხვევაში მის მოდიფიცირებას.
აკადემიის ბიბლიოთეკისა და საინფორმაციო რესურსების გამოყენება ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვისაც. ბიბლიოთეკის სივრცეებში უზრუნველყოფილია მობილობის შეზღუდვის მქონე პირების თავისუფალი გადაადგილება, ხოლო კომპიუტერული კლასები იძლევა სამუშაო ადგილის ადაპტირების ან საჭიროების შემთხვევაში მისი მოდიფიცირების შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ უზრუნველყოფილი ინფრასტრუქტურა და სასწავლო სივრცეების ადაპტირება სრულ თანხვედრაშია პროფესიული განათლების სტანდარტის მოთხოვნებთან. "შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს უსაფრთხო, ხელმისაწვდომ და ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, რაც ყველა პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს, აძლევს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.
ინდიკატორი 2.2.1.6. შესაბამისობაშია.

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. კერძოდ:
ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი "შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. დოკუმენტის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ბიუჯეტი ჩამოყალიბებულია გამჭვირვალე, ეკონომიკურად გონივრული და სტანდარტებთან შესაბამისი პრინციპებით.

საპროგნოზო ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი დაფუძნებულია **სწავლის საფასურზე**, რომლის მოცულობა განსაზღვრულია უნივერსიტეტის ფინანსური პოლიტიკის შესაბამისად. შემოსავლის პროგნოზი ეფუძნება **ზღვრული რაოდენობისა და მინიმალური დასაშვები ჯგუფის ანალიზს**, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მოიცავს პროგრამის სრულფასოვანი განხორციელებისთვის აუცილებელ ყველა პოზიციას. ფინანსების მართვის სამსახურის მიერ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო ბიუჯეტით განსაზღვრულია **ფინანსური რესურსი, დადგენილია სტუდენტთა რენტაბელური რაოდენობა, შემოსავლების წყაროები, ხარჯები, პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო დანახარჯები, მათ შორის, პროფესიული განათლების მასწავლებლების შრომის ანაზღაურება, პროგრამის სასწავლო მასალების ღირებულება, კომუნალური, საოპერაციო და სხვა აქტივობების ორგანიზებასთან დაკავშირებული ხარჯები,** რაც საშუალებას აძლევს საზღვაო აკადემიას გათვალოს საკუთარი ფინანსური რესურსები და უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობა.
ბიუჯეტირება ეფუძნება **მინიმალური ჯგუფის ფორმირების პრინციპს**, რაც უნივერსიტეტში განსაზღვრულია როგორც ფინანსური მდგრადობის პირობა. ანალიზის მიხედვით, "შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროგრამის **რენტაბელობის**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზღვარი არის ჯგუფში 14 პროფესიული სტუდენტი, რომლის პირობებშიც პროგრამა ოპერატიულ ხარჯებს სრულად ფარავს და შესაძლებელია მისი მიმდინარეობა ხარისხის ზიანის გარეშე.

განხილული მონაცემებით დგინდება, რომ:

- საპროგნოზო ბიუჯეტი რეალისტურად მოიაზრებს ყველა აუცილებელ ხარჯს,
- შემოსავალი შეესაბამება უნივერსიტეტის ფინანსური პოლიტიკის ფარგლებში გათვლილ მოდელს,
- პროგრამა ფინანსურად განხორციელებადია როგორც ზღვრულ, ისე ოპტიმალურ რაოდენობაზე.

დასკვნა

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ წარმოდგენილი "შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი:

- **სტანდარტებთან შესაბამისია**,
- **უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად განხორციელებას**,
- **გათვლილია საჭირო მინიმუმზე**, რაც აძლიერებს ფინანსური დაგეგმვის პასუხისმგებლიან მიდგომას.

ბიუჯეტი ასახავს უნივერსიტეტის სისტემურ მიდგომას ფინანსურ მართვაში და ქმნის საფუძველს პროგრამის ხარისხიანი და უწყვეტი რეალიზაციისთვის.

ინდიკატორი 2.2.1.7. შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დოკუმენტაცია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს შესყიდვის შესახებ;
- სტრუქტურული ერთეულები, სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების";
- პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- განმახორციელებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ვებ გვერდი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;კერძოდ: ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ დამტკიცებული „პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი“, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და განვითარების ძირითად პროცესებს. დოკუმენტი ქმნის პროფესიული განათლების ხარისხის მართვის ერთიან, სისტემურ და პროცედურულად გაწერილ ჩარჩოს და უზრუნველყოფს პროცესების თანმიმდევრულ და გამჭვირვალე განხორციელებას.

დადგენილი წესების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ეფუძნება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს, მათ შორის: შრომის ბაზრის კვლევის შედეგების რეგულარულ ანალიზს; დაინტერესებული მხარეების – პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, დამსაქმებლებისა და პარტნიორი ორგანიზაციების უკუკავშირს; ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებას; ასევე პროგრამის შინაარსისა და მისაღწევი შედეგების პერიოდულ გადახედვას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამების აქტუალობისა და შესაბამისობის სისტემურ შემოწმებას როგორც შიდა, ისე გარე მოთხოვნებთან მიმართებით.

ამასთან, აკადემიაში მოქმედი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ დეტალურად განსაზღვრავს პროგრამების შიდა შეფასების პროცედურებს, შეფასების განხორციელების პერიოდულობას, ცვლილებების შეტანის წესებსა და საფუძვლებს, ასევე პროცესში ჩართული პასუხისმგებელი პირების ფუნქციებს. მეთოდოლოგიაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის სრული ლოგიკა (Plan–Do–Check–Act), რაც უზრუნველყოფს პროგრამების უწყვეტ მონიტორინგს და დაგეგმილი შედეგების მიღწევის კონტროლს.

ექსპერტებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემურად ახორციელებს ხარისხის მართვის ფუნქციებს. სამსახური ატარებს პერიოდულ კვლევებს, იყენებს წინასწარ შემუშავებულ და დამტკიცებულ კითხვარებს, აანალიზებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების შეფასებებს და ამზადებს რეკომენდაციებს პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. კვლევების შედეგები გამოიყენება როგორც მიმდინარე სასწავლო პროცესის დახვეწისა და ოპტიმიზაციისთვის, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების დაგეგმვისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, აკადემიაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციები და პრაქტიკა ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების ეფექტიან და მდგრად სისტემას, რაც ხელს უწყობს პროგრამების ხარისხის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 2.3.1.1. შესაბამისობაშია.

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.კერძოდ:

ასევე განსაზღვრავს პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესებს.

ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- მოიძებნება შესაბამისი საფუძველი შეფასების პროცესში,
- არსებობს დადასტურებული საჭიროება შრომის ბაზრის ან მოთხოვნების ცვლილების გამო,
- მიღებულია უკუკავშირი დაინტერესებული მხარეებისგან.

მსგავსი მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამის სტაბილურობას, მაგრამ არასოდეს უშლის ხელს მის დროულ განახლებას.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მოქმედი შიდა რეგულაციები, მეთოდოლოგიები და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან. “შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების” პროგრამაზე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი:

- **არის სისტემური და პროცესზე დაფუძნებული,**
- **მოიცავს მრავალწყაროიან შეფასებას,**
- **ეფუძნება ხარისხის ციკლის პრინციპს,**
- **უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივ და სტრუქტურულ განახლებას საჭიროების შემთხვევაში.**

ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს პროგრამის მდგრად და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამის განხორციელებას.

ინდიკატორი 2.3.1.2. შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA პოლიტიკა;
- ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. კერძოდ:

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილი სასწავლო გეგმა წარმოდგენილია მკაფიო, თანმიმდევრულ და ლოგიკურად გააზრებულ სტრუქტურად. დადგინდა, რომ გეგმა სრულად შეესაბამება სამუშაო სტანდარტის მოთხოვნებს და შეიცავს მის მიერ რეკომენდირებულ უმთავრეს ელემენტებს.

"შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროგრამის სასწავლო გეგმა:

- ასახავს მოდულების თანმიმდევრობას,
- განსაზღვრავს თითოეული მოდულის განხორციელების კვირობრივ განრიგს,
- უზრუნველყოფს საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების მკაფიო გაწერას.

გეგმა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას – დაწყებული საბაზისო ცოდნის ფორმირებიდან, დასრულებული რესტორნის მომსახურების პრაქტიკული უნარ-ჩვევების დამუშავებამდე.

სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მიდგომას იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე ჩაირიცხება არაქართულენოვანი სტუდენტები. მათთვის გათვალისწინებულია ქართული ენის შემავსებელი მოდული, რაც უზრუნველყოფს:

- სასწავლო პროცესში თანაბარ ჩართულობას,
- პროფესიული ლექსიკის დაუფლებას,
- სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

გამოკვლეული დოკუმენტაციისა და გასაუბრებებზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ:

- სასწავლო გეგმა არის შინაარსობრივად და სტრუქტურულად გამართული,
- მოდულების თანმიმდევრობა და განაწილება დამკვირვებელი ლოგიკით არის ჩამოყალიბებული,
- პროგრამის განხორციელება დაგეგმილია დამტკიცებული სასწავლო გეგმის სრული დაცვით.

ექსპერტთა შეფასებით, "შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას. გეგმა არის მკაფიოდ სტრუქტურირებული **ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული სტუდენტების სტატუსის, უფლებებისა და ადმინისტრაციული პროცედურების მართვა ხორციელდება რექტორის 2023 წლის 24 იანვრის №12 §17 ბრძანებით დამტკიცებული **„პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის“** საფუძველზე. დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს:

- პროფესიული სტუდენტის **სტატუსის შეჩერების** და **შეწყვეტის** წესებს,
- **მობილობის** განხორციელების პირობებს,
- მიღებული განათლების **აღიარების** პრინციპებს,
- პროგრამის **შეცვლის ან გაუქმების** შემთხვევაში შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს.

სტუდენტზე ორიენტირებული ადმინისტრირება

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ უნივერსიტეტი სრულად იცავს მოქმედ რეგულაციებს და პრაქტიკაში იყენებს მოქნილ, სტუდენტზე მორგებულ მიდგომებს. განხორციელებული ვიზიტისას გამოიკვეთა რამდენიმე ტიპური პრინციპი:

- თუ პროფესიული სტუდენტი დასაქმებულია პროგრამის პროფილის მიხედვით,

უნივერსიტეტი ცდილობს, **სასწავლო ცხრილი და შეფასების პროცესები** ისე დაგეგმოს, რომ მათი სამუშაო გრაფიკი მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული.

შეფასების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემა

დაწესებულებაში მოქმედი პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემა ადგენს:

- შეფასების **კრიტერიუმების წინასწარ გაცნობას**,
- შეფასების პროცესის **ორგანიზებულობას**,
- ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას.

დასკვნა:

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია სრულად უზრუნველყოფს:

- პროფესიული სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცესების სწორ მართვას,
- რეალურ სტუდენტურ საჭიროებებზე მორგებულ მოქნილ მიდგომებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ობიექტურ და გამჭვირვალე შეფასების პრაქტიკას.

აღნიშნული მექანიზმები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან და სტუდენტთა წარმატებაზე ორიენტირებულ მიდგომად შეიძლება ჩაითვალოს.

ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია.

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;კერძოდ:

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული განათლების ცენტრი უზრუნველყოფს, რომ "შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების პროცესში ინტეგრირებული იყოს სწავლების თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომები და დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიები. აკადემიაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ქმნის შესაძლებლობას, რომ სწავლება განხორციელდეს რეალურ სამუშაო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში, რაც ხელს უწყობს პროფესიული კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის ფარგლებში აქტიურად გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქეის-სტადიები, სიტუაციური ანალიზი, პროფესიული როლების იმიტაცია, დემონსტრაციებისა და პრაქტიკული დავალებების კომბინაცია,

პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით პროგრამის ზოგიერთი სწავლის შედეგის დადასტურება ხორციელდება პარტნიორ საწარმოში, რომელიც სრულად აღჭურვილია დარგის თანამედროვე ტექნოლოგიებით.

გარდა ამისა, პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის საზღვაო აკადემია სისტემურად გეგმავს ტრენინგებს, ვორქშოპებს, ორგანიზებას უწევს მასწავლებლებს შორის სწავლება-შეფასების ნაწილში გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, რადგან პროგრამაში ჩართულია მასწავლებლები, რომლებიც პარალელურად დარგის მოქმედი სპეციალისტებიც არიან. სამუშაო შეხვედრები საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ დარგის ტექნოლოგიურ სიახლეებს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების გზით. 2025 წელს აკადემიამ ორგანიზება გაუწია ტრენინგს ,,სწავლება და შეფასება პროფესიულ განათლებაში", გადამზადდა 69 პროფესიული განათლების მასწავლებელი (ბათუმი, ფოთი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

“შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების” პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური ფორმით. ელექტრონული მასალები განთავსებულია აკადემიის ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებში, სასწავლო სივრცეების კომპიუტერებში და შესაბამის ციფრულ პლატფორმებზე, რაც ზრდის პროფესიული სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის შესაძლებლობას და ამარტივებს სასწავლო რესურსებზე ოპერატიულ წვდომას. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებს აქვთ ბეჭდური მასალების გამოყენების შესაძლებლობაც.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები არის თანამედროვე, დარგის სპეციფიკასთან თავსებადი და პროფესიული სტუდენტების პრაქტიკულ განვითარებაზე ორიენტირებული. სწავლების პროცესში ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს მოდერნიზაციას, ხოლო აქტიური სწავლების ფორმები ზრდის სტუდენტთა ჩართულობას და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.
ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში “შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. აღნიშნული პრაქტიკა სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ საჭირო კომპეტენციების ეფექტიან და პრაქტიკულად ორიენტირებულ განვითარებას.
ინდიკატორი 2.4.1.3. შესაბამისობაშია.

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ საზღვაო აკადემია ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილავს ყველა შემთხვევას, როდესაც სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება. ასეთი შემთხვევებია: სტატუსშეჩერებული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში, მობილობა, პროგრამაში ცვლილების შეტანა, სტუდენტთა სოციალური მდგომარეობა და სხვ. ასეთი შემთხვევებისათვის საზღვაო აკადემიამ განსაზღვრა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რომელიც წარმოადგენს ნორმატიული დოკუმენტის - „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შემადგენელ ნაწილს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დგება პროფესიული სტუდენტის თანამონაწილეობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება გათვალისწინებულია ასევე შშმ პირებზე, მათთვის მორგებული სერვისების შეთავაზებით.
ინდიკატორი 2.4.1.4. შესაბამისობაშია.

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება დაგეგმილია კოოპერაციული მიდგომით. კერძოდ, კონკრეტული მოდულების სწავლის შედეგები მიიღწევა პარტნიორ საწარმოში. პროგრამის ერთობლივად განხორციელების მიზნით, მოდულის სწავლის შედეგების რეალურ გარემოში **მისაღწევად, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომელშიც განსაზღვრული და გამიჯნულია მხარეთა უფლება-მოვალეობები რეალურ სამუშაო გარემოში მისაღწევ სწავლის შედეგებთან მიმართებაში, პროფესიულ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიები, პრაქტიკის ობიექტზე გასატარებელ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, რაც პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის ერთერთი საფუძველია.**

საზღვაო აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სხვადასხვა ორგანიზაციებთან, სადაც პროფესიული სტუდენტები გადიან როგორც გაცნობით პრაქტიკას, ისე ძირითადი მოდულებით გათვალისწინებულ საწარმოო პრაქტიკასა და პრაქტიკული პროექტის განხორციელებას. აკადემიის პარტნიორი კომპანიებია: სსიპ-საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, "შავი ზღვის ტერმინალი", "სოფმარი", შპს "ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია ფოთი", "კავკასიან მეტალს ტერმინალი", "ქალაქ ფოთის მერია", "ლამნალკო". ხელშეკრულებებში განსაზღვრულია მისაღებ სტუდენტთა რაოდენობები. პარტნიორ ორგანიზაციაში ვიზიტისას, ორგანიზაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტებს ადგილზე გამოეყოფა პირი, რომელიც მათ ჩაუტარებს ინსტრუქტაჟს და ყურადღებას მიაქცევს საწარმოო პრაქტიკის გავლისას.
პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებისა და სასწავლო და საწარმოო გარემოების დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ აკადემიის მატერიალური ბაზა, პარტნიორი ორგანიზაციების რესურსები და მათი ხელმისაწვდომობა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, სრულად უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პრაქტიკის ობიექტებზე სტუდენტები შეძლებენ საფრთხეების იდენტიფიცირებას, რისკების შეფასებასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრას. ასევე შეაფასებენ პარტნიორ ორგანიზაციებში არსებულ ნარჩენებს, მოახდენენ მათ კლასიფიცირებას და დაადგენენ მათ გარემოზე ზამოქმედების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.4.1.5. შესაბამისობაშია.

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

საზღვაო აკადემია პასუხისმგებელია უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფაზე შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის, სახანძრო უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტისა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვით. აკადემიაში შემუშავებულია და მოქმედებს პროცედურა ,,პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი", რომელიც განსაზღვრავს უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფას და ამ მიმართულებით პროფესიულ სტუდენტთა უნარების გამომუშავებასა და ქცევის ნორმებს.

პრაქტიკის ობიექტზე პროფესიულ სტუდენტთა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გარანტიები უზრუნველყოფილია პარტნიორ ორგანიზაციებთან დადებული მემორანდუმით/ხელშეკრულებით. ყველა პარტნიორ კომპანიას ყავს უსაფრთხოების სპეციალისტები, რომლებიც გააკონტროლებენ სტუდენტთა უსაფრთხოდ ვიზიტს და სწავლების წარმართვის პროცესს ობიექტებზე.

ასევე, საზღვაო აკადემიას აკადემიის სასწავლო გარემოში გააჩნია შესაბამისი ნორმატიული ბაზა, აღჭურვილობა, იდენტიფიცირებულია პასუხისმგებელი პირი/პირები. მოწყობილია უსაფრთხოების მანიშნებლები, გამოკრულია შესაბამისი ინსტრუქციები. გარემო აღჭურვილია სახანძრო უსაფრთხოების ინვენტარით - ცეცხლმაქრებით, კვამლის დეტექტორებით და სხვ.

ინდიკატორი 2.4.1.6. შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დოკუმენტაცია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს შესყიდვის შესახებ;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების";
- გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები.
- პარტნიორ კომპანიებში ვიზიტი.
- ხელშეკრულებები გაფორმებული პარტნიორ კომპანიებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.2.1 პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და შესაბამის პირებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა რეგულირდება აკადემიის რექტორის 2024 წლის 23 თებერვლის №01-62 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“.

აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს შეფასების სისტემის ყველა არსებით კომპონენტს, მათ შორის: შეფასების ინსტრუმენტების შერჩევისა და შემუშავების პროცედურებს; შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების მიმართ მოთხოვნებს; შიდა მონიტორინგის მექანიზმებს; შეფასების ადმინისტრირების წესს; შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებულ საკითხებს; აპელაციისა და განმეორებითი შეფასების განხორციელების წესსა და ვადებს; ასევე მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის პროცედურებს. დოკუმენტში ასევე გაწერილია ნამუშევრების გასწორებისა და შეფასების ვადები და განმეორებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობები.

მარეგულირებელი წესის მიხედვით, შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს, რაც ქმნის შეფასების პროცესის სამართლებრივად და მეთოდოლოგიურად გამართულ ჩარჩოს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის ფარგლებში განხორციელებულმა გასაუბრებებმა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან დაადასტურა, რომ შეფასების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება სრულად ეფუძნება აღნიშნული წესის მოთხოვნებს. მასწავლებლებმა განმარტეს, რომ ისინი ჯერ კიდევ მოდულის დაწყების ეტაპზე აცნობენ პროფესიულ სტუდენტებს შეფასების მიდგომებს, შეფასების ტიპებსა და კრიტერიუმებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის წინასწარ გამჭვირვალობას. ამასთან, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასება ხორციელდება მხოლოდ ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით და შეფასებამდე არანაკლებ ერთი კვირით ადრე შეფასების ინსტრუმენტი მზად არის, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას დროულად გაეცნონ შეფასების მოთხოვნებს და შესაბამისი მომზადება უზრუნველყონ.

გასაუბრებების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ პროფესიული სტუდენტები იცნობენ საკუთარ უფლებებს შეფასების პროცესში, მათ შორის შეფასების შედეგების მიღების, გასაჩივრებისა და განმეორებითი შეფასების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ შეფასების ადმინისტრირება ხორციელდება დადგენილი პროცედურების დაცვით, მათ შორის შეფასების ვადების, შეფასების შედეგების ოფიციალურად დაფიქსირებისა და სტუდენტებისთვის დროული ინფორმირების ნაწილში. გასაუბრებებისას ასევე გამოიკვეთა, რომ პერსონალი კარგად იცნობს აპელაციისა და განმეორებითი შეფასების წესს და მზად არის მისი გამოყენებისთვის საჭიროების შემთხვევაში.
წარმოდგენილი შეფასების დოკუმენტაციით და გასაუბრებების შედეგებით შეფასების სისტემა აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ინდიკატორი 2.4..2.1 შესაბამისობაშია.

2.4.2.2 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს
ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში შემუშავებული და დანერგილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს გამოყენებული შეფასების სისტემის შესაბამისობას პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოთხოვნებთან. აღნიშნული მექანიზმი წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის ნაწილს და დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2022 წლის 11 მარტის №4/14 გადაწყვეტილებით.

ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შეფასების სისტემის შემოწმებას სამ ძირითად მიმართულებით:

ა) შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია და ვერიფიკაცია;

ბ) შეფასების პროცესის ვერიფიკაცია;

გ) შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

მექანიზმი ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს. ვერიფიკაციის პროცესის ორგანიზება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ, შესაბამისი ვერიფიკაციის ჯგუფის ჩართულობით. განხორციელებული ვერიფიკაციის შედეგებზე ფორმდება დასკვნა, რომელიც რეკომენდაციების შემუშავების მიზნით წარედგინება პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს.

დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის განხორციელების დამადასტურებელი მტკიცებულებები, მათ შორის: ვერიფიკაციის გეგმები, შერჩევის მექანიზმები (რისკების სისტემა), ვერიფიკაციის დასკვნები და შესაბამისი დანართები. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება არა ფორმალურად, არამედ სტრუქტურირებულად და წინასწარ განსაზღვრული პროცედურების დაცვით.

ექსპერტთა მიერ შესწავლილი მასალების მიხედვით ასევე დადგინდა, რომ ვერიფიკაციის დასკვნების საფუძველზე დაწესებულებაში შედგა მაკორექტირებელი გეგმები, სადაც გაწერილია კონკრეტული ღონისძიებები, პასუხისმგებელი პირები და განხორციელების ვადები. აღნიშნული გეგმების შესრულება ექვემდებარება შემდგომ მონიტორინგს, რაც უზრუნველყოფს გამოვლენილი საკითხების რეაგირებასა და შეფასების სისტემის განვითარებას.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მოქმედი პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი ფუნქციონირებს რეგულაციის შესაბამისად, ეფუძნება მონაცემებსა და მტკიცებულებებს და ქმნის პირობებს შეფასების პროცესის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი 2.4.2.2 შესაბამისობაშია.

2.4.2.3 პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კერძოდ:ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და შესაბამის პირებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის პროცესი რეგულირდება მოქმედი ნორმატიული დოკუმენტით – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (მუხლები 25 და 26). აღნიშნული რეგულაციის თანახმად, შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტები, შეფასების მტკიცებულებები და შეფასების უწყისები, ექვემდებარება წინასწარ განსაზღვრული წესით აღრიცხვასა და შენახვას. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან არანაკლებ 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს როგორც პროცესის გამჭვირვალობას, ისე საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის ხელახალ გადამოწმების შესაძლებლობას.

დაწესებულების წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ აღნიშნული წესები პრაქტიკაში სრულად ხორციელდება. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა შეფასებასთან დაკავშირებული აღრიცხვის მტკიცებულებები, რომლებიც არის სტრუქტურირებულად დალაგებული, დანომრილი და მიკვლევადი. წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა შესაძლებლობას, შეფასების პროცესის თითოეული ეტაპი იყოს ადვილად იდენტიფიცირებადი კონკრეტულ პროფესიულ სტუდენტთან, მოდულთან და შეფასების ინსტრუმენტთან მიმართებით.

ექსპერტთა შეფასებით, შეფასების მონაცემების აღრიცხვისა და შენახვის არსებული პრაქტიკა უზრუნველყოფს ინფორმაციის სანდოობას, ხელმისაწვდომობასა და დაცულობას, ხოლო რეგულაციისა და პრაქტიკის თანხვედრა მიუთითებს პროცესის ორგანიზებულ და პასუხისმგებლიან განხორციელებაზე.

ინდიკატორი 2.4.2.3 შესაბამისობაშია.

2.4.2.4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადასტურდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოიყენება არა მხოლოდ მიღწეული სწავლის შედეგების დასადგენად, არამედ სტუდენტების შემდგომი აკადემიური და პროფესიული განვითარების მხარდასაჭერად. პროფესიული განათლების მასწავლებლები განმსაზღვრელი შეფასების პარალელურად აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, რაც საშუალებას იძლევა სწავლის პროცესში დროულად გამოვლინდეს სტუდენტების ძლიერი მხარეები და განვითარების საჭიროებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების შედეგები პერიოდულად განიხილება პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალურ ფორმატში, რაც ხელს უწყობს შეფასების პროცესის გააზრებას და სწავლის შედეგებზე ორიენტირებულ უკუკავშირს.
გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროფესიული სტუდენტის მხრიდან დამატებითი კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებლები ახორციელებენ ინდივიდუალურ კონსულტირებას. ამ პროცესში სტუდენტს მიეწოდება განმარტებები შეფასების შედეგების შესახებ, განიხილება არსებული სირთულეები და ერთობლივად განისაზღვრება სწავლების პროცესის გაუმჯობესების შესაძლო გზები. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მიდგომები განსხვავებულია სტუდენტთა პიროვნული თავისებურებებისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას.
ამასთან, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზი გამოიყენება უფრო ფართო კონტექსტშიც – შეფასების პროცესის შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია ინიცირდეს სწავლების მეთოდების ან/და შეფასების სისტემის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული წინადადებები. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს როგორც სტუდენტების ინდივიდუალურ განვითარებას, ისე სასწავლო პროცესის ხარისხის ეტაპობრივ გაუმჯობესებას.
ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება არის მიზანმიმართული, განვითარებაზე ორიენტირებული და შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ინდიკატორი 2.4.2.4 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2022 წლის 11 მარტის № 4/14 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი - ვერიფიკაცია.
- ვერიფიკაციის დოკუმენტაციით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ადმინისტრაციის წარომომადგენლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან;
- გასაუბრების შედეგებით

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	თევზსაჭერი გემის ნავიგაცია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია თევზსაჭერი გემის ნავიგაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება No.07-93 26.09.2025 წ.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ფოთი, წმინდა გიორგის ქ. N24
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება □

361

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

დასაბუთება

.....

.....

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია წარმოადგენს სპეციალიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს პროფესიული და უმაღლესი განათლების პროგრამებს საზღვაო და მასთან მომიჯნავე დარგებში. აკადემიის მისია ეფუძნება კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას, კვლევითი საქმიანობის განვითარებასა და მიღებული ცოდნის საზოგადოებაში გავრცელებას, თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

აკადემიის სტრატეგიული ხედვის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება ორიენტირებულია შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კომპეტენციების მქონე, პროფესიული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის უნარის, გუნდური მუშაობის, პასუხისმგებლობისა და პიროვნული პოტენციალის რეალიზაციის უნარებით აღჭურვილი კადრების მომზადებაზე. ამ მიზნების მისაღწევად, აკადემია ახორციელებს როგორც პროფესიულ, ისე უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებსა და უწყვეტი განათლების კურსებს.

საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირება და შემუშავება მიმდინარეობს აკადემიის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და დადგენილი პროცედურების შესაბამისად, დაინტერესებული მხარეების ჩართულობითა და კოლეგიური განხილვის საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კოორდინირებული მონაწილეობა, რაც ხელს უწყობს პროგრამის შინაარსის შესაბამისობას როგორც საგანმანათლებლო სტანდარტებთან, ისე პრაქტიკულ საჭიროებებთან.

ამ კონტექსტში, „თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება თანხვედრაშია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მისიასთან და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან. რეგიონში თევსაჭერი ფლოტის განვითარება განაპირობებს კვალიფიციური პერსონალის დეფიციტს და მასზე მზარდ მოთხოვნას, რაც პროგრამის აქტუალურობასა და საჭიროებას ამყარებს.

პროგრამის შინაარსი პასუხობს თანამედროვე მომსახურების სექტორის მოთხოვნებს და მოიცავს იმ კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც დაკავშირებულია სერვისის ხარისხის მართვასთან, მომხმარებელთან ეფექტურ კომუნიკაციასთან, ოპერაციული პროცესების ორგანიზებასა და ჰიგიენის სტანდარტების დაცვასთან. შრომის ბაზრის ანალიზი და დამსაქმებელთა პოზიციები ადასტურებს პროგრამის შესაბამისობას პრაქტიკულ საჭიროებებთან.

პროგრამაში ინტეგრირებულია თეორიული სწავლება და პრაქტიკული კომპონენტი პარტნიორ ორგანიზაციებში, რაც ზრდის სტუდენტთა პროფესიულ მზაობას და დასაქმების შესაძლებლობებს. აღნიშნული მიდგომა სრულ შესაბამისობაშია აკადემიის ხედვასთან, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლებას, შრომის ბაზართან მჭიდრო კავშირსა და უწყვეტი განათლების განვითარებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ „ტვირთების ექსპედირების“ პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება მიღებულია აკადემიის შიდა პოლიტიკების, ხარისხის უზრუნველყოფის წესებისა და შესაბამისი კოლეგიური ორგანოების პროცედურების დაცვით. პროგრამა შეესაბამება აკადემიის მისიას, სტრატეგიულ მიზნებსა და რეგიონული განვითარების საჭიროებებს.

ინდიკატორი 2.1.1.1. შესაბამისობაშია

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: სსიპ სასწავლო უნივერსიტეტში – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „თევზსაჭრი გემის ნავიგაცია“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები დარეგულირებულია აკადემიის მიერ დამტკიცებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით და სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული და გამჭვირვალე წესის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე იმ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე განათლება, ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება საკმარისია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის დადგენილ ვადაში. აღნიშნული პროცესი რეგულირდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესით და ინტეგრირებულია აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში

დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით და ასახულია პროგრამის დოკუმენტში, კერძოდ დაშვების წინაპირობა არის სრული ზოგადი განათლება და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე მოითხოვება „მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობის სტანდარტების“ მოთხოვნები („საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს 2014 წლის 26 თებერვლის №01 ბრძანება). სტუდენტის ასაკი უნდა იყოს არანაკლებ 17 წელი. აღნიშნული წინაპირობა თანხვედრაში დარგობრივ მახასიათებელთან. პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ეტაპზე მოწმდება კანდიდატის შესაბამისობა პროგრამის მოთხოვნებთან, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში მისი ეფექტური ჩართულობისა და შედეგებზე გასვლის შესაძლებლობას.

სასწავლო პროცესის ორგანიზება და სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა სრულად ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „თევზსაჭერი გემის ნავიგაცია“ რაც უზრუნველყოფს წინარე ცოდნისა და უნარების თანმიმდევრულ განვითარებას და სწავლის შედეგების ეტაპობრივ მიღწევას. საჭიროების შემთხვევაში, აკადემია იყენებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მექანიზმს, რაც დამატებით უზრუნველყოფს სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლის პროცესში ჩართულობას და შედეგების მიღწევას პროგრამის განხორციელების ვადაში

აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები არა მხოლოდ ფორმალურად არის დადგენილი, არამედ პრაქტიკაში რეალურად გამოიყენება იმგვარად, რომ პროგრამაზე დაშვებული პირები ფლობენ იმ აუცილებელ საფუძვლებს, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს წარმატებით დაეუფლონ „თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

უნივერსიტეტში პროფესიული პროგრამის ჩარიცხვის პროცესი რეგულირდება „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესით (ND 2-F30)“. სადაც განსაზღვრულია:

- განაცხადის მიღების წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- გასაუბრების ორგანიზება და შეფასების კრიტერიუმები;
- შედეგების დაფიქსირება და სტუდენტის ჩარიცხვა ჯგუფში;
- სტატუსის მინიჭების ადმინისტრაციული პროცედურები.

ექსპერტებთან სამუშაო შეხვედრების ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ხორციელდება პროფესიული განათლების ცენტრის მიერ ჩამოყალიბებული შეფასების კომისიის მეშვეობით. აპლიკანტები გადიან მოტივაციურ გასაუბრებას, ქულები აისახება ელექტრონულ სისტემაში.

აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს შერჩევის პროცესის ობიექტურობასა და თანაბარ პირობებში განხორციელებას, უზრუნველყოფს აკადემიური და პროფესიული მოთხოვნების დაცვას, ქმნის ჯგუფების დაკომპლექტების ერთიან პრაქტიკას და საფუძველს უყრის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

„თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ჩარიცხვის პროცედურები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და გამჭვირვალედ, სრულად შეესაბამება მოქმედ ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოს, უზრუნველყოფს სამართლიან შერჩევას და ქმნის რეალურ შესაძლებლობას სწავლის შედეგების მიღწევისთვის. აღნიშნული მიდგომა თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ მიმართულებებთან.

ინდიკატორი 2.1.1.2. შესაბამისობაშია

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. სსიპ სასწავლო უნივერსიტეტში – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება აკადემიის მიერ დამტკიცებული შესაბამისი მეთოდოლოგიის საფუძველზე. აღნიშნული პროცესი რეგულირდება დოკუმენტით „პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესი“, რომელიც ადგენს როგორც კრიტერიუმებს, ისე გადაწყვეტილების მიღების ეტაპებს .მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ რესურსებსა და გარემოებებს, მათ შორის: სასწავლო გარემოს ტიპსა და გამტარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, პრაქტიკის კომპონენტის ხელმისაწვდომობას, პროგრამის ხანგრძლივობასა და სასწავლო გეგმის სპეციფიკას, აგრეთვე პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დადგენისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასწავლო სივრცეების რეალურ შესაძლებლობებს. კვოტა განისაზღვრება სასწავლო გარემოში არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობის მიხედვით და ეფუძნება ყველაზე შემზღუდავ რესურსს, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხიან და უსაფრთხო განხორციელებას

პრაქტიკული კომპონენტის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა დამატებით ეფუძნება პრაქტიკის ობიექტების ხელმისაწვდომობასა და მათ მიერ განსაზღვრული სტუდენტთა მიღების შესაძლებლობებს, რაც ხელშეკრულებებით არის დადასტურებული. სამუშაოზე დაფუძნებული, დუალური ან კოოპერაციული სწავლების ფორმების შემთხვევაში, კვოტის განსაზღვრა ხორციელდება აკადემიასა და პარტნიორ ორგანიზაციებს შორის გაფორმებული შეთანხმებების პირობების შესაბამისად

დადგენილი წესის შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა თითოეულ მიღებაზე მტკიცდება აკადემიის რექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების წარდგინების საფუძველზე. აღნიშნული პრაქტიკა ქმნის სტუდენტთა რაოდენობის რეალისტური დაგეგმვის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების პროცესის ორგანიზებულობასა და სტაბილურობას. ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება მკაფიოდ დადგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით და პრაქტიკაში ხორციელდება იმგვარად, რომ გათვალისწინებულია როგორც სასწავლო გარემოს გამტარიანობა, ისე პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის, ადგილზე ვიზუალური დათვალიერებისა და ადმინისტრაციასთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ „თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია მოქმედი მეთოდოლოგიის შესაბამისად.
ზღვრული რაოდენობის დასაბუთების პროცესში გამოყენებული იყო:

- სასწავლო გარემოს (აუდიტორიებისა და სხვა სივრცეების) დატვირთვის გრაფიკები;
- თითოეული სასწავლო და პრაქტიკული გარემოს სიმძლავრის მაჩვენებლები, მათ შორის სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- ლაბორატორიული და პრაქტიკული სივრცეების შესახებ არსებული მონაცემები;
- პარტნიორი ორგანიზაციების შესაძლებლობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და სხვა..

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელებული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული რესურსები და პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობის შესაძლებლობები სრულად უზრუნველყოფს ერთ ჯგუფში 30 პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ეფექტიან განხორციელებას.
ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება აკადემიის მიერ წარმოდგენილ დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ „თევზსაჭერი გემის ნავიგაცია“ პროგრამისთვის განსაზღვრული 30 პროფესიული სტუდენტი წარმოადგენს დასაშვებ და რეალისტურ ზღვრულ რაოდენობას.
ინდიკატორი 2.1.1.3. შესაბამისობაშია

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში სასწავლო რესურსების, მათ შორის მასალა-ნედლეულის დაგეგმვა, მიწოდება, შენახვა და გამოყენება ორგანიზებულია წინასწარ განსაზღვრული და დოკუმენტირებული წესის შესაბამისად(პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ND 2-F03(დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 21 ივლისს № 01-142 ბრძანებით)მუხლი 23. სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების წესი). აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსების შესაბამისობსა პროგრამების შინაარსთან, სწავლების მეთოდებთან და თითოეული მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.
სასწავლო პროცესის მასალებითა და ნედლეულით უზრუნველყოფა ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობისა და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით. რესურსების შერჩევა ეფუძნება მოდულების მოთხოვნებს და მიმართულია იმ პრაქტიკული ცოდნისა და უნარების განვითარებაზე, რომლებიც განსაზღვრულია პროგრამებით. აკადემია უზრუნველყოფს, რომ პროფესიულ სტუდენტებს ჰქონდეთ საჭირო რაოდენობისა და ხარისხის სასწავლო მასალაზე წვდომა, რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის უწყვეტობასა და შედეგიანობას.
მასალა-ნედლეულის შენახვა და გამოყენება ხორციელდება უსაფრთხოების, ჰიგიენური და გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვით. განსაზღვრული პასუხისმგებელი პირების ჩართულობით უზრუნველყოფილია რესურსების მიზნობრივი და რაციონალური გამოყენება, რაც ამცირებს როგორც არასათანადო მოხმარების, ისე სასწავლო პროცესის შეფერხების რისკებს. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლები უზრუნველყოფენ რესურსების გამოყენებას სწავლების მიზნების შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში ახდენენ მათი გამოყენების ადაპტაციას სასწავლო პროცესის დინამიკისა და სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ამასთან, აკადემიაში დადგენილია სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის რეგულაცია (მუხლი 24. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის წესი), რაც უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაცვას და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შენარჩუნებას. მასალა-ნედლეულის გამოყენების სრული ციკლი -მიწოდებიდან უტილიზაციამდე -ორგანიზებულია ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა და პრაქტიკული კომპონენტების ხარისხიანი განხორციელება.
ზემოაღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალში არსებული საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები ფუნქციურად უკავშირდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებს და ეფექტიანად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
სტუდენტს აქვს წვდომა აქტუალურ და განახლებულ საგანმანათლებლო რესურსებზე, პროფესიულ სახელმძღვანელოებზე, შესაბამის აღჭურვილობებზე, სიმულატორზე და ელექტრონულ ბაზებზე

ინდიკატორი 2.1.14. შესაბამისობაშია

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ თევზსაჭერი გემის ნავიგაცია“ არ მოიცავს არჩევით მოდულს.
ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია

11. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ; კერძოდ:
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების პროცედურა რეგულირდება უნივერსიტეტის წესდებითა და შიდა ნორმატიული აქტებით. წესდების მიხედვით, **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე და მათ ცვლილებებზე პასუხისმგებელი პირი არის რექტორი . აღნიშნული უფლებამოსილება განსაზღვრულია აკადემიის**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წესდებაში(მუხლი 7. პუნქტი 3. აკადემიის რექტორი კანონმდებლობისა და ამ წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში: დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულების წარდგინებით ამტკიცებს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებს) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესით ND 2-F09-01 (დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებით)პუნქტი 9. ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს რექტორი ბრძანებით.

„თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია შესაბამისი სამუშაო ჯგუფის წარდგინებით რექტორის მიერ No.07-93 26 / სექტემბერი / 2025 წ.ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ ჯგუფის შექმნის ბრძნებას და შემუშავების პროცესის ამსახველ დოკუმენტაცია.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის დამტკიცების პროცედურა სრულად შეესაბამება წესდებით განსაზღვრულ უფლებამოსილებასა და გადაწყვეტილების მიღების ფორმატს. პროცესი არის ფორმალურად გამართული, გამჭვირვალე და უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცდეს შესაბამისი ორგანოს მიერ, სათანადო დასაბუთებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე.

ინდიკატორი 2.1.1.6. შესაბამისობაშია

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს პროგრამის შინაარსობრივ მიმართულებას და სრულ შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან. პროგრამის სტრუქტურა აგებულია ისე, რომ ეტაპობრივად ფარავს თევზსაჭერი გემის ექსპლუატაციისათვის აუცილებელ ყველა ძირითად კომპონენტს – ორგანიზაციულ, სამართლებრივ, დაგეგმვის, დოკუმენტირების, განხორციელებისა და კონტროლის მიმართულებებს.

პროგრამა მოიცავს შემდეგ მოდულებს:

- საზღვაო თევზჭერის ეკოლოგია;
- ჯანმრთელობის დაცვა და შრომის უსაფრთხოება;
- საზღვაო გარემოს დაცვა;
- საზღვაო რეგულაციები;
- საზღვაო ნავიგაცია;
- თევზსაჭერი გემის ექსპლუატაცია და მართვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ეკიპაჟის მენეჯმენტი
- საპორტო სამუშაოები
- ბიზნესის განვითარება თევზჭერის სფეროში
- საზღვაო კომუნიკაცია
- საწარმოო პრაქტიკა

აღნიშნული მოდულები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შემდეგი სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ, პროფესიულ სტუდენტს შეუძლია:

- მოამზადოს და შეაკეთოს ბადეები და სხვა თევზსაჭერი მოწყობილობები და აღჭურვილობები;
- განახორციელოს თევზსაჭერი ხომალდის მართვა და ექსპლუატაცია ღრმა წყლებში, თევზჭერის რაიონებში;
- განსაზღვროს თევზსაჭერი ადგილი და სანავიგაციო პოზიცია, დაადგინოს გემის სვლის კურსი კომპასის, რუკებისა და სხვა დამხმარე საშუალებების გამოყენებით;
- გამოიყენოს სანავიგაციო აღჭურვილობები და სხვა დამხმარე ელექტრონული ხელსაწყოები;
- გაუწიოს ზედამხედველობა ეკიპაჟს და მართოს თევზჭერის ოპერაციები;
- აწარმოოს ჩანაწერები თევზჭერის პროცესის (ჭერილის რაოდენობის) ასევე ამინდისა და ზღვის მდგომარეობის შესახებ;
- გამართოს (სატყუარას ჩამოცმა, გადასროლაა და ამოქაჩვა) თევზსაჭერი აღჭურვილობა;
- მოახდინოს თევზის პირველადი დამუშავება გენბანზე ან ნაპირზე (თევზის გასუფთავება, გაყინვა, გაგრილება და დამარილება);

მოდულების შინაარსი და მათთან დაკავშირებული სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას და სრულად მოიცავს სატრანსპორტო-საექსპედიტორო სფეროში დასაქმებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება არის შინაარსობრივად გამართლებული, ზუსტი და არ ქმნის შეცდომაში შემყვან წარმოდგენას პროგრამის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებით.

ინდიკატორი 2.1.1.7. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ:ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და აკადემიის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების სრული დაცვით. პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის თანახმად(ND 2-F09-01 დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებით.) პროგრამა დამტკიცებულია აკადემიის რექტორის შესაბამისი ბრძანებით(No.07-93 26 / სექტემბერი / 2025 წ.ბრძანებით), პროგრამების დამტკიცების აქტის საფუძველზე, და სრულად შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასთან, შინაარსთან და განხორციელების პროცედურებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. შესაბამისად, პროგრამა აკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ ყველა მოთხოვნას.
პროგრამა დამტკიცებულია აკადემიის რექტორის მიერ. იგი ეფუძნება საგანმანათლებლო სტანდარტს „თევზსაჭერი გემის ნავიგაცია“; Fishing vessel Navigation“

პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები,სწავლის შედეგების დეტალური აღწერა შეფასების მიმართულებები, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. შესაბამისად, ქართული ენის მოდულ(ებ)ის გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე გამოცდის ან/და ტესტირების ჩაბარების გზით კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
აღნიშნული პირებისათვის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. („ქართული ენა A2”და „ქართული ენა“ B1 მოდულები).

პროგრამის შემუშავების ეტაპზე გათვალისწინებული იქნა შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, დამსაქმებელთა საჭიროებები და დარგის განვითარების ტენდენციები, ამავე დროს, განსაზღვრულია პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა აკადემიის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიერ დამტკიცებული პროფესიული სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხიან განხორციელებასა და რესურსების ადეკვატურ განაწილებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „თევზსაჭერი გემის ნავიგაცია“ დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით №07-93 26 / სექტემბერი / 2025 წ.
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალით
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი ND 2-F09-01 დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებითპროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ND 2-F03(დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 21 ივლისს № 01-142 ბრძანებით)მუხლი 23. სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების წესი;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა ND 2-O06-01(დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2024 წლის 22 თებერვლის ბრძანებით № 01-58)
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით-
- სამუშაო შეხვედრების ფურცლებით;
- სამსახურებრივი ბარათებით;
- აკადემიის მისია, ხედვა, ღირებულებებით - განთავსებული ვებგვერდზე https://bsma.edu.ge/page/akademiis-misia-xedva-girebulebebi

ინდიკატორი 2.1.1.8. შესაბამისობაშია

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალში „თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ფოთის ფილიალის შესაბამის სასწავლო სივრცეებში, სადაც უზრუნველყოფილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და საგანმანათლებლო გარემო. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას. მეთევზე-მეზღვაურისთვის გათვალისწინებული სავალდებულო საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფის მიზნით აკადემიას აქვს მოძიებული შესაბამისი პარტნიორი დაწესებულებები, რომლებიც ფლობენ თევზსაჭერ გემებს. აღნიშნული გემები სრულად არის აღჭურვილი იმ მატერიალური რესურსით, რაც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის უზრუნველყოფისთვის. გემებზე დაცული უსაფრთხოების წესები, გემები არის რეგისტრირებული ქართული დროშის ქვეშ და ფლობენ შესაბამის სახელმჭიფო სარეგისტრაციო მოწმობებს, რაც ადასტურებს მათ ტექნიკურ გამართულობას და ნაოსნობისთვის ვარგისიანობას.

აკადემიის სასწავლო კორპუსში „თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროგრამისთვის გამოყოფილია კეთილმოწყობილი და ტექნიკურად გამართული **A და B ტიპის სასწავლო გარემოები**, რომლებიც გამოიყენება თეორიული მეცადინეობებისა და კომპიუტერზე დაფუძნებული სასწავლო აქტივობების ჩასატარებლად. აღნიშნული სივრცეები აღჭურვილია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი სამუშაო მაგიდებითა და სკამებით, პერსონალური კომპიუტერებით, უწყვეტი ინტერნეტითა და პროგრამის შინაარსთან დაკავშირებული შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით. ასევე უზრუნველყოფილია პრეზენტაციისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებები (პროექტორი, ეკრანი, პრეზენტაციის დაფა), ასლგადამღები მოწყობილობები და სხვა დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რაც ხელს უწყობს სასწავლო მასალის ეფექტიან მიწოდებასა და ვიზუალურ აღქმას.

პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით აკადემიის ფოთის ფილიალში ორგანიზებულია **C ტიპის სასწავლო გარემო**, რომელიც მორგებულია მეთევზე მეზღვაურის საქმიანობის სპეციფიკაზე. დაწესებულებას გააჩნია თევზსაჭერი გემის სიმულატორი, საზღვაო ინციდენტების გლობალური კავშირის სიმულატორი, ელექტრონული რუქების სიმულატორი. აღნიშნული სიმულატორები ქმნიან რეალური გარემოს იმიტირებულ მოდელს და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ საზღვაო ნავიგაციის, თევზსაჭერი გემის ექსპლუატაციისა და მართვის, საზღვაო კომუნიკაციის, თევზის ჭერილის უზრუნველყოფისა/მართვის უნარების გამომუშავება- განვითარებას, უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის მოთხოვნების დაცვით. პრაქტიკული სწავლების სივრცე გათვლილია პროგრამის ზღვრულ რაოდენობაზე და შეესაბამება პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროგრამისთვის საწარმოო პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც მოიცავს 40 კრედიტს და ითხოვს რეალურ სამუშაო გარემოში განხორციელებას, მნიშვნელოვანი ფუნქციური დატვირთვა აქვს. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები შესაბამის 3 კომპანიასთან, რომლებიც წარმოადგენენ თევზსაჭერი გემების მფლობელ კომპანიებს, სადაც პროფესიული სტუდენტები გადიან საწარმოო პრაქტიკის მოდულით გათვალისწინებულ საწარმოო პრაქტიკასა და პრაქტიკული პროექტის განხორციელებას. პარტნიორი ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფს სტუდენტების ჩართვას რეალურ სამუშაო პროცესებში, საზღვაო ნავიგაციის ოპერაციების დაგეგმვასა და თევზჭერის განხორციელებაში, გემის ექსპლუატაციისათვის მომზადების პრაქტიკაში, თევზის მოპოვებასა და გადაზიდვის ოპერაციების განხორციელებაში, სანავიგაციო სავახტო ფუნქციების შესრულებასა და კონტროლში.
პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებისა და სასწავლო და საწარმოო გარემოების დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ აკადემიის ფოთის მატერიალური ბაზა, პარტნიორი ორგანიზაციების რესურსები და მათი ხელმისაწვდომობა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, სრულად უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, „თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური და სასწავლო რესურსები არის რეალისტურად დაგეგმილი, ფაქტობრივად ხელმისაწვდომი და სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებსა და შინაარსთან.

ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში „თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის წარმოდგენილია წინასწარ გაფორმებული ხელშეკრულებები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ და სტაბილურ განხორციელებას.

პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტს ჰყავს **ჯამში 6 პროფესიული განათლების მასწავლებელი**, რომელთაგან:

- **3 მასწავლებელი ახორციელებს ზოგად მოდულებს** (მათ შორის ისინი ასრულებენ პროფესიული მოდულების ნაწილსაც);
- **3 პროფესიული განათლების მასწავლებელი** პასუხისმგებელია პროგრამის პროფესიულ მოდულებზე.

წარდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ:

- ყველა განმახორციელებელი მასწავლებლის დატვირთვა შეესაბამება **„საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს**,
- კვირაში საერთო სამუშაო დატვირთვა **არ აღემატება 40 საათს**,
- განაწილება ოპტიმალურია და არ ქმნის გადატვირთვის ან პროცესის შეფერხების ალბათობას.

პროგრამას ახლავს აქვს **განმახორციელებელი პერსონალის სია**, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას.პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლით, კვალიფიკაციის დადასტურებითა და მათთან გასაუბრებით დადგინდა, რომ:

- წარმოდგენილი მასწავლებლები ფლობენ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელ პროფესიულ და პედაგოგიურ კომპეტენციებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი დიპლომებითა და სერტიფიკატებით
- პროფესიული გამოცდილება შესაბამისობაშია მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, რაც დასტურდება სამუშაო გამოცდილებით
- რაოდენობა და განაწილება სრულად უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივ და პრაქტიკულ განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, „თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროგრამისათვის წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა, კვალიფიკაცია და დატვირთვის განაწილება **საკმარისია, რეალისტურია და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად, უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას**.

ინდიკატორი 2.2.1.2 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. კერძოდ:ვიზიტის ფარგლებში პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებულმა გასაუბრებამ და მათი პირადი საქმეების შესწავლამ დაადასტურა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული განათლების მასწავლებლები სრულად აკმაყოფილებენ „თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ კვალიფიკაციასა და პროფესიულ მოთხოვნებს.

მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია პროგრამის პროფილის შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის: შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები; სფეროში სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები; ასევე პროფესიული პრაქტიკის დამადასტურებელი დოკუმენტები პარტნიორი ორგანიზაციებიდან. წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფლობს როგორც თეორიული ცოდნის გადაცემის, ისე პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის აუცილებელ პროფესიულ კომპეტენციებს.

პრაქტიკული გამოცდილება და პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობა

დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებს აქვთ პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება დარგის შესაბამის ორგანიზაციებში, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს სასწავლო პროცესის პრაქტიკულ ორიენტაციას. ამასთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან მოწვეული სპეციალისტები – პარტნიორი ორგანიზაციების მოქმედი თანამშრომლები, რომელთა მონაწილეობა უზრუნველყოფს სწავლების შინაარსის შესაბამისობას რეალურ სამუშაო პროცესებთან, მოქმედ რეგულაციებთან და ინდუსტრიის მიმდინარე მოთხოვნებთან.

გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელმა მასწავლებლებმა რეგულარულად გაიარეს პროფესიული განვითარებისა და გადამზადების კურსები, მათ შორის:

- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები
- უნარების განვითარების სააგენტოს ტრენინგები („სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება“);
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამები („პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით“).

აღნიშნული გადამზადების კურსები მნიშვნელოვნად აძლიერებს მასწავლებელთა პედაგოგიურ და პროფესიულ კომპეტენციებს და დადებითად აისახება მოდულების სწავლების ხარისხზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, აქტიურად არიან ჩართული: მოდულების შემუშავებისა და საჭიროების შემთხვევაში მათი ადაპტირების პროცესში; სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში; მოდულების განხორციელების მიმდინარეობის მონიტორინგში. აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს, რომ პროგრამის შინაარსი ეფუძნება კოლეგიურ თანამშრომლობასა და პრაქტიკულ პროფესიულ გამოცდილებას.
ყველა პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებელთან გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულებები, რომლებშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული სამართლებრივად მოთხოვნილი ძირითადი პირობები, კონკრეტული მოდულები, სამუშაო ფუნქციები, პასუხისმგებლობები და სასწავლო დატვირთვა. დადგინდა, რომ მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, რაც შეესაბამება საქართველოს
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა, მათი კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება, პროფესიული განვითარების ისტორია და სამუშაო დატვირთვის რაციონალური განაწილება სრულად უზრუნველყოფს „თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიან, უწყვეტ და მდგრად განხორციელებას. მასწავლებელთა კომპეტენციები პირდაპირ უწყობს ხელს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.
ინდიკატორი 2.2.1.3 შესაბამისობაშია

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
აკადემიაში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა – EP-QA პოლიტიკა“ (დანართი EP-QA1.1) განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციისა და პროფესიული კომპეტენციების მოთხოვნებს. დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს შესაბამისი დარგისსპეციალისტი ან/და შესაბამის სფეროში პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი, რაც უზრუნველყოფს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტების ეფექტიან მართვას.

განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის ძირითადი ფუნქციები, მათ შორის: პროგრამის შინაარსობრივი და სტრუქტურული ანალიზი; სასწავლო პროცესის გეგმებთან შესაბამისობის მონიტორინგი; სასწავლო ცხრილების დამტკიცებულ გეგმასთან შეჯერება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში მონაწილეობა; პროფესიული სტუდენტების კონსულტირება; სასწავლო პროცესის მონიტორინგი და მხარდაჭერა.

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის (პირადი საქმის) შესწავლისა და პროგრამის ხელმძღვანელთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ“თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც ფლობს პროგრამის პროფილის შესაბამის დარგობრივ კომპეტენციებს, წარმოდგენილი აქვს დადასტურებული კვალიფიკაცია და პრაქტიკული პროფესიული გამოცდილება სატრანსპორტო-საექსპედიტორო და ლოგისტიკის სფეროში. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობს როგორც პროგრამის შემუშავებისა და განახლების პროცესში, ისე მისი განხორციელების ეტაპზე.

დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებასთან ერთად, ახორციელებს დარგობრივ მოდულებს, რაც დამატებით აძლიერებს პროგრამის პრაქტიკულ სისწორეს, სწავლების რეალურ სამუშაო გარემოსთან შესაბამისობასა და სასწავლო პროცესის ხარისხს. აღნიშნული პრაქტიკა არ ქმნის გადაფარვის ან ინტერესთა კონფლიქტის რისკს, არამედ უზრუნველყოფს პროგრამის მართვისა და სწავლების პროცესის ერთიან, კოორდინირებულ განხორციელებას.

პროგრამის ხელმძღვანელი სისტემურად იყენებს პოლიტიკით განსაზღვრულ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმილ, სტრუქტურირებულ და დროულ განხორციელებას, ასევე სწავლების ხარისხის მუდმივ მონიტორინგსა და გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ მიდგომას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება და მაღალი ჩართულობა სრულად შეესაბამება EP-QA პოლიტიკის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს „თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიან, მდგრად და ხარისხზე ორიენტირებულ მართვას.

ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. კერძოდ:
ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალის ბიბლიოთეკისა და დამატებითი სასწავლო სივრცეების დათვალიერება, ასევე შერჩევითი პრინციპით შეამოწმა „თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსები. ბიბლიოთეკართან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე არსებული მდგომარეობა შეფასდა როგორც სანდო და მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი.

დადგინდა, რომ პროგრამის მოდულებით განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. კერძოდ, აკადემიის ფოთის ფილიალის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია მოდულების მიხედვით შერჩეული ბეჭდური სასწავლო მასალები, რომლებიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების დაცვით და თავისუფლად ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ისე პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლებისთვის.

ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. სასწავლო მასალები ინახება სპეციალურ მყარ დისკებზე, საიდანაც შესაძლებელია მათი გადატანა, ბეჭდვა ან ელექტრონულად გამოყენება. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საჭირო მასალები მიიღონ ელექტრონული ფოსტის საშუალებით ან შესაბამისი ამონარიდები ბეჭდური სახით.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან და ასევე საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციასთან, რაც უზრუნველყოფს „თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტებისა და საერთაშორისო რეგულაციების განახლებულ ვერსიებზე მუდმივ წვდომას.

აკადემიის ფოთის ფილიალის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რაც უზრუნველყოფს მომსახურების პირობების საჯაროობას, რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას და უსაფრთხო, ორგანიზებულ სასწავლო გარემოს შექმნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, „თევსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო და მატერიალური რესურსები არის რელევანტური, მრავალფეროვანი და სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. რესურსებზე წვდომა ორგანიზებულია გამჭვირვალედ – როგორც ბიბლიოთეკაში, ისე სასწავლო გარემოებსა და ელექტრონული რესურსების მეშვეობით – რაც დადებითად აისახება სასწავლო პროცესის ეფექტიანობაზე.

ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კერძოდ: ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალის სასწავლო პირობები, რომლებიც გამოიყენება „თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის. სასწავლო სივრცეების დათვალიერებისა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურულ პირობებს, მათ შორის ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროგრამა სპეციფიკური სამუშაო გარემოდან გამომდინარე დაშვების წინაპირობად ითხოვს ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებას, რაც საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნაა. შესაბამისად პროგრამაზე სწავლებისთვის დაიშვებიან მხოლოდ ის პირები რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისია.

აკადემიის ფოთის ფილიალში იმ სასწავლო კორპუსში, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცეები, უზრუნველყოფილია მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი ხელმისაწვდომობა. კერძოდ, შენობა აღჭურვილია კიბეებზე ასასვლელი და ჩამოსასვლელი სპეციალური მოწყობილობებით, რაც უზრუნველყოფს შეზღუდული მობილობის მქონე პირების დამოუკიდებელ გადაადგილებას. ასევე, ფოთის ფილიალში ფუნქციონირებს ადაპტირებული სველი წერტილები, რომლებიც სრულად შეესაბამება უნივერსალური დიზაინის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

A და B ტიპის სასწავლო სივრცეებში შესაძლებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს ორგანიზება, მათ შორის მოსარგები სამუშაო ადგილებისა და სივრცის მოქნილი განლაგების საშუალებით. C ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც გამოიყენება „თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად, ასევე აკმაყოფილებს ბაზისური ხელმისაწვდომობის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს პრაქტიკული საქმიანობის უსაფრთხო პირობებში განხორციელებას.კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფს სამუშაო ადგილის ადაპტირებას ან საჭიროების შემთხვევაში მის მოდიფიცირებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროგრამა სპეციფიკური სამუშაო გარემოდან გამომდინარე დაშვების წინაპირობად ითხოვს ჯანმრთელობის მდგომარების შემოწმებას, რაც საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნაა. შესაბამისად პროგრამაზე სწავლებისთვის დაიშვებიან მხოლოდ ის პირები რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისია. აღნიშნულ პროგრამაზე დაწესებულებას არ ჰქონია გამოცდილება სსსმ პირების სწავლების მიმართულ;ებით.

აკადემიის ბიბლიოთეკისა და საინფორმაციო რესურსების გამოყენება ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვისაც. ბიბლიოთეკის სივრცეებში უზრუნველყოფილია მობილობის შეზღუდვის მქონე პირების თავისუფალი გადაადგილება, ხოლო კომპიუტერული გარემო იძლევა სამუშაო ადგილის ადაპტირების ან საჭიროების შემთხვევაში მისი მოდიფიცირების შესაძლებლობას.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ უზრუნველყოფილი ინფრასტრუქტურა და სასწავლო სივრცეების ადაპტირება სრულ თანხვედრაშია პროფესიული განათლების სტანდარტის მოთხოვნებთან. „თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს უსაფრთხო, ხელმისაწვდომ და ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, რაც ყველა პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს, აძლევს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.4 შესაბამისობაშია

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი „თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. დოკუმენტის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ბიუჯეტი ჩამოყალიბებულია გამჭვირვალე, ეკონომიკურად გონივრული და სტანდარტებთან შესაბამისი პრინციპებით.

საპროგნოზო ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი დაფუძნებულია **სწავლის საფასურზე**, რომლის მოცულობა განსაზღვრულია უნივერსიტეტის ფინანსური პოლიტიკის შესაბამისად. შემოსავლის პროგნოზი ეფუძნება **ზღვრული რაოდენობისა და მინიმალური დასაშვები ჯგუფის ანალიზს**, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მოიცავს პროგრამის სრულფასოვანი განხორციელებისთვის აუცილებელ ყველა პოზიციას, მათ შორის:

- **პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივ ანაზღაურებას**,
- **ადმინისტრაციის (პროგრამასთან დაკავშირებული) ანაზღაურებას**,
- **კომუნალურ ხარჯებს**,
- **სწავლებისათვის საჭირო სივრცეების მოვლა–შენახვის ხარჯებს**,
- **მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ხარჯებს**,
- **პერსონალის პროფესიული განვითარების ხარჯებს**,
- **სახარჯი მასალების ხარჯებს**,
- **პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს**, ელ პლატფორმები და სხვა საჭიროების მიხედვით.

ხარჯების ასეთი სტრუქტურა ასახავს პროგრამის განხორციელების რეალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტობას.

ბიუჯეტირება ეფუძნება **მინიმალური ჯგუფის ფორმირების პრინციპს**, რაც უნივერსიტეტში განსაზღვრულია როგორც ფინანსური მდგრადობის პირობა.
ანალიზის მიხედვით, „თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროგრამის **რენტაბელობის ზღვარი** არის ჯგუფში 15 პროფესიული სტუდენტი, რომლის პირობებშიც პროგრამა ოპერატიულ ხარჯებს სრულად ფარავს და შესაძლებელია მისი მიმდინარეობა ხარისხის ზიანის გარეშე.
განხილული მონაცემებით დგინდება, რომ საპროგნოზო ბიუჯეტი რეალისტურად მოიაზრებს ყველა აუცილებელ ხარჯს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ წარმოდგენილი „თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროგრამის ბიუჯეტი:

- **სტანდარტებთან შესაბამისია**,
- **უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად განხორციელებას**,
- **გათვლილია საჭირო მინიმუმზე**, რაც აძლიერებს ფინანსური დაგეგმვის პასუხისმგებლიან მიდგომას.

ბიუჯეტი ასახავს უნივერსიტეტის სისტემურ მიდგომას ფინანსურ მართვაში და ქმნის საფუძველს პროგრამის ხარისხიანი და უწყვეტი რეალიზაციისთვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დოკუმენტაცია საქარტველოს საკანონმდებლო მაცნეს შესყიდვის შესახებ;
- სტრუქტურული ერთეულები, სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- განმახორციელებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ვებ გვერდი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;კერძოდ: ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ დამტკიცებული „პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი“, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელების, მონიტორინგისა და განვითარების ძირითად პროცესებს. დოკუმენტი ქმნის პროფესიული განათლების ხარისხის მართვის ერთიან, სისტემურ და პროცედურულად გაწერილ ჩარჩოს და უზრუნველყოფს პროცესების თანმიმდევრულ და გამჭვირვალე განხორციელებას.

დადგენილი წესების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ეფუძნება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს, მათ შორის: შრომის ბაზრის კვლევის შედეგების რეგულარულ ანალიზს; დაინტერესებული მხარეების – პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, დამსაქმებლებისა და პარტნიორი ორგანიზაციების უკუკავშირს; ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებას; ასევე პროგრამის შინაარსისა და მისაღწევი შედეგების პერიოდულ გადახედვას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამების აქტუალობისა და შესაბამისობის სისტემურ შემოწმებას როგორც შიდა, ისე გარე მოთხოვნებთან მიმართებით.

ამასთან, აკადემიაში მოქმედი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ დეტალურად განსაზღვრავს პროგრამების შიდა შეფასების პროცედურებს, შეფასების განხორციელების პერიოდულობას, ცვლილებების შეტანის წესებსა და საფუძვლებს, ასევე პროცესში ჩართული პასუხისმგებელი პირების ფუნქციებს. მეთოდოლოგიაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის სრული ლოგიკა (Plan–Do–Check–Act), რაც უზრუნველყოფს პროგრამების უწყვეტ მონიტორინგს და დაგეგმილი შედეგების მიღწევის კონტროლს.

ექსპერტებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემურად ახორციელებს ხარისხის მართვის ფუნქციებს. სამსახური ატარებს პერიოდულ კვლევებს, იყენებს წინასწარ შემუშავებულ და დამტკიცებულ კითხვარებს, აანალიზებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების შეფასებებს და ამზადებს რეკომენდაციებს პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. კვლევების შედეგები გამოიყენება როგორც მიმდინარე სასწავლო პროცესის დახვეწისა და ოპტიმიზაციისთვის, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების დაგეგმვისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, აკადემიაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციები და პრაქტიკა ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების ეფექტიან და მდგრად სისტემას, რაც ხელს უწყობს პროგრამების ხარისხის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 2.3.1.1 შესაბამისობაშია

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.კერძოდ:

ასევე განსაზღვრავს პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესებს.

ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- მოიძებნება შესაბამისი საფუძველი შეფასების პროცესში,
- არსებობს დადასტურებული საჭიროება შრომის ბაზრის ან მოთხოვნების ცვლილების გამო,
- მიღებულია უკუკავშირი დაინტერესებული მხარეებისგან.

მსგავსი მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამის სტაბილურობას, მაგრამ არასოდეს უშლის ხელს მის დროულ განახლებას.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მოქმედი შიდა რეგულაციები, მეთოდოლოგიები და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან.

„თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროგრამაზე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი:

- არის სისტემური და პროცესზე დაფუძნებული,
- მოიცავს მრავალწყაროიან შეფასებას,
- ეფუძნება ხარისხის ციკლის პრინციპს,
- უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივ და სტრუქტურულ განახლებას საჭიროების შემთხვევაში.

ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს პროგრამის მდგრად და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამის განხორციელებას.

ინდიკატორი 2.3.1.2 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA პოლიტიკა;
- ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. კერძოდ:

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილი სასწავლო გეგმა წარმოდგენილია მკაფიო, თანმიმდევრულ და ლოგიკურად გააზრებულ სტრუქტურად. დადგინდა, რომ გეგმა სრულად შეესაბამება სამუშაო სტანდარტის მოთხოვნებს და შეიცავს მის მიერ რეკომენდირებულ უმთავრეს ელემენტებს.

„თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროგრამის სასწავლო გეგმა:

- ასახავს მოდულების თანმიმდევრობას,
- განსაზღვრავს თითოეული მოდულის განხორციელების კვირობრივ განრიგს,
- უზრუნველყოფს საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების მკაფიო გაწერას.

გეგმა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას – დაწყებული საბაზისო ცოდნის ფორმირებიდან, დასრულებული თევზსაჭერი გემის ექსპლუატაციასა და მართვამდე

სასწავლო გეგმის საფუძველზე უნივერსიტეტი ადგენს პროფესიული სტუდენტების მეცადინეობის ცხრილს, რაც საშუალებას იძლევა:

- სწავლის პროცესის ეფექტური ორგანიზაცია,
- სამუშაო საათების სწორად გადანაწილება,
- თეორიული და პრაქტიკული ნაწილის გონივრული გაწერა.

ეს უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების გამართულობას და მოდულების ერთმანეთთან თანხვედრას.

სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მიდგომას იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე ჩაირიცხება არაქართულენოვანი სტუდენტები. მათთვის გათვალისწინებულია ქართული ენის შემავსებელი მოდული, რაც უზრუნველყოფს:

- სასწავლო პროცესში თანაბარ ჩართულობას,
- პროფესიული ლექსიკის დაუფლებას,
- სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

გამოკვლეული დოკუმენტაციისა და გასაუბრებებზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასწავლო გეგმა არის შინაარსობრივად და სტრუქტურულად გამართული,
- მოდულების თანმიმდევრობა და განაწილება დამკვირვებელი ლოგიკით არის ჩამოყალიბებული,
- პროგრამის განხორციელება დაგეგმილია დამტკიცებული სასწავლო გეგმის სრული დაცვით.

ექსპერტთა შეფასებით, „თევზსაჭერი გამის ნავიგაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას. გეგმა არის მკაფიოდ სტრუქტურირებული

ინდიკატორი 2.4.1.1 შესაბამისობაშია

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული სტუდენტების სტატუსის, უფლებებისა და ადმინისტრაციული პროცედურების მართვა ხორციელდება რექტორის 2023 წლის 24 იანვრის №12§17 ბრძანებით დამტკიცებული **„პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის“** საფუძველზე. დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს:

- პროფესიული სტუდენტის **სტატუსის შეჩერების** და **შეწყვეტის** წესებს,
- **მობილობის** განხორციელების პირობებს, ინტერვიურების დროს სტუდენტებმა დაადასტურეს რომ ინფორმირებულები არიან

აღნიშნულ პროცესებთან დაკავშირებით

- მიღებული განათლების **აღიარების** პრინციპებს,
- პროგრამის **შეცვლის ან გაუქმების** შემთხვევაში შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს.

სტუდენტზე ორიენტირებული ადმინისტრირება

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ უნივერსიტეტი სრულად იცავს მოქმედ რეგულაციებს და პრაქტიკაში იყენებს მოქნილ, სტუდენტზე მორგებულ მიდგომებს. განხორციელებული ვიზიტისას გამოიკვეთა რამდენიმე ტიპური პრინციპი:

- თუ პროფესიული სტუდენტი დასაქმებულია პროგრამის პროფილის მიხედვით,

უნივერსიტეტი ცდილობს, **სასწავლო ცხრილი და შეფასების პროცესები** ისე დაგეგმოს, რომ მათი სამუშაო გრაფიკი მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეს პრაქტიკა ხელს უწყობს სტუდენტების წარმატებულ ჩართულობას და უზრუნველყოფს სწავლის პროცესის შეწყობას ყოველგვარი დამატებითი ბიუროკრატიული სირთულეების გარეშე.

შეფასების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემა

დაწესებულებაში მოქმედი პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემა ადგენს:

- შეფასების **კრიტერიუმების წინასწარ გაცნობას**,
- შეფასების პროცესის **ორგანიზებულობას**,
- ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას.

ფუნქციონირებს როგორც მიმდინარე, ისე საბოლოო შეფასების მექანიზმები, ხოლო შეფასების ცვლილების ან გადავადების შემთხვევები ხდება განსაზღვრული წესის დაცვით.

დასკვნა

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია სრულად უზრუნველყოფს:

- პროფესიული სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცესების სწორ მართვას,
- რეალურ სტუდენტურ საჭიროებებზე მორგებულ მოქნილ მიდგომებს,
- ობიექტურ და გამჭვირვალე შეფასების პრაქტიკას.

აღნიშნული მექანიზმები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან და სტუდენტთა წარმატებაზე ორიენტირებულ მიდგომად შეიძლება ჩაითვალოს.

ინდიკატორი 2.4.1.2 შესაბამისობაშია

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;კერძოდ:

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალი უზრუნველყოფს, რომ „თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების პროცესში ინტეგრირებული იყოს სწავლების თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომები და სატრანსპორტო-საექსპედიტორო დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიები. ფოთის ფილიალში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ქმნის შესაძლებლობას, რომ სწავლება განხორციელდეს რეალურ სამუშაო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში, რაც ხელს უწყობს პროფესიული კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის ფარგლებში აქტიურად გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქეის-სტადიები, სიტუაციური ანალიზი, პროფესიული როლების იმიტაცია, დემონსტრაციებისა და პრაქტიკული დავალებების კომბინაცია, თანასწორებს შორის სწავლების (peer-learning) ელემენტები და ინტერაქტიური ჯგუფური მუშაობა. აღნიშნული მიდგომები სტუდენტებს საშუალებას აძლევს რეალური სატრანსპორტო-საექსპედიტორო პროცესების ანალიზისა და პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღების უნარები განივითაროს.

პროგრამის განხორციელების პროცესში გამოიყენება იმიტირებული და სიმულაციური სასწავლო გარემოები თევზსაჭერი გემის სიმულატორზე, რომლებიც ასახავს გემის ნავიგაციის, მართვის და ექსპლუატაციის ეტაპებს, პრაქტიკული უნარების დასამუშავებლად გამოყენებულია შესაბამისი სასწავლო მასალები, ინვენტარი და ტექნიკური საშუალებები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ეტაპობრივ მომზადებას რეალური სამუშაო გარემოსთვის.

„თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური ფორმით. ელექტრონული მასალები განთავსებულია ფოთის ფილიალის ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებში, სასწავლო სივრცეების კომპიუტერებში და შესაბამის ციფრულ პლატფორმებზე, რაც ზრდის პროფესიული სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის შესაძლებლობას და ამარტივებს სასწავლო რესურსებზე ოპერატიულ წვდომას. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებს აქვთ ბეჭდური მასალების გამოყენების შესაძლებლობაც.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები არის თანამედროვე, დარგის სპეციფიკასთან თავსებადი და პროფესიული სტუდენტების პრაქტიკულ განვითარებაზე ორიენტირებული. სწავლების პროცესში ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს მოდერნიზაციას, ხოლო აქტიური სწავლების ფორმები ზრდის სტუდენტთა ჩართულობას და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.
ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალში „თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და სატრანსპორტო-საექსპედიტორო დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. აღნიშნული პრაქტიკა სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ საჭირო კომპეტენციების ეფექტიან და პრაქტიკულად ორიენტირებულ განვითარებას.

ინდიკატორი 2.4.1.3 შესაბამისობაშია

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები; კერძოდ დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისი პროცედურა და მარგეულირებელი წესი, რომელიც აღნიშნული შემთხვევის საჭიროების დროს გამოიყენება. ნორმატიული დოკუმენტი - ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ საფუძველზე შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა პროფესიული სტუდენტის თანამონაწილეობით.

წესი არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმებს. აღნიშნული სასწავლო გეგმა დგება იმ პროფესიული სტუდენტისათვის, რომელსაც სჭირდება განსხვავებული სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა, ვიდრე ეს სტანდარტული სასწავლო გეგმითაა გაწერილი. ასეთი შემთხვევები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენას; პროფესიული სტუდენტის შიდა ან გარე მობილობას; მიღებული ფორმალური განათლების აღიარების შემდგომ სწავლის გაგრძელებას; მიღებული არაფორმალური განათლების აღიარების შემდგომ სწავლის გაგრძელებას; სსსმ და შშმ პირთა სასწავლას. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას შეიმუშავებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი პროგრამის ხელმძღვანელთან ან თანახელმძღვანელთან ერთად. საჭიროების შემთხვევაში პროცესში ჩართულია თავად მოდულის განმახორციელებელი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა თანხმდება თავად პროფესიულ სტუდენტთან ან მის წარმომადგენელთან და შეთანხმებული გეგმა დასამტკიცებლად წარედგინება პროფესიული დეპარტამენტის ხელმძღვანელს. თუ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ვერ შეთანხმდა პროფესიულ სტუდენტთან, ამ შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უჩერდება სტატუსი და მას უფლება აქვს ისარგებლოს შიდა ან გარე მობილობით. პროფესიულ სტუდენტს ან სტუდენტთა ჯგუფს ასევე უფლება აქვს განცხადებით მიმართვის საფუძველზე ისარგებლონ ინდივიდუალური მეცადინეობის სერვისით დაწესებულების მიერ დადგენილი ოდენობით. ინდივიდუალური მეცადინეობების საჭიროება გულისხმობს დამატებით მეცადინეობას ლექციების გაცდენის შემთხვევაში, ან გამოცდების წინ დამატებით მეცადინეობაა თუ კონსულტაციას. ინდივიდუალურ მეცადინეობებს ორგანიზებას უწევს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური მასწავლებელთან შეთანხემებით. თავად აღრიცხვას ასეთი მეცადინეობების შესახებ ახორციელებს მასწავლებელი. სტუდენტს უფლება აქვს პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებელთან შეთანხმებული ფორმით (ელექტრონული ფოსტა, დახურული ჯგუფები, ელ. პლატფორმა, სატელეფონო კონსულტაცია და სხვა) ისარგებლოს პროფესიული განათლების მასწავლებელთან კონსულტაციით თუ ეს მას სჭირდება სწავლის შედეგების მისაღწევად. აღნიშნული მეცადინეობები არ გამოიწვევს პროფესიული მასწავლებლის კანონით განსაზღვრულზე მეტად დატვირთვას, რადგან აღნიშნული საქმიანობა გათვალისწინებულია მასწავლებლის დატვირთვის განრიგში. აღნიშნული მეცადინეობების ჩატარების შესახებ წარმოდგენილი ჩანაწერები ადასტურებს, რომ როგორც დაწესებულება ასევე პროფესიული მასწავლებელი მზად არიან აღნიშნული სერვისი გაუწიოს პროფესიულ სტუდენტს.

ინდიკატორი 2.4.1.4 შესაბამისობაშია

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას „თევზსაჭერი გემის ნავიგაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საწარმოო პრაქტიკისათვის გაფორმებული აქვს „კოოპერაციული სწავლების ხელშეკრულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის“ თევზსაჭერი გემების მფლობელებთან. ხელშეკრულების ფარგლებში საწარმოო პრაქტიკა შესაძლებელია სამ კომპანიაში, რაც რაოდენობრივად საკმარისია პრაქტიკული წვრთნა დაფაროს თევზსაჭერი გემის 30 პროფესიული სტუდენტისათვის. აღნიშნული კომპანიაები ფლობენ გემებს, რომლებიც რეგისტრირებულია საქართველოს სახელმწიფო რეესტრში, ყველა მათგანზე გაცემულია შესაბამისი როგორც სახელმწიფო, ასევე საკლასიფიკაციო ორგანიზაციების სერტიფიკატები, რაც ადასტურებს გემების უსაფრთხო ნაოსნობის შესაძლებლობას. ხელშეკრულებები მოიცავს ყველა აუცილებელ რეკვიზიტს. ხელშეკრულებით განსაზღვრულია მხარეები, მოქმედების ვადები, პასუხისმგებლობები, განსახორციელებელი მოდულები, სტუდენტთა საერთო რაოდენობა. პრაქტიკის ობიექტის დათვალიერებით დასტურდება პრაქტიკის ობიექტების გამართულ და პრაქტიკის წარმოებისთვის საჭირო სტანდარტის არსებობას.

ინდიკატორი 2.4.1.5 შესაბამისობაშია

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. კერძოდ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას შემუშავებული აქვს ,,პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი", რომელიც განსაზღვრავს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას და ამ მიმართულებით პროფესიულ სტუდენტთა უნარების გამომუშავებასა და ქცევის ნორმებს. აღნიშნული წესი დეტალურად აღწერს ყოველი ლაბორატორიისა თუ C გარემოს უსფრთხო გარემოს შექმნის პირობებს და ინსტრუქტაჟს. აღნიშნული ინსტრუქტაჟები თვალსაჩინოდ გამოკრულია თავად C გარემოს ოთახებში. ასევე, პროფესიული მასწავლებელი აღნიშნული მეცადინეობის დაწყების წინ უხსნის პროფესიულ სტუდენტებს თუ როგორ მოიქცნენ უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად. რაც შეეხება გემებს, იქ უსაფრთხოების დაცვა მოითხოვება და შესაბამის მონიტორინგს უწევს გემის დროშისა თუ ნავსადგურის სახელმწიფო კონტროლი.

ინდიკატორი 2.4.1.6 შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის"
- ,,პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი"
- ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის
- ინტერვიუს შედეგები

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2.1 პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და შესაბამის პირებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა რეგულირდება აკადემიის რექტორის 2024 წლის 23 თებერვლის №01-62 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“.

აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს შეფასების სისტემის ყველა არსებით კომპონენტს, მათ შორის: შეფასების ინსტრუმენტების შერჩევისა და შემუშავების პროცედურებს; შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების მიმართ მოთხოვნებს; შიდა მონიტორინგის მექანიზმებს; შეფასების ადმინისტრირების წესს; შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებულ საკითხებს; აპელაციისა და განმეორებითი შეფასების განხორციელების წესსა და ვადებს; ასევე მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის პროცედურებს. დოკუმენტში ასევე გაწერილია ნამუშევრების გასწორებისა და შეფასების ვადები და განმეორებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობები.

მარეგულირებელი წესის მიხედვით, შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს, რაც ქმნის შეფასების პროცესის სამართლებრივად და მეთოდოლოგიურად გამართულ ჩარჩოს.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელებულმა გასაუბრებებმა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან დაადასტურა, რომ შეფასების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება სრულად ეფუძნება აღნიშნული წესის მოთხოვნებს. მასწავლებლებმა განმარტეს, რომ ისინი ჯერ კიდევ მოდულის დაწყების ეტაპზე აცნობენ პროფესიულ სტუდენტებს შეფასების მიდგომებს, შეფასების ტიპებსა და კრიტერიუმებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის წინასწარ გამჭვირვალობას. ამასთან, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასება ხორციელდება მხოლოდ ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით და შეფასებამდე არანაკლებ ერთი კვირით ადრე შეფასების ინსტრუმენტი მზად არის, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას დროულად გაეცნონ შეფასების მოთხოვნებს და შესაბამისი მომზადება უზრუნველყონ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასაუბრებების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ პროფესიული სტუდენტები იცნობენ საკუთარ უფლებებს შეფასების პროცესში, მათ შორის შეფასების შედეგების მიღების, გასაჩივრებისა და განმეორებითი შეფასების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ შეფასების ადმინისტრირება ხორციელდება დადგენილი პროცედურების დაცვით, მათ შორის შეფასების ვადების, შეფასების შედეგების ოფიციალურად დაფიქსირებისა და სტუდენტებისთვის დროული ინფორმირების ნაწილში. გასაუბრებებისას ასევე გამოიკვეთა, რომ პერსონალი კარგად იცნობს აპელაციისა და განმეორებითი შეფასების წესს და მზად არის მისი გამოყენებისთვის საჭიროების შემთხვევაში.
წარმოდგენილი შეფასების დოკუმენტაციით და გასაუბრებების შედეგებით შეფასების სისტემა აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ინდიკატორი 2.4..2.1 შესაბამისობაშია.

2.4.2.2 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს
ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში შემუშავებული და დანერგილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს გამოყენებული შეფასების სისტემის შესაბამისობას პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან. აღნიშნული მექანიზმი წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის ნაწილს და დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2022 წლის 11 მარტის №4/14 გადაწყვეტილებით.
ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შეფასების სისტემის შემოწმებას სამ ძირითად მიმართულებით:
ა) შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია და ვერიფიკაცია;
ბ) შეფასების პროცესის ვერიფიკაცია;
გ) შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია.
მექანიზმი ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს. ვერიფიკაციის პროცესის ორგანიზება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ, შესაბამისი ვერიფიკაციის ჯგუფის ჩართულობით. განხორციელებული ვერიფიკაციის შედეგებზე ფორმდება დასკვნა, რომელიც რეკომენდაციების შემუშავების მიზნით წარედგინება პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის განხორციელების დამადასტურებელი მტკიცებულებები, მათ შორის: ვერიფიკაციის გეგმები, შერჩევის მექანიზმები (რისკების სისტემა), ვერიფიკაციის დასკვნები და შესაბამისი დანართები. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება არა ფორმალურად, არამედ სტრუქტურირებულად და წინასწარ განსაზღვრული პროცედურების დაცვით.

ექსპერტთა მიერ შესწავლილი მასალების მიხედვით ასევე დადგინდა, რომ ვერიფიკაციის დასკვნების საფუძველზე დაწესებულებაში შედგა მაკორექტირებელი გეგმები, სადაც გაწერილია კონკრეტული ღონისძიებები, პასუხისმგებელი პირები და განხორციელების ვადები. აღნიშნული გეგმების შესრულება ექვემდებარება შემდგომ მონიტორინგს, რაც უზრუნველყოფს გამოვლენილი საკითხების რეაგირებასა და შეფასების სისტემის განვითარებას.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მოქმედი პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი ფუნქციონირებს რეგულაციის შესაბამისად, ეფუძნება მონაცემებსა და მტკიცებულებებს და ქმნის პირობებს შეფასების პროცესის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი 2.4.2.2 შესაბამისობაშია.

2.4.2.3 პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

კერძოდ:ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და შესაბამის პირებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის პროცესი რეგულირდება მოქმედი ნორმატიული დოკუმენტით – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (მუხლები 25 და 26). აღნიშნული რეგულაციის თანახმად, შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტები, შეფასების მტკიცებულებები და შეფასების უწყისები, ექვემდებარება წინასწარ განსაზღვრული წესით აღრიცხვასა და შენახვას. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან არანაკლებ 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს როგორც პროცესის გამჭვირვალობას, ისე საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის ხელახალ გადამოწმების შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ აღნიშნული წესები პრაქტიკაში სრულად ხორციელდება. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა შეფასებასთან დაკავშირებული აღრიცხვის მტკიცებულებები, რომლებიც არის სტრუქტურირებულად დალაგებული, დანომრილი და მიკვლევადი. წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა შესაძლებლობას, შეფასების პროცესის თითოეული ეტაპი იყოს ადვილად იდენტიფიცირებადი კონკრეტულ პროფესიულ სტუდენტთან, მოდულთან და შეფასების ინსტრუმენტთან მიმართებით.
ექსპერტთა შეფასებით, შეფასების მონაცემების აღრიცხვისა და შენახვის არსებული პრაქტიკა უზრუნველყოფს ინფორმაციის სანდოობას, ხელმისაწვდომობასა და დაცულობას, ხოლო რეგულაციისა და პრაქტიკის თანხვედრა მიუთითებს პროცესის ორგანიზებულ და პასუხისმგებლიან განხორციელებაზე.
ინდიკატორი 2.4.2.3 შესაბამისობაშია.

2.4.2.4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის
კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადასტურდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოიყენება არა მხოლოდ მიღწეული სწავლის შედეგების დასადგენად, არამედ სტუდენტების შემდგომი აკადემიური და პროფესიული განვითარების მხარდასაჭერად. პროფესიული განათლების მასწავლებლები განმსაზღვრელი შეფასების პარალელურად აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, რაც საშუალებას იძლევა სწავლის პროცესში დროულად გამოვლინდეს სტუდენტების ძლიერი მხარეები და განვითარების საჭიროებები. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების შედეგები პერიოდულად განიხილება პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალურ ფორმატში, რაც ხელს უწყობს შეფასების პროცესის გააზრებას და სწავლის შედეგებზე ორიენტირებულ უკუკავშირს.
გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროფესიული სტუდენტის მხრიდან დამატებითი კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებლები ახორციელებენ ინდივიდუალურ კონსულტირებას. ამ პროცესში სტუდენტს მიეწოდება განმარტებები შეფასების შედეგების შესახებ, განიხილება არსებული სირთულეები და ერთობლივად განისაზღვრება სწავლების პროცესის გაუმჯობესების შესაძლო გზები. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მიდგომები განსხვავებულია სტუდენტთა პიროვნული თავისებურებებისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამასთან, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზი გამოიყენება უფრო ფართო კონტექსტშიც – შეფასების პროცესის შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია ინიცირდეს სწავლების მეთოდების ან/და შეფასების სისტემის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული წინადადებები. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს როგორც სტუდენტების ინდივიდუალურ განვითარებას, ისე სასწავლო პროცესის ხარისხის ეტაპობრივ გაუმჯობესებას.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება არის მიზანმიმართული, განვითარებაზე ორიენტირებული და შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.4.2.4 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის“
- ,,პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“
- ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი
- „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი-ვერიფიკაცია
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ტვირთების ექსპედირება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ტვირთების ექსპედირებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება No.07-93 26.09.2025 წ.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ფოთი, წმ. გიორგის ქ. N 24
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--

404

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

***II.* ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში).	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასაბუთება

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

408

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალი წარმოადგენს სპეციალიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს პროფესიული და უმაღლესი განათლების პროგრამებს საზღვაო და მასთან მომიჯნავე დარგებში. აკადემიის მისია ეფუძნება კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას, კვლევითი საქმიანობის განვითარებასა და მიღებული ცოდნის საზოგადოებაში გავრცელებას, თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიის სტრატეგიული ხედვის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება ორიენტირებულია შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კომპეტენციების მქონე, პროფესიული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის უნარის, გუნდური მუშაობის, პასუხისმგებლობისა და პიროვნული პოტენციალის რეალიზაციის უნარებით აღჭურვილი კადრების მომზადებაზე. ამ მიზნების მისაღწევად, აკადემია ახორციელებს როგორც პროფესიულ, ისე უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებსა და უწყვეტი განათლების კურსებს.

საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირება და შემუშავება მიმდინარეობს აკადემიის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და დადგენილი პროცედურების შესაბამისად, დაინტერესებული მხარეების ჩართულობითა და კოლეგიური განხილვის საფუძველზე. პროგრამის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კოორდინირებული მონაწილეობა, რაც ხელს უწყობს პროგრამის შინაარსის შესაბამისობას როგორც საგანმანათლებლო სტანდარტებთან, ისე პრაქტიკულ საჭიროებებთან.

ამ კონტექსტში, „ტვირთების ექსპედირების“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება თანხვედრაშია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მისიასთან და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან. რეგიონში ტურიზმისა და მომსახურების სექტორის განვითარება განაპირობებს კვალიფიციური პერსონალის მზარდ მოთხოვნას, რაც პროგრამის აქტუალურობასა და საჭიროებას ამყარებს.

პროგრამის შინაარსი პასუხობს თანამედროვე მომსახურების სექტორის მოთხოვნებს და მოიცავს იმ კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც დაკავშირებულია სერვისის ხარისხის მართვასთან, მომხმარებელთან ეფექტურ კომუნიკაციასთან, ოპერაციული პროცესების ორგანიზებასა და ჰიგიენის სტანდარტების დაცვასთან. შრომის ბაზრის ანალიზი და დამსაქმებელთა პოზიციები ადასტურებს პროგრამის შესაბამისობას პრაქტიკულ საჭიროებებთან.

პროგრამაში ინტეგრირებულია თეორიული სწავლება და პრაქტიკული კომპონენტი პარტნიორ ორგანიზაციებში, რაც ზრდის სტუდენტთა პროფესიულ მზაობას და დასაქმების შესაძლებლობებს. აღნიშნული მიდგომა სრულ შესაბამისობაშია აკადემიის ხედვასთან, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლებას, შრომის ბაზართან მჭიდრო კავშირსა და უწყვეტი განათლების განვითარებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ „ტვირთების ექსპედირების“ პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება მიღებულია აკადემიის შიდა პოლიტიკების, ხარისხის უზრუნველყოფის წესებისა და შესაბამისი კოლეგიური ორგანოების პროცედურების დაცვით. პროგრამა შეესაბამება აკადემიის მისიას, სტრატეგიულ მიზნებსა და რეგიონული განვითარების საჭიროებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.1.1.1. შესაბამისობაშია

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: სსიპ სასწავლო უნივერსიტეტში – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ტვირთების ექსპედირება“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები დარეგულირებულია აკადემიის მიერ დამტკიცებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით და სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული და გამჭვირვალე წესის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე იმ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე განათლება, ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება საკმარისია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის დადგენილ ვადაში. აღნიშნული პროცესი რეგულირდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესით და ინტეგრირებულია აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში

დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით და ასახულია პროგრამის დოკუმენტში(8.დაშვების წინაპირობა-სრული ზოგადი განათლება) პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ეტაპზე მოწმდება კანდიდატის შესაბამისობა პროგრამის მოთხოვნებთან, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში მისი ეფექტური ჩართულობისა და შედეგებზე გასვლის შესაძლებლობას.

სასწავლო პროცესის ორგანიზება და სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა სრულად ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ტვირთების ექსპედირება“, რაც უზრუნველყოფს წინარე ცოდნისა და უნარების თანმიმდევრულ განვითარებას და სწავლის შედეგების ეტაპობრივ მიღწევას. საჭიროების შემთხვევაში, აკადემია იყენებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მექანიზმს, რაც დამატებით უზრუნველყოფს სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლის პროცესში ჩართულობას და შედეგების მიღწევას პროგრამის განხორციელების ვადაში

აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები არა მხოლოდ ფორმალურად არის დადგენილი, არამედ პრაქტიკაში რეალურად გამოიყენება იმგვარად, რომ პროგრამაზე დაშვებული პირები ფლობენ იმ აუცილებელ საფუძვლებს, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს წარმატებით დაეუფლონ „ტვირთების ექსპედირების“ პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უნივერსიტეტში პროფესიული პროგრამის ჩარიცხვის პროცესი რეგულირდება „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესით (ND 2-F30)“. სადაც განსაზღვრულია:

- განაცხადის მიღების წესი;
- გასაუბრების ორგანიზება და შეფასების კრიტერიუმები;
- შედეგების დაფიქსირება და სტუდენტის ჩარიცხვა ჯგუფში;
- სტატუსის მინიჭების ადმინისტრაციული პროცედურები.

ექსპერტებთან სამუშაო შეხვედრების ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ხორციელდება პროფესიული განათლების ცენტრის მიერ ჩამოყალიბებული შეფასების კომისიის მეშვეობით. აპლიკანტები გადიან მოტივაციურ გასაუბრებას, ქულები აისახება ელექტრონულ სისტემაში.

აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს შერჩევის პროცესის ობიექტურობასა და თანაბარ პირობებში განხორციელებას, უზრუნველყოფს აკადემიური და პროფესიული მოთხოვნების დაცვას, ქმნის ჯგუფების დაკომპლექტების ერთიან პრაქტიკას და საფუძველს უყრის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

„ტვირთების ექსპედირების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ჩარიცხვის პროცედურები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და გამჭვირვალედ, სრულად შეესაბამება მოქმედ ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოს, უზრუნველყოფს სამართლიან შერჩევას და ქმნის რეალურ შესაძლებლობას სწავლის შედეგების მიღწევისთვის. აღნიშნული მიდგომა თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ მიმართულებებთან.

ინდიკატორი 2.1.1.2. შესაბამისობაშია

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. სსიპ სასწავლო უნივერსიტეტში – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიიის ფოთის ფილიალში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება აკადემიის მიერ დამტკიცებული შესაბამისი მეთოდოლოგიის საფუძველზე. აღნიშნული პროცესი რეგულირდება დოკუმენტით „პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესი“, რომელიც ადგენს როგორც კრიტერიუმებს, ისე გადაწყვეტილების მიღების ეტაპებს .მეთოდოლოგია ითვალისწინებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ რესურსებსა და გარემოებებს, მათ შორის: სასწავლო გარემოს ტიპსა და გამტარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, პრაქტიკის კომპონენტის ხელმისაწვდომობას, პროგრამის ხანგრძლივობასა და სასწავლო გეგმის სპეციფიკას, აგრეთვე პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დადგენისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასწავლო სივრცეების რეალურ შესაძლებლობებს. კვოტა განისაზღვრება სასწავლო გარემოში არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობის მიხედვით და ეფუძნება ყველაზე შემზღუდავ რესურსს, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხიან და უსაფრთხო განხორციელებას

პრაქტიკული კომპონენტის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა დამატებით ეფუძნება პრაქტიკის ობიექტების ხელმისაწვდომობასა და მათ მიერ განსაზღვრული სტუდენტთა მიღების შესაძლებლობებს, რაც ხელშეკრულებებით არის დადასტურებული. სამუშაოზე დაფუძნებული, დუალური ან კოოპერაციული სწავლების ფორმების შემთხვევაში, კვოტის განსაზღვრა ხორციელდება აკადემიასა და პარტნიორ ორგანიზაციებს შორის გაფორმებული შეთანხმებების პირობების შესაბამისად

დადგენილი წესის შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა თითოეულ მიღებაზე მტკიცდება აკადემიის რექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების წარდგინების საფუძველზე. აღნიშნული პრაქტიკა ქმნის სტუდენტთა რაოდენობის რეალისტური დაგეგმვის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების პროცესის ორგანიზებულობასა და სტაბილურობას.
ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება მკაფიოდ დადგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით და პრაქტიკაში ხორციელდება იმგვარად, რომ გათვალისწინებულია როგორც სასწავლო გარემოს გამტარიანობა, ისე პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის, ადგილზე ვიზუალური დათვალიერებისა და ადმინისტრაციასთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია მოქმედი მეთოდოლოგიის შესაბამისად
ზღვრული რაოდენობის დასაბუთების პროცესში გამოყენებული იყო:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო გარემოს (აუდიტორიებისა და სხვა სივრცეების) დატვირთვის გრაფიკები;
თითოეული სასწავლო და პრაქტიკული გარემოს სიმძლავრის მაჩვენებლები, მათ შორის სამუშაო ადგილების რაოდენობა;
ლაბორატორიული და პრაქტიკული სივრცეების შესახებ არსებული მონაცემები;
პარტნიორი ორგანიზაციების შესაძლებლობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და სხვა..
განხორციელებული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული რესურსები და პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობის შესაძლებლობები სრულად უზრუნველყოფს ერთ ჯგუფში 20 პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ეფექტიან განხორციელებას.
ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ „ტვირთების ექსპედირების“ პროგრამისთვის განსაზღვრული 40 პროფესიული სტუდენტი წარმოადგენს დასაშვებ და რეალისტურ ზღვრულ რაოდენობას.

ინდიკატორი 2.1.1.3. შესაბამისობაშია

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში სასწავლო რესურსების, მათ შორის მასალა-ნედლეულის დაგეგმვა, მიწოდება, შენახვა და გამოყენება ორგანიზებულია წინასწარ განსაზღვრული და დოკუმენტირებული წესის შესაბამისად(პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ND 2-F03(დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 21 ივლისს № 01-142 ბრძანებით)მუხლი 23. სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების წესი). აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსების შესაბამისობსა პროგრამების შინაარსთან, სწავლების მეთოდებთან და თითოეული მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.
სასწავლო პროცესის მასალებითა და ნედლეულით უზრუნველყოფა ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობისა და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით. რესურსების შერჩევა ეფუძნება მოდულების მოთხოვნებს და მიმართულია იმ პრაქტიკული ცოდნისა და უნარების განვითარებაზე, რომლებიც განსაზღვრულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამებით. აკადემია უზრუნველყოფს, რომ პროფესიულ სტუდენტებს ჰქონდეთ საჭირო რაოდენობისა და ხარისხის სასწავლო მასალაზე წვდომა, რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის უწყვეტობასა და შედეგიანობას.

მასალა-ნედლეულის შენახვა და გამოყენება ხორციელდება უსაფრთხოების, ჰიგიენური და გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვით. განსაზღვრული პასუხისმგებელი პირების ჩართულობით უზრუნველყოფილია რესურსების მიზნობრივი და რაციონალური გამოყენება, რაც ამცირებს როგორც არასათანადო მოხმარების, ისე სასწავლო პროცესის შეფერხების რისკებს. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მასწავლებლები უზრუნველყოფენ რესურსების გამოყენებას სწავლების მიზნების შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში ახდენენ მათი გამოყენების ადაპტაციას სასწავლო პროცესის დინამიკისა და სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

ამასთან, აკადემიაში დადგენილია სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის რეგულაცია (მუხლი 24. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის წესი), რაც უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაცვას და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შენარჩუნებას. მასალა-ნედლეულის გამოყენების სრული ციკლი -მიწოდებიდან უტილიზაციამდე - ორგანიზებულია ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა და პრაქტიკული კომპონენტების ხარისხიანი განხორციელება.

ზემოაღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში არსებული საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები ფუნქციურად უკავშირდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებს და ეფექტიანად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “ტვირთების ექსპედირება“ ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში რა მიზნითაც აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ექვს ლოგისტიკურ/ექსპედიტორულ კომპანიასთან. ცალკეული მოდულებით დადგენილი სწავლის შედგების მიღწევა უზრუნველყოფილია ინტერაქციული ლექციების, სხვადასხვა ფოტო-ვიდეო მასალი ჩვენებით, სასწავლო მასალების დემონსტრირების და სტუდენტების მხრიდან პრაქტიკული დავალებების განხორციელების გზით. აკადემია ექსპლუატაციას უწევს მფლობელობაში არსებულ ტვირთების მომსახურებასთან დაკავშირებულ იმიტირებულ გარემოს. სწავლების ფორმის შესაბამისად პარტნიორ ორგანიზაციებში გატანილი აქვს სწავლის შედეგების ნაწილი, რაც ჯამურად უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას.

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ტვირთების ექსპედირება” არ მოიცავს არჩევით მოდულს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ; კერძოდ:
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების პროცედურა რეგულირდება უნივერსიტეტის წესდებითა და შიდა ნორმატიული აქტებით. წესდების მიხედვით, **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე და მათ ცვლილებებზე პასუხისმგებელი პირი არის რექტორი . აღნიშნული უფლებამოსილება განსაზღვრულია აკადემიის წესდებაში(მუხლი 7. პუნქტი 3. აკადემიის რექტორი კანონმდებლობისა და ამ წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში: დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულების წარდგინებით ამტკიცებს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებს) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესით ND 2-F09-01** (დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებით)პუნქტი 9. ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს რექტორი ბრძანებით.
„ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია შესაბამისი სამუშაო ჯგუფის წარდგინებით რექტორის მიერ №07-93 26 / სექტემბერი / 2025 წ .ექსპერთა ჯგუფი გაეცნო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ ჯგუფის შექმნის ბრძნებას და შემუშავების პროცესის ამსახველ დოკუმენტაციას.
ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის დამტკიცების პროცედურა სრულად შეესაბამება წესდებით განსაზღვრულ უფლებამოსილებასა და გადაწყვეტილების მიღების ფორმატს. პროცესი არის ფორმალურად გამართული, გამჭვირვალე და უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცდეს შესაბამისი ორგანოს მიერ, სათანადო დასაბუთებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე.
ინდიკატორი 2.1.1.6. შესაბამისობაშია

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს პროგრამის შინაარსობრივ მიმართულებას და სრულ შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან. პროგრამის სტრუქტურა აგებულია ისე, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ეტაპობრივად ფარავს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობისათვის აუცილებელ ყველა ძირითად კომპონენტს – ორგანიზაციულ, სამართლებრივ, დაგეგმვის, დოკუმენტირების, განხორციელებისა და კონტროლის მიმართულებებს.
პროგრამა მოიცავს შემდეგ მოდულებს:

- ექსპედირების საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და ოპერაციები;
- ტვირთების ექსპედირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და რეგულაციები;
- სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის დაგეგმვა;
- სატრანსპორტო-საექსპედიტორო დოკუმენტაციის მომზადება;
- სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის განხორციელება;
- ტვირთის გადაზიდვის კონტროლი;
- სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის ხარისხის კონტროლი.

აღნიშნული მოდულები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შემდეგი სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ, პროფესიულ სტუდენტს შეუძლია:

- აღწეროს ექსპედირების საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და ოპერაციები;
- აღწეროს ტვირთების ექსპედირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და რეგულაციები;
- დაგეგმოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობა;
- მოამზადოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო დოკუმენტაცია;
- განახორციელოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობა;
- აკონტროლოს ტვირთის გადაზიდვა;
- აკონტროლოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის ხარისხი.

მოდულების შინაარსი და მათთან დაკავშირებული სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას და სრულად მოიცავს სატრანსპორტო-საექსპედიტორო სფეროში დასაქმებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება არის შინაარსობრივად გამართლებული, ზუსტი და არ ქმნის შეცდომაში შემყვან წარმოდგენას პროგრამის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.1.1.7. შესაბამისობაშია

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ:ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და აკადემიის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების სრული დაცვით. პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის თანახმად(ND 2-F09-01 დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებით.) პროგრამა დამტკიცებულია აკადემიის რექტორის შესაბამისი ბრძანებით (№07-93 26 / სექტემბერი / 2025 წ.ბრძანებით), პროგრამების დამტკიცების აქტის საფუძველზე, და სრულად შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასთან, შინაარსთან და განხორციელების პროცედურებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. შესაბამისად, პროგრამა აკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ ყველა მოთხოვნას.
პროგრამა დამტკიცებულია აკადემიის რექტორის იგი ეფუძნება საგანმანათლებლო სტანდარტს „ ტვირთების ექსპედირება; Freight forwarding“

პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების დეტალური აღწერა შეფასების მიმართულებები, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. შესაბამისად, ქართული ენის მოდულ(ებ)ის გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე გამოცდის ან/და ტესტირების ჩაბარების გზით კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
აღნიშნული პირებისათვის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. („ქართული ენა A2”და „ქართული ენა“ B1 მოდულები).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის შემუშავების ეტაპზე გათვალისწინებული იქნა შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, დამსაქმებელთა საჭიროებები და დარგის განვითარების ტენდენციები, ამავე დროს, განსაზღვრულია პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა აკადემიის მიერ დამტკიცებული პროფესიული სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხიან განხორციელებასა და რესურსების ადეკვატურ განაწილებას.

ინდიკატორი 2.1.1.8. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით,,ტვირთების ექსპედირება“ დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით №07-93
- 26 / სექტემბერი / 2025 წ.
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალით
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი ND 2-F09-01 დოკუმენტი

დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებითპროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;

- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ND 2-F03(დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 21 ივლისს № 01-142 ბრძანებით)მუხლი 23. სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების წესი;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა ND 2-O06-01(დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2024 წლის 22 თებერვლის ბრძანებით № 01-58)
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით-
- სამუშაო შეხვედრების ფურცლებით;
- სამსახურებრივი ბარათებით;
- აკადემიის მისია, ხედვა, ღირებულებებით - განთავსებული ვებგვერდზე https://bsma.edu.ge/page/akademiis-misia-xedva-girebulebebi

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება აკადემიის შესაბამის სასწავლო სივრცეებში და პარტნიორ ორგანიზაციებში, სადაც უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და საგანმანათლებლო გარემო. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას.

აკადემიის ფოთის ფილიალის სასწავლო კორპუსში „ტვირთების ექსპედირების“ პროგრამისთვის გამოყოფილია კეთილმოწყობილი და ტექნიკურად გამართული **A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები**, რომლებიც გამოიყენება თეორიული მეცადინეობებისა და კომპიუტერზე დაფუძნებული სასწავლო აქტივობების ჩასატარებლად, რაც გათვალისწინებულია ზოგადი მოდულით ინფორმაციული წიგნიერება და ცალკეული დარგობრივი მოდულებით და მიცავს სხვადასხვა სახის დოკუმენტაციის წარმოების წესების შესწავლას, ასევე ტვირთების ტრანსპორტირების კონტროლის და საწყობის მართვის პროგრამებში მუშაობის შესწავლას.

აღნიშნული სივრცეები აღჭურვილია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი სამუშაო მაგიდებითა და სკამებით, პერსონალური კომპიუტერებით, უწყვეტი ინტერნეტითა და პროგრამის შინაარსთან დაკავშირებული შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით. ასევე უზრუნველყოფილია პრეზენტაციისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებები (პროექტორი, ეკრანი, პრეზენტაციის დაფა), ასლგადამღები მოწყობილობები და სხვა დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რაც ხელს უწყობს სასწავლო მასალის ეფექტიან მიწოდებასა და ვიზუალურ აღქმას.

პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით აკადემიაში ორგანიზებულია **AC ტიპის სასწავლო გარემო (102)**, რომელიც მორგებულია სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის სპეციფიკაზე. აღნიშნული გარემო უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ სატრანსპორტო პროცესების დაგეგმვის, დოკუმენტაციის მომზადების, ტვირთის გადაზიდვის კონტროლისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხარისხის კონტროლის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას, შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვით. სივრცis გამტარუნარიანობა გათვლილია პროგრამის ზღვრულ რაოდენობაზე და შეესაბამება პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს.

„ტვირთების ექსპედირების“ პროგრამისთვის მნიშვნელოვანი ფუნქციური დატვირთვა აქვს რეალურ სამუშაო გარემოში სწავლებას. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას ფოთის ფილიალისთვის გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები შესაბამის ლოგისტიკურ და სატრანსპორტო პროფილის მქონე ექვს ორგანიზაციასთან. პარტნიორ ორგანიზაციების გარემოში დაწესებულებას გატანილი აქვს მოდულის „სატრანსპორტო საქსპედიტორო სამიანობის განხორციელება“ მესამე შედეგი და მოდულის „ტვირთების გადაზიდვის კონტროლი“ პირველი შედეგი. პარტნიორი ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფს სტუდენტების ჩართვას რეალურ სამუშაო პროცესებში, სატრანსპორტო ოპერაციების დაგეგმვასა და განხორციელებაში, დოკუმენტბრუნვის პრაქტიკაში, ტვირთის გადაზიდვის მონიტორინგსა და მომსახურების ხარისხის კონტროლში.

პარტნიორი ორგანიზაციების საწარმოო გარემოს დათვალიერების და პრაქტიკულ სწავლებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებისა საფუძველზე დადგინდა, რომ ორგანიზაციების რესურსები და მათი ხელმისაწვდომობა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, სრულად უზრუნველყოფს გატანილი სწავლის შედეგების მიღწევადობას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური და სასწავლო რესურსები არის რეალისტურად დაგეგმილი, ფაქტობრივად ხელმისაწვდომი და სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებსა და შინაარსთან

ინდიკატორი 2.2.1.1. შესაბამისობაშია

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის წარმოდგენილია წინასწარ გაფორმებული ხელშეკრულებები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ და სტაბილურ განხორციელებას.

პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტს ჰყავს **ჯამში 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი**, რომელთაგან:

- **4 მასწავლებელი ახორციელებს ზოგად მოდულებს**
- **11 პროფესიული განათლების მასწავლებელი** პასუხისმგებელია პროგრამის პროფესიულ მოდულებზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასეთი სტრუქტურა პროგრამის შინაარსობრივ მრავალფეროვნებას აერთიანებს და უზრუნველყოფს როგორც ზოგადი კომპეტენციების, ისე ტვირტების ექსპედირების სფეროში სპეციფიკური უნარების სრულფასოვან მიწოდებას.

ჩანაცვლებადობა და რესურსების მდგრადობა

მოდულების ნაწილზე უნივერსიტეტს ჰყავს მოდულზე **ორი განმახორციელებელი მასწავლებელი**, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს სრულფასოვნად ჩაანაცვლებენ. ეს ქმნის:

- პროგრამის უწყვეტობის გარანტიას,
- მოსალოდნელი რისკების მინიმიზაციას,
- მოდულების შესრულების დროულ უზრუნველყოფას.

ექსპერტთა შეფასებით, რესურსების ასეთი განაწილება წარმოადგენს კარგი პრაქტიკის მაგალითს.

მასწავლებელთა დატვირთვა

წარდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ:

- ყველა განმახორციელებელი მასწავლებლის დატვირთვა შეესაბამება **„საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს**,
- კვირაში საერთო სამუშაო დატვირთვა **არ აღემატება 40 საათს**,
- განაწილება ოპტიმალურია და არ ქმნის გადატვირთვის ან პროცესის შეფერხების ალბათობას.

პროგრამას დამატებული აქვს **განმახორციელებელი პერსონალის სია**, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას.

პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლით, კვალიფიკაციის დადასტურებითა და მათთან გასაუბრებით დადგინდა, რომ:

- წარმოდგენილი მასწავლებლები ფლობენ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელ პროფესიულ და პედაგოგიურ კომპეტენციებს,
- პროფესიული გამოცდილება შესაბამისობაშია მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან,
- რაოდენობა და განაწილება სრულად უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივ და პრაქტიკულ განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, „ტვირთების ექსპედირების“ პროგრამისათვის წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა, კვალიფიკაცია და დატვირთვის განაწილება **საკმარისია, რეალისტურია და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად, უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას**.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.1.2. შესაბამისობაშია

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებულმა გასაუბრებამ და მათი პირადი საქმეების შესწავლამ დაადასტურა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალის პროფესიული განათლების მასწავლებლები სრულად აკმაყოფილებენ „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ კვალიფიკაციასა და პროფესიულ მოთხოვნებს.

მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია პროგრამის პროფილის შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის: შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები; სატრანსპორტო, ლოგისტიკური და ექსპედირების სფეროში სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები; ასევე პროფესიული პრაქტიკის დამადასტურებელი დოკუმენტები პარტნიორი ორგანიზაციებიდან. წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფლობს როგორც თეორიული ცოდნის გადაცემის, ისე პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის აუცილებელ პროფესიულ კომპეტენციებს.

პრაქტიკული გამოცდილება და პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობა

დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებს აქვთ პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება სატრანსპორტო-საექსპედიტორო და ლოგისტიკური პროფილის მქონე ორგანიზაციებში, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს სასწავლო პროცესის პრაქტიკულ ორიენტაციას. ამასთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან მოწვეული სპეციალისტები – პარტნიორი ორგანიზაციების მოქმედი თანამშრომლები, რომელთა მონაწილეობა უზრუნველყოფს სწავლების შინაარსის შესაბამისობას რეალურ სამუშაო პროცესებთან, მოქმედ რეგულაციებთან და ინდუსტრიის მიმდინარე მოთხოვნებთან.

პროფესიული განვითარების აქტიური პრაქტიკა

გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელმა მასწავლებლებმა რეგულარულად გაიარეს პროფესიული განვითარებისა და გადამზადების კურსები, მათ შორის:

- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები
- უნარების განვითარების სააგენტოს ტრენინგები („სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება“);
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამები („პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით“).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული გადამზადების კურსები მნიშვნელოვნად ამლიერებს მასწავლებელთა პედაგოგიურ და პროფესიულ კომპეტენციებს და დადებითად აისახება მოდულების სწავლების ხარისხზე.

დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, აქტიურად არიან ჩართული: მოდულების შემუშავებისა და საჭიროების შემთხვევაში მათი ადაპტირების პროცესში; სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში; მოდულების განხორციელების მიმდინარეობის მონიტორინგში. აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს, რომ პროგრამის შინაარსი ეფუძნება კოლეგიურ თანამშრომლობასა და პრაქტიკულ პროფესიულ გამოცდილებას.

ყველა პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებელთან გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულებები, რომლებშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული სამართლებრივად მოთხოვნილი ძირითადი პირობები, კონკრეტული მოდულები, სამუშაო ფუნქციები, პასუხისმგებლობები და სასწავლო დატვირთვა. დადგინდა, რომ მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, რაც შეესაბამება საქართველოს

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა, მათი კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება, პროფესიული განვითარების ისტორია და სამუშაო დატვირთვის რაციონალური განაწილება სრულად უზრუნველყოფს „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიან, უწყვეტ და მდგრად განხორციელებას. მასწავლებელთა კომპეტენციები პირდაპირ უწყობს ხელს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

აკადემიაში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა – EP-QA პოლიტიკა“ (დანართი EP-QA1.1) განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციისა და პროფესიული კომპეტენციების მოთხოვნებს. დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს შესაბამისი დარგისსპეციალისტი ან/და შესაბამის სფეროში პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი, რაც უზრუნველყოფს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტების ეფექტიან მართვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის ძირითადი ფუნქციები, მათ შორის: პროგრამის შინაარსობრივი და სტრუქტურული ანალიზი; სასწავლო პროცესის გეგმებთან შესაბამისობის მონიტორინგი; სასწავლო ცხრილების დამტკიცებულ გეგმასთან შეჯერება; შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში მონაწილეობა; პროფესიული სტუდენტების კონსულტირება; სასწავლო პროცესის მონიტორინგი და მხარდაჭერა.

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის (პირადი საქმის) შესწავლისა და პროგრამის ხელმძღვანელთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც ფლობს პროგრამის პროფილის შესაბამის დარგობრივ კომპეტენციებს, წარმოდგენილი აქვს დადასტურებული კვალიფიკაცია და პრაქტიკული პროფესიული გამოცდილება სატრანსპორტო-საექსპედიტორო და ლოგისტიკის სფეროში. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობს როგორც პროგრამის შემუშავებისა და განახლების პროცესში, ისე მისი განხორციელების ეტაპზე.

დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებასთან ერთად, ახორციელებს დარგობრივ მოდულებს, რაც დამატებით აძლიერებს პროგრამის პრაქტიკულ სისწორეს, სწავლების რეალურ სამუშაო გარემოსთან შესაბამისობასა და სასწავლო პროცესის ხარისხს. აღნიშნული პრაქტიკა არ ქმნის გადაფარვის ან ინტერესთა კონფლიქტის რისკს, არამედ უზრუნველყოფს პროგრამის მართვისა და სწავლების პროცესის ერთიან, კოორდინირებულ განხორციელებას.

პროგრამის ხელმძღვანელი სისტემურად იყენებს პოლიტიკით განსაზღვრულ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმილ, სტრუქტურირებულ და დროულ განხორციელებას, ასევე სწავლების ხარისხის მუდმივ მონიტორინგსა და გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ მიდგომას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება და მაღალი ჩართულობა სრულად შეესაბამება EP-QA პოლიტიკის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიან, მდგრად და ხარისხზე ორიენტირებულ მართვას.

ინდიკატორი 2.2.1.4. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. კერძოდ:
ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიბლიოთეკისა და დამატებითი სასწავლო სივრცეების დათვალიერება, ასევე შერჩევითი პრინციპით შეამოწმა „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსები. ბიბლიოთეკართან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე არსებული მდგომარეობა შეფასდა როგორც სანდო და მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი.

დადგინდა, რომ პროგრამის მოდულებით განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. კერძოდ, აკადემიის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია მოდულების მიხედვით შერჩეული ბეჭდური სასწავლო მასალები, რომლებიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების დაცვით და თავისუფლად ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ისე პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლებისთვის.

ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. სასწავლო მასალები ინახება სპეციალურ მყარ დისკებზე, საიდანაც შესაძლებელია მათი გადატანა, ბეჭდვა ან ელექტრონულად გამოყენება. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საჭირო მასალები მიიღონ ელექტრონული ფოსტის საშუალებით ან შესაბამისი ამონარიდები ბეჭდური სახით.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან, რაც უზრუნველყოფს „ტვირთების ექსპედირების“ პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტებისა და რეგულაციების განახლებულ ვერსიებზე მუდმივ წვდომას. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სატრანსპორტო-საექსპედიტორო და ლოგისტიკური საქმიანობის სფეროში მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს შესასწავლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რაც უზრუნველყოფს მომსახურების პირობების საჯაროობას, რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას და უსაფრთხო, ორგანიზებულ სასწავლო გარემოს შექმნას.

ექსპერტთა შეფასებით, „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო და მატერიალური რესურსები არის რელევანტური, მრავალფეროვანი და სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. რესურსებზე წვდომა ორგანიზებულია გამჭვირვალედ – როგორც ბიბლიოთეკაში, ისე სასწავლო გარემოებსა და ელექტრონული რესურსების მეშვეობით – რაც დადებითად აისახება სასწავლო პროცესის ეფექტიანობაზე.

ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისობაშია

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კერძოდ: ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სასწავლო პირობები, რომლებიც გამოიყენება „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის. სასწავლო სივრცეების დათვალიერებისა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურულ პირობებს, მათ შორის ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნას.

აკადემიის იმ სასწავლო კორპუსში, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცეები, უზრუნველყოფილია მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი ხელმისაწვდომობა. კერძოდ, შენობა აღჭურვილია კიბეებზე ასასვლელი და ჩამოსასვლელი სპეციალური მოწყობილობებით, რაც უზრუნველყოფს შეზღუდული მობილობის მქონე პირების დამოუკიდებელ გადაადგილებას. ასევე, აკადემიაში ფუნქციონირებს ადაპტირებული სველი წერტილები, რომლებიც სრულად შეესაბამება უნივერსალური დიზაინის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

A და B ტიპის სასწავლო სივრცეებში შესაძლებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს ორგანიზება, მათ შორის მოსარგები სამუშაო ადგილებისა და სივრცის მოქნილი განლაგების საშუალებით. C ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც გამოიყენება „ტვირთების ექსპედირების“ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად, ასევე აკმაყოფილებს ბაზისური ხელმისაწვდომობის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს პრაქტიკული საქმიანობის უსაფრთხო პირობებში განხორციელებას.კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფს სამუშაო ადგილის ადაპტირებას ან საჭიროების შემთხვევაში მის მოდიფიცირებას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტებისათვის პროფესიული განათლების მიწოდება იგეგმება ინდივიდუალურად მათი საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით, რისთვისაც საზღვაო აკადემია უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. ინკლუზიური საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის აკადემიას წინარე ხელშეკრულებით მოწვეული ყავს შესაბამისი სპეციალისტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ჩაერთვება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესში.

აკადემიის ბიბლიოთეკისა და საინფორმაციო რესურსების გამოყენება ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვისაც. ბიბლიოთეკის სივრცეებში უზრუნველყოფილია მობილობის შეზღუდვის მქონე პირების თავისუფალი გადაადგილება, ხოლო კომპიუტერული კლასები იძლევა სამუშაო ადგილის ადაპტირების ან საჭიროების შემთხვევაში მისი მოდიფიცირების შესაძლებლობას.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ უზრუნველყოფილი ინფრასტრუქტურა და სასწავლო სივრცეების ადაპტირება სრულ თანხვედრაშია პროფესიული განათლების სტანდარტის მოთხოვნებთან. „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს უსაფრთხო, ხელმისაწვდომ და ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, რაც ყველა პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს, აძლევს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.6. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. კერძოდ:
ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. დოკუმენტის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ბიუჯეტი ჩამოყალიბებულია გამჭვირვალე, ეკონომიკურად გონივრული და სტანდარტებთან შესაბამისი პრინციპებით.
1. ბიუჯეტის სტრუქტურა და შემოსავლების ნაწილი
საპროგნოზო ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი დაფუძნებულია **სწავლის საფასურზე**, რომლის მოცულობა განსაზღვრულია უნივერსიტეტის ფინანსური პოლიტიკის შესაბამისად. შემოსავლის პროგნოზი ეფუძნება **ზღვრული რაოდენობისა და მინიმალური დასაშვები ჯგუფის ანალიზს**, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.
2. ხარჯვითი ნაწილი – დეტალური და რეალისტური განაწილება
ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მოიცავს პროგრამის სრულფასოვანი განხორციელებისთვის აუცილებელ ყველა პოზიციას, მათ შორის:

- **პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივ ანაზღაურებას,**
- **ადმინისტრაციული და დამხმარე პრსონალის შრომის ანაზღაურება**
- **კომუნალურ ხარჯებს,**
- **პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს (მივლინება, კადრის მომზადება, ელ. პლატფორმა და სხვა)**

ხარჯების ასეთი სტრუქტურა ასახავს პროგრამის განხორციელების რეალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტობას.

ბიუჯეტირება ეფუძნება **მინიმალური ჯგუფის ფორმირების პრინციპს**, რაც უნივერსიტეტში განსაზღვრულია როგორც ფინანსური მდგრადობის პირობა.
ანალიზის მიხედვით, „ტვირთების ექსპედირების“ პროგრამის **რენტაბელობის ზღვარი** არის ჯგუფში 15 პროფესიული სტუდენტი, რომლის პირობებშიც პროგრამა ოპერატიულ ხარჯებს სრულად ფარავს და შესაძლებელია მისი მიმდინარეობა ხარისხის ზიანის გარეშე. განხილული მონაცემებით დგინდება, რომ:

- საპროგნოზო ბიუჯეტი რეალისტურად მოიაზრებს ყველა აუცილებელ ხარჯს,
- შემოსავალი შეესაბამება უნივერსიტეტის ფინანსური პოლიტიკის ფარგლებში გათვლილ მოდელს,
- პროგრამა ფინანსურად განხორციელებადია როგორც ზღვრულ, ისე ოპტიმალურ რაოდენობაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასკვნა

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ წარმოდგენილი „ტვირთების ექსპედირების“ პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი:

- **სტანდარტებთან შესაბამისია**,
- **უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად განხორციელებას**,
- **გათვლილია საჭირო მინიმუმზე**,

რაც აძლიერებს ფინანსური დაგეგმვის პასუხისმგებლიან მიდგომას.

ბიუჯეტი ასახავს უნივერსიტეტის სისტემურ მიდგომას ფინანსურ მართვაში და ქმნის საფუძველს პროგრამის ხარისხიანი და უწყვეტი რეალიზაციისთვის.

ინდიკატორი 2.2.1.7. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დოკუმენტაცია საქარტველოს საკანონმდებლო მაცნეს შესყიდვის შესახებ;
- სტრუქტურული ერთეულები, სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- განმახორციელებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ვებ გვერდი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;კერძოდ: ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ დამტკიცებული „პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი“, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და განვითარების ძირითად პროცესებს. დოკუმენტი ქმნის პროფესიული განათლების ხარისხის მართვის ერთიან, სისტემურ და პროცედურულად გაწერილ ჩარჩოს და უზრუნველყოფს პროცესების თანმიმდევრულ და გამჭვირვალე განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადგენილი წესების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ეფუძნება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს, მათ შორის: შრომის ბაზრის კვლევის შედეგების რეგულარულ ანალიზს; დაინტერესებული მხარეების – პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, დამსაქმებლებისა და პარტნიორი ორგანიზაციების უკუკავშირს; ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებას; ასევე პროგრამის შინაარსისა და მისაღწევი შედეგების პერიოდულ გადახედვას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამების აქტუალობისა და შესაბამისობის სისტემურ შემოწმებას როგორც შიდა, ისე გარე მოთხოვნებთან მიმართებით.

ამასთან, აკადემიაში მოქმედი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ დეტალურად განსაზღვრავს პროგრამების შიდა შეფასების პროცედურებს, შეფასების განხორციელების პერიოდულობას, ცვლილებების შეტანის წესებსა და საფუძვლებს, ასევე პროცესში ჩართული პასუხისმგებელი პირების ფუნქციებს. მეთოდოლოგიაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის სრული ლოგიკა (Plan–Do–Check–Act), რაც უზრუნველყოფს პროგრამების უწყვეტ მონიტორინგს და დაგეგმილი შედეგების მიღწევის კონტროლს.

ექსპერტებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემურად ახორციელებს ხარისხის მართვის ფუნქციებს. სამსახური ატარებს პერიოდულ კვლევებს, იყენებს წინასწარ შემუშავებულ და დამტკიცებულ კითხვარებს, აანალიზებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების შეფასებებს და ამზადებს რეკომენდაციებს პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. კვლევების შედეგები გამოიყენება როგორც მიმდინარე სასწავლო პროცესის დახვეწისა და ოპტიმიზაციისთვის, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების დაგეგმვისას.

ექსპერტთა შეფასებით, აკადემიაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციები და პრაქტიკა ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების ეფექტიან და მდგრად სისტემას, რაც ხელს უწყობს პროგრამების ხარისხის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 2.3.1.1. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.კერძოდ:

ასევე განსაზღვრავს პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესებს.

ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- მოიძებნება შესაბამისი საფუძველი შეფასების პროცესში,
- არსებობს დადასტურებული საჭიროება შრომის ბაზრის ან მოთხოვნების ცვლილების გამო,
- მიღებულია უკუკავშირი დაინტერესებული მხარეებისგან.

მსგავსი მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამის სტაბილურობას, მაგრამ არასოდეს უშლის ხელს მის დროულ განახლებას.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მოქმედი შიდა რეგულაციები, მეთოდოლოგიები და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან.

„ტვირთების ექსპედირების“ პროგრამაზე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი:

- არის სისტემური და პროცესზე დაფუძნებული,
- მოიცავს მრავალწყაროიან შეფასებას,
- ეფუძნება ხარისხის ციკლის პრინციპს,
- უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივ და სტრუქტურულ განახლებას საჭიროების შემთხვევაში.

ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს პროგრამის მდგრად და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამის განხორციელებას.

ინდიკატორი 2.3.1.2. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA პოლიტიკა;
- ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

4. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილი სასწავლო გეგმა წარმოდგენილია მკაფიო, თანმიმდევრულ და ლოგიკურად გააზრებულ სტრუქტურად. დადგინდა, რომ გეგმა სრულად შეესაბამება სამუშაო სტანდარტის მოთხოვნებს და შეიცავს მის მიერ რეკომენდირებულ უმთავრეს ელემენტებს.

„ტვირთების ექსპედირების“ პროგრამის სასწავლო გეგმა:

- ასახავს მოდულების თანმიმდევრობას,
- განსაზღვრავს თითოეული მოდულის განხორციელების კვირობრივ განრიგს,
- უზრუნველყოფს საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების მკაფიო გაწერას.

გეგმა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას – დაწყებული საბაზისო ცოდნის ფორმირებიდან, დასრულებული ტვირთების ესპედირების მომსახურების პრაქტიკული უნარ-ჩვევების დამუშავებამდე.

სასწავლო გეგმის საფუძველზე უნივერსიტეტი ადგენს პროფესიული სტუდენტების მეცადინეობის ცხრილს, რაც საშუალებას იძლევა:

- სწავლის პროცესის ეფექტური ორგანიზაცია,
- სამუშაო საათების სწორად გადანაწილება,
- თეორიული და პრაქტიკული ნაწილის გონივრული გაწერა.

ეს უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების გამართულობას და მოდულების ერთმანეთთან თანხვედრას.

სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მიდგომას იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე ჩაირიცხება არაქართულენოვანი სტუდენტები. მათთვის გათვალისწინებულია ქართული ენის შემავსებელი მოდული, რაც უზრუნველყოფს:

- სასწავლო პროცესში თანაბარ ჩართულობას,
- პროფესიული ლექსიკის დაუფლებას,
- სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

გამოკვლეული დოკუმენტაციისა და გასაუბრებებზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო სტანდარტის მიხედვით, არცერთ პროფესიულ მოდულს არ გააჩნია წინაპირობა თუმცა, სასწავლო გეგმა შედგენილი იყო ისე, რომ პროფესიული სტუდენტი ერთდროულად იწყებდა ყველა პროფესიული მოდულის შესწავლას. ამასთან მოდულის ინფორმაციული წიგნიერება დაგეგმილი არ იყო სწავლის დასაწყისში, რაც უზრუნველყოფდა სტუდენტებისთვის იმ კომპეტენციების გამომუშავებას რაც მათ გაუმარტივებდა პროგრამით გათვალისწინებული ელექტრონულ პროგრამებში მუშაობის და ელექტრონული დოკუმენტაციის შედგენის შესწავლას.

პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევადობის გამარტივების და სასწავლო პროცესის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებას მიეცა სასწავლო გეგმის მოდიფიცირების რეკომენდაცია. დაწესებულებამ გაიზიარა გაცემული რეკომენდაცია ვიზიტის ფარგლებშივე განახორციელა გეგმის ცვლილება. მოდულის ინფორმაციული წიგნიერება განხორციელება დაიგეგმა პირველივე კვირიდან, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს რომლებიც არ ფლობენ კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს, შეისწავლონ ინფორმაციული ტექნოლოგიები და თავისუფლად შეძლონ შემდეგში ლოგისტიკური პროგრამების გამოყენება სასწავლო პროცესში, პროფესიული მოდულები: „სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის განხორციელება“, „ტვირთის გადაზიდვის კონტროლი“ და „სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის ხარისხის კონტროლი“ განხორციელება დაიგეგმა მერე ეტაპზე, 21-ე სასწავლო კვირიდან. მოდულების ამგვარი გადანაწილება უფრო თანმიმდევრულს და საინტერესოს ხდის სასწავლო პროცესს, ამასთან კვირეული საათობრივი დატვირთვა, არ სცდება 40 საათს.

ექსპერტთა შეფასებით, „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას:

- სასწავლო გეგმა არის შინაარსობრივად და სტრუქტურულად გამართული,
- მოდულების თანმიმდევრობა და განაწილება დამკვირვებელი ლოგიკით არის ჩამოყალიბებული,
- პროგრამის განხორციელება დაგეგმილია დამტკიცებული სასწავლო გეგმის სრული დაცვით.

ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული სტუდენტების სტატუსის, უფლებებისა და ადმინისტრაციული პროცედურების მართვა ხორციელდება რექტორის 2023 წლის 24 იანვრის №12§17 ბრძანებით დამტკიცებული **„პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის“** საფუძველზე. დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს:

- პროფესიული სტუდენტის **სტატუსის შეჩერების** და **შეწყვეტის** წესებს,
- **მობილობის** განხორციელების პირობებს,
- მიღებული განათლების **აღიარების** პრინციპებს,
- პროგრამის **შეცვლის ან გაუქმების** შემთხვევაში შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს.
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ მათვის ცნობილია მობილობის შესაზებლობის და წესების შესახებ.

სტუდენტზე ორიენტირებული ადმინისტრირება

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ უნივერსიტეტი სრულად იცავს მოქმედ რეგულაციებს და პრაქტიკაში იყენებს მოქნილ, სტუდენტზე მორგებულ მიდგომებს. განხორციელებული ვიზიტისას გამოიკვეთა რამდენიმე ტიპური პრინციპი:

- თუ პროფესიული სტუდენტი დასაქმებულია პროგრამის პროფილის მიხედვით, უნივერსიტეტი ცდილობს, **სასწავლო ცხრილი და შეფასების პროცესები** ისე დაგეგმოს, რომ მათი სამუშაო გრაფიკი მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული. აღნიშნული დადასტურდა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას ეს პრაქტიკა ხელს უწყობს სტუდენტების წარმატებულ ჩართულობას და უზრუნველყოფს სწავლის პროცესის შეწყობას ყოველგვარი დამატებითი ბიუროკრატიული სირთულეების გარეშე.

შეფასების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემა

დაწესებულებაში მოქმედი პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემა ადგენს:

- შეფასების **კრიტერიუმების წინასწარ გაცნობას**,
- შეფასების პროცესის **ორგანიზებულობას**,
- ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფუნქციონირებს როგორც მიმდინარე, ისე საბოლოო შეფასების მექანიზმები, ხოლო შეფასების ცვლილების ან გადავადების შემთხვევები ხდება განსაზღვრული წესის დაცვით. სტუდენტებთან და კურსდამტავრებულებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათთვის ცნობილი იყო შეფასების კრიტერიუმების შესახებ და რომ ცნობილია გასაჩივრების შესაძლებლობა

დასკვნა

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია სრულად უზრუნველყოფს:

- პროფესიული სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცესების სწორ მართვას,
- რეალურ სტუდენტურ საჭიროებებზე მორგებულ მოქნილ მიდგომებს,
- ობიექტურ და გამჭვირვალე შეფასების პრაქტიკას.

აღნიშნული მექანიზმები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან და სტუდენტთა წარმატებაზე ორიენტირებულ მიდგომად შეიძლება ჩაითვალოს.

ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;კერძოდ:

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული განათლების ცენტრი უზრუნველყოფს, რომ „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების პროცესში ინტეგრირებული იყოს სწავლების თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომები და სატრანსპორტო-საექსპედიტორო დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიები. აკადემიაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ქმნის შესაძლებლობას, რომ სწავლება განხორციელდეს რეალურ სამუშაო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში, რაც ხელს უწყობს პროფესიული კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის ფარგლებში აქტიურად გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქეის-სტადიები, სიტუაციური ანალიზი, პროფესიული როლების იმიტაცია, დემონსტრაციებისა და პრაქტიკული დავალებების კომბინაცია, თანასწორებს შორის სწავლების (peer-learning) ელემენტები და ინტერაქტიური ჯგუფური მუშაობა. აღნიშნული მიდგომები სტუდენტებს საშუალებას აძლევს რეალური სატრანსპორტო-საექსპედიტორო პროცესების ანალიზისა და პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღების უნარები განივითაროონ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების პროცესში გამოიყენება იმიტირებული და სიმულაციური სასწავლო გარემოები, რომლებიც ასახავს ტვირთების ექსპედირების პროცესების ძირითად ეტაპებს, მათ შორის სატრანსპორტო ოპერაციების დაგეგმვას, დოკუმენტაციის დამუშავებას, ტვირთის გადაზიდვის კონტროლსა და ხარისხის მონიტორინგს. პრაქტიკული უნარების დასამუშავებლად გამოყენებულია შესაბამისი სასწავლო მასალები, ინვენტარი და ტექნიკური საშუალებები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ეტაპობრივ მომზადებას რეალური სამუშაო გარემოსთვის.

„ტვირთების ექსპედირების“ პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური ფორმით. ელექტრონული მასალები განთავსებულია აკადემიის ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებში, სასწავლო სივრცეების კომპიუტერებში და შესაბამის ციფრულ პლატფორმებზე, რაც ზრდის პროფესიული სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის შესაძლებლობას და ამარტივებს სასწავლო რესურსებზე ოპერატიულ წვდომას. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებს აქვთ ბეჭდური მასალების გამოყენების შესაძლებლობაც.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები არის თანამედროვე, დარგის სპეციფიკასთან თავსებადი და პროფესიული სტუდენტების პრაქტიკულ განვითარებაზე ორიენტირებული. სწავლების პროცესში ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს მოდერნიზაციას, ხოლო აქტიური სწავლების ფორმები ზრდის სტუდენტთა ჩართულობას და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.
ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში „ტვირთების ექსპედირების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და სატრანსპორტო-საექსპედიტორო დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. აღნიშნული პრაქტიკა სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ საჭირო კომპეტენციების ეფექტიან და პრაქტიკულად ორიენტირებულ განვითარებას.

ინდიკატორი 2.4.1.3. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ მათთვის ცნობილია ინდივიადუალური სასწავლო გეგმის შესახებ. ცალკეულ შემთხვევაში, დასაქმებულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ გაცდენილი მასალის ანაზღაურე ხორციელდება პედაგოგებთან კონსულტაციებით ამასთან ხშირ შემთხვევაში აკადემიის გარემოში.

ინდიკატორი 2.4.1.4. შესაბამისობაშია

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით აკადემიას პარტნიორ ოგრანიზაციებთან შპს „ჯი ეს ჯი ფრეით ფორვარდინგ“, შპს „სოფმარი“, შპს „ტრანს ექსპედიცია ფოთი“, შპს „ჯა ლოჯისტიკა“, შპს „ექსპრესს ტრანს - შიპმენთ სერვისეზ“ და შპს „ნიუ ტრანს გრუპთან“ერთად ორგანიზებული აქვს ორგანიზებულია C ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც მორგებულია ტვირთების ექსპედირების საქმიანობის სპეციფიკაზე. პარტნიორ ორგანიზაციას 1 კვირით ადრე მიეწოდება სტუდენტების სია, რაც იძლევა სასწავლო პროცესის დაგეგმვის და შემდგომ უხარვეზო განხორციელების საშუალებას. ორგანიზაციას გამოყოფილი ყავს თანამშრომელი რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ „გადაზიდვის პროცესების ორგანიზება“ და „ტვირთისა და სატრანსპორტი საშუალებების მიკვლევადობა“ უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის მოთხოვნების დაცვით. სამუშაო გარემოები უზრუნველყოფს პროგრამიაზე მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გამტარუნარიანობას და შეესაბამება პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 2.4.1.5. შესაბამისობაშია

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

იმიტირებულ/სიმულაციურ გრემოებში უსაფრთხო სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია პსდ-ს მიერ პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი წესების გაცნობის და ისტრუქტაჟის გზით, ხოლო რეალურ სამუშაო გარემოში უსაფრთხოება უზრუნველყოფილია პარტნიორი ორგჰანიზაციის მიერ, რაც დასტურდება მემორანდუმით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.4.1.6. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის“
- ,,პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“
- ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;
- ინტერვიუს შედეგები

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.2.1 პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და შესაბამის პირებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა რეგულირდება აკადემიის რექტორის 2024 წლის 23 თებერვლის №01-62 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს შეფასების სისტემის ყველა არსებით კომპონენტს, მათ შორის: შეფასების ინსტრუმენტების შერჩევისა და შემუშავების პროცედურებს; შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების მიმართ მოთხოვნებს; შიდა მონიტორინგის მექანიზმებს; შეფასების ადმინისტრირების წესს; შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებულ საკითხებს; აპელაციისა და განმეორებითი შეფასების განხორციელების წესსა და ვადებს; ასევე მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის პროცედურებს. დოკუმენტში ასევე გაწერილია ნამუშევრების გასწორებისა და შეფასების ვადები და განმეორებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობები.

მარეგულირებელი წესის მიხედვით, შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს, რაც ქმნის შეფასების პროცესის სამართლებრივად და მეთოდოლოგიურად გამართულ ჩარჩოს.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელებულმა გასაუბრებებმა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან დაადასტურა, რომ შეფასების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება სრულად ეფუძნება აღნიშნული წესის მოთხოვნებს. მასწავლებლებმა განმარტეს, რომ ისინი ჯერ კიდევ მოდულის დაწყების ეტაპზე აცნობენ პროფესიულ სტუდენტებს შეფასების მიდგომებს, შეფასების ტიპებსა და კრიტერიუმებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის წინასწარ გამჭვირვალობას. ამასთან, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასება ხორციელდება მხოლოდ ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით და შეფასებამდე არანაკლებ ერთი კვირით ადრე შეფასების ინსტრუმენტი მზად არის, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას დროულად გაეცნონ შეფასების მოთხოვნებს და შესაბამისი მომზადება უზრუნველყონ.

გასაუბრებების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ პროფესიული სტუდენტები იცნობენ საკუთარ უფლებებს შეფასების პროცესში, მათ შორის შეფასების შედეგების მიღების, გასაჩივრებისა და განმეორებითი შეფასების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ შეფასების ადმინისტრირება ხორციელდება დადგენილი პროცედურების დაცვით, მათ შორის შეფასების ვადების, შეფასების შედეგების ოფიციალურად დაფიქსირებისა და სტუდენტებისთვის დროული ინფორმირების ნაწილში. გასაუბრებებისას ასევე გამოიკვეთა, რომ პერსონალი კარგად იცნობს აპელაციისა და განმეორებითი შეფასების წესს და მზად არის მისი გამოყენებისთვის საჭიროების შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი შეფასების დოკუმენტაციით და გასაუბრებების შედეგებით შეფასების სისტემა აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.4..2.1 შესაბამისობაშია.

2.4.2.2 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში შემუშავებული და დანერგილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს გამოყენებული შეფასების სისტემის შესაბამისობას პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან. აღნიშნული მექანიზმი წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის ნაწილს და დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2022 წლის 11 მარტის №4/14 გადაწყვეტილებით.

ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შეფასების სისტემის შემოწმებას სამ ძირითად მიმართულებით:

ა) შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია და ვერიფიკაცია;

ბ) შეფასების პროცესის ვერიფიკაცია;

გ) შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

მექანიზმი ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს. ვერიფიკაციის პროცესის ორგანიზება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ, შესაბამისი ვერიფიკაციის ჯგუფის ჩართულობით. განხორციელებული ვერიფიკაციის შედეგებზე ფორმდება დასკვნა, რომელიც რეკომენდაციების შემუშავების მიზნით წარედგინება პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს.

დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის განხორციელების დამადასტურებელი მტკიცებულებები, მათ შორის: ვერიფიკაციის გეგმები, შერჩევის მექანიზმები (რისკების სისტემა), ვერიფიკაციის დასკვნები და შესაბამისი დანართები. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება არა ფორმალურად, არამედ სტრუქტურირებულად და წინასწარ განსაზღვრული პროცედურების დაცვით.

ექსპერტთა მიერ შესწავლილი მასალების მიხედვით ასევე დადგინდა, რომ ვერიფიკაციის დასკვნების საფუძველზე დაწესებულებაში შედგა მაკორექტირებელი გეგმები, სადაც გაწერილია კონკრეტული ღონისძიებები, პასუხისმგებელი პირები და განხორციელების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვადები. აღნიშნული გეგმების შესრულება ექვემდებარება შემდგომ მონიტორინგს, რაც უზრუნველყოფს გამოვლენილი საკითხების რეაგირებასა და შეფასების სისტემის განვითარებას.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მოქმედი პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი ფუნქციონირებს რეგულაციის შესაბამისად, ეფუძნება მონაცემებსა და მტკიცებულებებს და ქმნის პირობებს შეფასების პროცესის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი 2.4.2.2 შესაბამისობაშია.

2.4.2.3 პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

კერძოდ:ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და შესაბამის პირებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის პროცესი რეგულირდება მოქმედი ნორმატიული დოკუმენტით – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (მუხლები 25 და 26). აღნიშნული რეგულაციის თანახმად, შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტები, შეფასების მტკიცებულებები და შეფასების უწყისები, ექვემდებარება წინასწარ განსაზღვრული წესით აღრიცხვასა და შენახვას. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან არანაკლებ 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს როგორც პროცესის გამჭვირვალობას, ისე საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის ხელახალ გადამოწმების შესაძლებლობას.

დაწესებულების წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ აღნიშნული წესები პრაქტიკაში სრულად ხორციელდება. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა შეფასებასთან დაკავშირებული აღრიცხვის მტკიცებულებები, რომლებიც არის სტრუქტურირებულად დალაგებული, დანომრილი და მიკვლევადი. წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა შესაძლებლობას, შეფასების პროცესის თითოეული ეტაპი იყოს ადვილად იდენტიფიცირებადი კონკრეტულ პროფესიულ სტუდენტთან, მოდულთან და შეფასების ინსტრუმენტთან მიმართებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, შეფასების მონაცემების აღრიცხვისა და შენახვის არსებული პრაქტიკა უზრუნველყოფს ინფორმაციის სანდოობას, ხელმისაწვდომობასა და დაცულობას, ხოლო რეგულაციისა და პრაქტიკის თანხვედრა მიუთითებს პროცესის ორგანიზებულ და პასუხისმგებლიან განხორციელებაზე.

ინდიკატორი 2.4.2.3 შესაბამისობაშია.

2.4.2.4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადასტურდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოიყენება არა მხოლოდ მიღწეული სწავლის შედეგების დასადგენად, არამედ სტუდენტების შემდგომი აკადემიური და პროფესიული განვითარების მხარდასაჭერად. პროფესიული განათლების მასწავლებლები განმსაზღვრელი შეფასების პარალელურად აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, რაც საშუალებას იძლევა სწავლის პროცესში დროულად გამოვლინდეს სტუდენტების ძლიერი მხარეები და განვითარების საჭიროებები. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების შედეგები პერიოდულად განიხილება პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალურ ფორმატში, რაც ხელს უწყობს შეფასების პროცესის გააზრებას და სწავლის შედეგებზე ორიენტირებულ უკუკავშირს.

გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროფესიული სტუდენტის მხრიდან დამატებითი კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებლები ახორციელებენ ინდივიდუალურ კონსულტირებას. ამ პროცესში სტუდენტს მიეწოდება განმარტებები შეფასების შედეგების შესახებ, განიხილება არსებული სირთულეები და ერთობლივად განისაზღვრება სწავლების პროცესის გაუმჯობესების შესაძლო გზები. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მიდგომები განსხვავებულია სტუდენტთა პიროვნული თავისებურებებისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას.

ამასთან, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზი გამოიყენება უფრო ფართო კონტექსტშიც – შეფასების პროცესის შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია ინიცირდეს სწავლების მეთოდების ან/და შეფასების სისტემის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული წინადადებები. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს როგორც სტუდენტების ინდივიდუალურ განვითარებას, ისე სასწავლო პროცესის ხარისხის ეტაპობრივ გაუმჯობესებას.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება არის მიზანმიმართული, განვითარებაზე ორიენტირებული და შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.4.2.4 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის“
- ,,პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“
- ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი
- „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი-ვერიფიკაცია
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში.
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება No.07-93 26.09.2025 წ.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ფოთი, წმ. გიორგის ქ. N 24
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	51

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	81

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

449

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია წარმოადგენს სპეციალიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს პროფესიული და უმაღლესი განათლების პროგრამებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზღვაო და მასთან მომიჯნავე დარგებში. აკადემიის მისია ეფუძნება კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას, კვლევითი საქმიანობის განვითარებასა და მიღებული ცოდნის საზოგადოებაში გავრცელებას, თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

აკადემიის სტრატეგიული ხედვის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება ორიენტირებულია შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კომპეტენციების მქონე, პროფესიული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის უნარის, გუნდური მუშაობის, პასუხისმგებლობისა და პიროვნული პოტენციალის რეალიზაციის უნარებით აღჭურვილი კადრების მომზადებაზე. ამ მიზნების მისაღწევად, აკადემია ახორციელებს როგორც პროფესიულ, ისე უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებსა და უწყვეტი განათლების კურსებს.

საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირება და შემუშავება მიმდინარეობს აკადემიის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და დადგენილი პროცედურების შესაბამისად, დაინტერესებული მხარეების ჩართულობითა და კოლეგიური განხილვის საფუძველზე. პროგრამის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კოორდინირებული მონაწილეობა, რაც ხელს უწყობს პროგრამის შინაარსის შესაბამისობას როგორც საგანმანათლებლო სტანდარტებთან, ისე პრაქტიკულ საჭიროებებთან.

ამ კონტექსტში, "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის" საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება თანხვედრაშია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მისიასთან და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან. რეგიონში ტურიზმისა და მომსახურების სექტორის განვითარება განაპირობებს კვალიფიციური პერსონალის მზარდ მოთხოვნას, რაც პროგრამის აქტუალურობასა და საჭიროებას ამყარებს.

პროგრამის შინაარსი პასუხობს თანამედროვე მომსახურების სექტორის მოთხოვნებს და მოიცავს იმ კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც დაკავშირებულია სერვისის ხარისხის მართვასთან, მომხმარებელთან ეფექტურ კომუნიკაციასთან, ოპერაციული პროცესების ორგანიზებასა და ჰიგიენის სტანდარტების დაცვასთან. შრომის ბაზრის ანალიზი და დამსაქმებელთა პოზიციები ადასტურებს პროგრამის შესაბამისობას პრაქტიკულ საჭიროებებთან.

პროგრამაში ინტეგრირებულია თეორიული სწავლება, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა პროფესიულ მზაობას და დასაქმების შესაძლებლობებს. აღნიშნული მიდგომა სრულ შესაბამისობაშია აკადემიის ხედვასთან, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს შრომის ბაზართან მჭიდრო კავშირსა და უწყვეტი განათლების განვითარებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის" პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება მიღებულია აკადემიის შიდა პოლიტიკების, ხარისხის უზრუნველყოფის წესებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისი კოლეგიური ორგანოების პროცედურების დაცვით. პროგრამა შეესაბამება აკადემიის მისიას, სტრატეგიულ მიზნებსა და რეგიონული განვითარების საჭიროებებს.

ინდიკატორი 2.1.1.1. შესაბამისობაშია

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: სსიპ სასწავლო უნივერსიტეტში – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი" დაშვების წინაპირობები და პროცედურები დარეგულირებულია აკადემიის მიერ დამტკიცებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით და სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული და გამჭვირვალე წესის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე იმ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე განათლება, ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება საკმარისია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის დადგენილ ვადაში. აღნიშნული პროცესი რეგულირდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესით და ინტეგრირებულია აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.

დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით და ასახულია პროგრამის დოკუმენტში(8.დაშვების წინაპირობა-სრული ზოგადი განათლება) პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ეტაპზე მოწმდება კანდიდატის შესაბამისობა პროგრამის მოთხოვნებთან, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში მისი ეფექტური ჩართულობისა და შედეგებზე გასვლის შესაძლებლობას.

სასწავლო პროცესის ორგანიზება და სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა სრულად ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი" რაც უზრუნველყოფს წინარე ცოდნისა და უნარების თანმიმდევრულ განვითარებას და სწავლის შედეგების ეტაპობრივ მიღწევას. საჭიროების შემთხვევაში, აკადემია იყენებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მექანიზმს, რაც დამატებით უზრუნველყოფს სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლის პროცესში ჩართულობას და შედეგების მიღწევას პროგრამის განხორციელების ვადაში

აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები არა მხოლოდ ფორმალურად არის დადგენილი, არამედ პრაქტიკაში რეალურად გამოიყენება იმგვარად, რომ პროგრამაზე დაშვებული პირები ფლობენ იმ აუცილებელ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფუძვლებს, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს წარმატებით დაეუფლონ "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის"პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

უნივერსიტეტში პროფესიული პროგრამის ჩარიცხვის პროცესი რეგულირდება „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესით (ND 2-F30)". სადაც განსაზღვრულია:

- განაცხადის მიღების წესი;
- გასაუბრების ორგანიზება და შეფასების კრიტერიუმები;
- შედეგების დაფიქსირება და სტუდენტის ჩარიცხვა ჯგუფში;
- სტატუსის მინიჭების ადმინისტრაციული პროცედურები.

ექსპერტებთან სამუშაო შეხვედრების ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ხორციელდება პროფესიული განათლების ცენტრის მიერ ჩამოყალიბებული შეფასების კომისიის მეშვეობით. აპლიკანტები გადიან მოტივაციურ გასაუბრებას, ქულები აისახება ელექტრონულ სისტემაში.

აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს შერჩევის პროცესის ობიექტურობასა და თანაბარ პირობებში განხორციელებას, უზრუნველყოფს აკადემიური და პროფესიული მოთხოვნების დაცვას, ქმნის ჯგუფების დაკომპლექტების ერთიან პრაქტიკას და საფუძველს უყრის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

"პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის"პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ჩარიცხვის პროცედურები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და გამჭვირვალედ, სრულად შეესაბამება მოქმედ ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოს, უზრუნველყოფს სამართლიან შერჩევას და ქმნის რეალურ შესაძლებლობას სწავლის შედეგების მიღწევისთვის. აღნიშნული მიდგომა თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ მიმართულებებთან.

ინდიკატორი 2.1.1.2. შესაბამისობაშია

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. სსიპ სასწავლო უნივერსიტეტში – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება აკადემიის მიერ დამტკიცებული შესაბამისი მეთოდოლოგიის საფუძველზე. აღნიშნული პროცესი რეგულირდება დოკუმენტით „პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესი“, რომელიც ადგენს როგორც კრიტერიუმებს, ისე გადაწყვეტილების მიღების ეტაპებს .მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ რესურსებსა და გარემოებებს, მათ შორის: სასწავლო გარემოს ტიპსა და გამტარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, პროგრამის ხანგრძლივობასა და სასწავლო გეგმის სპეციფიკას, აგრეთვე პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დადგენისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასწავლო სივრცეების რეალურ შესაძლებლობებს. კვოტა განისაზღვრება სასწავლო გარემოში არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობის მიხედვით და ეფუძნება ყველაზე შემზღუდავ რესურსს, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხიან და უსაფრთხო განხორციელებას

დადგენილი წესის შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა თითოეულ მიღებაზე მტკიცდება აკადემიის რექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების წარდგინების საფუძველზე. აღნიშნული პრაქტიკა ქმნის სტუდენტთა რაოდენობის რეალისტური დაგეგმვის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების პროცესის ორგანიზებულობასა და სტაბილურობას.
ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება მკაფიოდ დადგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით და პრაქტიკაში ხორციელდება იმგვარად, რომ გათვალისწინებულია როგორც სასწავლო გარემოს გამტარიანობა, ისე პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის, ადგილზე ვიზუალური დათვალიერებისა და ადმინისტრაციასთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ “პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის”პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია მოქმედი მეთოდოლოგიის შესაბამისადზღვრული რაოდენობის დასაბუთების პროცესში გამოყენებული იყო:

- სასწავლო გარემოს (აუდიტორიებისა და სხვა სივრცეების) დატვირთვის გრაფიკები;
- თითოეული სასწავლო გარემოს სიმძლავრის მაჩვენებლები, მათ შორის სამუშაო ადგილების რაოდენობა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- იმიტირებული სივრცეების შესახებ არსებული მონაცემები და სხვა.

განხორციელებული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული რესურსები სრულად უზრუნველყოფს 30 პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ეფექტიან განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის" პროგრამისთვის განსაზღვრული 30 პროფესიული სტუდენტი წარმოადგენს დასაშვებ და რეალისტურ ზღვრულ რაოდენობას.

ინდიკატორი 2.1.1.3. შესაბამისობაშია

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში სასწავლო რესურსების, მათ შორის მასალა-ნედლეულის დაგეგმვა, მიწოდება, შენახვა და გამოყენება ორგანიზებულია წინასწარ განსაზღვრული და დოკუმენტირებული წესის შესაბამისად (პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ND 2-F03 (დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 21 ივლისს № 01-142 ბრძანებით) მუხლი 23. სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების წესი). აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსების შესაბამისობსა პროგრამების შინაარსთან, სწავლების მეთოდებთან და თითოეული მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.

სასწავლო პროცესის მასალებითა და ნედლეულით უზრუნველყოფა ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკისდა პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით. რესურსების შერჩევა ეფუძნება მოდულების მოთხოვნებს და მიმართულია იმ პრაქტიკული ცოდნისა და უნარების განვითარებაზე, რომლებიც განსაზღვრულია პროგრამებით. აკადემია უზრუნველყოფს, რომ პროფესიულ სტუდენტებს ჰქონდეთ საჭირო რაოდენობისა და ხარისხის სასწავლო მასალაზე წვდომა, რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის უწყვეტობასა და შედეგიანობას.

მასალა-ნედლეულის შენახვა და გამოყენება ხორციელდება უსაფრთხოების, ჰიგიენური და გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვით. განსაზღვრული პასუხისმგებელი პირების ჩართულობით უზრუნველყოფილია რესურსების მიზნობრივი და რაციონალური გამოყენება, რაც ამცირებს როგორც არასათანადო მოხმარების, ისე სასწავლო პროცესის შეფერხების რისკებს. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლები უზრუნველყოფენ რესურსების გამოყენებას სწავლების მიზნების შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში ახდენენ მათი გამოყენების ადაპტაციას სასწავლო პროცესის დინამიკისა და სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
ამასთან, აკადემიაში დადგენილია სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის რეგულაცია (მუხლი 24. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის წესი), რაც უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაცვას და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შენარჩუნებას. მასალა-ნედლეულის გამოყენების სრული ციკლი -მიწოდებიდან უტილიზაციამდე - ორგანიზებულია ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. ზემოაღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში არსებული საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები ფუნქციურად უკავშირდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებს და ეფექტიანად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი" ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, ცალკეული მოდულებით დადგენილი სწავლის შედგების მიღწევა უზრუნველყოფილია ინტერაქციული ლექციების, სხვადასხვა ფოტო-ვიდეო მასალა ჩვენებით, სასწავლო მასალების დემონსტრირების და სტუდენტების მხრიდან პრაქტიკული დავალებების განხორციელების გზით. აკადემიის ფოთის ფილიალი ექსპლუატაციას უწევს მფლობელობაში არსებულ A და B გარემოებს, სამედიცინო კაბინეტს N210, უსაფრთხოების კაბინეტს 211, სიმულაციურ გარემოებს N 101 დსა 102, რაც ფარავს პროფესიული პროგრამის 16-ე დანართში მოცემულ მატერიალურ რესურსს.

ინდიკატორი 2.1.1.4. შესაბამისობაშია

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი" არ მოიცავს არჩევით მოდულს.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია

12. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ; კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების პროცედურა რეგულირდება უნივერსიტეტის წესდებითა და შიდა ნორმატიული აქტებით. წესდების მიხედვით, **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე და მათ ცვლილებებზე პასუხისმგებელი პირი არის რექტორი . აღნიშნული უფლებამოსილება განსაზღვრულია აკადემიის წესდებაში(მუხლი 7. პუნქტი 3. აკადემიის რექტორი კანონმდებლობისა და ამ წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში: დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულების წარდგინებით ამტკიცებს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებს) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესით ND 2-F09-01** (დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებით) პუნქტი 9. ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს რექტორი ბრძანებით.

“პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის”პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია შესაბამისი სამუშაო ჯგუფის წარდგინებით რექტორის მიერ No.07-93 26.09.2025წ. ექსპერთა ჯგუფი გაეცნო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ ჯგუფის შექმნის ბრძნებას და შემუშავების პროცესის ამსახველ დოკუმენტაცია.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის დამტკიცების პროცედურა სრულად შეესაბამება წესდებით განსაზღვრულ უფლებამოსილებასა და გადაწყვეტილების მიღების ფორმატს. პროცესი არის ფორმალურად გამართული, გამჭვირვალე და უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცდეს შესაბამისი ორგანოს მიერ, სათანადო დასაბუთებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.1.1.6. შესაბამისობაშია

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს პროგრამის შინაარსობრივ მიმართულებას და სრულ შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან. პროგრამის სტრუქტურა აგებულია ისე, რომ ეტაპობრივად ფარავს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობისათვის აუცილებელ ყველა ძირითად კომპონენტს – ორგანიზაციულ, სამართლებრივ, დაგეგმვის, დოკუმენტირების, განხორციელებისა და კონტროლის მიმართულებებს.

პროგრამა მოიცავს შემდეგ მოდულებს:

- ნავსადგურში მუშაობისას ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხოება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პორტის ინფრასატრუქტურის, აღჭურვილობის იდენტიფიცირება და გამოყენება
- პორტის საშუალებით საქონლისა და ტვირთის გადაზიდვა
- სამართლებრივი რეგულირება საპორტო ოპერაციებში
- პორტის ოპერაციების შესრულება
- სასაქონლო დოკუმენტაციის დამუშავება
- პორტის ოპერაციებში არსებული წყაროების მართვა
- გუნდის ლიდერობის პრინციპები
- საპორტო ოპერაციების გუნდის წევრთა მართვა

აღნიშნული მოდულები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შემდეგი სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ, პროფესიულ სტუდენტს შეუძლია:

- დაგეგმოს და განახორციელოს მარაგის საჭირო დონის შენახვისათვის მინიმალური ხარჯები;
- გამართოს მოლაპარაკებები მომწოდებლებთან კონტრაქტებთან დაკავშირებით ხარისხის, ხარჯებისა და მიწოდების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;
- განახორციელოს საწყობისა და ინვენტარის სისტემების მონიტორინგი;
- განახორციელოს ზედამხედველობა საგზაო ავტოსატრანსპორტო საშუალებებში, მატარებლებში, ხომალდებზე თუ თვითმფრინავებში;
- განახორციელოს ჩანაწერები საქონლის გადაადგილების მონიტორინგის მიზნით და უზრუნველყოს დროის ოპტიმალურ მონაკვეთში ხელახალი მომარაგება;
- დაამყაროს კავშირი სხვა დეპარტამენტებთან და მომხმარებლებთან საზღვრებს გარეთ გასატანი საქონლისა და მისი ექსპედირებისათვის წაყენებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;
- განახორციელოს ზედამხედველობა შესყიდვის, დასაწყობებისა და დისტრიბუციასთან დაკავშირებული ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციის შენახვაზე;
- დაგეგმოს, განახორციელოს და გაუწიოს მონიტორინგი შესყიდვების, დასაწყობებისა და დისტრიბუციის სტრატეგიას და პოლიტიკას;
- შეიმუშაოს და მართოს ბიუჯეტი ხარჯების კონტროლისა და რესურსების ეფექტური გამოყენების უზრუნველსაყოფად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შეიმუშაოს და მართოს ადმინისტრაციული პროცედურები;
- განახორციელოს ზედამხედველობა თანამშრომელთა შერჩევის, გადამზადებისა და მათ მიერ შესრულების სამუშაოს პროცესზე.

მოდულების შინაარსი და მათთან დაკავშირებული სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას და სრულად მოიცავს ლოგისტიკის სფეროში დასაქმებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება არის შინაარსობრივად გამართლებული, ზუსტი და არ ქმნის შეცდომაში შემყვან წარმოდგენას პროგრამის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებით.

ინდიკატორი 2.1.1.7. შესაბამისობაშია

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ:ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და აკადემიის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების სრული დაცვით. პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის თანახმად(ND 2-F09-01 დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებით.) პროგრამა დამტკიცებულია აკადემიის რექტორის შესაბამისი ბრძანებით (№05-141 26 / სექტემბერი / 2025 წ.ბრძანებით), პროგრამების დამტკიცების აქტის საფუძველზე, და სრულად შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასთან, შინაარსთან და განხორციელების პროცედურებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. შესაბამისად, პროგრამა აკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ ყველა მოთხოვნას.

პროგრამა დამტკიცებულია აკადემიის რექტორის იგი ეფუძნება საგანმანათლებლო სტანდარტს “ლოგისტიკა და პორტის მენეჯმენტი / Logistics and Port Management”

პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების დეტალური აღწერა შეფასების მიმართულებები, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. შესაბამისად, ქართული ენის მოდულ(ებ)ის გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე გამოცდის ან/და ტესტირების ჩაბარების გზით კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
აღნიშნული პირებისათვის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. („ქართული ენა A2"და „ქართული ენა" B1 მოდულები).

პროგრამის შემუშავების ეტაპზე გათვალისწინებული იქნა შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, დამსაქმებელთა საჭიროებები და დარგის განვითარების ტენდენციები, ამავე დროს, განსაზღვრულია პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა აკადემიის მიერ დამტკიცებული პროფესიული სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხიან განხორციელებასა და რესურსების ადეკვატურ განაწილებას.
ინდიკატორი 2.1.1.8. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტი" დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით No.07-93 26.09.2025წ. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალით
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი ND 2-F09-01 დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებითპროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ND 2-F03 (დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 21 ივლისს № 01-142 ბრძანებით) მუხლი 23. სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების წესი;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა ND 2-O06-01(დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2024 წლის 22 თებერვლის ბრძანებით № 01-58)
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით-
- სამუშაო შეხვედრების ფურცლებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სამსახურებრივი ბარათებით;
- აკადემიის მისია, ხედვა, ღირებულებებით - განთავსებული ვებგვერდზე https://bsma.edu.ge/page/akademiis-misia-xedva-girebulebebi

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ
7. პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
8. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სიმულაციურ გარემოში, აკადემიის შესაბამის სასწავლო სივრცეებში, სადაც უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და საგანმანათლებლო გარემო. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას.

აკადემიის სასწავლო კორპუსში "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის" პროგრამისთვის გამოყოფილია კეთილმოწყობილი და ტექნიკურად გამართული **A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები**, რომლებიც გამოიყენება თეორიული მეცადინეობების, და კომპიუტერზე დაფუძნებული ისეთი სასწავლო აქტივობების ჩასატარებლად, რაც გათალისწინებულია ზოგადი მოდულით ინფორმაციული წიგნიერება 2 და ცალკეული დარგობრივი მოდულებით და მიცავს სხვადასხვა სახის დოკუმენტაციის წარმოების წესების შესწავლას. პროგრამისათვის გათვალისწინებულია **A გარემო** (307) და **B** გარემო(310) აუდიტორიები, რომელიც აღჭურვილია ზღვრული რაოდენობის შესაბამისად.

ასევე C გარემო- სამედიცინო კაბინეტი და უსაფრთხოების ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების მოდულით გათვალისწინებული მატერიალური რესურსით და უზრუნველყოფს შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურებისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების გამომუშავებას

აღნიშნული სივრცეები ხელს უწყობს სასწავლო მასალის ეფექტიან მიწოდებას და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური და სასწავლო რესურსები არის რეალისტურად დაგეგმილი, ფაქტობრივად ხელმისაწვდომი და სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებსა და შინაარსთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.1.1. შესაბამისობაშია

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის"პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის წარმოდგენილია წინასწარ გაფორმებული ხელშეკრულებები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ და სტაბილურ განხორციელებას.

პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტს ჰყავს **ჯამში 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი**, რომელთაგან:

- **5 მასწავლებელი ახორციელებს ზოგად მოდულებს**
- **5 პროფესიული განათლების მასწავლებელი** პასუხისმგებელია პროგრამის პროფესიულ მოდულებზე.

ასეთი სტრუქტურა პროგრამის შინაარსობრივ მრავალფეროვნებას აერთიანებს და უზრუნველყოფს როგორც ზოგადი კომპეტენციების, ისე სარესტორნო სფეროში სპეციფიკური უნარების სრულფასოვან მიწოდებას.

ცალკეულ მოდულებზე აკადემიას ჰყავს მოდულზე **ორი განმახორციელებელი მასწავლებელი**, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს სრულფასოვნად ჩაანაცვლებენ. ეს ქმნის:

- პროგრამის უწყვეტობის გარანტიას,
- მოსალოდნელი რისკების მინიმიზაციას,
- მოდულების შესრულების დროულ უზრუნველყოფას.

ექსპერტთა შეფასებით, რესურსების ასეთი განაწილება წარმოადგენს კარგი პრაქტიკის მაგალითს.

წარდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ:

- ყველა განმახორციელებელი მასწავლებლის დატვირთვა შეესაბამება **„საქართველოს შრომის კოდექსის" მოთხოვნებს**,
- კვირაში საერთო სამუშაო დატვირთვა **არ აღემატება 40 საათს**,
- განაწილება ოპტიმალურია და არ ქმნის გადატვირთვის ან პროცესის შეფერხების ალბათობას.

პროგრამას დამატებული აქვს **განმახორციელებელი პერსონალის სია**, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას.

პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლით, კვალიფიკაციის დადასტურებითა და მათთან გასაუბრებით დადგინდა, რომ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- წარმოდგენილი მასწავლებლები ფლობენ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელ პროფესიულ და პედაგოგიურ კომპეტენციებს,
- პროფესიული გამოცდილება შესაბამისობაშია მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან,
- რაოდენობა და განაწილება სრულად უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივ და პრაქტიკულ განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის"პროგრამისათვის წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა, კვალიფიკაცია და დატვირთვის განაწილება **საკმარისია, რეალისტურია და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად, უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას**.

ინდიკატორი 2.2.1.2. შესაბამისობაშია

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებულმა გასაუბრებამ და მათი პირადი საქმეების შესწავლამ დაადასტურა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული განათლების მასწავლებლები სრულად აკმაყოფილებენ "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ კვალიფიკაციასა და პროფესიულ მოთხოვნებს.

მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია პროგრამის პროფილის შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის: შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები; სატრანსპორტო, ლოგისტიკური და ექსპედირების სფეროში სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები; ასევე პროფესიული პრაქტიკის დამადასტურებელი დოკუმენტები პარტნიორი ორგანიზაციებიდან. წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფლობს როგორც თეორიული ცოდნის გადაცემის, ისე პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის აუცილებელ პროფესიულ კომპეტენციებს.

დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებს აქვთ პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება სატრანსპორტო-საექსპედიტორო და ლოგისტიკური პროფილის მქონე ორგანიზაციებში, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს სასწავლო პროცესის პრაქტიკულ ორიენტაციას. ამასთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან მოწვეული სპეციალისტები – პარტნიორი ორგანიზაციების მოქმედი თანამშრომლები, რომელთა მონაწილეობა უზრუნველყოფს სწავლების შინაარსის შესაბამისობას რეალურ სამუშაო პროცესებთან, მოქმედ რეგულაციებთან და ინდუსტრიის მიმდინარე მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განვითარების აქტიური პრაქტიკა

გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელმა მასწავლებლებმა რეგულარულად გაიარეს პროფესიული განვითარებისა და გადამზადების კურსები, მათ შორის:

- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები
- უნარების განვითარების სააგენტოს ტრენინგები („სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება“);
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამები („პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით“).

აღნიშნული გადამზადების კურსები მნიშვნელოვნად აძლიერებს მასწავლებელთა პედაგოგიურ და პროფესიულ კომპეტენციებს და დადებითად აისახება მოდულების სწავლების ხარისხზე.

დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, აქტიურად არიან ჩართული: მოდულების შემუშავებისა და საჭიროების შემთხვევაში მათი ადაპტირების პროცესში; სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში; მოდულების განხორციელების მიმდინარეობის მონიტორინგში. აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს, რომ პროგრამის შინაარსი ეფუძნება კოლეგიურ თანამშრომლობასა და პრაქტიკულ პროფესიულ გამოცდილებას.

პროგრამის განმახორციელებელ ყველა მასწავლებელთან გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულებები, რომლებშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული სამართლებრივად მოთხოვნილი ძირითადი პირობები, კონკრეტული მოდულები, სამუშაო ფუნქციები, პასუხისმგებლობები და სასწავლო დატვირთვა. დადგინდა, რომ მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა, მათი კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება, პროფესიული განვითარების ისტორია და სამუშაო დატვირთვის რაციონალური განაწილება სრულად უზრუნველყოფს “პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიან, უწყვეტ და მდგრად განხორციელებას. მასწავლებელთა კომპეტენციები პირდაპირ უწყობს ხელს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აკადემიაში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა – EP-QA პოლიტიკა“ (დანართი EP-QA1.1) განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციისა და პროფესიული კომპეტენციების მოთხოვნებს. დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს შესაბამისი დარგისსპეციალისტი ან/და შესაბამის სფეროში პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი, რაც უზრუნველყოფს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტების ეფექტიან მართვას.

განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის ძირითადი ფუნქციები, მათ შორის: პროგრამის შინაარსობრივი და სტრუქტურული ანალიზი; სასწავლო პროცესის გეგმებთან შესაბამისობის მონიტორინგი; სასწავლო ცხრილების დამტკიცებულ გეგმასთან შეჯერება; შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში მონაწილეობა; პროფესიული სტუდენტების კონსულტირება; სასწავლო პროცესის მონიტორინგი და მხარდაჭერა.

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის (პირადი საქმის) შესწავლისა და პროგრამის ხელმძღვანელთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ “პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის ”პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც ფლობს პროგრამის პროფილის შესაბამის დარგობრივ კომპეტენციებს, წარმოდგენილი აქვს დადასტურებული კვალიფიკაცია და პრაქტიკული პროფესიული გამოცდილება სატრანსპორტო-საექსპედიტორო და ლოგისტიკის სფეროში. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობს როგორც პროგრამის შემუშავებისა და განახლების პროცესში, ისე მისი განხორციელებაში.

დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებასთან ერთად, ახორციელებს დარგობრივ მოდულებს, რაც დამატებით აძლიერებს პროგრამის პრაქტიკულ სისწორეს, სწავლების რეალურ სამუშაო გარემოსთან შესაბამისობასა და სასწავლო პროცესის ხარისხს. აღნიშნული პრაქტიკა არ ქმნის გადაფარვის ან ინტერესთა კონფლიქტის რისკს, არამედ უზრუნველყოფს პროგრამის მართვისა და სწავლების პროცესის ერთიან, კოორდინირებულ განხორციელებას.

პროგრამის ხელმძღვანელი სისტემურად იყენებს პოლიტიკით განსაზღვრულ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმილ, სტრუქტურირებულ და დროულ განხორციელებას, ასევე სწავლების ხარისხის მუდმივ მონიტორინგსა და გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ მიდგომას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება და მაღალი ჩართულობა სრულად შეესაბამება EP-QA პოლიტიკის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიან, მდგრად და ხარისხზე ორიენტირებულ მართვას.

ინდიკატორი 2.2.1.4. შესაბამისობაშია

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. კერძოდ:

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიბლიოთეკისა და დამატებითი სასწავლო სივრცეების დათვალიერება, ასევე შერჩევითი პრინციპით შეამოწმა "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსები. ბიბლიოთეკართან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე არსებული მდგომარეობა შეფასდა როგორც სანდო და მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი.

დადგინდა, რომ პროგრამის მოდულებით განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. კერძოდ, აკადემიის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია მოდულების მიხედვით შერჩეული ბეჭდური სასწავლო მასალები, რომლებიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების დაცვით და თავისუფლად ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ისე პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლებისთვის.

ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. სასწავლო მასალები ინახება სპეციალურ მყარ დისკებზე, საიდანაც შესაძლებელია მათი გადატანა, ბეჭდვა ან ელექტრონულად გამოყენება. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საჭირო მასალები მიიღონ ელექტრონული ფოსტის საშუალებით ან შესაბამისი ამონარიდები ბეჭდური სახით.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან, რაც უზრუნველყოფს "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის" პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რეგულაციების განახლებულ ვერსიებზე მუდმივ წვდომას. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სატრანსპორტო-საექსპედიტორო და ლოგისტიკური საქმიანობის სფეროში მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს შესასწავლად.

აკადემიის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რაც უზრუნველყოფს მომსახურების პირობების საჯაროობას, რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას და უსაფრთხო, ორგანიზებულ სასწავლო გარემოს შექმნას.

ექსპერტთა შეფასებით, "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო და მატერიალური რესურსები არის რელევანტური, მრავალფეროვანი და სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. რესურსებზე წვდომა ორგანიზებულია გამჭვირვალედ – როგორც ბიბლიოთეკაში, ისე სასწავლო გარემოებსა და ელექტრონული რესურსების მეშვეობით – რაც დადებითად აისახება სასწავლო პროცესის ეფექტიანობაზე.

ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისობაშია

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კერძოდ:ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სასწავლო პირობები, რომლებიც გამოიყენება "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის. სასწავლო სივრცეების დათვალიერებისა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურულ პირობებს, მათ შორის ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნას.

აკადემიის იმ სასწავლო კორპუსში, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცეები, უზრუნველყოფილია მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი ხელმისაწვდომობა. კერძოდ, შენობა აღჭურვილია კიბეებზე ასასვლელი და ჩამოსასვლელი სპეციალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოწყობილობებით, რაც უზრუნველყოფს შეზღუდული მობილობის მქონე პირების დამოუკიდებელ გადაადგილებას. ასევე, აკადემიაში ფუნქციონირებს ადაპტირებული სველი წერტილები, რომლებიც სრულად შეესაბამება უნივერსალური დიზაინის პრინციპებს.

A და B ტიპის სასწავლო სივრცეებში შესაძლებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს ორგანიზება, მათ შორის მოსარგები სამუშაო ადგილებისა და სივრცის მოქნილი განლაგების საშუალებით. C ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც გამოიყენება "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის" პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად, ასევე აკმაყოფილებს ბაზისური ხელმისაწვდომობის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს პრაქტიკული საქმიანობის უსაფრთხო პირობებში განხორციელებას.კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფს სამუშაო ადგილის ადაპტირებას ან საჭიროების შემთხვევაში მის მოდიფიცირებას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტებისათვის პროფესიული განათლების მიწოდება იგეგმება ინდივიდუალურად მათი საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით, რისთვისაც საზღვაო აკადემია უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. ინკლუზიური საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის აკადემიას წინარე ხელშეკრულებით მოწვეული ყავს შესაბამისი სპეციალისტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ჩაერთვება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესში.

აკადემიის ბიბლიოთეკისა და საინფორმაციო რესურსების გამოყენება ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვისაც. ბიბლიოთეკის სივრცეებში უზრუნველყოფილია მობილობის შეზღუდვის მქონე პირების თავისუფალი გადაადგილება, ხოლო კომპიუტერული კლასები იძლევა სამუშაო ადგილის ადაპტირების ან საჭიროების შემთხვევაში მისი მოდიფიცირების შესაძლებლობას.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ უზრუნველყოფილი ინფრასტრუქტურა და სასწავლო სივრცეების ადაპტირება სრულ თანხვედრაშია პროფესიული განათლების სტანდარტის მოთხოვნებთან. "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის"პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს უსაფრთხო, ხელმისაწვდომ და ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, რაც ყველა პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს, აძლევს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.1.6. შესაბამისობაშია

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. კერძოდ:
ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის"პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. დოკუმენტის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ბიუჯეტი ჩამოყალიბებულია გამჭვირვალე, ეკონომიკურად გონივრული და სტანდარტებთან შესაბამისი პრინციპებით.

საპროგნოზო ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი დაფუძნებულია **სწავლის საფასურზე**, რომლის მოცულობა განსაზღვრულია უნივერსიტეტის ფინანსური პოლიტიკის შესაბამისად. შემოსავლის პროგნოზი ეფუძნება **ზღვრული რაოდენობისა და მინიმალური დასაშვები ჯგუფის ანალიზს**, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მოიცავს პროგრამის სრულფასოვანი განხორციელებისთვის აუცილებელ ყველა პოზიციას, მათ შორის:

- **პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივ ანაზღაურებას,**
- **ადმინისტრაციული და დამხმარე პრსონალის შრომის ანაზღაურება**
- **კომუნალურ ხარჯებს,**
- **პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს (მივლინება, კადრის მომზადება, ელ. პლატფორმა და სხვა)**

ხარჯების ასეთი სტრუქტურა ასახავს პროგრამის განხორციელების რეალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტობას.

ბიუჯეტირება ეფუძნება **მინიმალური ჯგუფის ფორმირების პრინციპს**, რაც უნივერსიტეტში განსაზღვრულია როგორც ფინანსური მდგრადობის პირობა.
ანალიზის მიხედვით, "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის"პროგრამის **რენტაბელობის ზღვარი** არის ჯგუფში 13 პროფესიული სტუდენტი, რომლის პირობებშიც პროგრამა ოპერატიულ ხარჯებს სრულად ფარავს და შესაძლებელია მისი მიმდინარეობა ხარისხის ზიანის გარეშე.
განხილული მონაცემებით დგინდება, რომ:

- საპროგნოზო ბიუჯეტი რეალისტურად მოიაზრებს ყველა აუცილებელ ხარჯს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შემოსავალი შეესაბამება უნივერსიტეტის ფინანსური პოლიტიკის ფარგლებში გათვლილ მოდელს,
- პროგრამა ფინანსურად განხორციელებადია როგორც ზღვრულ, ისე ოპტიმალურ რაოდენობაზე.

დასკვნა

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ წარმოდგენილი "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის"პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი:

- **სტანდარტებთან შესაბამისია**,
- **უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად განხორციელებას**,
- **გათვლილია საჭირო მინიმუმზე**

რაც აძლიერებს ფინანსური დაგეგმვის პასუხისმგებლიან მიდგომას.

ბიუჯეტი ასახავს უნივერსიტეტის სისტემურ მიდგომას ფინანსურ მართვაში და ქმნის საფუძველს პროგრამის ხარისხიანი და უწყვეტი რეალიზაციისთვის.

ინდიკატორი 2.2.1.7. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დოკუმენტაცია საქარტველოს საკანონმდებლო მაცნეს შესყიდვის შესახებ;
- სტრუქტურული ერთეულები, სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- განმახორციელებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ვებ გვერდი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.; კერძოდ: ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ დამტკიცებული „პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი“, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და განვითარების ძირითად პროცესებს. დოკუმენტი ქმნის პროფესიული განათლების ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მართვის ერთიან, სისტემურ და პროცედურულად გაწერილ ჩარჩოს და უზრუნველყოფს პროცესების თანმიმდევრულ და გამჭვირვალე განხორციელებას.

დადგენილი წესების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ეფუძნება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს, მათ შორის: შრომის ბაზრის კვლევის შედეგების რეგულარულ ანალიზს; დაინტერესებული მხარეების – პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, დამსაქმებლებისა და პარტნიორი ორგანიზაციების უკუკავშირს; ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებას; ასევე პროგრამის შინაარსისა და მისაღწევი შედეგების პერიოდულ გადახედვას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამების აქტუალობისა და შესაბამისობის სისტემურ შემოწმებას როგორც შიდა, ისე გარე მოთხოვნებთან მიმართებით.

ამასთან, აკადემიაში მოქმედი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ დეტალურად განსაზღვრავს პროგრამების შიდა შეფასების პროცედურებს, შეფასების განხორციელების პერიოდულობას, ცვლილებების შეტანის წესებსა და საფუძვლებს, ასევე პროცესში ჩართული პასუხისმგებელი პირების ფუნქციებს. მეთოდოლოგიაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის სრული ლოგიკა (Plan–Do–Check–Act), რაც უზრუნველყოფს პროგრამების უწყვეტ მონიტორინგს და დაგეგმილი შედეგების მიღწევის კონტროლს.

ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემურად ახორციელებს ხარისხის მართვის ფუნქციებს. სამსახური ატარებს პერიოდულ კვლევებს, იყენებს წინასწარ შემუშავებულ და დამტკიცებულ კითხვარებს, აანალიზებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების შეფასებებს და ამზადებს რეკომენდაციებს პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. კვლევების შედეგები გამოიყენება როგორც მიმდინარე სასწავლო პროცესის დახვეწისა და ოპტიმიზაციისთვის, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების დაგეგმვისას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, აკადემიაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციები და პრაქტიკა ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების ეფექტიან და მდგრად სისტემას, რაც ხელს უწყობს პროგრამების ხარისხის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 2.3.1.1. შესაბამისობაშია

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.კერძოდ:

განსაზღვრავს პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესებს.

ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- მოიძებნება შესაბამისი საფუძველი შეფასების პროცესში,
- არსებობს დადასტურებული საჭიროება შრომის ბაზრის ან მოთხოვნების ცვლილების გამო,
- მიღებულია უკუკავშირი დაინტერესებული მხარეებისგან.

მსგავსი მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამის სტაბილურობას, მაგრამ არასოდეს უშლის ხელს მის დროულ განახლებას.

პროგრამის ხელმძღვანელმა გააჩნია პროჰგრამის შესაბამისი დარგობრივი, მიმდინარე პრაქტიკული გამოცდილება. მან აღნიშნა დარგში ოპერირებად ორგანიზაციებთან კომუნიკაცია, კურსდამთავრებულთა იმ უნარების დასადგენად, რომელიც საჭიროებს გაუმჯობესებას შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მოქმედი შიდა რეგულაციები, მეთოდოლოგიები და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან.

“პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის” პროგრამაზე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი:

- არის სისტემური და პროცესზე დაფუძნებული,
- მოიცავს მრავალწყაროიან შეფასებას,
- ეფუძნება ხარისხის ციკლის პრინციპს,
- უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივ და სტრუქტურულ განახლებას საჭიროების შემთხვევაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს პროგრამის მდგრად და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამის განხორციელებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA პოლიტიკა;
- ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან

ინდიკატორი 2.3.1.2. შესაბამისობაშია

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. კერძოდ:

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილი სასწავლო გეგმა წარმოდგენილია მკაფიო, თანმიმდევრულ და ლოგიკურად გააზრებულ სტრუქტურად. დადგინდა, რომ გეგმა სრულად შეესაბამება სამუშაო სტანდარტის მოთხოვნებს და შეიცავს მის მიერ რეკომენდირებულ უმთავრეს ელემენტებს.

"პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის" პროგრამის სასწავლო გეგმა:

- ასახავს მოდულების თანმიმდევრობას,
- განსაზღვრავს თითოეული მოდულის განხორციელების კვირობრივ განრიგს,
- უზრუნველყოფს საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების მკაფიო გაწერას.

გეგმა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას – დაწყებული საბაზისო ცოდნის ფორმირებიდან, დასრულებული პორტების ლოგისტიკის მართვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების დამუშავებამდე.

სასწავლო გეგმის საფუძველზე უნივერსიტეტი ადგენს პროფესიული სტუდენტების მეცადინეობის ცხრილს, რაც საშუალებას იძლევა:

- სწავლის პროცესის ეფექტური ორგანიზაცია,
- სამუშაო საათების სწორად გადანაწილება,
- თეორიული და პრაქტიკული ნაწილის გონივრული გაწერა.

ეს უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების გამართულობას და მოდულების ერთმანეთთან თანხვედრას.

სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მიდგომას იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე ჩაირიცხება არაქართულენოვანი სტუდენტები. მათთვის გათვალისწინებულია ქართული ენის შემავსებელი მოდული, რაც უზრუნველყოფს:

- სასწავლო პროცესში თანაბარ ჩართულობას,
- პროფესიული ლექსიკის დაუფლებას,
- სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

გამოკვლეული დოკუმენტაციისა და გასაუბრებებზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასწავლო გეგმა არის შინაარსობრივად და სტრუქტურულად გამართული,
- მოდულების თანმიმდევრობა და განაწილება დამკვირვებელი ლოგიკით არის ჩამოყალიბებული,
- პროგრამის განხორციელება დაგეგმილია დამტკიცებული სასწავლო გეგმის სრული დაცვით.

ექსპერტთა შეფასებით, "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის"პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას. გეგმა არის მკაფიოდ სტრუქტურირებული

ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული სტუდენტების სტატუსის, უფლებებისა და ადმინისტრაციული პროცედურების მართვა ხორციელდება რექტორის 2023 წლის 24 იანვრის №12§17 ბრძანებით დამტკიცებული **„პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის"** საფუძველზე. დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს:

- პროფესიული სტუდენტის **სტატუსის შეჩერების** და **შეწყვეტის** წესებს,
- **მობილობის** განხორციელების პირობებს,
- მიღებული განათლების **აღიარების** პრინციპებს,
- პროგრამის **შეცვლის ან გაუქმების** შემთხვევაში შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს.
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ მათვის ცნობილია მობილობის შესაზებლობის და წესების შესახებ.

სტუდენტზე ორიენტირებული ადმინისტრირება

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ უნივერსიტეტი სრულად იცავს მოქმედ რეგულაციებს და პრაქტიკაში იყენებს მოქნილ, სტუდენტზე მორგებულ მიდგომებს. განხორციელებული ვიზიტისას გამოიკვეთა რამდენიმე ტიპური პრინციპი:

- თუ პროფესიული სტუდენტი დასაქმებულია პროგრამის პროფილის მიხედვით, უნივერსიტეტი ცდილობს, **სასწავლო ცხრილი და შეფასების პროცესები** ისე დაგეგმოს, რომ მათი სამუშაო გრაფიკი მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული. აღნიშნული დადასტურდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას ეს პრაქტიკა ხელს უწყობს სტუდენტების წარმატებულ ჩართულობას და უზრუნველყოფს სწავლის პროცესის შეწყობას ყოველგვარი დამატებითი ბიუროკრატიული სირთულეების გარეშე.

შეფასების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემა

დაწესებულებაში მოქმედი პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემა ადგენს:

- შეფასების **კრიტერიუმების წინასწარ გაცნობას**,
- შეფასების პროცესის **ორგანიზებულობას**,
- ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას.

ფუნქციონირებს როგორც მიმდინარე, ისე საბოლოო შეფასების მექანიზმები, ხოლო შეფასების ცვლილების ან გადავადების შემთხვევები ხდება განსაზღვრული წესის დაცვით. სტუდენტებთან და კურსდამტავრებულებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათთვის ცნობილი იყო შეფასების კრიტერიუმების შესახებ და რომ ცნობილია გასაჩივრების შესაძლებლობა

დასკვნა

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია სრულად უზრუნველყოფს:

- პროფესიული სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცესების სწორ მართვას,
- რეალურ სტუდენტურ საჭიროებებზე მორგებულ მოქნილ მიდგომებს,
- ობიექტურ და გამჭვირვალე შეფასების პრაქტიკას.

სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მას შემდეგ რაც სწავლის პერიოდში გამოთქვეს რეალურ სამუშაო გარემოსთან გაცნობის სურვილი, პსდ-მ უზრუნველყო გაცნობითი პრაქტიკის განხორციელება პარტნიორი ორგანიზაციაში. რამაც კურსდამთავრებულთა თქმით გაზარდა თეორიული მასალის აღქმის დონე.

აღნიშნული მექანიზმები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან და სტუდენტთა წარმატებაზე ორიენტირებულ მიდგომად შეიძლება ჩაითვალოს.

ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;კერძოდ:

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული განათლების ცენტრი უზრუნველყოფს, რომ "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის"პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების პროცესში ინტეგრირებული იყოს სწავლების თანამედროვე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომები და სატრანსპორტო-საექსპედიტორო დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიები. აკადემიაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ქმნის შესაძლებლობას, რომ სწავლება განხორციელდეს რეალურ სამუშაო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში, რაც ხელს უწყობს პროფესიული კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას.
პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის ფარგლებში აქტიურად გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქეის-სტადიები, სიტუაციური ანალიზი, პროფესიული როლების იმიტაცია, დემონსტრაციებისა და პრაქტიკული დავალებების კომბინაცია, საწარმოო დოკუმენტაციის წაკითხვა და გაფორმება, თანასწორებს შორის სწავლების (peer-learning) ელემენტები და ინტერაქტიური ჯგუფური მუშაობა. აღნიშნული მიდგომები სტუდენტებს საშუალებას აძლევს რეალური საპორტო ლოგისტიკური პროცესების ანალიზისა და პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღების უნარები განივითაროს.

პროგრამის განხორციელების პროცესში გამოიყენება იმიტირებული და სიმულაციური სასწავლო გარემოები, რომლებიც ასახავს პორტის ლოგისტიკის მართვის პროცესების ძირითად ეტაპებს, მათ შორის საწყობისა და ინვენტარის მონიტორინგის განხორციელება, დაგეგმოს და მონიტორინგი გაუწიოს შესყიდვების, დასაწყობებისა და დისტრიბუციის სტრატეგიას, შეიმუშაოს და მართოს ადმინისტრაციული პროცედურები, განახორციელოს ზედამხედველობა თანამშრომელთა შერჩევის, გადამზადებისა და მათ მიერ შესრულების სამუშაოს პროცესზე. რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ეტაპობრივ მომზადებას რეალური სამუშაო გარემოსთვის.

“პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის” პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური ფორმით. ელექტრონული მასალები განთავსებულია აკადემიის ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებში, სასწავლო სივრცეების კომპიუტერებში და შესაბამის ციფრულ პლატფორმებზე, რაც ზრდის პროფესიული სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის შესაძლებლობას და ამარტივებს სასწავლო რესურსებზე ოპერატიულ წვდომას. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებს აქვთ ბეჭდური მასალების გამოყენების შესაძლებლობაც.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები არის თანამედროვე, დარგის სპეციფიკასთან თავსებადი და პროფესიული სტუდენტების პრაქტიკულ განვითარებაზე ორიენტირებული. სწავლების პროცესში ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს მოდერნიზაციას, ხოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტიური სწავლების ფორმები ზრდის სტუდენტთა ჩართულობას და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და სატრანსპორტო-საექსპედიტორო დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. აღნიშნული პრაქტიკა სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ საჭირო კომპეტენციების ეფექტიან და პრაქტიკულად ორიენტირებულ განვითარებას.

ინდიკატორი 2.4.1.3. შესაბამისობაშია

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ მათთვის ცნობილია ინდივიადუალური სასწავლო გეგმის შესახებ. ცალკეულ შემთხვევაში, დასაქმებულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ გაცდენილი მასალის ანაზღაურე ხორციელდება პედაგოგებთან კონსულტაციებით ამასთან ხშირ შემთხვევაში აკადემიის გარემოში.

ინდიკატორი 2.4.1.4. შესაბამისობაშია

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში

ინდიკატორი 2.4.1.5. შესაბამისობაშია

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

იმიტირებულ/სიმულაციურ გრემოებში უსაფრთხო სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია პსდ-ს მიერ პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი წესების გაცნობის და ისტრუქტაჟის გზით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.4.1.6. შესაბამისობაშია

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.2.1 პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და შესაბამის პირებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა რეგულირდება აკადემიის რექტორის 2024 წლის 23 თებერვლის №01-62 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“.

აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს შეფასების სისტემის ყველა არსებით კომპონენტს, მათ შორის: შეფასების ინსტრუმენტების შერჩევისა და შემუშავების პროცედურებს; შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების მიმართ მოთხოვნებს; შიდა მონიტორინგის მექანიზმებს; შეფასების ადმინისტრირების წესს; შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებულ საკითხებს; აპელაციისა და განმეორებითი შეფასების განხორციელების წესსა და ვადებს; ასევე მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის პროცედურებს. დოკუმენტში ასევე გაწერილია ნამუშევრების გასწორებისა და შეფასების ვადები და განმეორებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მარეგულირებელი წესის მიხედვით, შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს, რაც ქმნის შეფასების პროცესის სამართლებრივად და მეთოდოლოგიურად გამართულ ჩარჩოს.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელებულმა გასაუბრებებმა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან დაადასტურა, რომ შეფასების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება სრულად ეფუძნება აღნიშნული წესის მოთხოვნებს. მასწავლებლებმა განმარტეს, რომ ისინი ჯერ კიდევ მოდულის დაწყების ეტაპზე აცნობენ პროფესიულ სტუდენტებს შეფასების მიდგომებს, შეფასების ტიპებსა და კრიტერიუმებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის წინასწარ გამჭვირვალობას. ამასთან, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასება ხორციელდება მხოლოდ ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით და შეფასებამდე არანაკლებ ერთი კვირით ადრე შეფასების ინსტრუმენტი მზად არის, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას დროულად გაეცნონ შეფასების მოთხოვნებს და შესაბამისი მომზადება უზრუნველყონ.

გასაუბრებების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ პროფესიული სტუდენტები იცნობენ საკუთარ უფლებებს შეფასების პროცესში, მათ შორის შეფასების შედეგების მიღების, გასაჩივრებისა და განმეორებითი შეფასების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ შეფასების ადმინისტრირება ხორციელდება დადგენილი პროცედურების დაცვით, მათ შორის შეფასების ვადების, შეფასების შედეგების ოფიციალურად დაფიქსირებისა და სტუდენტებისთვის დროული ინფორმირების ნაწილში. გასაუბრებებისას ასევე გამოიკვეთა, რომ პერსონალი კარგად იცნობს აპელაციისა და განმეორებითი შეფასების წესს და მზად არის მისი გამოყენებისთვის საჭიროების შემთხვევაში.
წარმოდგენილი შეფასების დოკუმენტაციით და გასაუბრებების შედეგებით შეფასების სისტემა აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ინდიკატორი 2.4..2.1 შესაბამისობაშია.

2.4.2.2 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმსვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში შემუშავებული და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანერგილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს გამოყენებული შეფასების სისტემის შესაბამისობას პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან. აღნიშნული მექანიზმი წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის ნაწილს და დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2022 წლის 11 მარტის №4/14 გადაწყვეტილებით.

ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შეფასების სისტემის შემოწმებას სამ ძირითად მიმართულებით:

ა) შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია და ვერიფიკაცია;

ბ) შეფასების პროცესის ვერიფიკაცია;

გ) შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

მექანიზმი ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს. ვერიფიკაციის პროცესის ორგანიზება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ, შესაბამისი ვერიფიკაციის ჯგუფის ჩართულობით. განხორციელებული ვერიფიკაციის შედეგებზე ფორმდება დასკვნა, რომელიც რეკომენდაციების შემუშავების მიზნით წარედგინება პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს.

დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის განხორციელების დამადასტურებელი მტკიცებულებები, მათ შორის: ვერიფიკაციის გეგმები, შერჩევის მექანიზმები (რისკების სისტემა), ვერიფიკაციის დასკვნები და შესაბამისი დანართები. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება არა ფორმალურად, არამედ სტრუქტურირებულად და წინასწარ განსაზღვრული პროცედურების დაცვით.

ექსპერტთა მიერ შესწავლილი მასალების მიხედვით ასევე დადგინდა, რომ ვერიფიკაციის დასკვნების საფუძველზე დაწესებულებაში შედგა მაკორექტირებელი გეგმები, სადაც გაწერილია კონკრეტული ღონისძიებები, პასუხისმგებელი პირები და განხორციელების ვადები. აღნიშნული გეგმების შესრულება ექვემდებარება შემდგომ მონიტორინგს, რაც უზრუნველყოფს გამოვლენილი საკითხების რეაგირებასა და შეფასების სისტემის განვითარებას.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მოქმედი პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი ფუნქციონირებს რეგულაციის შესაბამისად, ეფუძნება მონაცემებსა და მტკიცებულებებს და ქმნის პირობებს შეფასების პროცესის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი 2.4.2.2 შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2.3 პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

კერძოდ:ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და შესაბამის პირებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის პროცესი რეგულირდება მოქმედი ნორმატიული დოკუმენტით – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (მუხლები 25 და 26). აღნიშნული რეგულაციის თანახმად, შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტები, შეფასების მტკიცებულებები და შეფასების უწყისები, ექვემდებარება წინასწარ განსაზღვრული წესით აღრიცხვასა და შენახვას. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან არანაკლებ 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს როგორც პროცესის გამჭვირვალობას, ისე საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის ხელახალ გადამოწმების შესაძლებლობას.

დაწესებულების წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ აღნიშნული წესები პრაქტიკაში სრულად ხორციელდება. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა შეფასებასთან დაკავშირებული აღრიცხვის მტკიცებულებები, რომლებიც არის სტრუქტურირებულად დალაგებული, დანომრილი და მიკვლევადი. წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა შესაძლებლობას, შეფასების პროცესის თითოეული ეტაპი იყოს ადვილად იდენტიფიცირებადი კონკრეტულ პროფესიულ სტუდენტთან, მოდულთან და შეფასების ინსტრუმენტთან მიმართებით.

ექსპერტთა შეფასებით, შეფასების მონაცემების აღრიცხვისა და შენახვის არსებული პრაქტიკა უზრუნველყოფს ინფორმაციის სანდოობას, ხელმისაწვდომობასა და დაცულობას, ხოლო რეგულაციისა და პრაქტიკის თანხვედრა მიუთითებს პროცესის ორგანიზებულ და პასუხისმგებლიან განხორციელებაზე.

ინდიკატორი 2.4.2.3 შესაბამისობაშია.

2.4.2.4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადასტურდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოიყენება არა მხოლოდ მიღწეული სწავლის შედეგების დასადგენად, არამედ სტუდენტების შემდგომი აკადემიური და პროფესიული განვითარების მხარდასაჭერად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლების მასწავლებლები განმსაზღვრელი შეფასების პარალელურად აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, რაც საშუალებას იძლევა სწავლის პროცესში დროულად გამოვლინდეს სტუდენტების ძლიერი მხარეები და განვითარების საჭიროებები. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების შედეგები პერიოდულად განიხილება პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალურ ფორმატში, რაც ხელს უწყობს შეფასების პროცესის გააზრებას და სწავლის შედეგებზე ორიენტირებულ უკუკავშირს.
გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროფესიული სტუდენტის მხრიდან დამატებითი კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებლები ახორციელებენ ინდივიდუალურ კონსულტირებას. ამ პროცესში სტუდენტს მიეწოდება განმარტებები შეფასების შედეგების შესახებ, განიხილება არსებული სირთულეები და ერთობლივად განისაზღვრება სწავლების პროცესის გაუმჯობესების შესაძლო გზები. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მიდგომები განსხვავებულია სტუდენტთა პიროვნული თავისებურებებისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას.
ამასთან, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზი გამოიყენება უფრო ფართო კონტექსტშიც – შეფასების პროცესის შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია ინიცირდეს სწავლების მეთოდების ან/და შეფასების სისტემის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული წინადადებები. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს როგორც სტუდენტების ინდივიდუალურ განვითარებას, ისე სასწავლო პროცესის ხარისხის ეტაპობრივ გაუმჯობესებას.
ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება არის მიზანმიმართული, განვითარებაზე ორიენტირებული და შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 2.4.2.4 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2022 წლის 11 მარტის № 4/14 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი - ვერიფიკაცია;
- პროგრამის შეფასების ინსტრუმენტები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საწყობის ოპერირება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საწყობის ოპერირებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0416
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება No.07-93 26.09.2025 წ.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ფოთი, წმ. გიორგის ქ. N 24

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

488

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალი წარმოადგენს სპეციალიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს პროფესიული და უმაღლესი განათლების პროგრამებს საზღვაო და მასთან მომიჯნავე დარგებში. აკადემიის მისია ეფუძნება კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას, კვლევითი საქმიანობის განვითარებასა და მიღებული ცოდნის საზოგადოებაში გავრცელებას, თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

აკადემიის სტრატეგიული ხედვის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება ორიენტირებულია შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კომპეტენციების მქონე, პროფესიული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის უნარის, გუნდური მუშაობის, პასუხისმგებლობისა და პიროვნული პოტენციალის რეალიზაციის უნარებით აღჭურვილი კადრების მომზადებაზე. ამ მიზნების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისაღწევად, აკადემია ახორციელებს როგორც პროფესიულ, ისე უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებსა და უწყვეტი განათლების კურსებს.

საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირება და შემუშავება მიმდინარეობს აკადემიის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და დადგენილი პროცედურების შესაბამისად, დაინტერესებული მხარეების ჩართულობითა და კოლეგიური განხილვის საფუძველზე. პროგრამის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კოორდინირებული მონაწილეობა, რაც ხელს უწყობს პროგრამის შინაარსის შესაბამისობას როგორც საგანმანათლებლო სტანდარტებთან, ისე პრაქტიკულ საჭიროებებთან.

ამ კონტექსტში, "საწყობის ოპერირების" საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება თანხვედრაშია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მისიასთან და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან. რეგიონში ტურიზმისა და მომსახურების სექტორის განვითარება განაპირობებს კვალიფიციური პერსონალის მზარდ მოთხოვნას, რაც პროგრამის აქტუალურობასა და საჭიროებას ამყარებს.

პროგრამის შინაარსი პასუხობს თანამედროვე მომსახურების სექტორის მოთხოვნებს და მოიცავს იმ კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც დაკავშირებულია სერვისის ხარისხის მართვასთან, მომხმარებელთან ეფექტურ კომუნიკაციასთან, ოპერაციული პროცესების ორგანიზებასა და ჰიგიენის სტანდარტების დაცვასთან. შრომის ბაზრის ანალიზი და დამსაქმებელთა პოზიციები ადასტურებს პროგრამის შესაბამისობას პრაქტიკულ საჭიროებებთან.

პროგრამაში ინტეგრირებულია თეორიული სწავლება და პრაქტიკული კომპონენტი პარტნიორ ორგანიზაციებში, რაც ზრდის სტუდენტთა პროფესიულ მზაობას და დასაქმების შესაძლებლობებს. აღნიშნული მიდგომა სრულ შესაბამისობაშია აკადემიის ხედვასთან, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლებას, შრომის ბაზართან მჭიდრო კავშირსა და უწყვეტი განათლების განვითარებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ "საწყობის ოპერირების" პროგრამის განხორციელების გადაწყვეტილება მიღებულია აკადემიის შიდა პოლიტიკების, ხარისხის უზრუნველყოფის წესებისა და შესაბამისი კოლეგიური ორგანოების პროცედურების დაცვით. პროგრამა შეესაბამება აკადემიის მისიას, სტრატეგიულ მიზნებსა და რეგიონული განვითარების საჭიროებებს.

ინდიკატორი 2.1.1.1. შესაბამისობაშია

2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედეგების მიღწევას. კერძოდ: სსიპ სასწავლო უნივერსიტეტში – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე "საწყობის ოპერირების" დაშვების წინაპირობები და პროცედურები დარეგულირებულია აკადემიის მიერ დამტკიცებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით და სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული და გამჭვირვალე წესის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე იმ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე განათლება, ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება საკმარისია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის დადგენილ ვადაში. აღნიშნული პროცესი რეგულირდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესით და ინტეგრირებულია აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში
დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით და ასახულია პროგრამის დოკუმენტში(8.დაშვების წინაპირობა-სრული ზოგადი განათლება) პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ეტაპზე მოწმდება კანდიდატის შესაბამისობა პროგრამის მოთხოვნებთან, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში მისი ეფექტური ჩართულობისა და შედეგებზე გასვლის შესაძლებლობას.
სასწავლო პროცესის ორგანიზება და სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა სრულად ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას "საწყობის ოპერირება", რაც უზრუნველყოფს წინარე ცოდნისა და უნარების თანმიმდევრულ განვითარებას და სწავლის შედეგების ეტაპობრივ მიღწევას. საჭიროების შემთხვევაში, აკადემია იყენებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მექანიზმს, რაც დამატებით უზრუნველყოფს სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლის პროცესში ჩართულობას და შედეგების მიღწევას პროგრამის განხორციელების ვადაში.
აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები არა მხოლოდ ფორმალურად არის დადგენილი, არამედ პრაქტიკაში რეალურად გამოიყენება იმგვარად, რომ პროგრამაზე დაშვებული პირები ფლობენ იმ აუცილებელ საფუძვლებს, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს წარმატებით დაეუფლონ "საწყობის ოპერირების" პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

უნივერსიტეტში პროფესიული პროგრამის ჩარიცხვის პროცესი რეგულირდება „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესით (ND 2-F30)". სადაც განსაზღვრულია:

- განაცხადის მიღების წესი;
- გასაუბრების ორგანიზება და შეფასების კრიტერიუმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შედეგების დაფიქსირება და სტუდენტის ჩარიცხვა ჯგუფში;
- სტატუსის მინიჭების ადმინისტრაციული პროცედურები.

ექსპერტებთან სამუშაო შეხვედრების ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ხორციელდება პროფესიული განათლების ცენტრის მიერ ჩამოყალიბებული შეფასების კომისიის მეშვეობით. აპლიკანტები გადიან მოტივაციურ გასაუბრებას, ქულები აისახება ელექტრონულ სისტემაში.

აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს შერჩევის პროცესის ობიექტურობასა და თანაბარ პირობებში განხორციელებას, უზრუნველყოფს აკადემიური და პროფესიული მოთხოვნების დაცვას, ქმნის ჯგუფების დაკომპლექტების ერთიან პრაქტიკას და საფუძველს უყრის პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

“საწყობის ოპერირების” პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ჩარიცხვის პროცედურები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და გამჭვირვალედ, სრულად შეესაბამება მოქმედ ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოს, უზრუნველყოფს სამართლიან შერჩევას და ქმნის რეალურ შესაძლებლობას სწავლის შედეგების მიღწევისთვის. აღნიშნული მიდგომა თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიულ მიმართულებებთან.

ინდიკატორი 2.1.1.2. შესაბამისობაშია

3.პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. სსიპ სასწავლო უნივერსიტეტში – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიიის ფოთის ფილიალში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება აკადემიის მიერ დამტკიცებული შესაბამისი მეთოდოლოგიის საფუძველზე. აღნიშნული პროცესი რეგულირდება დოკუმენტით „პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესი“, რომელიც ადგენს როგორც კრიტერიუმებს, ისე გადაწყვეტილების მიღების ეტაპებს. მეთოდოლოგია ითვალისწინებს პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ რესურსებსა და გარემოებებს, მათ შორის: სასწავლო გარემოს ტიპსა და გამტარიანობას, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, პრაქტიკის კომპონენტის ხელმისაწვდომობას, პროგრამის ხანგრძლივობასა და სასწავლო გეგმის სპეციფიკას, აგრეთვე პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დადგენისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასწავლო სივრცეების რეალურ შესაძლებლობებს. კვოტა განისაზღვრება სასწავლო გარემოში არსებული სამუშაო ადგილების რაოდენობის მიხედვით და ეფუძნება ყველაზე შემზღუდავ რესურსს, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხიან და უსაფრთხო განხორციელებას.

პრაქტიკული კომპონენტის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა დამატებით ეფუძნება პრაქტიკის ობიექტების ხელმისაწვდომობასა და მათ მიერ განსაზღვრული სტუდენტთა მიღების შესაძლებლობებს, რაც ხელშეკრულებებით არის დადასტურებული. სამუშაოზე დაფუძნებული, დუალური ან კოოპერაციული სწავლების ფორმების შემთხვევაში, კვოტის განსაზღვრა ხორციელდება აკადემიასა და პარტნიორ ორგანიზაციებს შორის გაფორმებული შეთანხმებების პირობების შესაბამისად.

დადგენილი წესის შესაბამისად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა თითოეულ მიღებაზე მტკიცდება აკადემიის რექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების წარდგინების საფუძველზე. აღნიშნული პრაქტიკა ქმნის სტუდენტთა რაოდენობის რეალისტური დაგეგმვის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების პროცესის ორგანიზებულობასა და სტაბილურობას.
ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება მკაფიოდ დადგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით და პრაქტიკაში ხორციელდება იმგვარად, რომ გათვალისწინებულია როგორც სასწავლო გარემოს გამტარიანობა, ისე პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის, ადგილზე ვიზუალური დათვალიერებისა და ადმინისტრაციასთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ "საწყობის ოპერირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია მოქმედი მეთოდოლოგიის შესაბამისად ზღვრული რაოდენობის დასაბუთების პროცესში გამოყენებული იყო:
სასწავლო გარემოს (აუდიტორიებისა და სხვა სივრცეების) დატვირთვის გრაფიკები;
თითოეული სასწავლო და პრაქტიკული გარემოს სიმძლავრის მაჩვენებლები, მათ შორის სამუშაო ადგილების რაოდენობა;
ლაბორატორიული და პრაქტიკული სივრცეების შესახებ არსებული მონაცემები;
პარტნიორი ორგანიზაციების შესაძლებლობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და სხვა..

496

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელებული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული რესურსები და პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობის შესაძლებლობები სრულად უზრუნველყოფს ერთ ჯგუფში 20 პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების ეფექტიან განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ "საწყობის ოპერირების" პროგრამისთვის განსაზღვრული 40 პროფესიული სტუდენტი წარმოადგენს დასაშვებ და რეალისტურ ზღვრულ რაოდენობას.

ინდიკატორი 2.1.1.3. შესაბამისობაშია

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში სასწავლო რესურსების, მათ შორის მასალა-ნედლეულის დაგეგმვა, მიწოდება, შენახვა და გამოყენება ორგანიზებულია წინასწარ განსაზღვრული და დოკუმენტირებული წესის შესაბამისად(პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ND 2-F03(დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 21 ივლისს № 01-142 ბრძანებით)მუხლი 23. სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების წესი). აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსების შესაბამისობსა პროგრამების შინაარსთან, სწავლების მეთოდებთან და თითოეული მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.

სასწავლო პროცესის მასალებითა და ნედლეულით უზრუნველყოფა ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობისა და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით. რესურსების შერჩევა ეფუძნება მოდულების მოთხოვნებს და მიმართულია იმ პრაქტიკული ცოდნისა და უნარების განვითარებაზე, რომლებიც განსაზღვრულია პროგრამებით. აკადემია უზრუნველყოფს, რომ პროფესიულ სტუდენტებს ჰქონდეთ საჭირო რაოდენობისა და ხარისხის სასწავლო მასალაზე წვდომა, რაც ხელს უწყობს სწავლის პროცესის უწყვეტობასა და შედეგიანობას.

მასალა-ნედლეულის შენახვა და გამოყენება ხორციელდება უსაფრთხოების, ჰიგიენური და გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვით. განსაზღვრული პასუხისმგებელი პირების ჩართულობით უზრუნველყოფილია რესურსების მიზნობრივი და რაციონალური გამოყენება, რაც ამცირებს როგორც არასათანადო მოხმარების, ისე სასწავლო პროცესის შეფერხების რისკებს. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლები უზრუნველყოფენ რესურსების გამოყენებას სწავლების მიზნების შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში ახდენენ მათი გამოყენების ადაპტაციას სასწავლო პროცესის დინამიკისა და სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
ამასთან, აკადემიაში დადგენილია სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის რეგულაცია (მუხლი 24. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის წესი), რაც უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაცვას და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შენარჩუნებას. მასალა-ნედლეულის გამოყენების სრული ციკლი -მიწოდებიდან უტილიზაციამდე - ორგანიზებულია ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა და პრაქტიკული კომპონენტების ხარისხიანი განხორციელება.
ზემოაღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში არსებული საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები ფუნქციურად უკავშირდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებს და ეფექტიანად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საწყობის ოპერირება“ ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში რა მიზნითაც აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ოთხ ლოგისტიკურ კომპანიასთან. ცალკეული მოდულებით დადგენილი სწავლის შედგების მიღწევა უზრუნველყოფილია ინტერაქციული ლექციების, სხვადასხვა ფოტო-ვიდეო მასალი ჩვენებით, სასწავლო მასალების დემონსტრირების და სტუდენტების მხრიდან პრაქტიკული დავალებების განხორციელების გზით. აკადემია ექსპლუატაციას უწევს მფლობელობაში არსებულ ტვირთების მომსახურებასთან დაკავშირებულ იმიტირებულ გარემოს. სწავლების ფორმის შესაბამისად პარტნიორ ორგანიზაციებში გატანილი აქვს სწავლის შედეგების ნაწილი, რაც ჯამურად უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას.

ინდიკატორი 2.1.1.4. შესაბამისობაშია

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა “საწყობის ოპერირება არ მოიცავს არჩევით მოდულს.

ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ; კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების პროცედურა რეგულირდება უნივერსიტეტის წესდებითა და შიდა ნორმატიული აქტებით. წესდების მიხედვით, **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებაზე და მათ ცვლილებებზე პასუხისმგებელი პირი არის რექტორი . აღნიშნული უფლებამოსილება განსაზღვრულია აკადემიის წესდებაში(მუხლი 7. პუნქტი 3. აკადემიის რექტორი კანონმდებლობისა და ამ წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში: დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულების წარდგინებით ამტკიცებს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებს) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესით ND 2-F09-01** (დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებით)პუნქტი 9. ცენტრის ხელმძღვანელის წარდგინებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ამტკიცებს რექტორი ბრძანებით.

“საწყობის ოპერირების” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია შესაბამისი სამუშაო ჯგუფის წარდგინებით რექტორის მიერ №07-93 26 / სექტემბერი / 2025 წ.ექსპერთა ჯგუფი გაეცნო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ ჯგუფის შექმნის ბრძნებას და შემუშავების პროცესის ამსახველ დოკუმენტაცია.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის დამტკიცების პროცედურა სრულად შეესაბამება წესდებით განსაზღვრულ უფლებამოსილებასა და გადაწყვეტილების მიღების ფორმატს. პროცესი არის ფორმალურად გამართული, გამჭვირვალე და უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცდეს შესაბამისი ორგანოს მიერ, სათანადო დასაბუთებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე.

ინდიკატორი 2.1.1.6. შესაბამისობაშია

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს პროგრამის შინაარსობრივ მიმართულებას და სრულ შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან. პროგრამის სტრუქტურა აგებულია ისე, რომ ეტაპობრივად ფარავს სასწყობე საქმიანობისათვის აუცილებელ ყველა ძირითად კომპონენტს – ორგანიზაციულ, სამართლებრივ, დაგეგმვის, დოკუმენტირების, განხორციელებისა და კონტროლის მიმართულებებს.

პროგრამა მოიცავს შემდეგ მოდულებს:

- საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და სასაწყობო ოპერაციები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასაწყობო ოპერაციებთან დაკავშირებული კანონმდებლობა და უსაფრთხოების ნორმები
- საქონლის მიღება საწყობში
- საწყობში საქონლის ტრანსპორტირება
- საქონლის დასაწყობება
- საქონლის აგროვება
- საწყობიდან საქონლის გაცემა
- საწყობში საქონლის აღრიცხვა

აღნიშნული მოდულები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შემდეგი სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ, პროფესიულ სტუდენტს შეუძლია:

- აღწეროს საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და საწყობის ოპერაციები;
- აღწეროს სასაწყობო ოპერაციებთან დაკავშირებული კანონმდებლობა და უსაფრთხოების ნორმები;
- მიიღოს საქონელი საწყობში;
- განახორციელოს საქონლის ტრანსპორტირება საწყობში;
- დაასაწყობოს საქონელი;
- ააგროვოს საქონელი;
- გასცეს საქონელი საწყობიდან;
- აღრიცხოს საქონელი საწყობში.

მოდულების შინაარსი და მათთან დაკავშირებული სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას და სრულად მოიცავს სასაწყობე სფეროში დასაქმებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება არის შინაარსობრივად გამართლებული, ზუსტი და არ ქმნის შეცდომაში შემყვან წარმოდგენას პროგრამის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებით.

ინდიკატორი 2.1.1.7. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და აკადემიის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების სრული დაცვით. პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის თანახმად(ND 2-F09-01 დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებით.) პროგრამა დამტკიცებულია აკადემიის რექტორის შესაბამისი ბრძანებით (№07-93 26 / სექტემბერი / 2025 წ.ბრძანებით), პროგრამების დამტკიცების აქტის საფუძველზე, და სრულად შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასთან, შინაარსთან და განხორციელების პროცედურებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. შესაბამისად, პროგრამა აკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ ყველა მოთხოვნას.

პროგრამა დამტკიცებულია აკადემიის რექტორის იგი ეფუძნება საგანმანათლებლო სტანდარტს ”საწყობის ოპერირება; Warehousing“ პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების დეტალური აღწერა შეფასების მიმართულებები, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. შესაბამისად, ქართული ენის მოდულ(ებ)ის გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე გამოცდის ან/და ტესტირების ჩაბარების გზით კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

აღნიშნული პირებისათვის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. („ქართული ენა A2”და „ქართული ენა“ B1 მოდულები).

პროგრამის შემუშავების ეტაპზე გათვალისწინებული იქნა შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, დამსაქმებელთა საჭიროებები და დარგის განვითარების ტენდენციები, ამავე დროს, განსაზღვრულია პროგრამაზე მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა აკადემიის მიერ დამტკიცებული პროფესიული სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხიან განხორციელებასა და რესურსების ადეკვატურ განაწილებას.

501

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.1.1.8. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით,,საწყობის ოპერირება“ დამტკიცებულია რექტორის ბრძანებით №07-93
- 26 / სექტემბერი / 2025 წ.
- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- პროგრამით გათვალისწინებულ მატერიალურ და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალით
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი ND 2-F09-01 დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 5 სექტემბრის № 01-179 ბრძანებითპროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ND 2-F03(დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2025 წლის 21 ივლისს № 01-142 ბრძანებით)მუხლი 23. სასწავლო პროცესის მასალებით/ნედლეულით უზრუნველყოფის, მისი შენახვისა და გამოყენების წესი;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა ND 2-O06-01(დოკუმენტი დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის 2024 წლის 22 თებერვლის ბრძანებით № 01-58)
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით-
- სამუშაო შეხვედრების ფურცლებით;
- სამსახურებრივი ბარათებით;
- აკადემიის მისია, ხედვა, ღირებულებებით - განთავსებული ვებგვერდზე https://bsma.edu.ge/page/akademiis-misia-xedva-girebulebebi

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში "საწყობის ოპერირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება აკადემიის შესაბამის სასწავლო სივრცეებში და პარტნიორ ორგანიზაციებში, სადაც უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და საგანმანათლებლო გარემო. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.

პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას.

აკადემიის ფოთის ფილიალის სასწავლო კორპუსში "საწყობის ოპერირების" პროგრამისთვის გამოყოფილია კეთილმოწყობილი და ტექნიკურად გამართული **A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები**, რომლებიც გამოიყენება თეორიული მეცადინეობებისა და კომპიუტერზე დაფუძნებული სასწავლო აქტივობების ჩასატარებლად. რაც გათვალისწინებულია ზოგადი მოდულით ინფორმაციული წიგნიერება და ცალკეული დარგობრივი მოდულებით და მიცავს სხვადასხვა სახის სასაწყობე ოპერაციების და დოკუმენტაციის წარმოების წესების შესწავლას.

აღნიშნული სივრცეები აღჭურვილია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი სამუშაო მაგიდებითა და სკამებით, პერსონალური კომპიუტერებით, უწყვეტი ინტერნეტითა და პროგრამის შინაარსთან დაკავშირებული შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით. ასევე უზრუნველყოფილია პრეზენტაციისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებები (პროექტორი, ეკრანი, პრეზენტაციის დაფა), ასლგადამღები მოწყობილობები და სხვა დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რაც ხელს უწყობს სასწავლო მასალის ეფექტიან მიწოდებასა და ვიზუალურ აღქმას.

პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით აკადემიაში ორგანიზებულია **C ტიპის სასწავლო გარემო (101)**, რომელიც მორგებულია სასაწყობე საქმიანობის სპეციფიკაზე. აღნიშნული გარემო უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ თვირთის მიღება/დასაწყობების/გაცემის, დოკუმენტაციის მომზადების, სასწყობო ოპერაციების კონტროლისა და ხარისხის კონტროლის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას, უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის მოთხოვნების დაცვით. პრაქტიკული სწავლების სივრცე გათვლილია პროგრამის ზღვრულ რაოდენობაზე და შეესაბამება პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

“საწყობის ოპერირების” პროგრამისთვის საწარმოო პრაქტიკის კომპონენტს მნიშვნელოვანი ფუნქციური დატვირთვა აქვს. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალისთვის გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები შესაბამის ლოგისტიკურ და სატრანსპორტო პროფილის მქონე ოთხ ორგანიზაციასთან. პარტნიორი ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფს სტუდენტების ჩართვას რეალურ სამუშაო პროცესებში, სატრანსპორტო ოპერაციების დაგეგმვასა და განხორციელებაში, დოკუმენტბრუნვის პრაქტიკაში, ტვირთის გადაზიდვის მონიტორინგსა და მომსახურების ხარისხის კონტროლში.
პრაქტიკის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებისა და სასწავლო და საწარმოო გარემოების დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ აკადემიის მატერიალური ბაზა, პარტნიორი ორგანიზაციების რესურსები და მათი ხელმისაწვდომობა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, სრულად უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგის, სასაწყობე ოპერაციების განხორციელება.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, “საწყობის ოპერირების” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური და სასწავლო რესურსები არის რეალისტურად დაგეგმილი, ფაქტობრივად ხელმისაწვდომი და სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებსა და შინაარსთან.

ინდიკატორი 2.2.1.1. შესაბამისობაშია

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში “საწყობის ოპერირების” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის წარმოდგენილია წინასწარ გაფორმებული ხელშეკრულებები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ და სტაბილურ განხორციელებას.
პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტს ჰყავს **ჯამში 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი**, რომელთაგან:

- **4 მასწავლებელი ახორციელებს ზოგად მოდულებს.**
- **5 პროფესიული განათლების მასწავლებელი** პასუხისმგებელია პროგრამის პროფესიულ მოდულებზე.

ასეთი სტრუქტურა პროგრამის შინაარსობრივ მრავალფეროვნებას აერთიანებს და უზრუნველყოფს როგორც ზოგადი კომპეტენციების, ისე საასაწყობე სფეროში სპეციფიკური უნარების სრულფასოვან მიწოდებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩანაცვლებადობა და რესურსების მდგრადობა

მოდულების ნაწილზე უნივერსიტეტს ჰყავს მოდულზე ორი განმახორციელებელი მასწავლებელი**, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს სრულფასოვნად ჩაანაცვლებენ. ეს ქმნის:**

- პროგრამის უწყვეტობის გარანტიას,
- მოსალოდნელი რისკების მინიმიზაციას,
- მოდულების შესრულების დროულ უზრუნველყოფას.

ექსპერტთა შეფასებით, რესურსების ასეთი განაწილება წარმოადგენს კარგი პრაქტიკის მაგალითს.

მასწავლებელთა დატვირთვა

წარდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ:

- ყველა განმახორციელებელი მასწავლებლის დატვირთვა შეესაბამება **„საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს**,
- კვირაში საერთო სამუშაო დატვირთვა **არ აღემატება 40 საათს**,
- განაწილება ოპტიმალურია და არ ქმნის გადატვირთვის ან პროცესის შეფერხების ალბათობას.

პროგრამას დამატებული აქვს **განმახორციელებელი პერსონალის სია**, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას.

პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლით, კვალიფიკაციის დადასტურებითა და მათთან გასაუბრებით დადგინდა, რომ:

- წარმოდგენილი მასწავლებლები ფლობენ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელ პროფესიულ და პედაგოგიურ კომპეტენციებს,
- პროფესიული გამოცდილება შესაბამისობაშია მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან,
- რაოდენობა და განაწილება სრულად უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივ და პრაქტიკულ განხორციელებას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, “საწყობის ოპერირების” პროგრამისათვის წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა, კვალიფიკაცია და დატვირთვის განაწილება **საკმარისია, რეალისტურია და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად, უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას**.

ინდიკატორი 2.2.1.2. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებულმა გასაუბრებამ და მათი პირადი საქმეების შესწავლამ დაადასტურა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული განათლების მასწავლებლები სრულად აკმაყოფილებენ "საწყობის ოპერირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ კვალიფიკაციასა და პროფესიულ მოთხოვნებს.

მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია პროგრამის პროფილის შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის: შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები; ლოგისტიკური და ექსპედირების სფეროში სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები; ასევე პროფესიული პრაქტიკის დამადასტურებელი დოკუმენტები პარტნიორი ორგანიზაციებიდან. წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფლობს როგორც თეორიული ცოდნის გადაცემის, ისე პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის აუცილებელ პროფესიულ კომპეტენციებს.

პრაქტიკული გამოცდილება და პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობა

დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებლებს აქვთ პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება საექსპედიტორო და ლოგისტიკური პროფილის მქონე ორგანიზაციებში, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს სასწავლო პროცესის პრაქტიკულ ორიენტაციას. ამასთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან მოწვეული სპეციალისტები – პარტნიორი ორგანიზაციების მოქმედი თანამშრომლები, რომელთა მონაწილეობა უზრუნველყოფს სწავლების შინაარსის შესაბამისობას რეალურ სამუშაო პროცესებთან, მოქმედ რეგულაციებთან და ინდუსტრიის მიმდინარე მოთხოვნებთან.

პროფესიული განვითარების აქტიური პრაქტიკა

გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამის განმახორციელებელმა მასწავლებლებმა რეგულარულად გაიარეს პროფესიული განვითარებისა და გადამზადების კურსები, მათ შორის:

- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგები
- უნარების განვითარების სააგენტოს ტრენინგები („სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტების მიღწევის შეფასება");
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული პროგრამები („პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით").

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნული გადამზადების კურსები მნიშვნელოვნად ამლიერებს მასწავლებელთა პედაგოგიურ და პროფესიულ კომპეტენციებს და დადებითად აისახება მოდულების სწავლების ხარისხზე.

დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, აქტიურად არიან ჩართული: მოდულების შემუშავებისა და საჭიროების შემთხვევაში მათი ადაპტირების პროცესში; სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში; მოდულების განხორციელების მიმდინარეობის მონიტორინგში. აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს, რომ პროგრამის შინაარსი ეფუძნება კოლეგიურ თანამშრომლობასა და პრაქტიკულ პროფესიულ გამოცდილებას.

ყველა პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებელთან გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულებები, რომლებშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული სამართლებრივად მოთხოვნილი ძირითადი პირობები, კონკრეტული მოდულები, სამუშაო ფუნქციები, პასუხისმგებლობები და სასწავლო დატვირთვა. დადგინდა, რომ მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, რაც შეესაბამება საქართველოს

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა, მათი კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება, პროფესიული განვითარების ისტორია და სამუშაო დატვირთვის რაციონალური განაწილება სრულად უზრუნველყოფს "საწყობის ოპერირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიან, უწყვეტ და მდგრად განხორციელებას. მასწავლებელთა კომპეტენციები პირდაპირ უწყობს ხელს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

აკადემიაში მოქმედი „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა – EP-QA პოლიტიკა" (დანართი EP-QA1.1) განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციისა და პროფესიული კომპეტენციების მოთხოვნებს. დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს შესაბამისი დარგისსპეციალისტი ან/და შესაბამის სფეროში პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი, რაც უზრუნველყოფს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტების ეფექტიან მართვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის ძირითადი ფუნქციები, მათ შორის: პროგრამის შინაარსობრივი და სტრუქტურული ანალიზი; სასწავლო პროცესის გეგმებთან შესაბამისობის მონიტორინგი; სასწავლო ცხრილების დამტკიცებულ გეგმასთან შეჯერება; შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში მონაწილეობა; პროფესიული სტუდენტების კონსულტირება; სასწავლო პროცესის მონიტორინგი და მხარდაჭერა.

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის (პირადი საქმის) შესწავლისა და პროგრამის ხელმძღვანელთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ "საწყობის ოპერირების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც ფლობს პროგრამის პროფილის შესაბამის დარგობრივ კომპეტენციებს, წარმოდგენილი აქვს დადასტურებული კვალიფიკაცია და პრაქტიკული პროფესიული გამოცდილება საექსპედიტორო და ლოგისტიკის სფეროში. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობს როგორც პროგრამის შემუშავებისა და განახლების პროცესში, ისე მისი განხორციელების ეტაპზე.

დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებასთან ერთად, ახორციელებს დარგობრივ მოდულებს, რაც დამატებით აძლიერებს პროგრამის პრაქტიკულ სისწორეს, სწავლების რეალურ სამუშაო გარემოსთან შესაბამისობასა და სასწავლო პროცესის ხარისხს. აღნიშნული პრაქტიკა არ ქმნის გადაფარვის ან ინტერესთა კონფლიქტის რისკს, არამედ უზრუნველყოფს პროგრამის მართვისა და სწავლების პროცესის ერთიან, კოორდინირებულ განხორციელებას.

პროგრამის ხელმძღვანელი სისტემურად იყენებს პოლიტიკით განსაზღვრულ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმილ, სტრუქტურირებულ და დროულ განხორციელებას, ასევე სწავლების ხარისხის მუდმივ მონიტორინგსა და გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ მიდგომას.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება და მაღალი ჩართულობა სრულად შეესაბამება EP-QA პოლიტიკის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს "საწყობის ოპერირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიან, მდგრად და ხარისხზე ორიენტირებულ მართვას.

ინდიკატორი 2.2.1.4. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. კერძოდ: ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიბლიოთეკისა და დამატებითი სასწავლო სივრცეების დათვალიერება, ასევე შერჩევითი პრინციპით შეამოწმა "საწყობის ოპერირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსები. ბიბლიოთეკართან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე არსებული მდგომარეობა შეფასდა როგორც სანდო და მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი.

დადგინდა, რომ პროგრამის მოდულებით განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. კერძოდ, აკადემიის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია მოდულების მიხედვით შერჩეული ბეჭდური სასწავლო მასალები, რომლებიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების დაცვით და თავისუფლად ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ისე პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლებისთვის.

ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. სასწავლო მასალები ინახება სპეციალურ მყარ დისკებზე, საიდანაც შესაძლებელია მათი გადატანა, ბეჭდვა ან ელექტრონულად გამოყენება. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საჭირო მასალები მიიღონ ელექტრონული ფოსტის საშუალებით ან შესაბამისი ამონარიდები ბეჭდური სახით.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან, რაც უზრუნველყოფს "საწყობის ოპერირების" პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტებისა და რეგულაციების განახლებულ ვერსიებზე მუდმივ წვდომას. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლოგისტიკური საქმიანობის სფეროში მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს შესასწავლად.

აკადემიის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რაც უზრუნველყოფს მომსახურების პირობების საჯაროობას, რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას და უსაფრთხო, ორგანიზებულ სასწავლო გარემოს შექმნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა შეფასებით, "საწყობის ოპერირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო და მატერიალური რესურსები არის რელევანტური, მრავალფეროვანი და სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. რესურსებზე წვდომა ორგანიზებულია გამჭვირვალედ – როგორც ბიბლიოთეკაში, ისე სასწავლო გარემოებსა და ელექტრონული რესურსების მეშვეობით – რაც დადებითად აისახება სასწავლო პროცესის ეფექტიანობაზე.

ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისობაშია

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კერძოდ: ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სასწავლო პირობები, რომლებიც გამოიყენება "საწყობის ოპერირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის. სასწავლო სივრცეების დათვალიერებისა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურულ პირობებს, მათ შორის ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნას.

აკადემიის იმ სასწავლო კორპუსში, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცეები, უზრუნველყოფილია მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი ხელმისაწვდომობა. კერძოდ, შენობა აღჭურვილია კიბეებზე ასასვლელი და ჩამოსასვლელი სპეციალური მოწყობილობებით, რაც უზრუნველყოფს შეზღუდული მობილობის მქონე პირების დამოუკიდებელ გადაადგილებას. ასევე, აკადემიაში ფუნქციონირებს ადაპტირებული სველი წერტილები, რომლებიც სრულად შეესაბამება უნივერსალური დიზაინის პრინციპებს.

A და B ტიპის სასწავლო სივრცეებში შესაძლებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს ორგანიზება, მათ შორის მოსარგები სამუშაო ადგილებისა და სივრცის მოქნილი განლაგების საშუალებით. C ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც გამოიყენება "პორტების ლოგისტიკის მენეჯმენტის" პროგრამის პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად, ასევე აკმაყოფილებს ბაზისური ხელმისაწვდომობის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს პრაქტიკული საქმიანობის უსაფრთხო პირობებში განხორციელებას.კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფს სამუშაო ადგილის ადაპტირებას ან საჭიროების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემთხვევაში მის მოდიფიცირებას.სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტებისათვის პროფესიული განათლების მიწოდება იგეგმება ინდივიდუალურად მათი საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით, რისთვისაც საზღვაო აკადემია უზრუნველყოფს სსსმ პირებისათვის ინდიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. ინკლუზიური საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის აკადემიას წინარე ხელშეკრულებით მოწვეული ყავს შესაბამისი სპეციალისტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ჩაერთვება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელებაში.

აკადემიის ბიბლიოთეკისა და საინფორმაციო რესურსების გამოყენება ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვისაც. ბიბლიოთეკის სივრცეებში უზრუნველყოფილია მობილობის შეზღუდვის მქონე პირების თავისუფალი გადაადგილება, ხოლო კომპიუტერული კლასები იძლევა სამუშაო ადგილის ადაპტირების ან საჭიროების შემთხვევაში მისი მოდიფიცირების შესაძლებლობას.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ უზრუნველყოფილი ინფრასტრუქტურა და სასწავლო სივრცეების ადაპტირება სრულ თანხვედრაშია პროფესიული განათლების სტანდარტის მოთხოვნებთან. "საწყობის ოპერირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს უსაფრთხო, ხელმისაწვდომ და ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, რაც ყველა პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს, აძლევს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.6. შესაბამისობაშია

7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. კერძოდ:
ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი "საწყობის ოპერირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. დოკუმენტის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ბიუჯეტი ჩამოყალიბებულია გამჭვირვალე, ეკონომიკურად გონივრული და სტანდარტებთან შესაბამისი პრინციპებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. ბიუჯეტის სტრუქტურა და შემოსავლების ნაწილი

საპროგნოზო ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი დაფუძნებულია **სწავლის საფასურზე**, რომლის მოცულობა განსაზღვრულია უნივერსიტეტის ფინანსური პოლიტიკის შესაბამისად. შემოსავლის პროგნოზი ეფუძნება **ზღვრული რაოდენობისა და მინიმალური დასაშვები ჯგუფის ანალიზს**, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

2. ხარჯვითი ნაწილი – დეტალური და რეალისტური განაწილება

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მოიცავს პროგრამის სრულფასოვანი განხორციელებისთვის აუცილებელ ყველა პოზიციას, მათ შორის:

- **პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივ ანაზღაურებას,**
- **ადმინისტრაციული და დამხმარე პრსონალის შრომის ანაზღაურება**
- **კომუნალურ ხარჯებს,**
- **პროგრამის განვითარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს (მივლინება, კადრის მომზადება, ელ. პლატფორმა და სხვა)**

ხარჯების ასეთი სტრუქტურა ასახავს პროგრამის განხორციელების რეალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტობას.

ბიუჯეტირება ეფუძნება **მინიმალური ჯგუფის ფორმირების პრინციპს**, რაც უნივერსიტეტში განსაზღვრულია როგორც ფინანსური მდგრადობის პირობა.

ანალიზის მიხედვით, "საწყობის ოპერირების" პროგრამის **რენტაბელობის ზღვარი** არის ჯგუფში 15 პროფესიული სტუდენტი, რომლის პირობებშიც პროგრამა ოპერატიულ ხარჯებს სრულად ფარავს და შესაძლებელია მისი მიმდინარეობა ხარისხის ზიანის გარეშე. განხილული მონაცემებით დგინდება, რომ:

- საპროგნოზო ბიუჯეტი რეალისტურად მოიაზრებს ყველა აუცილებელ ხარჯს,
- შემოსავალი შეესაბამება უნივერსიტეტის ფინანსური პოლიტიკის ფარგლებში გათვლილ მოდელს,
- პროგრამა ფინანსურად განხორციელებადია როგორც ზღვრულ, ისე ოპტიმალურ რაოდენობაზე.

დასკვნა

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ წარმოდგენილი "საწყობის ოპერირების" პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი:

- **სტანდარტებთან შესაბამისია,**
- **უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად განხორციელებას,**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- **გათვლილია საჭირო მინიმუმზე**, რაც აძლიერებს ფინანსური დაგეგმვის პასუხისმგებლიან მიდგომას.

ბიუჯეტი ასახავს უნივერსიტეტის სისტემურ მიდგომას ფინანსურ მართვაში და ქმნის საფუძველს პროგრამის ხარისხიანი და უწყვეტი რეალიზაციისთვის.

ინდიკატორი 2.2.1.7. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დოკუმენტაცია საქარტველოს საკანონმდებლო მაცნეს შესყიდვის შესახებ;
- სტრუქტურული ერთეულები, სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- განმახორციელებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ვებ გვერდი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;კერძოდ: ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ დამტკიცებული „პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი“, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და განვითარების ძირითად პროცესებს. დოკუმენტი ქმნის პროფესიული განათლების ხარისხის მართვის ერთიან, სისტემურ და პროცედურულად გაწერილ ჩარჩოს და უზრუნველყოფს პროცესების თანმიმდევრულ და გამჭვირვალე განხორციელებას.

დადგენილი წესების შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება ეფუძნება რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს, მათ შორის: შრომის ბაზრის კვლევის შედეგების რეგულარულ ანალიზს; დაინტერესებული მხარეების – პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, დამსაქმებლებისა და პარტნიორი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ორგანიზაციების უკუკავშირს; ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებას; ასევე პროგრამის შინაარსისა და მისაღწევი შედეგების პერიოდულ გადახედვას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამების აქტუალობისა და შესაბამისობის სისტემურ შემოწმებას როგორც შიდა, ისე გარე მოთხოვნებთან მიმართებით.

ამასთან, აკადემიაში მოქმედი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია“ დეტალურად განსაზღვრავს პროგრამების შიდა შეფასების პროცედურებს, შეფასების განხორციელების პერიოდულობას, ცვლილებების შეტანის წესებსა და საფუძვლებს, ასევე პროცესში ჩართული პასუხისმგებელი პირების ფუნქციებს. მეთოდოლოგიაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის სრული ლოგიკა (Plan–Do–Check–Act), რაც უზრუნველყოფს პროგრამების უწყვეტ მონიტორინგს და დაგეგმილი შედეგების მიღწევის კონტროლს.

ექსპერტებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემურად ახორციელებს ხარისხის მართვის ფუნქციებს. სამსახური ატარებს პერიოდულ კვლევებს, იყენებს წინასწარ შემუშავებულ და დამტკიცებულ კითხვარებს, აანალიზებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების შეფასებებს და ამზადებს რეკომენდაციებს პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. კვლევების შედეგები გამოიყენება როგორც მიმდინარე სასწავლო პროცესის დახვეწისა და ოპტიმიზაციისთვის, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების დაგეგმვისას.

ექსპერტთა შეფასებით, აკადემიაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციები და პრაქტიკა ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების ეფექტიან და მდგრად სისტემას, რაც ხელს უწყობს პროგრამების ხარისხის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 2.3.1.1. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.კერძოდ:

ასევე განსაზღვრავს პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესებს.

ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- მოიძებნება შესაბამისი საფუძველი შეფასების პროცესში,
- არსებობს დადასტურებული საჭიროება შრომის ბაზრის ან მოთხოვნების ცვლილების გამო,
- მიღებულია უკუკავშირი დაინტერესებული მხარეებისგან.

მსგავსი მიდგომა უზრუნველყოფს პროგრამის სტაბილურობას, მაგრამ არასოდეს უშლის ხელს მის დროულ განახლებას.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მოქმედი შიდა რეგულაციები, მეთოდოლოგიები და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან.

“საწყობის ოპერირების” პროგრამაზე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი:

- არის სისტემური და პროცესზე დაფუძნებული,
- მოიცავს მრავალწყაროიან შეფასებას,
- ეფუძნება ხარისხის ციკლის პრინციპს,
- უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივ და სტრუქტურულ განახლებას საჭიროების შემთხვევაში.

ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს პროგრამის მდგრად და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამის განხორციელებას.

ინდიკატორი 2.3.1.2. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA პოლიტიკა;
- ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

5. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად. კერძოდ:

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შესწავლილი სასწავლო გეგმა წარმოდგენილია მკაფიო, თანმიმდევრულ და ლოგიკურად გააზრებულ სტრუქტურად. დადგინდა, რომ გეგმა სრულად შეესაბამება სამუშაო სტანდარტის მოთხოვნებს და შეიცავს მის მიერ რეკომენდირებულ უმთავრეს ელემენტებს.

“საწყობის ოპერირების” პროგრამის სასწავლო გეგმა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ასახავს მოდულების თანმიმდევრობას,
- განსაზღვრავს თითოეული მოდულის განხორციელების კვირობრივ განრიგს,
- უზრუნველყოფს საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების მკაფიო გაწერას.

გეგმა უზრუნველყოფს სწავლების პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას – დაწყებული საბაზისო ცოდნის ფორმირებიდან, დასრულებული საწყობის ოპერირების პრაქტიკული უნარ-ჩვევების დამუშავებამდე.
სასწავლო გეგმის საფუძველზე უნივერსიტეტი ადგენს პროფესიული სტუდენტების მეცადინეობის ცხრილს, რაც საშუალებას იძლევა:

- სწავლის პროცესის ეფექტური ორგანიზაცია,
- სამუშაო საათების სწორად გადანაწილება,
- თეორიული და პრაქტიკული ნაწილის გონივრული გაწერა.

ეს უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების გამართულობას და მოდულების ერთმანეთთან თანხვედრას.

სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მიდგომას იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე ჩაირიცხება არაქართულენოვანი სტუდენტები. მათთვის გათვალისწინებულია ქართული ენის შემავსებელი მოდული, რაც უზრუნველყოფს:

- სასწავლო პროცესში თანაბარ ჩართულობას,
- პროფესიული ლექსიკის დაუფლებას,
- სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

გამოკვლეული დოკუმენტაციისა და გასაუბრებებზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ:

- სასწავლო გეგმა არის შინაარსობრივად და სტრუქტურულად გამართული,
- მოდულების თანმიმდევრობა და განაწილება დამკვირვებელი ლოგიკით არის ჩამოყალიბებული,
- პროგრამის განხორციელება დაგეგმილია დამტკიცებული სასწავლო გეგმის სრული დაცვით.

ექსპერტთა შეფასებით, "საწყობის ოპერირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას. გეგმა არის მკაფიოდ სტრუქტურირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. კერძოდ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული სტუდენტების სტატუსის, უფლებებისა და ადმინისტრაციული პროცედურების მართვა ხორციელდება რექტორის 2023 წლის 24 იანვრის №12§17 ბრძანებით დამტკიცებული **„პროფესიული განათლების ცენტრის სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი წესის“** საფუძველზე. დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს:

- პროფესიული სტუდენტის **სტატუსის შეჩერების** და **შეწყვეტის** წესებს,
- **მობილობის** განხორციელების პირობებს,
- მიღებული განათლების **აღიარების** პრინციპებს,
- პროგრამის **შეცვლის ან გაუქმების** შემთხვევაში შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმებს.

სტუდენტზე ორიენტირებული ადმინისტრირება

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ უნივერსიტეტი სრულად იცავს მოქმედ რეგულაციებს და პრაქტიკაში იყენებს მოქნილ, სტუდენტზე მორგებულ მიდგომებს. განხორციელებული ვიზიტისას გამოიკვეთა რამდენიმე ტიპური პრინციპი:

- თუ პროფესიული სტუდენტი დასაქმებულია პროგრამის პროფილის მიხედვით, უნივერსიტეტი ცდილობს, **სასწავლო ცხრილი და შეფასების პროცესები** ისე დაგეგმოს, რომ მათი სამუშაო გრაფიკი მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული.

ეს პრაქტიკა ხელს უწყობს სტუდენტების წარმატებულ ჩართულობას და უზრუნველყოფს სწავლის პროცესის შეწყობას ყოველგვარი დამატებითი ბიუროკრატიული სირთულეების გარეშე.

შეფასების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემა

დაწესებულებაში მოქმედი პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემა ადგენს:

- შეფასების **კრიტერიუმების წინასწარ გაცნობას**,
- შეფასების პროცესის **ორგანიზებულობას**,
- ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფუნქციონირებს როგორც მიმდინარე, ისე საბოლოო შეფასების მექანიზმები, ხოლო შეფასების ცვლილების ან გადავადების შემთხვევები ხდება განსაზღვრული წესის დაცვით.

დასკვნა

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია სრულად უზრუნველყოფს:

- პროფესიული სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცესების სწორ მართვას,
- რეალურ სტუდენტურ საჭიროებებზე მორგებულ მოქნილ მიდგომებს,
- ობიექტურ და გამჭვირვალე შეფასების პრაქტიკას.

აღნიშნული მექანიზმები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან და სტუდენტთა წარმატებაზე ორიენტირებულ მიდგომად შეიძლება ჩაითვალოს.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;კერძოდ:

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული განათლების ცენტრი უზრუნველყოფს, რომ "საწყობის ოპერირების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების პროცესში ინტეგრირებული იყოს სწავლების თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომები და სასწაყობე მეურნეობის დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიები. აკადემიაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ქმნის შესაძლებლობას, რომ სწავლება განხორციელდეს რეალურ სამუშაო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში, რაც ხელს უწყობს პროფესიული კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის ფარგლებში აქტიურად გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქეის-სტადიები, სიტუაციური ანალიზი, პროფესიული როლების იმიტაცია, დემონსტრაციებისა და პრაქტიკული დავალებების კომბინაცია, თანასწორებს შორის სწავლების (peer-learning) ელემენტები, ინტერაქტიური ჯგუფური მუშაობა, რეალურ სამუშაო გარემოში სწავლება. აღნიშნული მიდგომები სტუდენტებს საშუალებას აძლევს რეალური სასაწყობე პროცესების ანალიზისა და პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღების უნარები განივითაროონ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების პროცესში გამოიყენება იმიტირებული და სიმულაციური სასწავლო გარემოები, რომლებიც ასახავს საწყობის მართვის პროცესების ძირითად ეტაპებს, მათ შორის საქონლის მიღებას, საწყობში ტრანსპორტირება-დასაწყობებას და გაცემას. პრაქტიკული უნარების დასამუშავებლად გამოყენებულია შესაბამისი სასწავლო მასალები, ინვენტარი და ტექნიკური საშუალებები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ეტაპობრივ მომზადებას რეალური სამუშაო გარემოსთვის.

“საწყობის ოპერირების” პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური ფორმით. ელექტრონული მასალები განთავსებულია აკადემიის ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებში, სასწავლო სივრცეების კომპიუტერებში და შესაბამის ციფრულ პლატფორმებზე, რაც ზრდის პროფესიული სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის შესაძლებლობას და ამარტივებს სასწავლო რესურსებზე ოპერატიულ წვდომას. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებს აქვთ ბეჭდური მასალების გამოყენების შესაძლებლობაც.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები არის თანამედროვე, დარგის სპეციფიკასთან თავსებადი და პროფესიული სტუდენტების პრაქტიკულ განვითარებაზე ორიენტირებული. სწავლების პროცესში ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს მოდერნიზაციას, ხოლო აქტიური სწავლების ფორმები ზრდის სტუდენტთა ჩართულობას და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.
ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში “საწყობის ოპერირების” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და სასაწყობე დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. აღნიშნული პრაქტიკა სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ საჭირო კომპეტენციების ეფექტიან და პრაქტიკულად ორიენტირებულ განვითარებას.

ინდიკატორი 2.4.1.3. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ მათთვის ცნობილია ინდივიადუალური სასწავლო გეგმის შესახებ. ცალკეულ შემთხვევაში, დასაქმებულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ გაცდენილი მასალის ანაზღაურე ხორციელდება პედაგოგებთან კონსულტაციებით ამასთან ხშირ შემთხვევაში აკადემიის გარემოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 2.4.1.4. შესაბამისობაშია

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით აკადემიას პარტნიორ ოგრანიზაციებთან შპს „ექსპრესს ტრანს - შიპმენთ სერვისეზ“ შპს „სოფმარი“, შპს „ტრანს ექსპედიცია ფოთი“, შპს „ჯა ლოჯისტიკა“ ერთად ორგანიზებული აქვს ორგანიზებულია **C ტიპის სასწავლო გარემო**, რომელიც მორგებულია საწყობის ოპერირების საქმიანობის სპეციფიკაზე. პარტნიორ ორგანიზაციას 1 კვირით ადრე მიეწოდება სტუდენტების სია, რაც იძლევა სასწავლო პროცესის დაგეგმვის და შემდგომ უხარვეზო განხორციელების საშუალებას. ორგანიზაციას გამოყოფილი ყავს თანამშრომელი რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ „საწყობის მართვის ელექტრონულ პროგრამაში გატარების წარმოება“,საწყობში განტავსებული საქონლის აღრიცხვა“, „ანგარიშგების წარმოება“ და“საინფორმაციო-საკომუნიკაციო სასუალებების გამოყენება“ უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის მოთხოვნების დაცვით. სამუშაო გარემოები უზრუნველყოფს პროგრამიაზე მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გამტარუნარიანობას და შეესაბამება პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს

ინდიკატორი 2.4.1.5. შესაბამისობაშია

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

იმიტირებულ/სიმულაციურ გრემოებში უსაფრთხო სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია პსდ-ს მიერ პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი წესების გაცნობის და ისტრუქტაჟის გზით, ხოლო რეალურ სამუშაო გარემოში უსაფრთხოება უზრუნველყოფილია პარტნიორი ორგჰანიზაციის მიერ, რაც დასტურდება მემორანდუმით

ინდიკატორი 2.4.1.6. შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.2.1 პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური

კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და შესაბამის პირებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა რეგულირდება აკადემიის რექტორის 2024 წლის 23 თებერვლის №01-62 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“.

აღნიშნული მარეგულირებელი დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს შეფასების სისტემის ყველა არსებით კომპონენტს, მათ შორის: შეფასების ინსტრუმენტების შერჩევისა და შემუშავების პროცედურებს; შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების მიმართ მოთხოვნებს; შიდა მონიტორინგის მექანიზმებს; შეფასების ადმინისტრირების წესს; შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებულ საკითხებს; აპელაციისა და განმეორებითი შეფასების განხორციელების წესსა და ვადებს; ასევე მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის პროცედურებს. დოკუმენტში ასევე გაწერილია ნამუშევრების გასწორებისა და შეფასების ვადები და განმეორებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მარეგულირებელი წესის მიხედვით, შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს, რაც ქმნის შეფასების პროცესის სამართლებრივად და მეთოდოლოგიურად გამართულ ჩარჩოს.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელებულმა გასაუბრებებმა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან დაადასტურა, რომ შეფასების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება სრულად ეფუძნება აღნიშნული წესის მოთხოვნებს. მასწავლებლებმა განმარტეს, რომ ისინი ჯერ კიდევ მოდულის დაწყების ეტაპზე აცნობენ პროფესიულ სტუდენტებს შეფასების მიდგომებს, შეფასების ტიპებსა და კრიტერიუმებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის წინასწარ გამჭვირვალობას. ამასთან, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასება ხორციელდება მხოლოდ ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით და შეფასებამდე არანაკლებ ერთი კვირით ადრე შეფასების ინსტრუმენტი მზად არის, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას დროულად გაეცნონ შეფასების მოთხოვნებს და შესაბამისი მომზადება უზრუნველყონ.

გასაუბრებების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ პროფესიული სტუდენტები იცნობენ საკუთარ უფლებებს შეფასების პროცესში, მათ შორის შეფასების შედეგების მიღების, გასაჩივრებისა და განმეორებითი შეფასების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ შეფასების ადმინისტრირება ხორციელდება დადგენილი პროცედურების დაცვით, მათ შორის შეფასების ვადების, შეფასების შედეგების ოფიციალურად დაფიქსირებისა და სტუდენტებისთვის დროული ინფორმირების ნაწილში. გასაუბრებებისას ასევე გამოიკვეთა, რომ პერსონალი კარგად იცნობს აპელაციისა და განმეორებითი შეფასების წესს და მზად არის მისი გამოყენებისთვის საჭიროების შემთხვევაში.
წარმოდგენილი შეფასების დოკუმენტაციით და გასაუბრებების შედეგებით შეფასების სისტემა აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ინდიკატორი 2.4..2.1 შესაბამისობაშია.

2.4.2.2 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს
ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში შემუშავებული და დანერგილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფს გამოყენებული შეფასების სისტემის შესაბამისობას პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან. აღნიშნული მექანიზმი წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმის ნაწილს და დამტკიცებულია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2022 წლის 11 მარტის №4/14 გადაწყვეტილებით.

ვერიფიკაციის მექანიზმი მოიცავს შეფასების სისტემის შემოწმებას სამ ძირითად მიმართულებით:

ა) შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია და ვერიფიკაცია;

ბ) შეფასების პროცესის ვერიფიკაცია;

გ) შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

მექანიზმი ეფუძნება ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ობიექტურობის პრინციპებს. ვერიფიკაციის პროცესის ორგანიზება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ, შესაბამისი ვერიფიკაციის ჯგუფის ჩართულობით. განხორციელებული ვერიფიკაციის შედეგებზე ფორმდება დასკვნა, რომელიც რეკომენდაციების შემუშავების მიზნით წარედგინება პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს.

დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის განხორციელების დამადასტურებელი მტკიცებულებები, მათ შორის: ვერიფიკაციის გეგმები, შერჩევის მექანიზმები (რისკების სისტემა), ვერიფიკაციის დასკვნები და შესაბამისი დანართები. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ ვერიფიკაციის პროცესი ხორციელდება არა ფორმალურად, არამედ სტრუქტურირებულად და წინასწარ განსაზღვრული პროცედურების დაცვით.

ექსპერტთა მიერ შესწავლილი მასალების მიხედვით ასევე დადგინდა, რომ ვერიფიკაციის დასკვნების საფუძველზე დაწესებულებაში შედგა მაკორექტირებელი გეგმები, სადაც გაწერილია კონკრეტული ღონისძიებები, პასუხისმგებელი პირები და განხორციელების ვადები. აღნიშნული გეგმების შესრულება ექვემდებარება შემდგომ მონიტორინგს, რაც უზრუნველყოფს გამოვლენილი საკითხების რეაგირებასა და შეფასების სისტემის განვითარებას.

ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში მოქმედი პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი ფუნქციონირებს რეგულაციის შესაბამისად, ეფუძნება მონაცემებსა და მტკიცებულებებს და ქმნის პირობებს შეფასების პროცესის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორი 2.4.2.2 შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2.3 პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით

კერძოდ:ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და შესაბამის პირებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ სსიპ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციისა და მტკიცებულებების აღრიცხვისა და შენახვის პროცესი რეგულირდება მოქმედი ნორმატიული დოკუმენტით – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ (მუხლები 25 და 26). აღნიშნული რეგულაციის თანახმად, შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მათ შორის შეფასების ინსტრუმენტები, შეფასების მტკიცებულებები და შეფასების უწყისები, ექვემდებარება წინასწარ განსაზღვრული წესით აღრიცხვასა და შენახვას. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებები ინახება კვალიფიკაციის მინიჭებიდან არანაკლებ 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები ინახება უვადოდ, რაც უზრუნველყოფს როგორც პროცესის გამჭვირვალობას, ისე საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის ხელახალ გადამოწმების შესაძლებლობას.

დაწესებულების წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადასტურდა, რომ აღნიშნული წესები პრაქტიკაში სრულად ხორციელდება. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა შეფასებასთან დაკავშირებული აღრიცხვის მტკიცებულებები, რომლებიც არის სტრუქტურირებულად დალაგებული, დანომრილი და მიკვლევადი. წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა შესაძლებლობას, შეფასების პროცესის თითოეული ეტაპი იყოს ადვილად იდენტიფიცირებადი კონკრეტულ პროფესიულ სტუდენტთან, მოდულთან და შეფასების ინსტრუმენტთან მიმართებით.

ექსპერტთა შეფასებით, შეფასების მონაცემების აღრიცხვისა და შენახვის არსებული პრაქტიკა უზრუნველყოფს ინფორმაციის სანდოობას, ხელმისაწვდომობასა და დაცულობას, ხოლო რეგულაციისა და პრაქტიკის თანხვედრა მიუთითებს პროცესის ორგანიზებულ და პასუხისმგებლიან განხორციელებაზე.

ინდიკატორი 2.4.2.3 შესაბამისობაშია.

2.4.2.4 პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის

კერძოდ: ვიზიტის ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე დადასტურდა, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოიყენება არა მხოლოდ მიღწეული სწავლის შედეგების დასადგენად, არამედ სტუდენტების შემდგომი აკადემიური და პროფესიული განვითარების მხარდასაჭერად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლების მასწავლებლები განმსაზღვრელი შეფასების პარალელურად აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, რაც საშუალებას იძლევა სწავლის პროცესში დროულად გამოვლინდეს სტუდენტების ძლიერი მხარეები და განვითარების საჭიროებები. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების შედეგები პერიოდულად განიხილება პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალურ ფორმატში, რაც ხელს უწყობს შეფასების პროცესის გააზრებას და სწავლის შედეგებზე ორიენტირებულ უკუკავშირს.
გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროფესიული სტუდენტის მხრიდან დამატებითი კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული განათლების მასწავლებლები ახორციელებენ ინდივიდუალურ კონსულტირებას. ამ პროცესში სტუდენტს მიეწოდება განმარტებები შეფასების შედეგების შესახებ, განიხილება არსებული სირთულეები და ერთობლივად განისაზღვრება სწავლების პროცესის გაუმჯობესების შესაძლო გზები. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მიდგომები განსხვავებულია სტუდენტთა პიროვნული თავისებურებებისა და ინტელექტუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას.
ამასთან, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების ანალიზი გამოიყენება უფრო ფართო კონტექსტშიც – შეფასების პროცესის შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია ინიცირდეს სწავლების მეთოდების ან/და შეფასების სისტემის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული წინადადებები. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს როგორც სტუდენტების ინდივიდუალურ განვითარებას, ისე სასწავლო პროცესის ხარისხის ეტაპობრივ გაუმჯობესებას.
ექსპერტთა შეფასებით, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოყენება არის მიზანმიმართული, განვითარებაზე ორიენტირებული და შეესაბამება სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
ინდიკატორი 2.4.2.4 შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატის 2022 წლის 11 მარტის № 4/14 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი - ვერიფიკაცია;
- პროგრამის შეფასების ინსტრუმენტები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში

პროგრამის სახელწოდება	გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ბათუმი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	64

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	91
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	106

პროგრამის სახელწოდება	გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ბათუმი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის	46

530

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	102

პროგრამის სახელწოდება	ამწის ოპერირება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ამწის ოპერირებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ბათუმი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	46
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61

პროგრამის სახელწოდება	შედუღება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ბათუმი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	38
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	53

პროგრამის სახელწოდება	ელექტროობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ბათუმი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

პროგრამის სახელწოდება	გემის საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ფოთი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	20
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	91
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	106

პროგრამის სახელწოდება	გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია
პროფესიული განათლების დონე	მესამე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 535

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ფოთი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	18
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	102

პროგრამის სახელწოდება	ამწის ოპერირება

536

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ფოთი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	46
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	61

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის სახელწოდება	ამწის ოპერირება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ფოთი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	13
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	76
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	106

პროგრამის სახელწოდება	შედუღება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ფოთი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	38
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	53

პროგრამის სახელწოდება	შედუღება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0715
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ფოთი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	12

540

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	79
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	109

პროგრამის სახელწოდება	ელექტროობა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0713
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ფოთი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

541

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	27
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	52
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

01.02.2026

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: